

მასალები საენათმეცნიერო
ტერმინთა ლექსიკონისათვის

I

გიორგი ახვლედიანი

თბილისი
2010

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მასალები საენათმეცნიერო ტერმინთა ლექსიკონისათვის

I

გიორგი ახვლედიანი

შეადგინა მარინე ოსაძემ

თბილისი
2010

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში იქმნება საენათმეცნიერო ტერმინთა ლექსიკონი, რომელშიც აისახება ქართულ საენათმეცნიერო ტერმინთა ისტორია ბერძნულ-რომაული თუ მოგვიანო (ევროპული) წყაროების გათვალისწინებით. ლექსიკონის დასრულებამდე საჭიროდ ჩავთვალეთ ამ სალექსიკონო მასალის ნაწილის გამოცემა ნაკვეთებად. ამ მასალებში, გარდა იმისა, რომ ასახულია ქართულ საენათმეცნიერო ტერმინთა უაღრესად საინტერესო განმარტებები, ნათლად ჩანს ამა თუ იმ ენათმეცნიერის ტერმინთშემოქმედება და მათი ენის თავისებურებანი.

ვფიქრობთ, მასალები საინტერესო იქნება ლინგვისტებისათვის; ასევე იგი გამოადგებათ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს დამხმარე სახელმძღვანელოდ.

რედაქტორი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მინელი ქურდიანი**

რეცენზენტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ლია ქაროსანიძე

ტექნიკური რედაქტორი — **რუსუდან პაპიაშვილი**

წიგანის ტყვეობა

გიორგი ახვლედიანი ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მეტად მრავალმხრივი იყო მისი მოღვაწეობის სფერო. მკვლევარმა საყურადღებო ნაშრომები შექმნა ზოგად ენათმეცნიერებაში. გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი“ იყო პირველი ნაშრომი ზოგად ენათმეცნიერებაში. ეს იყო პირველი სახელმძღვანელო, რომელშიც გაანალიზდა ზოგადლინგვისტიკური ცნებები ქართული ენის საფუძველზე. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი ახვლედიანის, როგორც ფონეტიკოსის, დეაწლი ქართულ ენათმეცნიერებაში. საუნივერსიტეტო კურსი პირველად გიორგი ახვლედიანმა წაიკითხა და მანვე დაწერა პირველი სახელმძღვანელო ფონეტიკაში. გ. ახვლედიანმა ჩაუყარა საფუძველი ექსპერიმენტულ ფონეტიკასაც.

ბუნებრივია, გიორგი ახვლედიანი და ყველა ის მეცნიერი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მე-20 საუკუნეში ქართულ ენათმეცნიერებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქართული საენათმეცნიერო ტერმინების შექმნას. მათ გააგრძელეს ის გზა, რომელიც არსებობდა ძველ ქართველ გრამატიკოსთა სახელმძღვანელოებში. ბევრი ტერმინი სწორედ ძველი გრამატიკოსებისაგან დაამკვიდრეს.

საყურადღებოა გიორგი ახვლედიანის დეაწლი საენათმეცნიერო ტერმინების სრულყოფასა და შექმნაში. მან დაამკვიდრა ზოგი ახალი ფონეტიკური ტერმინი. ჩანს, გ. ახვლედიანი უპირატესობას ანიჭებდა ქართულ ტერმინებს და ცდილობდა უცხოენოვანი სიტყვის გაქართულებას. მას კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცნების ზუსტი შესატყვისი ტერმინის არსებობას და ტერმინთა უნიფიკაციას. სამწუხაროდ, ალბათ, მეცნიერის მოკრძალებული ხასიათიდან გამომდინარე, იგი არ აღნიშნავს თავის ნაშრომებში, რომელი ტერმინებია მისი დამკვიდრებული. ამდენად, ვფიქრობთ, ამ საკითხის დაზუსტება აუცილებელია და სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს კვლევა. „ავტორი აკრიტიკებს იაფეტოლოლოგიაში დამკვიდრებულ ზოგიერთ ფონეტიკურ ტერმინს და გვთავაზობს ახალ ტერმინოლოგიას. უარყოფილია აკად. ნ. მარის მიერ დაწერილი ტერმინი „საშუალო მუდგრობა“ ქართველურ-კავკასიური ენების ფშინვიერების აღსანიშნავად. ასევე მიუღებელია გიორგი ახვლედიანის მტკიცებით, ტერმინი „ხორხისმიერი“ – ყ-ჭ თანხმოვნებისათვის. ავტორი მხარს უჭერს ტერმინს „ფარინგალური“, რომელსაც ხმარობენ იესპერსენი და შჩერბა... უარყო-

ფილია ტერმინი „აფრიკატი“ დ ხ ყ თანხმოვნების გადმოსაცემად. არც ისტორიულად, არც გენეზისურად ეს თანხმოვნები რთულ ბგერებად არ მიიხსნება“ (შ. ძიძიგური, გიორგი ახვლედიანი, თბ., 1967).

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გიორგი ახვლედიანის შრომებიდან ამოკრებილ ტერმინებს თავიანთი განმარტებებით.

ვფიქრობთ, დღეს გ. ახვლედიანის ზოგი ნაშრომი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და ამიტომ წარმოდგენილი მასალები დაეხმარება ლინგვისტებს და განსაკუთრებით კი სტუდენტებს, მოიძიონ ამა თუ იმ ტერმინთა გ. ახვლედიანისეული განმარტება.

მასალა დალაგებულია ანბანრიგზე. რთული ტერმინოლოგიური შესიტყვებები ბუნებრივი წყობითაა წარმოდგენილი. როდესაც ამა თუ იმ ტერმინს სინონიმური წყვილი აქვს, ვიყენებთ აღნიშვნას „იგივეა, რაც“. მაგ., ალფაბეტი იგივეა, რაც ანბანი. ზოგიერთი სახეობითი ტერმინის ვრცელი განმარტებისათვის იგი მიგზავნილია გვარეობითთან. მაგ., ანაპტიქსური ხმოვანი იხ. ანაპტიქსი.

ავტორის ტექსტი უცვლელადაა დატოვებული. მასალა ამოწერილია გიორგი ახვლედიანის შემდეგი შრომებიდან:

1. ენათმეცნიერების შესავალი, ტფილისი, I, II, III, 1918-1919.
2. ფონეტიკა, ტფილისი, 1931.
3. გემინირებული და „ნაზალიზებული“ აფრიკატების შესახებ ოსური ენის დვალურ დიალექტში“, ტფილისი, 1936.
4. ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1938.
5. როგორ ეძებენ დოინლანდის გერმანელი ფაშისტები თავიანთ „წინარესამშობლოს“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXII, 1942.
6. ხმოვნისა და თანხმოვნის ერთმანეთისაგან გენეზისური განსხვავების საკითხისათვის, მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ., III, №9, 1942.
7. ზოგადი ფონეტიკის საფუძველები, თბილისი, 1949.
8. შენიშვნები ენის, როგორც სამეტყველო მოქმედების, სამეცნიერო ფუნქციის შესახებ, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1959.
9. ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1966.

აბლატივი იხ. ბრუნვა.

აბლაუტი ისტორიულ-სპონტანურ ხმოვანთმონაცვლეობას, როგორცაა, მაგ., ე/ი (გრეხს/გრისხა)... დაერქვა სპეციალური სახელი „აბლაუტი“ (გერმ. Ablaut). ზოგი ენათმეცნიერი იყენებს ამ ტერმინს საერთოდ ბგერათმონაცვლეობის ანუ ალტერნაციის აღსანიშნავად. ამ წიგნში ჩვენ მას ვხმარობთ მხოლოდ ხმოვანთმონაცვლეობის მნიშვნელობით (1949, 211), (1966, 171). იხ. **ბგერათმონაცვლეობა**.

აბრუპტივთა კომპლექსები იხ. აპარმონიზაცია.

აბრუპტივი (ყელსშუელი) წინათ ამ თანხმოვნებს ვეძახდით, აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით, მკვეთრებს, რაც იმიტომ კი არაა დასაწინი, რომ ვერ გამოხატავს სათანადო მოვლენას (პირობითად ყოველი ტერმინი შეიძლება გამოდგეს), არამედ იმიტომ, რომ გაჭირდა მისგან სხვა ტერმინების წარმოება და მისი უცხო ენაზე თარგმნა.

პროფ. ნ. იაკოვლევის მიერ შემოღებული „ხორხზედა ექსპირაცია“ (надгортанная экспирация) მოვლენას გამოხატავს მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით (ექსპირაცია შეიძლება მხოლოდ ფილტვებიდან); მთავარი ნაკლი ისევე ისაა, რომ მისგან ძნელია სხვა მისგან ნაწარმოებ ტერმინთა შედგენა.

ამიტომ ათ წელზე მეტია, რაც ვხმარობთ ტერმინ **აბრუპტივს** (ლათ. abruptio „მოწყვეტა, მოგლეჯა“). მართლაც, საარტიკულაციო ორგანოები სწრაფად მოსწყდებიან ერთმანეთს. აკუსტიკურადაც მოწყვეტის შთაბეჭდილება გვაქვს. მისგან სხვა ტერმინების შედგენაც არაა ძნელი (აბრუპტივული, აბრუპტივიზაცია, დეზაბრუპტივიზაცია და სხვა), სხვა ენებზეც მისი თარგმნის საჭიროებაც არაა. რადგან ქართული კ-ტ-პ არსებითად განსხვავდება, ევროპულ (და რუსულ) k-t-p-საგან, რომელთაც აგრეთვე tenues ეწოდება, ამიტომ მათ ვუწოდებთ „მკვეთრებს“ ანუ აბრუპტივებს. ქართულის მსგავს tennes-ს გერმანულად უწოდებენ

ბენ reine ანუ scharbe Tenues (1949, 354); (1949, 27, 77, 78, 80, 361). იხ. **ყრუ ბგერა**.

აბრუპტივული სპირანტი აბრუპტივული სპირანტები ქართულს არ გააჩნია (1949, 306). იხ. **აფხაზურის თანხმოვნები**.

აგლუტინაცია იხ. **აგლუტინური ტიპის ენები**.

აგლუტინური ტიპის ენები აგლუტინური ტიპის ენებს ეკუთვნის ურალო-ალტაური და აგრედვე იაპონური და დრავიდული ენები. მათი მთავარი თვისება უკვე მათ სახელწოდებაშია გამოხატული: agglutinure ლათინურია და ნიშნავს „დაწებვას“, „წებვა“-ს; მართლაც ფორმალური ელემენტები (მაგ., სუფიქსები) არ უერთდება სიტყვის ძირითად ნაწილს ისე მჭიდროდ, როგორც ეს ინდოევროპულშია: თითქოს ისინი მიწებებულია ძირთან ხელოვნურად და არა ბუნებრივად თან შეზრდილი. ფორმალურ ელემენტებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და ხშირად ცალკეც იხმარება იმავე სახით, რომელიც მას ქონდა სიტყვასთან ერთად. ერთი რომელიმე მნიშვნელობის ნიუანსი გამოიხატვის მუდამ ერთი და იმავე სუფიქსით (1918-19, 24). იხ. **ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია**.

ადამიანური სიტყვა იხ. **სიტყვა**.

ადგილობითი ბრუნვა იხ. **ბრუნვა**.

ავსტრალიის ენები ავსტრალიის ენათა შორის ცნობილია მეცნიერებაში მხოლოდ სამხრეთ ნაწილის ენები; მათ ენათესავენ ენა პაპუა (ტომის სახელია) (1918-19, 20).

აზრის დანაწევრება იხ. **ბგერითი ენა**.

აზრის ენობრივი გარსი ნორმალური მეტყველების სრულიად თვალსაჩინო გარსია მისი ბგერადობა – ჰაერის ნაწილაკთა ტალღისებრი რხევითი მოძრაობის სახით; უმისოდ შეუძლებელი იქნება ადამიანთა შორის ურთიერთობა, ურთიერთგაგებინება. ეს ბგერადობა მეტყველების, ასე ვთქვათ, გარეგანი, „თვალსაჩინო“ მატერიალური გარსი.

ყოველ ბგერას, ბგერადობას, აქვს თავისი სპეციფიკური წყარო ამა თუ იმ დრეკადი სხეულის მოძრაობის სახით. რის მოძრაობა უძევს საფუძვლად სამეტყველო ბგერას? – ესაა საწარმოთქმო ორგანოების (ტუნების, ენის,

სახმო სიმების...) მოძრაობა, რომელსაც შეიგრძნობს თვით მოლაპარაკე კუნთებრივი შეგრძნებით, სამეტყველო ბგერადობა კი, რომელიც შედეგია საწარმოთქმო ორგანოების მოქმედებით (ანუ არტიკულაციით) წარმოქმნილი ჰაერის რხევითი მოძრაობისა, შეიგრძნობა სმენით – როგორც მსმენელის, ისე თვით მოლაპარაკის მიერ. ეს სმენითი და კუნთებრივი შეგრძნებები დაკავშირებულია ერთმანეთთან ასოციაციურად და როდესაც ამბობენ, არ არსებობს აზრი უსიტყვოდო, ადამიანი ფიქრობს, აზროვნებს მხოლოდ სიტყვებითო, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოთქმო ორგანოების მოქმედებას (არტიკულაციას) და მის შეგრძნებას ადგილი აქვს მაშინაც კი, როცა ადამიანი არავის ელაპარაკება, როცა იგი თავისთვის ან, როგორც იტყვიან ხოლმე, თავის გულში ლაპარაკობს, ფიქრობს რამეზე. მაშასადამე, შინაგანი უჩინარი წარმოთქმა, უბგერო არტიკულაცია და მისი შეგრძნება შეადგენს მეტყველების აუცილებელ შინაგან მატერიალურ გარსს.

არტიკულაცია ძირითადად მატერიალური მხარეა მეტყველებისა, რადგანაც უმისოდ არ არსებობს სამეტყველო ბგერადობაც.

განსხვავება გარეგან და შინაგან „წარმოთქმას“ შორის ისაა, რომ გარეგანი წარმოთქმა, ბგერადობა, აუცილებელია მხოლოდ მაშინ, როცა წარმოთქმელს (მოლაპარაკეს) მსმენელიცა ჰყავს; ხოლო შინაგანი „წარმოთქმა“ – არტიკულაცია – აუცილებელია ყოველთვის. იმ შემთხვევაშიც, როცა ადამიანი „მეტყველებს“ არა სხვის გასაგონად, არა მსმენელისათვის, არამედ მხოლოდ თავისთვის.

ამრიგად, ენობრივი გარსი მატერიალურია, პირველ ყოვლისა, ფიზიოლოგიურად – არტიკულაციის აუცილებლობის გამო; მატერიალურია იგი აკუსტიკურადაც – ბგერადობის საჭიროების შემთხვევაში (1966, 6-7).

აკუსტიკური პაუზა ექსპირაციულ ბგერათა უმრავლესობის წარმოთქმისათვის (მკვეთრების გამოკლებით) ესაჭიროება ამოდენილი ჰაერის ნაკადი: მაშასადამე, შესუნთქვის დროს ასეთ ბგერებს ვერ გავიგონებთ, თუნდაც რომ ორგანოები მოქმედობდნენ, როგორც საჭიროა: აქ გვექნება აკუსტიკური პაუზა (1931, 9). იხ. **უბგერობა**.

ალვეოლარული თანხმოვანი (ლათ. alveoli „ალვეოლები“, alveolaris „ალვეოლარული“) (1949, 35). იხ. **ენისწვერისმიერი**;

თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია); ენისწვერისმიერი თანხმოვანი.

ალტერნაცია იგივეა, რაც **ბგერათმონაცვლეობა**.

ალფაბეტი იგივეა, რაც **ანბანი**.

ალფაბეტური მეთოდი ფონეტიკური ტრანსკრიფციის ამ მეთოდით დამუშავებული სისტემები, რომელთაც საერთოდ ალფაბეტური სისტემები ეწოდებათ, დამყარებულია უმთავრესად ლათინურ ანბანზე; მაგრამ ლათინურის 24 ნიშანი არ კმარა მრავალ სხვა ენის ძირითად ბგერებისთვისაც კი, ე. ი. მათი ნიუანსებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში; ამიტომ ლათინურ ასოების რიცხვს მოთხოვნილების მიხედვით ამრავლებენ სხვადასხვაგვარად. მაგ., ასომთავრულს გამოიყენებენ ხოლმე იმავე ბგერის სხვა სახეობისათვის, გადაბრუნებულს ან გადახაზულ ასოს აძლევენ სხვა ბგერითს მნიშვნელობას (ასეთია უმთავრესად საერთაშორისო ფონეტიკურ ასოციაციის სისტემა); იმავე მიზნით ძირითად ლათინურ ასოებს უმატებენ დამატებითს განმასხვავებელ (დიაკრიტულ) ნიშნაკებს ან ასოს ქვეშ, ან მის თავზე და ან მის გვერდით; ან უცვლიან მოყვანილობას ძირითად ასოს; ან შემოაქვთ ასო სხვა ენის (მაგ. ბერძ., რუს.) ანბანიდან (ასეთია, მაგ., ინდოევროპულ ენათმეცნიერებისა და იაფეტოლოგიის ტრანსკრიფციის ნიშნები გარეგნულად). როდესაც ბგერა წარმოდგენილია ერთ მთლიან (თუნდაც შერწყმულ) ნიშნით, ეს იქნება მისი გამოსახვა მონოტიპურად, ხოლო როცა ასო ნიშნაკებიანია, დიაკრიტულად (1931, 33-34). იხ. **ფონეტიკური წესის ალფაბეტური სისტ., ფონეტ. წესის ანალფაბეტური სისტ.; მეცნიერულ-ფონეტიკური წერა**.

ალფაბეტური სისტემა იხ. **ალფაბეტური მეთოდი**.

ამოსუნთქვა იგივეა, რაც **ექსპირაცია**.

ანალოგია იხ. **ბგერითი ა.; გრამატიზებული ა.; პოზიციური ა.; სემანტიზებული ა.; ფონეტიკური ა.; ფონოლოგიური ა.; ფუნქციონალური ა.**

ანალიტიკური ანბანი სამეტყველო ბგერების ასობრივი გამოსახულება შეიძლება იყოს ანალიტიკური და სინთეტიკური. ეს უკანასკნელი გვაქვს, მაგ., ქართულ ან რუსულ ტრადიციულ წერაში, სადაც მარტივი (ერთი) ნიშ-

ნით გამოისახება როგორც მარტივი, ისე რთული ბგერა: მაგ., ქართ. ან რუს. ც (ц) რთული თანხმოვანია, მაგრამ გამოისახება მარტივი (ერთი) ნიშნით ისე, როგორც მარტივი თ. ანალიტიკურ ანბანში კი გათვალისწინებულია ბგერის შედგენილობა; მაგ., იგივე ც აკად. ნ. მარის ანალიტიკურ ანბანში გამოისახება როგორც თ + ს (θ+ζ=θ) (1938, 94).

ანალიტიკური ანბანი ეწოდება ისეთს, რომელიც ითვალისწინებს ბგერის შედგენილობას და მარტივ ბგერას გამოსახავს მარტივი ასოთი, ხოლო რთულ ბგერას – რთული ასოთი. მაგ., დ ბგერა გამოისახება ლათ. d-თი, ხოლო ძ – ḍ-თი (1949, 178). ნ. მარის შედგენილი ანალიტიკური ანბანი გამოყენებული იყო უმთავრესად კავკასიურ ენათა ბგერების გამოსახატავად.

ნ. მარის ანალიტიკური ანბანი აგებულია რიცხვთა გამოსახატვის ციფრული სისტემის ანალოგიურად: როგორც რიცხვებია ციფრობრივ დაყოფილი ერთეულებად (ერთციფრიანი), ათეულებად (ორციფრიანი), ასეულებად (სამციფრიანი) და ა. შ., ისე ბგერებიც იყოფა მარტივებად (ერთნიშნისანი), ორშემადგენლობიანებად (ორნიშნისანი) და სამშემადგენლობიანებად (სამნიშნისანი) (1949, 178). იხ. **სინთეტიკური ანბანი**.

ანალფაბეტური მეთოდი იხ. **მეცნიერულ-ფონეტიკური წერა**.

ანაპტიქსი (ბერძნ. ἀναπτύσσει „(გა)ვშლი“, „გავმართავ“) უფუნქციო ხმოვნის განვითარება სიტყვაში; ანაპტიქსური ხმოვანი. ამავე მნიშვნელობით იხმარება სვარაბჰაქტი (ძველ ინდურად „ხმოვნის ამოყრა, ზრდა“, მაგ., ბერძნული δραχμή (ფულის ერთეული), ლათინურში ნასესხებია drachma-ს სახით, ლათ. pouclum „ჭიქა, ბოკალი“ < poclum. მთიულური კირწყილი < ძველი კრწყილი, თუშ., ფშავ. კურკო < ძველი კრკო (1949, 234-235).

ანაპტიქსური ხმოვანი იხ. **ანაპტიქსი**.

ანბანი მწერლობიან ენაში ხმარებულ ასოთა ერთობლიობას ეძახიან ანბანს ანუ ბერძნულად **ალფაბეტს** (რუს. азбука ან алфавит). სამივე სახელწოდება წარმომდგარია ხმარებულ ასოთა რიგის პირველ ორ ასოს სახელისაგან: ბერძ. ალფა + ბეტა, ან + ბან, аз+буки (1931, 16), (1949, 164), (1966, 141). იხ. **ანალიტიკური ა;** **სინთეტიკური ა**.

ანბანური მეთოდი იგივეა, რაც **ალფაბეტური მეთოდი**.

ანლაუტი (თავკიდური) იხ. **ფონეტიკური თავკიდური ბგერა**.

ანტიციპაცია მაგ. რუს. ძ-სა და თ-სათვის პირველადი არტიკულაციაა წინაენის კბილებზე მიბჯენა; მაგრამ როცა მოხვდებიან მომდევნო ვ-სთან (რუს. ვ უდრის ქართ. ვ-ს, ხოლო რუს. მახვილიანი ე სიტყვის თავში უდრის ქართ. დე-ს) მეზობლობაში (вдѣ спите), ისინი შეიძენენ იმ მეორეულ არტიკულაციას, რომელიც პირველადია ვ-სათვის, სახელდობრ: შუაენის არტიკულირებას მაგარი სასის მიმართ, ე. ი. კოარტიკულაციის საფუძველზე ვ-ს შუაენისმიერობა ხორციელდება დროზე ადრე, უკვე ძ-ს ან თ-ს წარმოებისას. მაშასადამე, აქ გვაქვს ერთგვარი ანტიციპაცია, წასწრებულობა (1949, 111-112).

აპიკალური თანხმოვანი იხ. **ენისწვერისმიერი თანხმოვანი**.

აპოკოპე (ბერძ. ἀποκοπή „მოკვეცა ბოლოში“). სიტყვის ბოლოს ბგერის მოკვეცა ან ბგერათა მოკვეცა – ფონეტიკურად (ახლად > ახლა) ან ხელოვნურად. მაგ., ავტო(მობილი)... დაიჭი < დაიჭირე, მოიტა < მოიტანე და სხვა (1949, 235).

არაანბანური მეთოდი იგივეა, რაც **ანალფაბეტური მეთოდი**.

არათავისთავადი ბგერა იხ. **თავისთავადი და არათავისთავადი ბგერა**.

არანამდვილი დიფთონგი არანამდვილი დიფთონგებია რუსულში: ja (იწერება я), je (იწერება е, მაგ., ел „ჭამდა“), jo (იწერება ё, მაგ., ёлка), jy (იწერება ю, მაგ., юг „სამხრეთი“), რომლებშიც j წარმოადგენს არა სუსტ ხმოვანს, არამედ შუაენისმიერ თანხმოვანს.

არანამდვილი დიფთონგი გაგრძელებულია ჭანურში, მაგ., ლოდა „ლოყა“, ენე „არის“, ოდაზუ „გათლა“ (1949, 104). იხ. **დიფთონგი**.

არაფონეტიკური ბგერათცვლილება იგივეა, რაც **ბგერითი ანალოგია**.

არიო-ევროპული იხ. **„არიული“ ენები**.

„არიული“ ენები ამ ორი სახელწოდების (**ინდოევროპული** და **ინდოევროპული**) გარდა... მათ გვერდით შემოღებულ იქნა

იმავე მნიშვნელობით არასპეციალისტთა წრეებში აგრეთვე სრულებით შემცდარი ტერმინი „არიული“ (arisch) პირველად იმავე დოიხლანდში (როგორც ჩანს, პირველად ფრ. შლეგელის მიერ, 1819 წ.); ამ ტერმინთა დოიხლანდის გარეთაც ჰპოვა გავრცელება, მეტადრე ინგლისში. თვით სიტყვა „არია“ (არიდა) ძველი-ინდური (āriya) და ძვ. ირანული (airyā) და ნიშნავს „კეთილშობილი“, „უკეთესი“...

დღეს მეცნიერებაში იხმარება „არიული“ მხოლოდ „ინდო-ირანული“ მნიშვნელობით. აქედან გამომდინარეობს შედარებით უფრო სწორი მეოთხე ტერმინი „არიო-ევროპული“, ე. ი. „ინდო-ირანულ-ევროპული“, მაგრამ მას დიდი გავრცელება არ ჰქონია (1942, 2-3).

არტიკულაცია ბგერათწარმოქმნის დროს საწარმოთქმო ორგანოს თითოეული მოძრაობა ან მდგომარეობა არის არტიკულაცია. თითოეულ სამეტყველო ბგერას ან მის ყოველგვარ სახესხვაობას აქვს თავისი საკუთარი არტიკულაცია, ე. ი. თავისი საკუთარი მოძრაობა ან მდგომარეობა. ამა თუ იმ ბგერას ადგიქვამთ მხოლოდ მაშინ, როცა მის არტიკულაციას ერთვის ჰაერნაკადის სათანადო მოძრაობა (1949, 24), (1966, 33). იხ. **აზრის ენობრივი გარსი; ა-თა მომენტები; ა-ის ერთჯამიერობის წესი; ა-ის უმოკლესი გზის წესი; ბაგეთა ა; იოტისებრი ა; კბილ-ბაგეობითი ა; საზიარო ა-ის წესი.**

არტიკულაციათა მომენტები [ესენია] ინდიფერენტული, როცა ორგანოები განიცდიან ერთნაირ საბგერო აღძვრას; ეკსკურსია, როცა ორგანოები მუშაობას შეუდგება; შუა მომენტი ანუ დაყოვნების ხანა, როცა ორგანოები ცოტას შეჩერდება; რეკურსია, როცა ორგანოები ინდიფერენტულ მდგომარეობას უბრუნდება (1918-19, II, 4). იხ. **არტიკულაცია.**

არტიკულაციის ერთჯამიერობის წესი უშუალო მეზობლობაში მყოფი ჰეტერორგანული თანხმობების წარმოთქმისას ზოგჯერ მათი არტიკულაცია მიისწრაფვის ერთჯამიერობისაკენ. ესაა არტიკულაციის ერთჯამიერობის წესი (ეს არის ბგერათშეერთების მესამე წესი) (1949, 107). იხ. **ბგერათშეერთება.**

არტიკულაციის უმოკლესი გზის წესი უშუალო მეზობლობაში მყოფი ორი ჰეტერორგანული ბგერის წარმოთქმისას

ორგანოები იცვლიან მდგომარეობას უმოკლესი გზით. ამ წესს ვეძახით არტიკულაციის უმოკლესი გზის წესს.

ამ წესის თანახმად საწარმოთქმო ორგანოები, წინმდგომი ბგერის გათავების შემდეგ, კი არ უბრუნდებიან ინდიფერენტულ მდგომარეობას, არამედ გადადიან მომდევნო ბგერის წარმოებაზე პირდაპირ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ამიტომ სუსტდება წინმდგომი ბგერის დამართვა და მომდევნო ბგერის შემართვა. წინმდგომის დამართვა არ დასრულდება, ხოლო მომდევნო შემართვა იწყება არა ინდიფერენტული მდგომარეობიდან, არამედ წინმდგომი ბგერის დაუმთავრებელი დამართვიდან. (ეს არის ბგერათშეერთების მეორე წესი) (1949, 101). იხ. **ბგერათშეერთება.**

არტიკულაციურ-აკუსტიკური მოვლენა იხ. **სამეტყველო ბგერა.**

ასიმილატორი ასიმილაციური გაგლენის მომხდენი (1948, 118). იხ. **პროგრესული ასიმილატორი.**

ასიმილატორი ასიმილატორი და დისიმილატორი ყოველ ენაში გავრცელებულია. როცა პირველი ემსგავსება მეორეს, ამას ეწოდება რეგრესიული ასიმილატორი – სრული ან ნაწილობრივი; როცა მეორე ემსგავსება პირველს, ამას ეწოდება პროგრესიული – სრული ან ნაწილობრივი. ბგერათა ურთიერთ გაგლენა გამოიხატება აგრეთვე დისიმილატორში, მაგრამ ეს გაგლენა უარყოფითია: ორ ერთნაირ ბგერაში ერთი ან სრულიად არ ითქმის, ან ითქმის სხვა გვარი ბგერა (ზარალი, უნდა იყოს ზარარი, გრიგოლ, უნდა იყოს გრიგორ...).

ბგერათა შეერთების ცოცხალ პროცესში, წარმოთქმაში, ბგერათა ერთმანეთზე მეტ-ნაკლები გაგლენის გამო, ძლიერ ხშირია მეზობელ ბგერათა ურთიერთ მიმსგავსება, ანუ უცხოურად ბგერათასიმილატორი, მოკლედ – ასიმილატორი. განასხვავებენ ასიმილატორის სხვადასხვა სახეს: მანძილის მიხედვით არსებობს **კონტაქტური** (უშუალო მეზობლობაში) და **დისტანციური** (დაშორებული მანძილით) ბგერათასიმილატორი. კონტაქტურის ნიმუშია: მზგავსი, მიზღვეს, ერდგული, შჭამს, გქონდა (სალიტ. ნორმებით იწერება: მსგავსი, მისღვეს, ერთგული, სჭამს, გქონდა). დისტანციურის ნიმუშია: შიმშილი (უნდა ყოფილიყო სიმშილი) (1949, 116-117).

განასხვავებენ ასიმილაციის შემდეგ სახეებს: 1) მანძილის მიხედვით – კონტაქტურს და დისტანციურს, 2) მიმართულებისა – რეგრესულს და პროგრესულს, 3) შედეგისა – სრულს და ნაწილობრივს, 4) ხმის მონაწილეობა – არმონაწილეობისა – გამჟღერება – გაყრუება, 5) წარმოების ადგილისა – რომელ საწარმოთქმს ორგანოს უკავშირდება და 6) რაგვარობისა – წარმოთქმის რომელ რაგვარობას უკავშირდება. გამოყოფენ აგრეთვე 7) რთულ ასიმილაციას (1918-1919, 69-70); (1966, 159).

ასიმილაციური გამჟღერება ხმის მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით განასხვავებენ ასიმილაციურ გამჟღერებას და ასიმილაციურ გაყრუებას. მაგ., მზგავსი-ში ს იცვალა ზ-დ მომდევნო მჟღერ გ-სთან მიმსგავსების გამო; მაშასადამე ზ გვაქვს იმიტომ, რომ უკვე ს-ს წარმოთქმის დროს დაიწყო ხმის მონაწილეობა; პირიქით, ложка-ში ж იცვალა ш-დ მომდევნო ყრუ კ-ს გავლენით; მაშასადამე, ხმამ შეწყვიტა თავისი მონაწილეობა უკვე ж-ს წარმოთქმის დროს, ე. ი. დროზე ადრე, და ამიტომ ж-ს ნაცვლად მოგვევლინა ш (1949, 118).

ასიმილაციური გაყრუება იხ. ასიმილაციური გამჟღერება.

ასო სამეტყველო ბგერის გრაფიკულ (წერილობით) გამოსახულებას ვეძახით ასოს (რუს. буква, ლათ. litera); ასო (ან ასოები) არის სამეტყველო ბგერის უაღრესად პირობითი ნიშანი: არ არსებობს არავითარი გენეტიკურად აუცილებელი კავშირი თითოეულ ასოსა და მისი საშუალებით დღეს პირობითად გამოსატულ ბგერას შორის (1938, 74-75), (1949, 164), (1966, 141).

ასოებრივ-ბგერითი დამწერლობა იხ. ასოებრივი დამწერლობა.

ასოებრივი დამწერლობა ასოებრივი ანუ ასოებრივ-ბგერითი დამწერლობა, რომელიც დღეს მოქმედებს მრავალ მწერლობაში, ...მომდინარეობს სემიტურ ხალხთა – ფინიკიელებისა და არამიელების – დამწერლობიდან (არაა მეცნიერებაში გადაწყვეტილი საკითხი, თუ საიდან მიიღეს იგი ამა თუ იმ სახით თვით სემიტელებმა) (1938, 81), (1949, 170).

ასოებრივ წერას, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის კულტურული განვითარების ერთ უძლიერეს ფაქტორთაგანს, წინ უძღოდა წერის სხვა ფორმები; ძველი და უძ-

ველესი წერის ზოგიერთი სახე დღესაც კი იხმარება – ზოგიერთი ენის მწერლობაში თითქმის მთლიანად (მაგ., ჩინურში იდეოგრაფიული წერა), ხოლო გადმონაშთის სახით თითქმის ყველგან (მაგ., ჩვენი ციფრები იდეოგრაფიული წერის გადმონაშთია) (1966, 146-147).

ასპირატი როდესაც ასპირაცია ანუ ფშვინვა უშუალოდ თან მისდევს თანხმოვანს და განუყოფლადაა მასთან შერწყმული, ასეთი ასპირაციის მქონე თანხმოვანს, ვეძახით **ასპირირებულ** ანუ **ფშვინვიერ თანხმოვანს**, მოკლედ **ასპირატს** (1949, 79). იხ. **ასპირაცია**.

ასპირაცია ზოგჯერ სახმო სიმები იმდენად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ამომდინარე ჰაერნაკადი წარმოქმნის თავისებურ ჩქამს სახმო სიმების კიდებზე ხეხვით: ამ ჩქამს ეძახიან ასპირაციას (ქართ. **ფშვინვა**, ლათ. aspiratio „ქროლა, ნიავი“); ასეთია, მაგ., ქართული ჰ (1949, 78). იხ. **თანხმოვანთა კლასიფიკაცია**.

ასპირირებული თანხმოვანი იგივეა, რაც **ასპირატი**.

აუსლაუტი (ბოლოკიდური) იხ. **ფონეტიკური ბოლოკიდური ბგერა**.

აფაზია (ბერძნ. ἀφασία „დუმილი, დამუნჯება“ á „არ-, უ“, + φασια „სიტყვა“). მეტყველების ისეთი მოშლა, როცა აფატიკს (მეტყველებამოშლილ ადამიანს) არ შეუძლია წარმოთქვას სიტყვა ან წარმოთქვამს, მაგრამ დამახინჯებულად (მოტორულ ანუ მოძრაობითი აფაზია); აფაზიას უწოდებენ აგრეთვე ისეთ შემთხვევებს, როცა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს არ შეუძლია წეროს ან გაიგოს წაკითხული. ისეთ შემთხვევას, როცა მოცემული ენის მცოდნე ადამიანი ვერ გაიგებს მისთვის ნაცნობი სიტყვის მნიშვნელობას – მიუხედავად იმისა, რომ სიტყვას, როგორც ბგეროვნობას, ის გაიგონებს სწორად (სმენის ორგანო დაუზიანებელი აქვს მას), – ეწოდება სენსორული აფაზია ანუ სიტყვიერი სიყრუე. აფატიკს გონებრივი ფუნქციები, ჩვეულებრივ, დაუზიანებელი აქვს.

მოტორული აფატიკის მიერ სიტყვის დამახინჯება გამოიხატება უმთავრესად ბგერათშენაცვლებაში, სიტყვიდან ბგერის გამოშვებასა და გადასმაში; ძლიერ იშვიათად – ცალკეულ ბგერათა დამახინჯებაში, აფაზია გამოწვეუ-

ლია თავის ტვინის გარკვეული ადგილის დაზიანებით (1949, 409). იხ. **დეფექტური მეტყველების სახეები.**

აფერეზისი (ბერძნ. ἀφαίρεσις „წართმევა“), სიტყვის თავში ბგერის დაკარგვა, მაგ., დიალექტ. პილო < სპილო, რკო < კრკო... ამავე მნიშვნელობით იხმარება კრაზისი (1949, 235).

აფრიკატი ხშირი თანხმოვნის ერთ სახეობას წარმოადგენს აფრიკატი (ლათ. affricare „ხეხვა“) ანუ „ნახევრადხშილი“, როგორც მას ეძახის ზოგიერთი (უმეტესად ფრანგი) ფონეტიკოსი. ქართულის აფრიკატებია: ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ.

აფრიკატი რთული ხშირი თანხმოვანია და, საერთოდ მიღებული აზრით, შედგენილია მარტივი ხშირისა და მისი ჰომორგანული ნაპრალლოვნისაგან (ანუ სპირანტისაგან); მაგ., აფრიკატი ძ იგულისხმება შედგენილად დ+ზ-საგან, ც – თ+ს-საგან, წ – ტ+ს-საგან; ჯ – დ+ჟ-საგან, ჩ – თ+შ-საგან და ჭ – ტ+შ-საგან. ამიტომ ისინი შეგვიძლია ჩავთვალოთ შერეულად ანუ ხშირ-ნაპრალლოვნებად (1949, 39, 40, 84). იხ. **აფრიკატიზაცია; თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია); შერეული რაგვარობა; ხშვა; თანხმოვანთა კლასიფიკაცია.**

აფრიკატიზაცია ბგერათშერწყმის ერთ მნიშვნელოვან მოვლენათაგანია აფრიკატიზაცია, რაც მდგომარეობს მარტივი ხშირის შეცვლაში რთულ ხშირად (ზოგიერთი ენათმეცნიერი მას ეძახის თანხმოვნურ დიფთონგს, ესე იგი, თვლის, რომ აფრიკატში გვაქვს ისეთივე შერთვა ორი თანხმოვნისა, როგორც დიფთონგში ორი ხმოვნისა; ეს სწორი არ არის. შედარებით უფრო სწორია „ნახევარხშილი“, როგორც ამას ეძახიან ფრანგი ენათმეცნიერები). აფრიკატიზაციაში იგულისხმება მარტივი ხშირის რთულად ქცევის პროცესი, რის შედეგად გვაქვს აფრიკატი. აფრიკატიზაციას გენეზისური კავშირი აქვს, როგორც ჩანს, პალატალიზაციასთან: როგორც იქ ეცვლება დამართვა პალატალიზებულ თანხმოვანს, ისე აქ ამათუიმ ხშირის დამართვის პროცესში წარმოიქმნება ჰომორგანული სპირანტული ხასიათის გარდამავალი ბგერა. ასეთი პროცესის შედეგი უნდა იყოს, მაგ., ციკანი < თიკანი, ძვეს < დვეს... მაგრამ ქართულში (და სხვა ენებშიც, მაგ., რუსულში) ხშირია შემთხვევები, როცა აფრიკატი ისტორიულად მიღებული გვაქვს „ხშირი – ჰომორგ. სპირანტი“ კომპლექსისაგან, მაგ., ქართ. ცამეტი < ათსამეტი, ჩვიდმეტი < ათ-

შვიდმეტი. შესაერთებელ თანხმოვანთა (ხშ. + სპ.) თანამიმდევრობა სავალდებულოა, რადგანაც, მაგ., სთ არ გვაძლევს აფრიკატს (საყურადღებოა, რომ ქართულში შესაძლებელია შ + თ > ჩ (შთავიდა > ჩავიდა) და თითქოს ტშ > ჭ (მუშტი) – მუჭი. ეს ერთადერთი შემთხვევაა ჭ-ს ასეთი შედგენილობის დადასტურებისა... აფრიკატებია: ძ ც წ; ჯ ჩ ჭ (1938, 128-129). იხ. **აფრიკატი; ბგერათშერწყმა.**

აფხაზურის თანხმოვნები აფხაზური ენა ძლიერ მდიდარია თანხმოვანი ბგერებით. მაგრამ მას აკლია ბევრი ისეთი თანხმოვანი, რომელიც აქვს ზოგიერთ კავკასიურ ენას. არა აქვს მას, მაგალითად, ლატერატები (სპეციფიკური კავკასიური ლატერალები), რაცა აქვთ ხუნძურსა და ადიღეურ ენებს; არა აქვს მას აგრეთვე, ფ-ს გარდა, სხვა აბრუპტივული (ყელსშილი) სპირანტები ადიღეურისა.

ქართველურ ენებთან, რომელნიც აფხაზურზე უფრო მარტივი კონსონანტიზმის მქონენი არიან, აფხაზურს საერთო აქვს თანხმოვანთა ე. წ. „საშუალი“ რიგის შემდეგი თანხმოვნები: ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, ძ-ც-წ, გ-ქ-კ, ვ, ზ-ს, ღ-ხ, ჰ. საერთო აქვს ქართულთან აგრეთვე: რ-ლ-მ-ნ (1949, 398).

აქეთური კომპლექსი იგივეა, რაც **აქცესური კომპლექსი.**

აქცესური კომპლექსი იხ. **დეცესიურ-აქცესიური კომპლექსი.**

აღმავალი დიფთონგი ...შეერთება იწყება სუსტი ხმოვით და თავდება სრულით (1949, 103). იხ. **დიფთონგი.**

აღწერილობითი ფონეტიკა აღწერილობითი ფონეტიკა – შეისწავლის, თუ როგორი ბგერითი საშუალებები გააჩნია კონკრეტულ ენობრივ კოლექტივს გარკვეულ პერიოდში ურთიერთ აზრის გასაზიარებლად, ე. ი. როგორია ამ ენის ბგერითი სისტემა დღეს ან სხვა დროის განსაზღვრულ ნაკვეთზე; როგორი ბგერათშერეობანი ახასიათებს ამ ენას ამა თუ იმ გარკვეულ პერიოდში, მოქმედებს თუ არა მასში რაოდენობა, მახვილი, ინტონაცია და სხვა – და რა ფუნქციით. ბგერათა ფიზიოლოგიური და აკუსტიკური კლასიფიკაცია, აგრეთვე მოქმედ ბგერით მოვლენათა კლასიფიკაცია-აღწერილობითი ფონეტიკის საგანია. ამდენად აღწერილობითი ფონეტიკის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო ენა, რომელიც საგანია აგრეთვე ისტორიული ფონეტიკისაც, მაგრამ არა დროის განსაზღვრულ ნა-

კვეთზე, არამედ ისტორიულ მანიქულზე განვითარების პროცესში (1938, 6).

კონკრეტული ენის სამეტყველო ბგერადობა შესაძლებელია შესწავლილ იქნეს 1) აღწერილობითად ანუ სტატისტიკურად და 2) ისტორიულად ანუ დინამიკურად.

აღწერილობითი ფონეტიკა შეისწავლის სამეტყველო ბგერადობას დროის გარკვეულ მონაკვეთზე (მაგ., დღევანდელი ქართულის ან ძველი ქართულისას რომელიმე პერიოდში): როგორია ა) ენის ფონემური შემადგენლობა და როგორ წარმოითქმის თითოეული ფონემა, როგორია ფონემათა სისტემა და როგორი დისტინქტური შინაარსი აქვს თითოეულ მათგანს, როგორია მასში მოქმედი ბგერათცვლილება, როგორი მახვილი აქვს მას და ა. შ.

აღწერილობითი და ისტორიული ფონეტიკის მეთოდები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ მხრივ, რომ აღწერილობითს გააჩნია უშუალო დაკვირვების (იარაღობლივი ან უიარაღო) საშუალება, უკეთეს ის იკვლევს კერძო ცოცხალ ენას, ისტორიულს – არა. თუ კი იგივე აღწერილობითი ფონეტიკა იკვლევს ენას გარდასულ დროთა ერთერთ ნაკვეთზე (არა განვითარების პროცესში, რადგანაც ეს უკვე ისტორიული ფონეტიკა იქნებოდა), მაშინ ისიც მოკლებული იქნება უშუალო დაკვირვების საშუალების ცოცხალ წარმოთქმაზე ისე, როგორც, ისტორიული ფონეტიკა. სამაგიეროდ ისტორიულ ფონეტიკას აქვს ისეთი მძლავრი მეთოდი, როგორიცაა შედარება (1938, 8-9); (1966, 19). იხ. **ფონეტიკა**.

აპარმონიზაცია „ქართული ენის კომბინატორულ თავისებურებათა რიგს ეკუთვნის აგრეთვე თანხმოვანთა აპარმონიზაცია“, – ამბობს აკად. ნ. მარი თავის „ძველი სალიტერატურო ქართულის გრამატიკაში“.

თუ ჩვენი მსჯელობის საგნად ამ შემთხვევაში გავიხედით მხოლოდ უშუალო მეზობლობაში მყოფ თანხმოვანთა აპარმონიზაციას (ნ. მარმა გააანალიზა აგრეთვე ერთმანეთისაგან ხმოვნებით დაშორებულ თანხმოვანთა აპარმონიზაცია), მაშინ ნ. მარის აგებული აპარმონიზაციული სისტემა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, ოდნავი გამარტივებით, შემდეგი სახით:

„წინანისმიერი თანხმოვნები + უკანანისმიერი თანხმოვნები (სწორედ ამ მიმდევრობით) გვაძლევს პარმონიულ ჯგუფებს:

1. წყ-ჭყ-ტყ-ტყ ე. ი. აბრუპტივთა კომპლექსებს,
2. ცხ-ცქ-ჩხ-ჩქ-თხ-თქ, ე. ი. ფშვიერთა კომპლექსებს, და
3. ძღ-ჯღ-ღგ-ღღ, ე. ი. მჟღერთა კომპლექსებს“.

კომპლექსები „ბაგისმიერი ხშულები + უკანანისმიერი“ (ე. ი. ბგ-ფქ-პქ; ბღ-ფხ-პე) აკად. ნ. მარს მოცემული არა აქვს ამასთან დაკავშირებულად. უნდა ვიფიქროთ, რომ აკად. ნ. მარი აპარმონიზაციას ხედავს თანხმოვანთა ურთიერთშეგუებაში ჰომოგენურობის ნიშნულობით (აბრუპტივები აბრუპტივებთან, ასპირატები ასპირატებთან და მჟღერები მჟღერებთან).

აქედან ჩანს, რომ აკად. ნ. მარი არ ასხვავებდა ერთმანეთისაგან ხშულთა პარმონიულ კომპლექსების ორ სისტემას (1949, 301).

ბ

ბაგეთა არტიკულაცია ბაგეთა არტიკულაცია ორგვარია: ა) წყვილ ბაგეობითი, როცა იწარმოება პ, ბ, მ, ლ, უ; თანხმოვნები პ ბ მ შეიცავს ორ მთავარ მომენტს: ბაგეები იხურება სრულიად (ხშვა) და უცბად იღება (სკდომა); ხმოვნები ო და უ გამოითქმის იმავე წყვილ ბაგით, მაგრამ ბაგეები იხურება მხოლოდ კუთხეში, შუაზე კი რჩება მრგვალი ჭუჭრუტანა წინ წამოწეულ ბაგეთა შუა: ო-სთვის უფრო ფართო, უ-სთვის ვიწრო. ბ) კბილ-ბაგეობითი, როცა მხოლოდ ქვედა ბაგე ხედავს კბილების დახმარებით აწარმოებს ვ-ს და ფ-ს (1918-19, 4-5). იხ. **არტიკულაცია**.

ბაგე-კბილისმიერი თანხმოვანი ქვედა ტუჩი – ხედავს კბილების მიმართ: წარმოითქმება ბაგე-კბილისმიერი ანუ ლაბიოდენტალური, მაგ., ვ-ფ (ლათ. dens „კბილი“, dentalis „კბილისმიერი“) (1949, 34). იხ. **თანხმოვანი**.

ბაგეკბილისმიერი სიგმატიზმი იხ. **სიგმატიზმი**.

ბავშვის ენა სამწუხაროდ ქართველი ბავშვის ენის აღწერა ჯერ არავის გამოუქვეყნებია. ამიტომ უმთავრესად დავყვარები უცხო ბავშვთა ენის აღწერებს, რომელიც უხვად მოიპოვება ყოველ ევროპულ ენაზე.

ბავშვის ენის განვითარება შეგვიძლია ოთხ პერიოდად გავყოთ: ა) რეფლექტური ძახილის პერიოდი; ამ პერიოდში

(თითქმის ერთი წელი) ბავშვი ემზადება წაბაძვისათვის. ბ) უფროსთა გამოთქმის უბრალო, მარტივი წაბაძვა, როცა ყოველ სიტყვას ერთ მარცვლად იტყვის; რა თქმა უნდა, ეს მარცვლიც შეცვლილია მისებურად; ეს პერიოდი გრძელდება 4 თვე. გ) წაბაძვის გაძლიერება და უფროსთა გამოთქმასთან მიახლოება: ორ და სამმარცვლიანობა; გრძელდება ექვსი თვე. დ) ჩვეულებრივი ენის პერიოდი (1918, II, 23).

ბაგისმიერი თანხმოვანი იხ. **თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია); წყვილბაგისმიერი თ.**

ბგერა ბგერა არის ჰაერის ნაწილაკთა განსაზღვრული რხევითი მოძრაობა, რაც შეიგრძნობა სმენით. უნდა გავარჩიოთ ორგვარი ბგერა: 1) ისეთი, რომელიც იმდენად მკაფიოა აკუსტიკურადაც და ფიზიოლოგიურადაც, რომ მას ადვილად გამოვარჩევთ ყველა სხვა ბგერებიდან, და ამის გამო ტრადიციულ ანბანში მას საკუთარი გამოსახულება (ასო) აქვს ან შეუძლია ჰქონდეს; ასეთს ვეძახით დამდგარ ბგერას (რუს. установочный звук, გერმ. Stellungslaut)...; 2) ისეთი ბგერა, რომელსაც ადგილი აქვს მომიჯნავე ბგერათა შუა და იმდენად მცირე დრო სჭირდება, რომ ვერ აღწევს საკმარის მკაფიობას გასაგონად, ამიტომ ტრადიციულ ანბანში მას გამოსახულება (ასო) არ აქვს. ასეთ ბგერას ვეძახით გარდამავალ ბგერას (რუს. переходный звук, გერმ. Übergangslaut) (1931, 3-4); (1949, 48). იხ. **ბგერა-ფონემა; ბიოლოგიური ბ.; გარდამავალი ბ.; დამდგარი ბ.; დეფექტური ბ.; ენობრივი დანიშნულების ბ.; თავისთავადი და არათავისთავადი ბ.; მაგარი ბ.; მარცვლოვანი ბ.; მჟღერი ბ.; მყოვარი ბ.; ნაპრალოვანი ბ.; ნორმალური ბ.; ორალური ბ.; პალატალური ბ.; რბილი ბ.; სამეტყველო ბ.; სოციალური ღირებულების ბ.; სუნთქვიერი ბ.; უმარცვლო ბ.; ფიზიკური ბ.; ფონემა; ფონეტიკური ბოლოკიდური ბ.; ფონეტიკური თავკიდური ბ.; ფონეტიკურად სიტყვის შიგნითა ბ.; ღია ბ.; შეწონილი ბ.; შუაენისმიერ ღრიტოვან-ველარი ბ.; ცხოველის ბ.; წლაპუნა ბ.; ჰეტერორგანული ბ.; ჰომორგანული ბ.; ჰომოგენური ბ.; ბ-ის დაკარგვა; ბ-ის ტემბრი; ბ-ის სიძლიერე; ბ-ის ხანგრძლივობა; ბ-ის სიმადლე;**

ბგერადობა იხ. **აზრის ენობრივი გარსი; ფონეტიკა.**

ბგერათამყოლობა იგივეა, რაც **რეზონანსი.**

ბგერათა ისტორია იგივეა, რაც **ფონეტიკა.**

ბგერათა სიგრძე-სიმოკლე იგივეა, რაც **ბგერათარაოდენობა.**

ბგერათა ურთიერთ მიმსგავსება იგივეა, რაც **ასიმილაცია.**

ბგერათა ხანგრძლიობა ბგერათა ხანგრძლიობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: 1. წარმოთქმის ტემპი, რომელიც დაკავშირებულია მეტყველის ტემპერამენტთან, ასაკთან, მის მეტ-ნაკლებ ემოციურობასთან, გარემოსთან და სხვ.; 2. ფონეტიკური პირობები, მაგ., მახვილიანი ხმოვანი უფრო ხანგრძლივია, ჩვეულებრივი, ვიდრე უმახვილო; ზოგ ენაში ხმოვანი მეტად ხანგრძლივია მჟღერი თანხმოვნის წინ, ვიდრე ყრუს წინ და ა. შ.; 3. ენის ისტორია, ე. ი. ენაში დამკვიდრებული ტენდენცია (1949, 121), (1966, 122).

ბგერათგადასმა იგივეა, რაც **მეტათეზისი; იხ. ენთეზისი.**

ბგერათგადაწევა იხ. **თანხმოვანთგადაწევა.**

ბგერათგარდამავლობა იხ. **ნაზალიზაცია.**

ბგერათკომბინაცია იხ. **ბგერათცვლილება.**

ბგერათმონაცვლეობა ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში ბგერათა კანონზომიერ შენაცვლებას ჰქვია ბგერათმონაცვლეობა ანუ ალტერნაცია alternatio (რუსულად чередование звуков).

განასხვავებენ თანხმოვანთმონაცვლეობას ხმოვანთმონაცვლეობისაგან: პირველ შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლებიან თანხმოვნები, მეორეში – ხმოვნები (1948, 355), (1949, 207).

როგორც წესი, ბგერათმონაცვლეობა შედეგია უტოლ-ფუნქციო სახესხვაობათა პოზიციურად წარმოქმნისა. არსებობს ბგერათმონაცვლეობა მოქმედი და ისტორიული, ისე როგორც გვაქვს ბგერათცვალებადობა მოქმედი და ისტორიული. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, ცვალებადობის შედეგი ერთნაირია – როგორც სიტყვის ფორმაში, ისე სიტყვის ფუძეში, ხოლო მონაცვლეობის შედეგი შეიძლება სხვა იყოს სიტყვის ფორმაში და სხვა – სიტყვის ფუძეში. მეორეც, იმაში, რომ ბგერათცვალებადობა – სახელდობრ ისტორიული – ცვლის ენის ფონეტიკურ სისტემას, ხოლო ბგერათმონაცვლეობა – არც მოქმედი და არც ისტორიული – არ

ცვლის ენის ფონეტიკურ სისტემას; მესამეც, იმაში, რომ მოქმედი მონაცვლეობა არ ასხვავებს სიტყვის მნიშვნელობას, ხოლო ისტორიული – ასხვავებს, ე. ი. პირველი არაა დისტინქტური, მეორე – დისტინქტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ შემთხვევაში უტოლფუნქციო სახესხვაობა დარჩა ასეთადვე, ხოლო მეორე შემთხვევაში მან (უტოლფუნქციო სახესხვაობამ) მოიპოვა დისტინქტურობა, ე. ი. იქცა ფონემად (1966, 168). იხ. **გრამატიზებული ბ.; ისტორიული ბ.; პოზიციური ბ.; ფონეტიკური ბ.; ფონოლოგიური ბ.**

ბგერათრაოდენობა ბგერათრაოდენობა რელატიური (შეფარდებითი) ბგერათხანგრძლიობაა. დიდი საენათმეცნიერო მნიშვნელობა აქვს ბგერის იმ ხანგრძლიობას, რომელიც წარმოიქმნება ფონეტიკურ პოზიციასში, და აგრეთვე იმ ხანგრძლიობას, რომელიც ისტორიულად მოსდევს ამა თუ იმ ენას. ბგერათა ამ უკანასკნელი ორი სახის ხანგრძლიობას ჰქვია ბგერათრაოდენობა (ლათ. quantitas, количество, ფრანგ. quantite, კვანტიტეტი) ანუ ბგერათა სიგრძე-სიმოკლე. ხმოვნებისათვის დადგენილია ჩვენს მეცნიერებაში ხუთი სხვადასხვა ხანგრძლიობის ხმოვანი: ირრაციონალური, მოკლე, ნახევრადგრძელი, გრძელი და ზეგრძელი. ლიკვიდ-ნახალეებსა და საკუთრივ ნაპრადლოვნებსაც აქვთ შესაძლებლობა მრავალსახეობისა, მაგრამ ფონეტიკაში მიღებულია მათი მხოლოდ ორ-ორი სახე; მოკლე და გრძელი (1949, 121), (1966, 122).

ბგერათრედუქცია ბგერათცვლილების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ბგერათრედუქცია (ფრანგ. reduction „შემცირება, დაკლება“), რაც მდგომარეობს ამა თუ იმ ბგერის მიერ თავისი წარმოების სისრულის დაკარგვაში: გარკვეულ პირობებში ბგერას წარმოქმნაში შეიძლება დააკლდეს მკაფიობა, რის გამოც მას შეიძლება დაეკარგოს ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება (1949, 211), (1966, 171). იხ. **თანხმოვანთა რედუქცია; ხმოვანთა რედუქცია; ხმოვანთრედუქცია.**

ბგერათსუბსტიტუცია იგივეა, რაც **ბგერათჩანაცვლება.**

ბგერათშეერთება ბგერათშეერთების მრავალნაირობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, შედეგის თვალსაზრისით, ორი მთავარი ტიპის სახით: ბგერათშეერთების ერთი ტიპია ბგერათშერთება, მეორე – ბგერათშერწყმა.

ბგერათშეერთება, როგორც პროცესი, მიმდინარეობს გარკვეული წესების თანახმად:

I საზიარო არტიკულაციის წესი

II არტიკულაციის უმოკლესი გზის წესი

III არტიკულაციის ერთჯამიერობის წესი (1949, 99).

ბგერათშერთება ბგერათშერთება არის ისეთი ბგერათშეერთება, რომელიც არ სცვლის შეერთებულ ბგერათა ძირითად ხასიათს. მაგ., სიტყვაში დო დ წარმოითქმის ტუნების წამოშვერა – მომრგვალებით (მომდევნო ო-ს გაკლენით), მაგრამ მას ადვილად ვცნობილობთ როგორც დ-ს (მაგალითად, იმ დ-ს, როგორიცაა, ვთქვათ, სიტყვაში და), რადგანაც ო-ს ვერ შეუცვლია დ-ს ძირითადი ხასიათი. სიტყვაში ან ა-ს ოდნავ ნახალობა (ცხვირისხეულობა) აქვს, მაგრამ მასში ადვილადვე ვცნობილობთ ჩვეულებრივ ა-ს (მაგ., როგორიცაა სიტყვაში აქ და სხვ.) (1949, 98-99). იხ. **ბგერათშეერთება.**

ბგერათშერწყმა ბგერათშერწყმა არის ისეთი ბგერათშეერთება, რომელიც სცვლის შეერთებულ ბგერათა ძირითად ხასიათს. მაგ., იმერულად წარმოთქმულ ეილო სიტყვის ე-ში ვეღარ ვცნობილობთ ა-ს, რადგანაც შეცვლილია მისი ძირითადი ხასიათი; აგრეთვე მიზღვეს სიტყვის ზ-ში ვერ ვცნობილობთ ს-ს; თ+ს > ც შეერთებაში (მაგ., ცამეტი) სრულიად აღარ ჩანს აღარც თ და აღარც ს და ა. შ. სამივე შემთხვევაში გვაქვს ბგერათშერწყმა (1938, 77), (1949, 99). იხ. **ბგერათშეერთება.**

ბგერათჩანაცვლება ხშირია ყოველ ენაში ისეთი ფონეტიკური მოვლენები, რომლებიც წარმოადგენენ ბგერის შეცვლას ცალკეულ სიტყვაში ან მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში ყოველგვარი ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე; ასეთი ბგერათშეცვლა, როგორც წესი, არაა კანონზომიერი ფონეტიკური განვითარების შედეგი. იგი არაა, მაგალითად, არც ასიმილაციის და არც დისიმილაციის ან თანხმოვანგადაწვევის შედეგი, არც მახვილიანობა-უმახვილობის შედეგი და ა. შ.

მაგ. ტიმოთე-ს (ბერძ. Τιμόθεος) ნაცვლად ქართულად იხმარება კიმოთე; მომხდარა ტ-ს შეცვლა კ-თი; პატიჟი – პატიჯი; ჟ-ს შეცვლა ჯ-თი და სხვ. არც ერთი ეს შეცვლა არ წარმოადგენს რითიმე განპირობებულ ფონეტიკურ ცვლილებას; იგი გვხვდება მხოლოდ ერთს ან რამდენიმე

სიტყვაში და ამდენად იგი არაა სრული კანონზომიერი ფონეტიკური მოვლენა. აგრეთვე არა ჩანს, რომ ასეთ ბგერათშეცვლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს ე. წ. ბგერითი ანალოგია.

მაშასადამე, ესაა ბგერის ერთობაში, „შემთხვევითი“, სპორადული ცვლილება სიტყვაში. ერთადერთი „კანონზომიერება“, რომელსაც ადგილი აქვს ასეთ ბგერათშეცვლაში, მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომლებიც წააგვანან ერთმანეთს აკუსტიკურად.

ბგერათა ასეთ შენაცვლებას ვეძახით ბგერათსუბსტიტუციას (ლათ. substitutio „ჩანაცვლება“) ანუ ბგერათჩანაცვლებას (1949, 225), (1966, 180-181).

ბგერათცვალებადობა იხ. ბგერათმონაცვლეობა.

ბგერათცვლილება ყველა პოზიციური ბგერათცვლილება ხდება ბგერათშეერთების პროცესში, ამდენად ყველა პოზიციური ბგერათცვლილება შეპირობებულია ფონემის პოზიციით (სიტყვის თავში თუ ბოლოში, ამა თუ იმ ფონემის მეზობლობაში, მახვილიანი თუ უმახვილო). ფონეტიკაში იხმარება, ამათ გარდა, ტერმინი კომბინაციური ბგერათცვლილება, რომელიც გახაზავს ფონემათა ურთიერთშეგუების ფაქტს, „ბგერათკომბინაციის“ შედეგს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ტერმინები „პოზიციური, კომბინატორული, შეპირობებული“ თითქმის უდრიან ერთმანეთს ფონეტიკაში, აღნიშნავენ რა ბგერათცვლილების ფაქტს სხვადასხვა თვალსაზრისით: შეპირობებულობა ყველაზე ზოგადი ცნებაა და აღნიშნავს იმას, რომ ყოველ ბგერათცვლილებას აქვს რაიმე გარკვეული მიზეზი; პოზიციურობა კონკრეტულად გვიჩვენებს, რომ ეს მიზეზი მდგომარეობს იმაში, თუ რა ადგილი უკავია ფონემას. სიტყვაში და რა ურთიერთობაშია იგი სიტყვის სხვა ფონემებთან და მახვილიანობასთან; კომბინაციურობა გვიჩვენებს ბგერათშეგუების შედეგს ბგერათა უშუალო ან შუალობითი მეზობლობის პირობებში.

შეპირობებულობას უპირისპირდება ბგერათცვლილების შეუპირობებულობა, როგორც იმის აღმნიშვნელი, რომ არსებობს, თითქოს, ამა თუ იმ ენაში უმიზეზო ბგერათცვლილება. ნამდვილად კი არ შეიძლება არსებობდეს ენაში შეუპირობებელი ანუ უცხოურად „სპონტანური“ (ლათ. spontaneus „თვითნებური“, „თავისთავადი“, „უმიზეზო“) ბგე-

რათცვლილება, რადგანაც არ არსებობს შედეგი უმიზეზოდ. თუ მაინც იხმარება ეს ტერმინი (შეუპირობებელი, სპონტანური) ჩვენ მეცნიერებაში, ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი ბგერათცვლილების მიზეზი ჯერჯერობით არაა მოკვლეული (1966, 155-156). იხ. **არაფონეტიკური ბ.; განპირობებული ბ.; განუპირობებელი ბ.; დამოკიდებული ბ.; დამოუკიდებელი ბ.; ენაჩლუნგური ბ.; ერთუამიერი ბ.; თანაუამიერი ბ. ისტორიული ბ.; კომბინატორული სპონტანური ბ.; უმიზეზო ბ.; ფონეტიკური ბ.; შეუპირობებელი ბ.; წინარე ისტორიული ბ.;**

ბგერათცვლილების ფონოლოგიური მიზეზი ...სამეტყველო ბგერა მუდმივ ცვალებადობაშია. ეს ხელს არ უშლის მას შეასრულოს თავისი სიტყვათგანმასხვავებლობითი დანიშნულება; ხელს არ უშლის, რადგანაც ყოველ მოცემულ მომენტში სამეტყველო ბგერა იცვლება მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე.

თუ რა საზღვრამდე შეუძლია სამეტყველო ბგერას იცვალოს – თავისი დანიშნულების დაუკარგავად, ჩანს, მაგ., ქართული გ-სა და რუსული г შედარებიდან: ქართული გ მეტადაა შეზღუდული თავისი ცვალებადობის საზღვრებით, ვიდრე რუსული г. ორივეს შეუძლია იცვალოს რამდენიმეგვარად (ორივეს შეუძლია მეტ-ნაკლებად გადმოიწიოს წინ შუანისაკენ, ან გადაიწიონ უკან, დაკარგონ მეტ-ნაკლებად მჟღერობა, დაირთონ ლაბიალიზაცია და სხვა), მაგრამ თითოეული მათგანი გამოსადეგი რჩება სიტყვათა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, რუსულ რ-ს კი, განსხვავებით ქართული გ-სგან, შეუძლია იცვალოს ღ-დაც დანიშნულების დაუკარგავად (სულ ერთია, იტყვიო гды „წლები“ თუ гды – ორივე ერთსა და იმასვე აღნიშნავს), მაგრამ ქართულს ეს არ შეუძლია (თქვენ ვერ იტყვიო გერი-ს ნაცვად ღერი – აქ ორი სხვადასხვა სიტყვაა). ეს იმიტომ ხდება, რომ ქართულს აქვს ორი ფონემა (გ – ღ) იქ, სადაც რუსულს მხოლოდ ერთი (г).

ამით აიხსნება რუსული ენის რ-ს ცვალებადობის მეტი შესაძლებლობა, ქართულის გ-სთან შედარებით, როგორც ყოველ მოცემულ მომენტში, ისე, ვფიქრობ, ისტორიულადაც. ცნობილია რ-ს სხვადასხვაგვარი ცვლილება როგორც საერთოდ სლავურში, რომელსაც აგრეთვე არ გააჩნდა ყ, ისე კერძოდ რუსულში (дж, дз, ж, з).

ეს კერძოული ფაქტი მიგვითითებს ზოგად კანონზომიერებაზე. ამას შეიძლება ეწოდოს ბგერათცვალებადობის ფონოლოგიური მიზეზი (1949, 252-253). იხ. **ბგერათცვლილება**.

ბგერათწარმოთქმა სამეტყველო ბგერა... წარმოითქმება და გაიკონტროლება; ამდენად იგი არტიკულაციურ-აკუსტიკური მოვლენაა. სამეტყველო ბგერის ასოებრივი გამოსახულება კი დაინახება თვალთ.

როგორც ჩვენ განვიზრახავთ განსაზღვრული ბგერის ან ბგერათა კომპლექსის წარმოთქმას, ორგანოები გამოდიან ამ ინდიფერენტული მდგომარეობიდან და იწყებენ მოწყობას ბგერის საწარმოებლად. ესაა ბგერის წარმოთქმის პირველი მომენტი, რომელსაც ვეძახით „შემართვას“ (უცხოურად მას ვეძახიან ექსკურსიას). მეორე მომენტში წარმოსათქმელი ორგანოები უკვე იმ მდგომარეობაში ჩადგებიან, რომელიც საჭიროა წარმოსათქმელი ბგერისათვის, და აწარმოებენ სათანადო მოძრაობას; ეს მომენტი უფრო ხანგრძლივია პირველზე, დაყოფნებულია; მას ვეძახით „დაყოფნებას“ ან ბგერის წარმოთქმის „მწვერვალს“. მესამე მომენტში ორგანოები უბრუნდებიან ინდიფერენტულ მდგომარეობას; ეს მესამე მომენტია „დამართვა“, უცხოურად – რეკურსია. საჭიროა ვიცოდეთ, რომ პირველ და მესამე მომენტს აქ აქვს წარმოდგენილი სახე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წარმოვთქვამთ ცალკეულ ბგერას; აგრეთვე პირველ მომენტს ადგილი აქვს იმ ბგერის წარმოთქმაში, რომლითაც ვიწყებთ ლაპარაკს ან პაუზის შემდეგ, ხოლო მესამე მომენტს – იმ ბგერის წარმოთქმაში, რომლითაც ვათავებთ ლაპარაკს ან პაუზის წინ. ამ სამ მომენტში ყველაზე ხანგრძლივია შუა მომენტი, „დაყოფნება“. მათი შედარებითი ხანგრძლიობა შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად: თუ დავუშვებთ, რომ ცალკეული მთლიანი ბგერის წარმოსათქმელად საჭიროა 5/60 წამისა, მაშინ შემართვის ხანგრძლიობა იქნება 1/60 წ., დაყოფნებისა – 3/60 წ. და დამართვისა 1/60 წ. (1938, 35-39); (1949, 28); (1966, 141). იხ. **არტიკულაციათა მომენტები; რესპირაციული და ურესპირაციო ბგერათწარმოქმნა**.

ბგერასავსეობა იხ. **ბგეროვნობა**.

ბგერა-ფონემა იხ. **ფონემა**.

ბგერითი ანალოგია ისეთ ფონეტიკურ მოვლენებს სიტყვაში, რომელთა ფაქტორი, საბოლოო ჯამში, სიტყვის ბგერითი შედგენილობის გარეთაა, ეწოდება არაფონეტიკური ბგერათცვლილება ანუ ბგერითი ანალოგია (ბერძ. ἀναλογία „შესატყვისობა“, „შესაბამისობა აზრისა“). ერთგვარ ბგერითს ანალოგიას წარმოადგენს ბგერითი კონტამინაცია.

ბგერითი ანალოგიის მოქმედება ყოველი ენის სიტყვებში მრავალგვარია. მათგან, ჩვენი აზრით, უმთავრესია ორი: ერთია ბგერითი ანალოგიის ისეთი მოქმედება, რომელიც ეხება ცალკეულ სიტყვებს ან მათ ფორმებს და არ უკავშირდება მათს მნიშვნელობას; მაგ., მნიშვნელობის მხრივ სულ ერთია, ვიტყვი ჩვენ უფროსი (სწორი ფორმა) თუ უმფროსი (ანალოგიით მიღებული არასწორი ფორმა) – ამით მნიშვნელობა არ იცვლება. ბგერითს ანალოგიას, რომლის მოქმედება ან მის მიერ გამოწვეული ცვლილება ახდენს გავლენას სიტყვის მნიშვნელობაზე, შეგვიძლია დავარქვათ ნეიტრალური ბგერითი ანალოგია.

მეორეა ბგერითი ანალოგიის ისეთი მოქმედება, რომელიც უკავშირდება სიტყვის სემანტიკურსა და გრამატიკულ (მორფოლოგიურ) მნიშვნელობას. საბოლოო ჯამში, ანალოგიის მოქმედება ასხვავებს ერთმანეთისგან განათება-ს განათლებებისა-გან, ასეთივეა გამარჯვება – გამარჯობა, მაღლა – მაღლად, ახლა – ახლად. ბგერითს ანალოგიას, რომლის მოქმედება უკავშირდება სიტყვის მნიშვნელობას, შეგვიძლია დავარქვათ ფუნქციონალური ან მადიფერენცირებული ბგერითი ანალოგია (1949, 230), (1966, 185). იხ. **ანალოგია; ბგერითი კონტამინაცია**.

ბგერითი და მწერლობითი მეტყველება საზოგადოებრივ ცხოვრების გარკვეულ საფეხურზე, მატერიალურ კულტურისა და საწარმოო ტექნიკის განვითარებასთან ერთად, ერთ მთლიან კინეტიკურ მეტყველებისაგან განვითარდა დიალექტიკურ პროცესით ორი: ბგერითი და მწერლობითი... ამ ორში გაიმარჯვა ბგერითმა, როგორც უფრო მოქნილმა, სხვადასხვა პირობებში უფრო გამოსადეგმა და განვითარების მეტ შესაძლებლობის მქონემ, ხოლო წერითი მეტყველება შეიქმნა ბგერითის გრაფიკული სიმბოლო. ბგერითმა ენამ განვლო რამდენიმე ძირითადი გარდატეხა, – ამორფულ (უფორმო) მდგომარეობიდან ფლექსიურობამდე; წერითმა ენამაც გაიარა სხვადასხვა საფეხურები იდეოგრაფიულიდან დაწყებული და ფონეტიკურით გათა-

ვებული. წერის წარმოშობას რომ კავშირი აქვს კინეტიკურ (ხელმოძრაობით) ენასთან, ამას მოწმობს ხელის შეტანის ფაქტი ზოგიერთ უძველეს დამწერლობაში სხვადასხვა სახით, მაგ. ქეტურ იდეოგრაფიულ-ფონეტიკურ წერაში (1931, 20-21).

ბგერითი ენა ბგერითი ენის უმთავრესი დანიშნულებაა აზრის დანაწევრება. ცხოველსაც შეუძლია გამოხატოს ბგერით თავისი ელემენტარული შთაბეჭდილება, მაგ., ძაღლის ყეფა (მონადირე ამჩნევს, კურდღელს უყეფს თუ დათვს); მაგრამ ძაღლი გამოხატავს შთაბეჭდილებას უანალიზოთ, დაუნაწევრებლათ; ამიტომ ეს არ არის ადამიანის ბგერითი ენა. ადამიანი გამოხატავს აზრს ან შთაბეჭდილებას, როცა უკვე ანალიზი გაუკეთა, დაანაწევრა აზრი ენის საშუალებით და აზრის თითოეულ წევრს მიუჩინა თავისი ადგილი (სინტაქსი) და მიანიჭა თავისი ფორმა (მორფოლოგია) აზრის მიხედვით. სრულიად უბრალო, მარტივი წინადადება რამდენიმე ნაწილისაგან შესდგება: მაგ. „ბაფში თამაშობს“, ცხოველი ხედავს პატარა არსების მოქმედებას: მისთვის უენოსთვის ეს ორი ცნება „ბაფში“ და „თამაშობს“ განუყრელია. ადამიანი-კი ამ პატარა არსების სახელს მოუძებნის და შესაფერ ბრუნვაში დასვაამს (ბაფში, ბაფში-მა... -ის)... მის მოქმედებას განაცალკევებს მოქმედების მატარებლისაგან და მოქმედებას თავის სახელს მოუძებნის (ზმნა: თამაშობა) და შესაფერ დროსა და პირში დასვაამს (თამაშობს, უთამაშობს). აი ეს ნაწევროვანი ენა ჰყოფს ცხოველს ადამიანისაგან გარდაუვალის უფსკრულით (1918-19, 5). იხ. **სხეულმოძრაობითი ენა**.

ბგერითი კონტამინაცია კონტამინაცია (ლათ. contaminatio „შერევა, შერწყმა“) ანალოგიის ერთგვარი სახეობაა; კერძოდ, ბგერითი კონტამინაცია წარმოადგენს ისეთ ბგერით ცვლილებას მოცემულ სიტყვაში, რომელიც შედეგია ასოციაციურად დაკავშირებული ორი სიტყვის ბგერობრივი შერევისა...

ასეთია, მაგ.: უმფროსი, რომელშიც მოცემულია მასთან ასოციაციურად დაკავშირებული უმცროსი-ს მ; დაღმართი, ნურავინ... კონტამინაციის შედეგია აგრეთვე უმართებულო დიალექტობრივი რასთვის, რომელშიც ი-ს ნაცვლად გვაქვს ა: კონტამინირებულია რისთვის და რატომ. ასეთივეა დიალექტობრივი მითი < მათი + მისი და სხვ (1949, 234). იხ. **ბგერითი ანალოგია**.

ბგერითი მეტყველება იხ. **ბგერითი და მწერლობითი მეტყველება**.

ბგერითი მოვლენები იგივეა, რაც **ფონეტიკური მოვლენები**.

ბგერითი ცვლილებები იგივეა, რაც **ფონეტიკური ცვლილებები**.

ბგერითი წერა ლაპარაკის პროცესის უმცირესი შემადგენელი ნაწილი არის ბგერა (კ, ტ, ა, უ...); უფრო მსხვილი ელემენტია მარცვალი. მაგრამ სიტყვის მარცვლებად დაყოფა უფრო ადვილია ვიდრე ბგერებად; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბგერითი წერა განვითარდა მარცვლოვანისაგან (სილაბურისაგან); ამასაც თავის მხრივ წინ უძღოდა სიტყვობრივი და იდეოგრაფიული წერა (1918-19, 56). იხ. **წერა**.

ბგერის აბსოლუტური ხანგრძლიობა ბგერის ის ხანგრძლივობა, რომელიც დამოკიდებულია წარმოთქმის ტემპზე, წარმოადგენს ბგერის აბსოლუტურ ხანგრძლიობას (1949, 121), (1966, 122). იხ. **ბგერის ხანგრძლიობა**.

ბგერის დისიმილაციური დაკარგვა დისიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ იკარგვის დისიმილირებული ბგერა. ასეთია, მაგ., ერთმანეთი < ერთმანერთი-საგან (ერთმანეთი გააზრებულია, როგორც ერთი სიტყვა; მას რომ სემანტიკურად კავშირი შეწყვეტილი აქვს „ერთ“-თან, ჩანს დიალექტური ერთმანეთი-დან). ამას ვეძახით ბგერის დისიმილაციურ დაკარგვას სიტყვაში.

დისიმილაციური დაკარგვის ნიმუშებია, მაგ.: მოსული < *მოსლული (შეად. მოსრული, რომელშიც გვაქვს რგერეს. დისიმილაცია: ლ-ლ > რ-ლ: ამავე ძირისაა სულ < *სლულ (შეად. სრული რგერეს. დისიმილაციით). პიჯვარი < პირჯვარი; ბებერი < *ბერ-ბერი, კაკანი < *კან-კანი და სხვა (1949, 201).

ბგერის ელფერი იგივეა, რაც **ბგერის ტემბრი**.

ბგერის ინტენსიობა იგივეა, რაც **ბგერის სიძლიერე**.

ბგერის მოკვეცა იგივეა, რაც **აპოკოპე**.

ბგერის მწვერვალი იგივეა, რაც **დაყოვნება**.

ბგერის სიმაღლე ბგერის სიმაღლე განისაზღვრება რხევათა სიხშირით (1949, 49).

ბგერის სიძლიერე ბგერის სიძლიერე ანუ ინტენსიობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ენერგიით ირხევა მბგერი სხეული. ბგერა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია მერხვე ნაწილაკთა გაქანება (ამპლიტუდა)... სამეცნიერო ბგერათა სიძლიერე დამოკიდებულია სახმო სიმების ამპლიტუდაზე (1949, 50).

ბგერის ტემბრი ბგერის მეოთხე თვისებაა ტემბრი ანუ ბგერის ელფერი. ტემბრი არის ბგერის ის თვისება, რომლითაც, მაგ., განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა მუსიკალური საკრავის ხმა; გიტარისა ვიოლინოს ხმისაგან, ორივესი ფორტეპიანოსაგან და ა. შ. ერთი ადამიანის ხმა განსხვავდება მეორე ადამიანის ხმისაგან ტემბრით – ხმის ყველა სხვა თვისების (სიმაღლის, სიძლიერისა და ხანგრძლიობის ერთნაირობის) დაცვით. იმის გასაგებად, თუ როგორ წარმოიქმნება ბგერის ტემბრი, საჭიროა ვიქონიოთ წარმოდგენა რეზონატორისა და რეზონანსის შესახებ.

ყოველ მბგერ სხეულს აქვს თავისებური ტონი, „საკუთარი ტონი“, რომელიც წარმოადგენს მარტივი ტონებისაგან შედგენილ რთულ ტონს. შეგვიძლია გამოვაცემინოთ ამ სხეულს თავისი საკუთარი ტონი ისე, რომ თვით იგი კი არ მოვიყვანოთ საბგერო რხევაში, არამედ რომელიმე სხვა მბგერი სხეული, რომელიც ეხება მას ან იმყოფება მასთან განსაზღვრულ მანძილზე; ეს ხდება მაშინ, თუ ამ ორ სხეულს აღმოაჩნდა საერთო ერთი ან რამდენიმე შემადგენელი (პარციალური) ტონი. ამ მოვლენას – თანარხევას და თანაბგერობას – ეწოდება რეზონანსი, ხოლო თანხმობა და თანამბგერ სხეულს – რეზონატორი (1949, 52-53).

ბგერის ხანგრძლიობა ბგერის ხანგრძლიობა არის ბგერის ის თვისება, რომელიც გამოიხატება ზოგის წყვეტილად შეგრძნობაში, ხოლო ზოგისა – გრძლივად შეგრძნობაში.

ხანგრძლიობის მიხედვით ბგერები განიყოფება ორ დიდ ჯგუფად: ა) მყოვარნი (durativae), რომელთა თქმა შეგვიძლია გრძლად; ასეთია ხმოვნები (ა, ი, ე, ო, უ), ხშიერნი (მ ნ რ ლ) და ღრბოვანნი (ვ, ფ, ს, ზ...), ბ) მყვესეულნი (momentanae), რომელთა გაგრძელება არ შეიძლება, უცბად უნდა ითქვას; ასეთია ხშულ მსკლომნი (პ ბ, ტ დ...) და რთულნი (აფრიკატები): წბ, ჭჯ, ც, ჩ. (1918-19, 18), (1938, 57), (1949, 51).

ბგეროვნობა სამეცნიერო ბგერები აკუსტიკური თვალსაზრისით განსხვავდებიან აგრეთვე მეტ-ნაკლები ბგეროვნობით, მეტ-ნაკლები ბგერასავსეობით ანუ, უცხოურად, მეტ-ნაკლები სონორობით. კერძოდ, ბგერის მეტ-ნაკლები სონორობა განიზომება მეტ-ნაკლებ მანძილზე მისი გასაგონრობით. მაგ., ა მეტად სონორია ანუ მეტად ბგეროვანია ზ-ზე ა უფრო შორს ისმის ერთნაირი პირობების დაცვით (წარმოთქმის სიძლიერე, ამინდი, ბგერითი გარემოცვა), ვიდრე ზ; რ მეტად სონორია ჩ-ზე და ა. შ. (1949, 60). იხ. სონორობა.

ბილაბიალური თანხმოვანი იხ. წყვილბაგისმიერი თანხმოვანი.

ბილატერალი იხ. ლიკვიდი.

ბიოლოგიური ბგერა ადამიანის პირიდან გამოსული ყოველგვარი ბგერაც (ყვირილი, კივილი, სტვენა, ხველა, კვნესა, წრუპუნა და მრ. სხვა), რასაკვირველია, ბიოლოგიური ბგერებია, როგორც ყოველი ცხოველური ბგერა. (1949, 3).

ბრალდებითი ბრუნვა იხ. ბრუნვა.

ბრუნვა საგანთა შორის ურთიერთ დამოკიდებულება გამოიხატვის ამ საგანთა აღმნიშვნელ სიტყვების ბრუნვით (declinatio); თუმცა ბრუნვათა რიცხვი არ უთანასწორებს სხვა და სხვა დამოკიდებულებათა სიმრავლეს, მაგრამ ფორმალურ სიტყვათა დახმარებით ენა აღწევს თავის მიზანს. სხვა და სხვა ენაში ბრუნვათა რიცხვი სხვა და სხვაა, მაგრამ უმთავრესი მათგანი შემდეგია: ა) იმ საგნის სახელს, რომელიც მოქმედებასთან ისეთ დამოკიდებულებაშია, რომ საგანი მომქმედია, აქვს სახელობითი ბრუნვის დაბოლოება: ბავში სწერს. წინადადებაში ეს ბრუნვა ქვემდებარეა. ქართულში მომქმედი საგნის სახელი შესაძლებელია აგრეთვე მოთხრობით ბრუნვაში (ბავში დასწერა).

ბ) იმ საგნის სახელს, რომელზედაც მიმართულია მოქმედება, აქვს ბრალდებითი ბრუნვის დაბოლოება (accusativus): წინადადებაში დამატება: Я вижу стол, лампу. ქართულ წინადადებაში მას უდრის სახელობითი ან მიცემითი ბრუნვა: დავინახე ბავში, ვხედავ ბავშს.

გ) ორი საგნის ურთიერთ გაწყობილება გამოიხატება ნათესაობითი ბრუნვით: ბავშის წიგნი.

დ) თუ მოქმედება სწარმოებს საგნის სასარგებლოდ, ამ საგნის სახელი მიცემითშია: ვაძლეე ბავშს.

ე) თუ მოქმედება სწარმოებს საგანთან ერთად, ამ საგნის სახელი კავშირებით ბრუნვაშია (sociativus): სწერს ბავშვთან.

ვ) იმ საგნის სახელი, რომლის შემწეობითაც მოქმედება სწარმოებს, დაისმის მოქმედებით ბრუნვაში (instrumentalis): ვსჭრი დანით.

ზ) ადგილობითი ბრუნვით (locativus) გამოიხატება იმ საგნის სახელი, რომელშიდაც ან რომელზედაც მოქმედება სწარმოებს: დადის ოთახში, დაეცა იატაკზე.

წ) დაწეებით ბრუნვაში (ablativus) დაისმის იმ საგნის სახელი, რომლიდანაც მოქმედება იწყება და თან შორდება; აღსანიშნავია, რომ ლათინურ აბლატივში თავი მოიყარა ადგილობითმა, მოქმედებითმა და დაწეებითმა ბრუნვამ. პირვანდელი დაწეებითი ბრუნვის მნიშვნელობა ნაწილობრივ შერჩა ablativus separationis-ს (1918-19, 114-115).

ბრუნვა იხ. ბრუნვა.

ბუსტროფედონი ძველი ბერძნულის პირვანდელ დამწერლობას (აღბათ, X საუკუნიდან ქ. წ.) შემონახული აქვს ორივე მიმართულება: მარცხნიდან მარჯვნივ დაწერილ სტრიქონს მოსდევს მარჯვნიდან მარცხნივ დაწერილი: წერის ამ წესს ეძახდნენ ბუსტროფედონს (ბერძნ. Βουστροφοδον „ხარი“, στροφι „ტრიალი, მობრუნება“) (1949, 170).

ბ

გავრცელებული წინადადება მარტივი წინადადება შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ ორწევრიანი, არამედ გავრცელებულიც (მრავალწევრიანი); ეს ხდება მაშინ, როცა ქვემდებარეს და შემასმენელს გარდა მათთან ერთად უნდა გამოიხატოს სხვა წარმოდგენა, რომლითაც განისაზღვრება ქვემდებარე ან შესმენილი (ან ორივე): მაღალი მუხა შხუილით წაიქცა; წინადადება ვრცელდება აგრეთვე ახალი საგნის (დამატება) და გარემოებათა აღსანიშნავად: დურგალმა მაგიდა გააკეთა; საათი კედელზე კიდია... (1918-19, 108-109). იხ. წინადადება.

გამჟღერება იხ. ასიმილაციური გამჟღერება; დისიმილაციური გამჟღერება.

„გამჟღერების გამა“ იხ. „საშუალო მჟღერობა“.

განმასახიერებელი ენები იხ. პოლისინტეტური ენები.

განმასხვავებელი ნიშნაკი იგივეა, რაც დიაკრიტული ნიშანი. იხ. ალფაბეტური მეთოდი.

განმსგავსება იგივეა, რაც დისიმილაცია.

განპირობებული ბგერათცვლილება განპირობებულ ბგერათცვლილებას ეძახიან აგრეთვე დამოკიდებულს, რადგანაც ასეთ ცვლილებათა განხორციელება დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე. (1949, 186).

განუპირობებული ბგერათცვლილება განასხვავებენ ასეთისაგან დამოუკიდებელ ანუ განუპირობებულ ბგერათცვლილებას, რომელსაც უცხოურად ეწოდება სპონტანური ბგერათცვლილება (ლათ. spontaneus „თვითნებური, თავისთავადი, უმიზეზო“). (1949, 186). იხ. ბგერათცვლილება; განპირობებული ბგერათცვლილება.

განსშვა იხ. ფონეტიკური თანხმოვანი.

გაპალატალურება პალატალურდება (ანუ პალატალიზდება, რბილდება) სამეტყველო ბგერა, როცა მის პირველადს დამახასიათებელ არტიკულაციას ემატება მეორეული არტიკულაცია, რომელიც ამ შემთხვევაში მდგომარეობს შუაენის არტიკულირებაში მაგარი სასის მიმართ (1949, 111).

გარდამავალი ბგერა ისეთ ბგერას... რომელიც წარმოიქმნება ორგანოთა გარდამავლობისას, ვერ აღწევს გასაგონრობის საკმარის მკაფიობას და ამის გამო ვერ პოულობს საკუთარ გამოსახულებას (ასოს) ამათუიმ ენის ანბანში, – ვეძახით გარდამავალ ბგერას.

ყოველ ორ შეერთებულ ბგერას შუა არის მეტ-ნაკლები ხანგრძლიობის გარდამავლობა იმ შემთხვევაში, თუ მათ აღვიქვამთ როგორც ორს ცალკეულ ბგერას. მაშასადამე, გარდამავლობა არ ექნება ისეთ ბგერათშეერთებას, როგორცაა, მაგ., ა+ა>ა. დ+დ>დ. თ+ს>ც.

სიტყვა და-ს წარმოთქმის პროცესში დ-ს იმიტომ ვცნობილობთ, როგორც ცალკე ბგერას, რომ მას და ა-ს

შუა ოდნავ შესამჩნევ საზღვარსა ვგრძნობთ; ცნობილობით აგრეთვე ა-ს; ეს საზღვარია მათ შორის გარდამავლობა. დ-ს არტიკულაცია თანმიყოლებით იცვლება და თანდათანობით გადადის ა-სათვის საჭირო არტიკულაციაში: დ-ს ხშვის გაპობის შემდგომ ხდება ენის ძირს დაშვება, რისთვისაც საჭიროა დრო (მართალია, ძლიერ მცირე). ამასობაში ბგერობა (აქ ხმა) არ შეწყვეტილა; ე. ი. არტიკულაცია არ შეწყვეტილა, ბგერითი ეფექტი არის, მაგრამ უკვე აღარ არის დ და ჯერ არ არის ა. ამ გარდამავლობის მომენტში წარმოებულ ბგერას ეძახიან გარდამავალ ბგერას (1938, 77); (1949, 96-97). იხ. **ბგერა**.

გარეგანი სანდჰი იხ. სანდჰი.

გარეთი ენა გარეთი ენა გულისხმობს, მთქმელსა და გამგონეს გარდა, ობიექტურ მომენტს – ჰაერის მოძრაობას, რომლის საშუალებით მთქმელის ბგერა აღწევს მსმენელის ყურს და აღძრავს მასში იმ წარმოდგენას ან გრძნობას, რომელსაც მთქმელი განიცდიდა (მაგ., იგივე „პური“): მაშასადამე თქმის და გაგონების შედეგი ერთია („პური“), მაგრამ ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესი კი სხვადასხვა; მსმენელს აზრი აქვს და ექვს სიტყვას იმ თანხიდან, რომელიც მას უკვე აქვს; მსმენელს კი ესმის ბგერა და შემდეგ აღეპვრის აზრი, თუ მის ცნობიერებაში გაგონილი ბგერა დაკავშირებულია იმავე წარმოდგენასთან, რომელთანაც მთქმელის ცნობიერებაში: მთქმელისათვის სიტყვა ფუნქციაა აზრისა, მსმენელისათვის პირიქით: აზრია ფუნქცია სიტყვისა, ამ პროცესთა ფსიქო-ფიზიოლოგიური პირობების შესწავლა ცხადყოფს ენის ბუნების მრავალ მხარეს (1918-19, 3). იხ. **ენა**.

გაყრუება იხ. ასიმილაციური გაყრუება.

გაცხვირისშიერება იგივეა, რაც ნაზალიზაცია.

გემინატი იხ. გემინაცია.

გემინაცია ორი სავსებით მსგავსი ბგერის შეერთებისას მათი საზიარო არტიკულაცია გრძელდება უწყვეტლივ: დააგო, შეეხო, ომმა, ვაზზე, მათთან, ცხადდება, გგონია. ამ გზით, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება ხოლმე გრძელი ხმოვანი (მაგ., აა > აა, ეე > ეე) და გრძელი გაორმაგებული თანხმოვანი, რომელსაც, ჩვეულებრივ, ეძახიან გემინატს ანუ გემინირე-

ბულ თანხმოვანს (ლათ. geminare „შეუღლება, გაორკეცება“); აქედან მსგავს თანხმოვანთა შეერთებას ვეძახით გემინაციას, გემინირებულია, მაგ., თ მათთან-ში, მ ლომმა-ში, ზ ხაზზე-ში და ა. შ. (1949, 100).

გემინირებული თანხმოვანი იხ. გემინაცია.

გვერდითი თანხმოვანი იგივეა, რაც ლატერალი.

გლოტოგონიური კავშირი იხ. ნ. მარის კონცეფცია.

გრამატიზებული ბგერათმონაცვლეობა გრამატიკული ე/ი მონაცვლეობა ქართულის ზოგიერთ ზმნაში, რადგან იგი დაკავშირებულია აწმყოსა და ნამყო წვეტილის განსხვავებასთან; აგრეთვე რუსულის ზოგიერთ ზმნაში აწმყოსა და ინფინიტივის განსხვავებულობა დაკავშირებული ე/ნულ მონაცვლეობასთან; აგრეთვე კ/ყ მონაცვლეობა стук/стучь-ში „გაკაკუნებ“ არსებითი სახელისა და ზმნის განსხვავებაზე. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ბგერათმონაცვლეობა გრამატიზებულიაო (1949, 210). იხ. **ბგერათმონაცვლეობა**.

გრამატიკული ანალოგია იხ. ბგერითი ანალოგია.

გრამატიკული შემასმენელი იხ. ფსიქოლოგიური შემასმენელი.

გრაფიკული მეტყველება იხ. სხეულმოძრაობითი ენა.

გრძელი გაორმაგებული თანხმოვანი იხ. გემინაცია.

გრძელი ხმოვანი იხ. გემინაცია.

გუტურალური იგივეა, რაც „ხორხისმიერი“ თანხმოვანი.

დ

დაბალი აწეულობის ხმოვანი დაბალი აწეულობის ხმოვანია, მაგ., ქართულში ა. ქართული ა-სთვის ენა ძვეს ყველა ხმოვნისაზე დაბლა, ხოლო რუსულისთვის ოდნავ აწეულია, მაგრამ ვერ აღწევს საშუალო (ო-ს) აწეულობას. მაშასადამე, ქართულ ა-სა და რუსულ ა-ს შორის განსხვავება არის ენის აწეულობის მხრივ, მაგრამ ორივეს აწეუ-

ლობის საფუძვრი დაბალია. დაბალი აწეულობის ხმოვნებს ეძახიან აგრეთვე ფართო ანუ ღია ხმოვნებს (1949, 68). იხ. ხმოვანთა კლასიფიკაცია.

დაბრკოლებათა სახეები ქართულში ჩვენ ვარჩევთ დაბრკოლებათა ოთხ რაგვარობას: 1) ხშულობას; 2) ნაპრალოვნობას, 3) შერეულ ხშულობა-ნაპრალოვნობას და 4) ღიაობას (1949, 38).

დამავალი დიფთონგი ...შეერთება იწყება სრული ხმოვნით და თავდება მოკლე სუსტით. (1949, 103).

დამართვა იხ. **შემართვა-დამართვა**.

დამდგარი ბგერა დამდგარ ბგერას ანუ ფონემას ვეძახით ისეთ ბგერას, რომელიც იმდენად მკაფიოა აკუსტიკურად (და ფიზიოლოგიურადაც), რომ ადვილად გავარჩევთ ამათუიმ ენაში სხვა ბგერებისაგან, ამიტომ ამ ენის პრაქტიკაში (ცოცხალ მეტყველებაში) გამოყენებულია სიტყვის ფუნქციონალურ ნაწილად, ერთი სიტყვის მეორისაგან განმასხვავებლად; ამიტომაცაა, რომ ამ ენის ანბანში მას ჩვეულებრივ საკუთარი გამოსახულება (ასო) აქვს (1938, 77), (1949, 97). იხ. **ბგერა**; **ფონემა**.

დამოკიდებული ბგერათცვლილება იგივეა, რაც **განპირობებული ბგერათცვლილება**.

დამოკიდებული წინადადება იხ. **თხრობითი შესიტყვების მახვილი ქართულში**.

დამწერლობა იხ. **ეტიმოლოგიური დ**; **ასოებრივი დ**; **დ-ის ლათინიზაცია**; **წერა**.

დამწერლობის ლათინიზაცია ლათინურ ანბანს, როგორც ყველაზე მეტად საერთაშორისოს, მიმართავენ ხოლმე ამათუიმ ენის დამწერლობის ძირითადი რეფორმის დროს, სახელდობრ, როცა სცვლიან ტრადიციულ ანბანს: ლათინური ანბანის შემოღებას ტრადიციულის ნაცვლად ჰქვია დამწერლობის ლათინიზაცია, ლათინიზირება (1938, 94). იხ. **დამწერლობა**.

დაყოვნება მეორე მომენტში, რომელსაც ბგერის მწვერვალს ანუ დაყოვნებას ვეძახით, ორგანოები შეასრულებენ წარმოსათქმელი ბგერებისათვის საჭირო მოძრაობას; მეო-

რე მომენტი უფრო ხანგრძლივია პირველზე და მესამეზე (1949, 28). იხ. **ოკლუზიური დ**; **ბგერათწარმოთქმა**.

დაყოვნების ხმა იხ. **არტიკულაციათა მომენტები**.

დაწყებითი ბრუნვა იხ. **ბრუნვა**.

დახურული მარცვალი იხ. **მარცვალი**.

დახურული ხმოვანი იხ. **მაღალი აწეულობის ხმოვანი**.

დეზაფრიკატიზაცია რედუქციას წარმოადგენს დეზაფრიკატიზაცია ანუ აფრიკატის მარტივ თანხმოვნად ქცევა. აფრიკატს შეუძლია რედუცირება ორი გზით: შეიძლება მან დაკარგოს თავისი სპირანტული ელემენტი (მაგ., წ>ტ: სწავლა > დიალექტ. სტავლა) ან დაკარგოს თავისი ოკლუზიური (ხშულობის) ელემენტი და იქცეს სპირანტად (მაგ., ძღარბი > ზღარბი; ოცდაერთი > ოძდაერთი > ოზდაერთი, რაც იმას ნიშნავს, რომ დ-ს წინ ც-საგან მიღებულია ძ-მ დაკარგა თავისი ოკლუზიური ელემენტი დ და შეინარჩუნა მხოლოდ თავისი შედგენილობის სპირანტული ელემენტი) (1949, 212).

დენტალური თანხმოვანი იხ. **წინაენისმიერი თანხმოვანი**; **ლიკვიდი**.

დენტი-ლატერალური თანხმოვანი წინაენის ხშვა გაიხსნება მხოლოდ მომდევნო ხმოვნისათვის. ასეთ რთულ თანხმოვნებს ვეძახით დენტი-ლატერალურს (დენტალურია აქ **Д-Т**, ლატერალური – **Л**).

დენტი-ლატერალური თანხმოვნები რუსულში დღეს მხოლოდ პოზიციურად არსებობს, მაგრამ რიგ კავკასიურ ენებში იგი წარმოადგენს ფონემას, რის გამოც მათ ვეძახით „კავკასიურ ლატერალურ თანხმოვნებს“ (1949, 225). იხ. **თანხმოვანი**.

დენტი-ფაუკალური თანხმოვანი ფაუკალური თანხმოვნის წარმოქმნაში მონაწილეობს წინაენა კბილების მიმართ, ხოლო ენაკბილისმიერ თანხმოვნებს ეძახიან დენტალურს, ამიტომ ასეთ ფაუკალურ თანხმოვნებს ვეძახით დენტიფაუკალურს.

ანალოგიური ბგერათშეერთება გვაქვს კომპლექსებში: ბმ-ფმ-ჰმ, ე. ი. როცა პირველი სამეულის ხშულებს უშუა-

ლოდ მოსდევს ჰომორგანული მ. მაგ., სიტყვებში ბმა, თოფმა, ტიპმა (1949, 224). იხ. **თანხმოვანი**.

დეფექტური ბგერა იხ. **ენაჩლუნგური ბგერათცვლილება**.

დეფექტური მეტყველების სახეები ლოგოპედიის საგანია დეფექტური მეტყველების სამი უმთავრესი სახე: ენაჩლუნგობა (დისლალია), ენაბლუობა (ლოგონევროზი) და აფაზია (1949, 409).

დეცესიურ-აქცესიური კომპლექსები თანხმოვანთა არტიკულაციის ერთჯამიერობისადმი მისწრაფებას მაშინ აქვს ადგილი, როცა შესაერთებელი ორი თანხმოვნიდან წინმდგომში იწარმოება ზესადგამი მილის უფრო წინა არეში, ვიდრე მომდევნო თანხმოვანი. ასეთია, მაგ., შემდეგი შეერთებანი: ბდ, ფხ, ტკ, სქ და მისთანები (და არა შებრუნებული თანმიმდევრობით: ლბ, ხფ, კტ, ქს...). შეიძლება ითქვას, რომ ბდ – ჯგუფში ბ-სა და დ-ს ხშვა ხდება (ან შეიძლება ხდებოდეს) თითქმის ერთჯამიერად; თითქმის ერთჯამიერია აგრეთვე ტკ-ში ხშვა წინაენისა ტ-სათვის და უკანაენისა კ-სათვის; ტუჩების დახშვა ფშ-ში ფ-სათვის და ნაპრალის შესაქმნელი მოძრაობა ხ-სათვის ხდება აგრეთვე თითქმის ერთჯამიერად; ამგვარადვე ს-სათვის საჭირო ნაპრალი და მომდევნო ქს ხშვა სქ-ში თითქმის ერთჯამიერია. ერთჯამიერობისადმი მიდრეკილება, ყოველ შემთხვევაში, ყველაშია; და არის იმიტომ, რომ ყველა განხილულ ჯგუფში წინმდგომი თანხმოვანი (ბ-, ფ-, ტ-, ს-) იწარმოება უფრო წინა არეში, ვიდრე მომდევნო (-დ, -ხ, -კ, -ქ), ამიტომაცაა, რომ წინმდგომი თანხმოვანი ადრე უნდა წარმოითქვას (ე. ი. ადრე უნდა განიხშოს, თუ თანხმოვანი ხშულია, ან ჰაერნაკადი ადრე უნდა გამოედინოს, თუ თანხმოვანი ნაპრალოვანია), ვიდრე მომდევნო; ერთჯამიერი წარმოთქმა მათ ერთ თანხმოვნად აქცევდა, ხოლო მომდევნო თანხმოვნის ადრე განხშვა (ან მისთვის ჰაერნაკადის გამომდინარეობა) ფიზიოლოგიურად შეუძლებელია. მაშასადამე, თანხმოვანთა ასეთი თანამიმდევრობისას გვაქვს მათი არტიკულაციის პირველ ნაწილში (ე. ი. ხშივინა და ნაპრალის წარმოების დროს) ერთჯამიერობა, ხოლო მეორე ნაწილში (განხშვისა და ჰაერნაკადის დენის დროს) – წინმდგომის ადრე წარმოთქმა.

თანხმოვანთა ასეთი თანამიმდევრობის კომპლექსს ვეძახით დეცესიურ ანუ იქითურ კომპლექსს (ლათ. decessio

„იქით წასვლა, დაშორება“), დეცესიურია, მაგალ. ბდ, დგ, ზგ და მისთანები; შებრუნებული თანამიმდევრობის კომპლექსს ვეძახით აქცესიურ ანუ აქეთურ კომპლექსს; აქცესიურია, მაგ., დბ, გდ, გზ და მისთ. (ლათ. accessio „აქეთ მოსვლა“) (1949, 107-108).

დეკალური დიალექტი გაპალატალეზულ ველართა და ძველი აფრიკატების რეფლექსების მიხედვით ჩვენ უფლება გვაქვს მოვსპოთ ვ. მილლერის ტერმინი „სამხრეთ-ოსური“, რადგანაც აღმოჩნდა იგი შეიცავს ორ სხვადასხვა დიალექტურ ერთეულს. მის ნაცვლად ჩვენ შემოგვაქვს „დეკალური“ (უმთავრესად კოშკა-ჯავაკუდაროს რაიონის დიალექტის მნიშვნელობით) და, თუ ეს საჭირო იქნება, „სამხრეთ ირონული“ (უმთავრესად პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობათა ოსურისათვის, რადგანაც ეს უკანასკნელი თითქმის არაფრით არ განსხვავდება „ჩრდილო-ირონული-საგან“ (=მილლერის „ირონულს ანუ აღმოსავლ.-ოსურს“). უფლება გვაქვს აგრეთვე დეკალურს მივანიჭოთ მესამე დიალექტის (და არა აღმოს.-ოსურის ქვედიალექტის) სახელწოდება (1925, 318). იხ. **ოსური ენის დიალექტები**.

დიალექტი იხ. **ლიტერატურული ენა; ენა**.

დიერეზისი (ბერძ. διαίρεσις „გაყოფა“) დიფთონგის დაშლა შემადგენელ სრულ ხმოვნად; მაგ., იაკობ > იაკობ, слушай შემთხვევა – слушай შემთხვევები (1949, 235).

დინამიკური მახვილი სიძლიერით გამოყოფა-გამოჩინებას ან მის მოდულაციას ეძახიან სიძლიერის ანუ დინამიკურ მახვილს, ხოლო სიმადლით გამოყოფა-გამოჩინებას ან მის მოდულაციას – მუსიკალურს ანუ ტონურ მახვილს.

დინამიკური მახვილის მეორე სახელწოდებაა ექსპირატორული (ან ექსპირაციული) მახვილი. ამ ტერმინს ხმარობენ იმ თეორიის მომხრენი, რომლის თანახმად სიძლიერის მახვილის წარმოქმნის ფაქტორია ძლიერი ამოსუნთქვა (ექსპირაცია); ხოლო ტერმინს დინამიკური მახვილი ხმარობენ ამის საწინააღმდეგო თეორიის მომხრენი, რომელთა აზრით, ასეთი მახვილის წარმოქმნელია საწარმოთქმლ ორგანოთა არტიკულაციური დაძაბულობა (1966, 126-127). იხ. **მახვილი**.

დინამიკური მარცვალთმახვილის სახეები დინამიკური მარცვალთმახვილის სახეებია, მაგ.: თანდათან გაძლიერებული

(აღმავალი), თანდათან დასუსტებული (დამავალი) და გაძლიერებული-დასუსტებული (აღმავალ-დამავალი) და ბევრი სხვა (1949, 130).

დისიმილაცია ბგერათცვლილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს ბგერათა დისიმილაცია ანუ ბგერათა განმსგავსება (ლათ. dissimilis „არამსგავსი, განსხვავებული“, dissimilatio „განმსგავსება“), რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ორი ერთმანეთის მსგავსი (ან ერთგვარი) ბგერიდან სიტყვაში ერთი იცვლება, და ამით მატულობს განსხვავება მათ შორის; ამის შედეგად შესაძლოა დაიკარგოს ცვლილი ბგერა.

ამდენად დისიმილაცია არის ასიმილაციის საწინააღმდეგო ფონეტიკური მოვლენა: თუ ასიმილაციაში ერთმანეთს ემსგავსებიან განსხვავებული ბგერები (სიში > შიში, ერთგული > ერდგული), დისიმილაციაში, პირიქით, მსგავსი ან ერთგვარი ბგერები ერთმანეთს განმსგავსებიან: რბილი < ლბილი (1949, 200), (1966, 165).

დისიმილაციური გამჟღერება ნასესხებ სიტყვებში ოსური ენა თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ვერ იტანს ერთ სიტყვაში ორ აბრუპტივს, resp. ორ ხშულ ასპირატს (აგრეთვე აბრუპტივსა და ასპირატს) და ამიტომ ერთ-ერთ მათგანს ამჟღერებს ხოლმე. ამ კანონზომიერებას ეწოდება დისიმილაციურ გამჟღერებას. საყურადღებოა, რომ ჩვეულებრივ მჟღერდება ხოლმე პირველი აბრუპტივი, resp. ასპირატი სიტყვის თავიდან; მაშასადამე, დისიმილაცია თითქმის ყველგან რეგრესულია.

ბგერათა ასეთ შენაცვლებას საფუძვლად უძევს ტენდენცია – გაიადვილოს მსესხებელმა მისთვის უცხოური ბგერის წარმოთქმა დისიმილაციური შენაცვლებით (1949, 381-382).

დისიმილირებული ბგერა იხ. ბგერის დისიმილაციური დაკარგვა.

დისლალია იგივეა, რაც ენაჩლუნგობა.

დისტანციური ასიმილაცია იხ. ასიმილაცია.

დისტანციური ბგერათასიმილაცია იხ. ასიმილაცია.

დისტანციური მეტათეზისი ისეთ მეტათეზისს, როცა ირდევება გადასმული ბგერის უშუალო მეზობლობა პირვანდელ მეზობელ ბგერასთან, ეწოდება დისტანციური ანუ მანძილის მეტათეზისი. ასეთია, მაგ., არალიტერატ. ნავხე < ვნახე; დარღვეულია ე-ს უშუალო მეზობლობა ნ-სთან; ბლარტი < *ბყარტი < ბარტი: დარღვეულია ყ-ს მეზობლობა ტ-სთან (გადასმული ყ აღმოჩნდა ბ-ს მეზობლობაში, რომელმაც იგი აქცია მჟღერ დ-დ); დიალექტური ზრუგი < ზურგი (1949, 205). იხ. მეტათეზისი.

დისტინქტური შინაარსი იხ. აღწერილობითი ფონეტიკა.

დისტინქტური ძალა დისტინქტური ძალა ანუ ფონოლოგიური (და, მაშასადამე, სოციალური) ღირებულება აქვს სამეტყველო ბგეროვნობის იმ დადებითს ან უარყოფითს აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ მნიშვნელობას, რომლითაც იგი (სამეტყველო ბგეროვნობა) უპირისპირდება სხვა ბგეროვნობის სხვა ნიშნეულობას სიტყვათა ერთმანეთისაგან განსახვავებლად. მაგ., ზ, როგორც სამეტყველო ბგეროვნობა, უპირისპირდება (მაგ., სიტყვებში ზარი – სარი) თავისი მჟღერობის ნიშნეულობით ს-ს, რომელსაც, როგორც სხვა სამეტყველო ბგეროვნობას, აქვს ზ-ს საპირისპირო სხვა ნიშნეულობა-სიყრუე (1949, 266).

დისტინქტურობა იხ. ბგერათმონაცველობა.

დიფთონგი ორი განსხვავებული ხმოვნის ისეთ შეერთებას, რომელიც გვაძლევს ერთ მარცვალს ერთ-ერთი ხმოვნის დასუსტების გზით, ეწოდება დიფთონგი ანუ ორხმოვანა (ბერძ. di(s) „ორმაგი“, phtongos „ბგერა“) (1949, 102-103). იხ. არანამდვილი დ; აღმავალი დ; დამავალი დ; თანხმოვნური დ; ნამდვილი დ.

დორსალური თანხმოვანი იხ. წინაენისმიერი თანხმოვანი; ლიკვიდი.

ეფემიზმი (ბერძ. eufemeō – სიტყვის სასიამოვნოდ თქმა) ყოველ ენაში არის სიტყვები, რომელთაც აქვს განსახდურული ყველასათვის ცნობილი მნიშვნელობა, მაგრამ

ამ მნიშვნელობის აღსანიშნავად იხმარება სხვა სიტყვა, რომელსაც შესაძლებელია ქონდეს თავისი საკუთარი სხვა მნიშვნელობაც: ეს ხდება სხვადასხვა მოსაზრებით, მაგალითად, მოკრძალების, შიშის, ზრდილობის და სხვა ამგვარი რისამე აღსანიშნავად. მაგალითად, ჩვეულებრივ საუბარში ამბობენ „ურწმუნო“-ს გველის ნაცვლად, „პერანგის ამხანაგს“ ქვედა საცვლის ნაცვლად და სხვა. სიტყვის ამგვარ არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარებას ეწოდება ეფემიზმი (1918-19, 104).

ექსკურსია იხ. არტიკულაციათა მომენტები.

ელიზია (ლათ. elisio „გამოწურვა“) სიტყვის შიგნით ან ბოლოში ხმოვნის ამოვარდნა; მაგ., ბლის < ბალის... (1949, 235; 1966, 189). იხ. **სინკოპე**.

ემფატიკური მახვილი იხ. მახვილი.

ენა ...ენა არის განუწყვეტელი მოქმედება (дѣятельность); ენა არ არის უცვლელი, უძრავი, ერთხელ და სამუდამოდ დადგინებული რამ; ენა მუდმივი ცვალებადობაა ბგერათა, სიტყვათა, ფორმათა და გამოთქმათა. თუ რომელიმე ეს ელემენტი ხმარებიდან გამოდის მოკლე დროთი მაინც, ის კვდება, სწყვეტს არსებობას; მაგრამ თუ ენა არ კვდება, ეს იმ გარემოების წყალობით, რომ ამ ცვალებადობას და სიკვდილის პროცესს თან სდევს აღორძინების პროცესი: ჩნდება ახალი ბგერა, ფორმა, სიტყვა და გამოთქმა. რადგანაც ენა მუდმივი ცვალებადობაა, ამიტომ მისთვის ვიწროა ყოველივე ჩარჩო გრამატიკის სახით; ენის მიმდინარეობის პროცესი ყოველთვის უფრო სწრაფია, ვიდრე მისი შესწავლისა; ამიტომ გარდაუვალი ჩარჩოს შექმნა შეიძლება მხოლოდ იმ ენისათვის, რომელიც მოკვდა, ე. ი. ყოველდღიური ხმარებიდან გამოვიდა... ამიტომ ენის ბუნების ყოველმხრივი შესწავლა შეიძლება მხოლოდ ცოცხალ ენაში.

ენის ცვალებადობის შედეგია მასში დიალექტების, კილოკაეების წარმოშობა. ცვალებადობის მიზეზები უნდა ვეძიოთ როგორც გარეშე პირობებში (ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ და სოციალურში), აგრედე ადამიანის ფსიქიურ ორგანიზაციაში. ამ მიზეზთა კვლევა შეადგენს ლინგვისტის უმთავრეს საგანს. პიროვნებას მუდამ შეაქვს ენაში ახალი რამ, მაგრამ საზოგადოება მას დარაჯად ყავს. ის

უღობავს გზას და სპობს ენის იმ ინდივიდუალურ მოვლენებს, რომელიც მას ეუცხოება, არ მოსწონს ან არ ესმის (1918-19, 6).

თვით სიტყვა „ენაც“ არ გამოხატავს აბსოლუტურ ცნებას, ჩვენ შეგვიძლია „ენა“ ვუწოდოთ როგორც მთელი ერის ენას, აგრეთვე რომელიმე კუთხის, სოფლის წოდების ან კიდევ რომელიმე ავტორის ენასაც (ვიტყვი: აკაკის ენა, ვაჟას ენა და სხვა). მაგრამ მეცნიერების საჭიროებისათვის უნდა გვქონდეს ამ გრადაციის გამოხატველი ტერმინები. ამიერიდან შემდეგ სახელებს ვუწოდებთ ენის დაყოფას მსხვილიდან წვრილამდე: ენა-კილო-კილოკაე-ოთქმა-ქცევა (языкъ-наръчье-поднаръчье).

ლინგვისტიკაში ენა ეწოდება რომელიმე ერის კილო ქცევათა ერთიანობას. მაგრამ... ენა შეგვიძლია ვუწოდოთ თითოეულ ქცევასაც კი, თუ ვფიქრობთ მხოლოდ მასზე და სახეში არ გვაქვს მისი უფრო მსხვილი ერთეულთან შედარება (1918-19, 11).

ენაბლუობა იხ. დეფექტური მეტყველების სახეები.

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია ერთი ოჯახის შემადგენელ ენათა ნათესავური საფეხურების მიხედვით დანაწილებას ეწოდება გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა. მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით არსებობს ოთხი ტიპი ენათა, რომელნიც წარმოადგენენ განვითარების ოთხ საფეხურს; 1. ძირეული (ანუ ანალიტიური), 2. აგლუტინური, 3. პოლისინტეტური და 4. ფლექსიური (1918-19, 16-23).

ენათმეცნიერება ენათმეცნიერება ეკუთვნის კულტურულ-ისტორიულ მეცნიერებათა დარგს. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ენათმეცნიერება სხვა ყველა კულტურულ-ისტორიულ მეცნიერებათა შორის უსწორესი მეცნიერებაა თავის მეტოდებით.

ენათმეცნიერება განიყოფება რამდენიმე დარგად; თითოეული იკვლევს ენას განსაზღვრული მხრით;

ა) ფონეტიკა ანუ ბგერათა ისტორია, რომელიც იკვლევს ბგერათა ცვლის „კანონებს“ ამა თუ იმ ენაში.

ბ) მორფოლოგია – მეცნიერება სიტყვის ფორმათა და ფორმალურ მნიშვნელობათა შესახებ.

გ) სინტაქსი იკვლევს წინადადებათა ფორმებს და მათ ფორმალურ მნიშვნელობას.

დ) სემასიოლოგია ანუ სემანტიკა არკვევს ენის ცვალებადობას სიტყვის შინაარსის მხრივ.

ე) ლექსიკოლოგია (1918-19, 6).

ენაკბილისმიერი თანხმოვანი იხ. **დენტი-ფაუკალური თანხმოვანი**.

ენა-ნუნის ნაპრალოვანი იხ. **ნაპრალოვნობა**.

ენაჩლუნგობა იხ. **დეფექტური მეტყველების სახეები**.

ენაჩლუნგური ბგერათცვლილება ენაჩლუნგობას აქვს თავისი კანონზომიერება. მასალა მოწმობს აგრეთვე, რომ ენაჩლუნგური ბგერათცვლილება პარალელურია ისტორიული ბგერათცვლილებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ნორმალურად მიჩნეული ბგერათა ცვლილება მომდინარეობს იმავე გზებით, რომლითაც დეფექტურად მიჩნეულ ბგერათა ცვლილება (1949, 411).

ენტეზისი ენთეზისი (ბერძნ. ἔνθεσις „ჩასმა“) ანუ ეპენტეზისი (ბერძ. ἐπι+ ἔνθεσις „შიგ ჩასმა“), სიტყვის შიგნით უფუნქციო თანხმოვნის განვითარება; მაგ., გვიმბრა < გვიმრა, კამბეჩი < კამეჩი; დიალექტ. ანგრე < აგრე... ეპენტეზისი იხმარება აგრეთვე ისეთი ბგერათგადასმის აღსანიშნავად, რომელიც დაკავშირებულია რ-ლ-ნ-სთან. მაგ., ხაინდრავა < ხანიდრავა, შაინძე < შანიძე, წოვა თუშურად მაირამ < მარიამ... (1949, 235).

ენისზურგისმიერი იხ. **ლიკვიდი**.

ენის საკომუნიკაციო ფუნქცია იხ. **ენის ფუნქცია**.

ენის საშემეცნებო ფუნქცია იხ. **ენის ფუნქცია**.

ენის ფონეტიკური სისტემა იხ. **ფონემათა სისტემა**.

ენის ფუნქცია ენის ფუნქცია იმაში კი არ მდგომარეობს მხოლოდ და უმთავრესად, რომ იგი ემსახურება ურთიერთობას (საკომუნიკაციო ფუნქცია), არამედ იმაში, რომ იგი ემსახურება აზრის შექმნას (საშემეცნებო ფუნქცია), რასაც ადამიანები უზიარებენ ერთმანეთს. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმ საშემეცნებო ფუნქციის პირველობას, ვინაიდან ქმნადობის პროცესს – როგორც სიტყვა-აზრისა, ისე სიტყვიერი ურთიერთობისა – შეიძლება ადგილი ჰქონოდა მხოლოდ მათი (სიტყვისა და ურთიერთობის)

ურთიერთ განპირობებულობის შედეგად. არაა ძირითადი არც მხოლოდ საკომუნიკაციო და არც მხოლოდ საშემეცნებო ფუნქცია: ორივე მათგანი ძირითადია, რადგანაც ისინი ერთმანეთს განაპირობებენ (1959, 61).

ენის ცვალებადობა იხ. **ენა**.

ენისძირისეული თანხმოვანი იხ. **პირსიქითეული თანხმოვანი**.

ენისწვერისმიერი თანხმოვანი ენისწვერისმიერებს ეძახიან აპიკალურ (ლათ. apex „წვეტი“, apicalis „წვეტისებრი“) თანხმოვანს – ენის ფორმის მიხედვით, ხოლო ნუნისმიერს ანუ ალვეოლარულს – პასიური ორგანოს მიხედვით (1949, 35). იხ. **თანხმოვანი**.

ენკლიტიკა შესიტყვებაში ზოგჯერ მოკლე (ჩვეულებრივ ერთმარცვლიანი) სიტყვები უმახვილოა, რის გამოც ისინი ეკედლებიან მომდევნოს ან წინმდგომ მახვილიან სიტყვას... როცა ისინი... ეკედლებიან წინ მდგომს, ეძახიან ენკლიტიკებს. (1949, 138).

ენობრივი დანიშნულების ბგერა იხ. **სოციალური ღირებულების ბგერა**.

ეპენტეზისი იხ. **ენტეზისი**.

ეპითეზისი (ἐπιθέσις „თავდასხმა“) სიტყვის ბოლოს უფუნქციო ბგერის დართვა (1949, 235).

ერთჟამიერი ბგერათცვლილება იხ. **ფონეტიკის შედარებითი მეთოდი**; **ბგერათცვლილება**.

ერთჟამიერობა იხ. **არტიკულაციის ერთჟამიერობის წესი**.

ეტიმოლოგიური დამწერლობა ისტორიული პრინციპით დამწერლობას ეძახიან ეტიმოლოგიურ დამწერლობას იმ შემთხვევაში, როცა მასში გამოისახება, თუ როგორი წარმოშობისაა სიტყვა ან ფორმა (1949, 174). იხ. **დამწერლობა**.

ექსკურსია იგივეა, რაც **შემართვა**; **ბგერათწარმოთქმა**.

ექსპერიმენტული ფონეტიკა იხ. **ფონეტიკის ისტორია**.

ექსპირატორული მარცვალი როცა ამოსუნთქვის სიძლიერეზეა დამყარებული მარცვლის წარმოება, მაშინ ამ მარ-

ცვაღს ეწოდება ექსპირატორული მარცვალი, რომელიც იმყოფება ხმის დასუსტების ორ მომენტს შუა. (1918-1919, 57).

ექსპირატორული მახვილი იგივეა, რაც **დინამიკური მახვილი**.

ექსპირაცია იხ. **რესპირაცია**.

ექსპირაციული მახვილი იგივეა, რაც **დინამიკური მახვილი**.

ექსპლოზია განხშვის მომენტი (1949, 29).

3

ველარიზაცია პალატალიზაციას უპირისპირდება ველარიზაცია. ისე როგორც არსებობს პალატალური – რბილი ბგერები, არსებობს აგრეთვე ველარული – მაგარი ბგერები, მაგ., ხმოვნებში ველარულია ქართ. ო და უ, თანხმოვნებში გ-ქ, ღ-ხ („ველარული“ ნიშნავს „რბილსასისმიერს“, ლათ. velum პალატი „ფარდა სასისა“, აქედან ფრან. velaine, გერმ. velar). ველარულობა ფიზიოლოგიური ტერმინია და ნიშნავს ენის ზურგის უკანა ნაწილის არტიკულირებას რბილი სასის ფარდის (velum „ფარდა“) მიმართ. ტერმინი მაგარი – აკუსტიკური შთაბეჭდილების გამომხატველია რბილთან დაპირისპირებით. მაგრამ ამ ველარული ბგერების გვერდით არსებობს ენაში ველარიზებული ბგერები, ისე როგორც პალატალური ბგერების გვერდით არსებობს პალატალიზებული ბგერები.

რომელიმე ბგერის, გარდა თვით ველარული ბგერებისა, წარმოთქმის დროს უკანაენის მიახლოებას რბილ სასსთან ეწოდება მოცემული ბგერის ველარიზაცია. მაშასადამე, ველარიზება შესაძლებელია ყველა ბგერისა, გარდა თვით ველარული ბგერებისა (1949, 114-115). იხ. „ხორხისმიერი“ თანხმოვანი.

ველარიზებული ბგერა იხ. **ველარიზაცია**.

ველარული ბგერა იხ. **ველარიზაცია**; **უკანაენისმიერი თანხმოვანი**.

ველარულობა იხ. **ველარიზაცია**.

ვიბრანტი ვიბრანტს ანუ მთრთოლს ვეძახით ჩვეულებრივ ისეთ თანხმოვანს (მაგ., ქართული რ), რომლის წარმოებისას ხდება დაჭიმული ენისწვერის ზედიზედ სწრაფი ხშვები (თრთოლა, ვიბრაცია) ნუნების მიმართ (1949, 40). იხ. **ლიკვილი**; **ნაპრალოვნობა**; **შერეული რაგვარობა**.

ვიწრო ხმოვანი იხ. **სონორობა**.

ზ

ზეგრძელი ხმოვანი იხ. **ბგერათრაოდენობა**.

ზოგადი ფონეტიკა ზოგადი ენა არ არსებობს, მაგრამ არსებობს ენათა ზოგადი მოვლენები, ის, რაც საერთოა ყოველი დროის ყველა ენისათვის, კერძოდ – ზოგადი ბგერითი მოვლენებიც, რომლებსაც შეისწავლის ზოგადი ფონეტიკა. ასეთი მოვლენებია, მაგ.: საერთოდ ყოველ ენაში ბგერათა სისტემის არსებობა, ამ ბგერათა წარმოთქმის ანატომიური, ფიზიოლოგიური და აკუსტიკური შეპირობებულობა, ენის (როგორც ფიზიოლოგიური ორგანოს) მაქსიმალური საწარმოთქმო მოქნილობა, ბგერათა ურთიერთ შორის განსხვავებულობა სიძლიერით, ტემპრით, სიმალდით და ხანგრძლიობით; წარმოთქმის მარცვლობითი შედგენილობა, მახვილისა და ინტონაციის არსებობა, ასიმილაციურ მოვლენათა არსებობა, ბგერათა სისტემის ცვალებადობა დროში და ა. შ.; მაგრამ, რაც მთავარია, ამ მრავალფეროვან მოვლენათა სოციალური გამოყენების შესაძლებლობა საერთოდ მეტყველებაში. ამ საკითხებს სწავლობს ზოგადი ფონეტიკა, აზოგადებს რა ცალკეულ (მონათესავე თუ არამონათესავე) ენათა შესწავლის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ფონეტიკა სწავლობს საწარმოთქმო ორგანოების ანატომია-ფიზიოლოგიას, წარმოთქმის ელემენტების აკუსტიკურ თვისებებსა და ამ ელემენტების ტიპობრივ ცვალებადობას დროთა განმავლობაში (1938, 5); (1949, 8). იხ. **ფონეტიკა**.

თ

თავისთავადი და არათავისთავადი ბგერა რომელსამე სიტყვაში ერთი ბგერის სხვა ბგერით შეცვლას შეუძლია გამოიწვიოს ამ სიტყვის შინაარსობრივი მნიშვნელობის ან ფორმის შეცვლა; მაგ., ს-ს შეცვლა ზ-დ სიტყვაში სარი შეცვლის მის შინაარსს: ზარი; მაგრამ გვაქვს მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა იგივე ს შეიცვლება ზ-დ, მაგრამ სიტყვას არ ეცვლება არც შინაარსი და არც ფორმა. მაგ. მსგავსი უფრო ხშირად წარმოითქმება მზგავსი. მისდევს წარმოითქმება მიზდევს, მაგრამ ამის გამო აზრი არ იცვლება არც ერთ შემთხვევაში. პირველი სახის შენაცვლება თავისთავადია, არაა დამოკიდებული არაფერზე, გარდა ჩვენი ნებისა; მეორე სახის შენაცვლება არაა თავისთავადი, დამოკიდებულია ს-სა და დ-ს ფონეტიკურ მდებარეობაზე. პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს თავისთავადი, პოზიციით განუპირობებელი ბგერა ანუ ფონემა, მეორე შემთხვევაში – არათავისთავადი, პოზიციით განპირობებული ბგერა ანუ ფონემის სახესხვაობა (სახესხვაობა = რუს. *разновидность*): ს-ზ სიტყვებში სარი-ზარი ფონემებია, მაგრამ იგივე ზ (მზგავსში და მიზდევს-ში) – ფონემის სახესხვაობა (1949, 270-271).

თანაარტიკულაცია იხ. **კოარტიკულაცია**.

თანაბგერობა იხ. **რეზონანსი**.

თანამახვილი სიტყვის მეორეხარისხოვან მახვილებს ვეძახით თანამახვილებს. (1949, 132), (1966, 130). იხ. **მახვილი**.

თანაჟამიერი ბგერათცვლილება იხ. **ფონეტიკის შედარებითი მეთოდი; ბგერათცვლილება**.

თანარხვეა იხ. **რეზონანსი**.

თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაცია თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების დაძვევისადმი (სუპერაციისადმი) მიდრეკილება ჩანს მრავალ ენაში. რამდენადაც იგი დეტერმინირებულია ფიზიოლოგიურად, იგი შესაძლებელია ჩაითვალოს საყოველთაო ფონეტიკურ მოვლენად, მაგრამ ეს ფონეტიკური მოვლენა ხორციელდება არაერთნაირად სხვადასხვა ენაში, ე. ი. ენები შესაძლებელია განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან აქცესიურ კომ-

პლექსთა სუპერაციის სხვადასხვა შესაძლებლობებით. სუპერაციის ექვსი ფორმაა: 1. გადასმა (მეტათეზისი), 2. წინმდგომი ხშულის სპირანტიზაცია resp. ვოკალიზაცია, 3. მარცვალგასაყრის შექმნა, 4. წინმდგომი ხშულის ასიმილაცია, 5. წინმდგომი (იშვიათად მომდევნო) ხშულის დაკარგვა და 6. წარმოთქმის მკაფიოობა (1949, 350); (1949, 349).

თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია)

I. სამეულები: პბფ, ტდთ, წძც, ჭჯჩ, კბქ, ყ-ჟ

II. წყვილეულები: (ფ)გ, სზ, შჟ, ხღ

III. ცალეულები: მ, ნ, რ, ლ, ჯ, ა, ბ.

ა. წარმოების გვარობის მიხედვით:

1. ხშულები:

მკვეთრი: პ ტ წ ჭ კ ყ

მჟღერი: ბ დ ძ ჯ გ -

ყრუ ფშინვიერი: ფ თ ც ჩ ქ ჯ

2. სპირანტები:

მჟღერი: ვზ - ჟღ

ყრუ: (ფ)ს - შხ

3. აფრიკატები:

სისინა: წ ძ ც

შიშინა: ჭ ჯ ჩ

ბ. წარმოების ადგილის მიხედვით:

1. ბაგისმიერი: პ ბ ფ, - - - (ფ) გ

2. წინაენისმიერი: ტ დ თ, წ ძ ც, ს ზ

3. ალვეოლარნი: - - - ჭ ჯ ჩ, შ ჟ

4. უკანაენისმიერი: კ გ ქ - - - ხ ღ

5. ფარინგალნი: ყ - ჯ (1949, 374-375). იხ. **თანხმოვან-**

თა კლასიფიკაციის საფუძვლები.

თანხმოვანთა კლასიფიკაციის საფუძვლები თანხმოვანთა კლასიფიკაციისას საჭიროა გათვალისწინება ზოგიერთი სხვა საფუძვლებისა, სახელდობრ:

1. თანხმოვანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი წარმოება;

2. ასპირაცია (ანუ ფშინვა) და ასპირატები (ფშინვიერები);

3. ხშულ თანხმოვანთა წყვილეობრივი, სამეულებრივი და ოთხეულებრივი სისტემები;

4. თანხმოვანთა ნაპრალოვნობა (ანუ სპირანტობა);

5. რთული თანხმოვნები (ანუ აფრიკატები);

6. თანხმოვანთა ფარინგალურობა (1948,77).

თანხმოვანთა რედუქცია რედუქცია მოსდის ყოველგვარ თანხმოვანს – როგორც ხშულს, ისე ნაპრალოვანსა და სონორულ თანხმოვანს (1966, 171-172). იხ. **თანხმოვანი; ბგერათ-რედუქცია**.

თანხმოვანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი ბგერათწარმოება როგორც წესი, ყოველი სამეტყველო ბგერა იწარმოება ჰაერნაკადით – ამოსუნთქვის გზით. ამას ვეძახით სუნთქვიერ ბგერათწარმოებას. მაგრამ არის ზოგიერთ ენაში ისეთი თანხმოვნები, რომლებიც იწარმოება „ყელსშივით“, ე. ი. სახმო სიმების დაკეტილობისას. მაშასადამე, ამოსუნთქული ჰაერის უმისოდ იმ ჰაერის მარაგით, რომელიც იმყოფება ზესადგამ მილში, ესაა უსუნთქველი ბგერათწარმოება.

ქართულში, მაგ., უსუნთქველია შემდეგი ხშული თანხმოვნები: პ-ტ-წ-ჭ-კ-ყ; ასეთი ხშული თანხმოვნები აქვს, მაგ., სომხურს და კავკასიურ ენებს (აქედანაა მათი სახელწოდება „კავკასიური ხშულები“) (1949, 77). იხ. **თანხმოვანი; თანხმოვანთა კლასიფიკაცია**.

თანხმოვანთა ტემბრი თანხმოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფიზიოლოგიურად იმის კვალობაზე, თუ რა ადგილას და რა სახის დაბრკოლების გადალახვა უხდება ჰაერნაკადს მათი წარმოქმნისას. ამ დაბრკოლებათა დაძლევისას წარმოიქმნება ხოლმე თითოეული თანხმოვნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ჩქამი, რომლითაც ჩვენ გავარჩევთ ხოლმე ერთ თანხმოვანს მეორისაგან...

თანხმოვანთა სატემბრო ანუ რეზონატორული ტონის სიმაღლე მრავალგვარია: სხვადასხვა თანხმოვნისათვის იგი მერყეობს 20 ორმაგ რხევასა (მაგ., ფ-სათვის) და 4000-ს (მაგ., ს-სათვის) შუა.

ყველაზე დაბალი სატემბრო სიმაღლე აქვთ ბაგისმიერებსა და უკანაენისმიერებს; წინაენისმიერები უფრო მაღალია; რბილი თანხმოვნები უფრო მაღალია, ვიდრე მგაერი თანხმოვნები.

ერთისა და იმავე თანხმოვნის სიმაღლე საკმაოდ ცვალებადია იმის მიხედვით, თუ როგორ მეზობლობაშია მოცემული თანხმოვანი; მაგ.: ს-ს სხვა სატემბრო სიმაღლე აქვს ა-ს წინ (მაგ., სა-ში) და სხვა სიმაღლე ა-ს შემდეგ (ას-ში), სხვადასხვა სიმაღლისაა ს სუ-ში და უს-ში; ორივე უკანასკნელი ს განსხვავდება ორივე პირველი ს-საგან სატემბრო სიმაღლით და ა. შ. (1938, 63), (1949, 329).

თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები თანხმოვანთა ისეთ კომპლექსებს, როგორცაა, მაგ., ბღ, თხ, ჭყ, ეძახიან ქართული ენის სპეციფიკურ კომპლექსებს. სპეციფიკურია ეს კომპლექსები ქართულისათვის, რადგანაც ასეთი რამ, სისტემის სახით სხვა კავკასიურ ენაში არ გვხვდება; ქართულში კი ისინი სისტემას წარმოადგენენ. ეძახიან მათ აგრეთვე ჰარმონიულ ჯგუფებს, რადგანაც კომპლექსში შემავალი თანხმოვნები (მაგ., ბ და ღ, თ და ხ, ჭ და ყ) შეგუებულია ერთმანეთთან არა მხოლოდ ფიზიოლოგიურად, არამედ აკუსტიკურადაც: კომპლექსის შემადგენელი ორივე თანხმოვანი ერთნაირი მქედრობა-სიყრუისაა: ან ორივე მქედრი, ან ორივე ყრუ ფშვინიერი, ან ყრუ მკვეთრი. ქართულში ჩვენ ვახსენებთ თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების ორ სისტემას: A – სისტემა და B – სისტემა.

საერთოა ორივე სისტემისათვის კომპლექსთა პირველი კომპონენტები, სახელდობრ, ხშულთა პირველი ოთხი საძეული: ბ-ფ-ბ, დ-თ-ტ, ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ.

განსხვავებულია ერთმანეთისაგან A და B – სისტემები კომპლექსთა მეორე კომპონენტებით, სახელდობრ, A – სისტემაში მონაწილეობს ხშულთა მეხუთე საძეული (გ-ქ-კ), ხოლო B-ში მეოთხე წვეილეული (ღ-ხ) და მეექვსე საძეულის ყ (1949, 109). იხ. **თანხმოვანი**.

თანხმოვანთადაწვევა თანხმოვანთადაწვევა არის ამა თუ იმ ენის ხშულ თანხმოვანთა სისტემებრივი, კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილება რაგვარობის მიხედვით. ამ ფონეტიკურ მოვლენას უმართებულად შერჩა გერმანულად სახელწოდება, უმჯობესია მას ვეძახდეთ თანხმოვანთადაწვევას (და უფრო ზუსტად ხშულთა გადაწვევას) და არა ბგერათადაწვევას, რაც თარგმნილია გერმ. სპეციალურ ფონეტიკურ შრომებში თანდათან ვრცელდება მართებული ტერმინი *передвижение* (ან *перебой*) *согласных* ფრანგ. *mutation consonantique* და ინგლ. *consonantschift* (1949, 216). იხ. **თანხმოვანი**.

თანხმოვანთმონაცვლეობა თანხმოვანთმონაცვლეობას წარმოადგენს, მაგ., მქედრისა და ყრუ ჩქამიერის მონაცვლეობა გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში: გრძნობა, გრძნობდა, მაგრამ გრძნოფს (ბ გაყრუვდა ს-ს წინ); რიგი, რიგზე, მაგრამ რიქში (გ გაყრუვდა შ-ს წინ). მაშასადამე, აქ გვაქვს მონაცვლეობა, ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორ-

მაში: ბ/ფ, გ/ქ (1949, 208). იხ. ბგერათმონაცველობა; თანხმომოვანი.

თანხმომოვანი თანხმომოვნები ისეთი ბგერებია, რომელნიც იწარმოებიან ამა თუ იმ სახის დაბრკოლებით (ხშირად ან ღრიჭოვნობით), რის გამოც ისინი მეტად ჩქამიერნი არიან და ნაკლებ სონორნი; მათაც შეიძლება ქონდეს ხმიერება, მაგრამ მათთვის ეს დამახასიათებელი არაა; მათ ახასიათებს ესა თუ ის ჩქამი. მაშასადამე, რაც უფრო დაბრკოლებულია ხმის ან ღრიჭოვნობის სახით ბგერის წარმოება, მით მეტი შესაძლებლობაა თანხმომოვანის წარმოქმნისათვის. საერთოდ, ფიზიოლოგიურად მეტი ღიაობა და აკუსტიკურად მეტი ხმიერობა ახასიათებს ხმომოვანს. თანხმომოვანს – პირუკუმო; მოკლედ, დაუბრკოლებელია ხმომოვანი, დაბრკოლებულია თანხმომოვანი (1931, 11). იხ. ალვეოლარული თ.; აპიკალური თ.; ასპირირებული თ.; ბაგე-კბილისმიერი თ.; ბილაბიალური თ.; გემინირებული თ.; გვერდითი თ.; გრძელი გაორმაგებული თ.; გუტურალური თ.; დენტილატურალური თ.; დენტიფაუკალური თ.; დორსალური თ.; ენისწვერისმიერი თ.; ენისძირისეული თ.; ინტერდენტალური თ.; კაკუმინალური თ.; ლაბიო-დენტალური თ.; ლიკვიდი თ.; მთრთოლი თ.; მკვეთრი თ.; მკვეთრი ხშიული თ.; მჟღერი ფარინგალური ხშიული თ.; მჟღერი ღრიჭოვანი თ.; მჟღერი ხშიულ-მსკდომი თ.; მსკდომი თ.; ნაპრალოვან-ფარინგალური თ.; ნაპრალ-ხშიული თ.; ნაქისმიერი თ.; ნახეფრადხშიული თ.; ოდნაფშვინიერი ყრუ ხშიული თ.; პალატალური თ.; პირისეული თ.; პირსიქითეული თ.; რბილსასისმიერი ხშიული თ.; რთული ხშიული თ.; სისინა თ.; სონორული თ.; სუსტი თ.; სრულფშვინიერი ყრუ ხშიული თ.; უკანაენისმიერი თ.; უსუნთქველი თ.; ფარინგალური თ.; ფაუკალური თ.; ფშვინიერდამართვიანი თ.; ფშვინიერი თ.; ფშვინიერშემართვიანი თ.; ყელხშიული თ.; შუაენისმიერი თ.; შუა-უკანაენის ნაპრალოვანი თ.; ჩქამიერი თ.; ცალგვერდითი თ.; ცერებრალური თ.; ძლიერდამართვიანი თ.; ძლიერი თ.; ძლიერშემართვიანი თ.; წინაენისმიერი თ.; წყვილბაგისმიერი თ.; წყვილგვერდითი თ.; ხახისმიერი თ.; „ხორხისმიერი“ თ.; ხშიული ფარინგალური თ.; ხშიულ-მსკდომი თ.; ხშიულ-ნაპრალოვანი თ.; თ-თა კლასიფიკაცია; თ-თა განდასება; თ-თა გადაწვევა; თ-თა სუნთქვითი და უსუნთქველი ბგერათწარმოება; თ-თა რედუქცია; თ-თა აქცესიური კომპლექსების სუპერაცია.

თანხმომოვნი დიფთონგი იხ. აფრიკატიზაცია.

თიფთიფა სიგმატიზმი იხ. სიგმატიზმი.

თქმა იხ. ენა.

თხრობითი შესიტყვების მახვილი ქართულში ყოველი თხრობითი შესიტყვება თავდება დაბალი ტონით, რაც წერაში აღინიშნება წერტილით. მაგ.: ოთარაანთ ქერივი. გავიდა ოთხი წელიწადი. გაზაფხულის პირი იყო. პეტრეს ქალაქში ერთი ორიოდ დღე მოუგვიანდა.

შესატყვებათა პირველ სიტყვებზე ტონი თანდათან მალდება, ხოლო ბოლოსკენ დაბლდება. კიდევ უფრო მეტადაა რთული ინტონაცია რთულ წინადადებაში: დღეს სადამოხე, მზე გადაიხრება, უნდა ქარავანი დაიძრასო. მთავრისა და დამოკიდებულის მიჯნაზე იწერება მძიმე, რაც იმას გამოხატავს, რომ ამ ადგილას ტონი მალდება. მიღებულია მძიმის დასმა რღმ-ით დაწყებულ დამოკიდებულ წინადადებაში მხოლოდ რღმ-ის წინ; ნამდვილად კი ტონის ამალდება ხდება რღმ-ის შემდეგ; მაგ.: ”კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქერივს არ ჩამოვლო იარაღი.”

საყურადღებოა აგრეთვე ტონის ამალდება წინადადების შიგნით თანაგვაროვან წვერების გამეორებისას. მაგ.: ”...ნახავდით ბუდით ჩამოკიდებულს... თოფს, ხმალს, ხანჯალს, დამბახას, სასწრაფოს და საპირწამლეს” (1949, 139).

0

იაპონური ენა გენეალოგიურ კლასიფიკაციაში განცალკევებით სდგას იაპონური ენა: იგივე ითქმის აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ენებზე: ეუკაგირთა, კორეაკთა, ჩუქთა და კამჩადალთა ენებზე. სტრუქტურის მხრივ იაპონურს წააგავს ინდონეზიის დრავიდული ენები (1918-19, 20).

იაფეტიდოლოგიური ანალიტიკური ანბანი ქართულ ბგერათა კლასიფიკაცი აკად. ნ. მარრს წარმოდგენილი აქვს ცხრილის სახით, რომელსაც „იაფეტიდოლოგიური ანბანი“ ჰქვია. მასში არაა მოცემული ბგერათწარმოების ადგილი და გვარობა ღიაობა-დახშიულობის თვალსაზრისით და არცაა ეს ამ კლასიფიკაციის მიზანი. მისი მიზანია მოგვცეს უმთავრესად ქართულ ბგერათა დალაგება მათი სი-

სუსტე-სიძლიერის თვალსაზრისით სოციალურ გამოყენებაში და მათი შედგენილობის (სირთულე-სიმარტივის) მიხედვით. საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით ეს „იაფეტი-დოლოგიური ანბანი“ მოცემულია აკად. ნ. მარტის მიერ შრომაში „Абхазский аналитич. алфавит“, Ленинград, 1926. ანალიტიკური დაერქვა მას იმიტომ, რომ მასში გათვალისწინებულია ბგერათა შედგენილობის სირთულე-სიმარტივე, და ამის მიხედვით თითოეულ ბგერას მიკუთვნებული აქვს გარკვეული სისტემით ისეთი ნიშანი, რომელშიც ჩანს ბგერის შედგენილობა. ამდენად „ანბანი“ იშვიათის თანამიმდევრობითაა შედგენილი (1938, 174-175).

მარტივი ბგერა არ უნდა გამოიხატებოდეს რთულ (შედგენილ) ნიშნით და რთული (შედგენილი) ბგერა – მარტივით. ამ სისტემის ანალიტიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში გათვალისწინებულია ბგერის შედგენილობა (ე. ი. ბგერის სირთულე თუ სიმარტივე) და ნიშანიც ამის მიხედვით აქვს მას მინიჭებული (სისტემა ეხება მხოლოდ თანხმონებს, რადგანაც იაფეტურ ენათა ბგერითი სირთულე სწორედ თანხმონებშია). იაფეტოდოლოგიური ანალიტიკური სისტემა უახლოვდება რიცხვის გამოსახვის ციფრულ სისტემას: როგორც რიცხვებია დაყოფილი ერთეულებად, ათეულებად, ასეულებად და ა. შ., ბგერებიც ამ სისტემით იყოფა მარტივებად, ორმაგებად (ანუ ორშედგენილებად), სამმაგებად (ანუ სამშედგენილებად) და ა. შ. (სიმარტივე და შედგენილობა ბგერისა გაგებულია არა გენეტიკურად: მაგ., აფხაზურისათვის ძირითად მარტივ თანხმონებებად მიღებულია ექვსი: წინაენის $t d \theta$ (ტ დ თ) და უკანაენის $k g q$ (კ გ ჟ); მარტივი თანხმონები სხვაც არის ($v m - ვ მ, p b q - პ ბ ფ; n l r - ნ ლ რ$), მაგრამ მხოლოდ ის ექვსი წარმოადგენს ისეთ მყარ მარტივებს, რომელთაც შერჩენიან უნარი დაირთონ სუსტი თანხმონები (სისტემით ნულის რიგისა – სულ ცხრა $sz - სზ, шj - შჟ, ny - ჰყ$ (ეს ყ მუდერი ჰ არის) $xy - ცჟ$) და გართულდენ: ორშედგენილად ანუ გაორმაგდენ (როცა დაირთავენ ცალკეულ სუსტს), სამშედგენილად ანუ გასამმაგდენ (როცა დაირთავენ ორ სუსტს). მაგალითისათვის ავიღოთ t ტ (მარტივია, ციფრულად ერთეული): როცა მას ერთვის სუსტი თანხმონი (ციფრულად ნულის რიგისა), მაგ. s -ს, მივიღებთ t წ-ს (ციფრულად ათეულს): როცა იმავე t ტ-ს ერთვის არა ცალკეული s ს, არამედ s და w (ს

და z) ერთად, ე. ი. $t+s+w$ მივიღებთ t° წ^o-ს (ციფრულად ასეულს).

სუსტ თანხმონებიდან $sz - სზ, шj - შჟ$ დაერთვიან წინაენისმიერ მარტივებს ($td\theta$ ტდთ-ს). ხოლო ny, xy დაერთვიან უკანაენისმიერებს ($kgq - კგჟ$); ამასთანავე მუდერ მარტივს – მუდერი სუსტი, ყრუს – ყრუ (1931, 41-42).

იდეოგრაფიული წერა იდეოგრაფიული წერა წარმოადგენს პიქტოგრაფიულ განვითარებას და მდგომარეობს შემდეგში: გამოსახულება გამარტივებულია, ნაკლებად ჰგავს გამოსახატავს და ამდენად წარმოადგენს გამოსახატავის თითქმის მხოლოდ სიმბოლურ ნიშანს; იდეოგრაფიული წერა მოასწავებს აზრის სიტყვობრივი დანაწევრების გზაზე შედგომას: სიმბოლური ნიშნები მოეპოვება უკვე არა სათქმელს მთლიანად, როგორც ეს პიქტოგრაფიაშია, არამედ ცალკეულ სიტყვებსაც – სიტყვების ბგერებად დანაწევრების გარეშე, რა თქმა უნდა (1931, 21-22), (1938, 8), (1949, 168), (1966, 144). იხ. წერა.

იეროგლიფი იდეოგრაფიულად აგებულ წერის სისტემებს შერჩათ ბერძნული სახელწოდება იეროგლიფი, რაც ნიშნავდა „საღვთო ამონაკვეთი“ (ἱερός „საღვთო“, γλυφή „ამონაკვეთი“) (1966, 144). იხ. წერა.

იმპლოზია იმპლოზია ხშულისა შეიცავს ორგანოთა საწარმოთქმო დახშვის მომენტს (ფრანგ. implosion „ჩაგუბება“) (1949, 29).

ინდიფერენტული მდგომარეობა ესაა ის მდგომარეობა, რომელშიც სამეტყველო ორგანოები იმყოფებიან სამეტყველოდ ამოქმედების უშუალოდ წინ; ...ცალკეული ორგანოები ინდიფერენტულ მდგომარეობაში მოწყობილნი არიან შემდეგნაირად: 1) ხორხი ღიაა, ე. ი. ხორხსარქველი არ ხურავს მას და დგას ვერტიკალურად; 2) სახმო სიმები დაშორებულია ერთმანეთს, ე. ი. ყია ღიაა გასწვრივ, რის გამოც ჰაერი უჩქამოდ ამომდინარეობს; 3) რბილი სასა ჩამოშვებულია, და, მაშასადამე, ჰაერი შედის და გამოდის ცხვირის გზით, თუ პირი მოკუმულია; 4) ენა ძვეს უძრავად ქვედა კბილებთან და ეხება ზედა კბილებსაც, თუ პირი მოკუმულია; 5) ბაგეები დახურულია. ინდიფერენტული მდგომარეობას ეძახიან აგრეთვე საარტიკულაციო ბაზისს,

რადგანაც ის წარმოადგენს, ასე ვთქვათ, დასაყრდენს, გამოსავალ წერტილს არტიკულაციისათვის. შემჩნეულია, რომ საარტიკულაციო ბაზისი ანუ ინდიფერენტული მდგომარეობა განსხვავებული აქვს არათუ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეს, არამედ ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე მოსაუბრეს და თითოეულ პიროვნებასაც კი (1938, 31-32). იხ. **არტიკულაციათა მომენტები; ბგერათწარმოქმა.**

ინდოევროპული ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახის სახელწოდებად ბ. კლაპროთმა 1823 წელს იხმარა „ინდოევროპული“, რომელიც იმდენად გავრცელდა, მეტადრე – შოკინისტურ განწყობილ დოინლანდელ მეცნიერთა შორის, რომ ბოპპი იძულებული გახდა ამხედრებულიყო ამ უმართებულო ტერმინის წინააღმდეგ „...ვერავითარ საფუძველს ვერ ვხედავ, თუ რატომ უნდა ჩანდნენ ამ ფართოდ გავრცელებულ ენათა ოჯახის სახელწოდებაში მაინცდამაინც გერმანელები, როგორც წარმომადგენლები ძველთაგანვე მონათესავე ხალხთა“.

ბოპპის აზრით, ისევე სჯობს ეწოდოს ამ ენებს „**სანსკრიტული**“ ენები, რადგანაც ეს უკანასკნელი სახელწოდება ყურადღებას ამახვილებს არა ეროვნულობაზე, არამედ აკვარგინობაზე (1942, 2). იხ. **„არიული“ ენები.**

ინდოევროპულ ენათა ოჯახი როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დამდეგიდან 40-იან წლებამდე დამტკიცდა სრულიად დამარწმუნებლად, რომ ურთიერთმონათესავენი არიან ენათა შემდეგი ჯგუფები და ენები: ძვ. ინდური, ძვ. ირანული, სომხური – აზიაში, ძვ. ბერძნული, ლათინური, ალბანური, გერმანული, კელტური, ბალტური და სლავური – ევროპაში; ამათივე მონათესავე აღმოჩნდნენ (XX საუკ. დამდეგს) აგრეთვე ტოქარული ენა აღმოსავლეთ თურქესტანში და ხეთური ენების ნაწილი მცირე აზიაში. ჩამოთვლილ ენათა ერთმანეთთან ნათესაური ურთიერთობის აღსანიშნავად ისინი ჩათვლილ იქნენ ერთი ოჯახის, სახელდობრ – ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრებად.

თვით ეს სახელწოდება „ინდოევროპული“ მისცა ამ ოჯახს ფრანც ბოპპმა, შედარებითი ენათმეცნიერების დამაარსებლად ცნობილმა (1918-19, 17-18), (1942, 1-2).

ინდო-ირანული იხ. **„არიული ენები“.**

ინდო-ირანულ-ევროპული იხ. **„არიული ენები“.**

ინსპირაცია იხ. **რესპირაცია.**

ინსპირაცია-ექსპირაცია იხ. **რესპირაციული და ურესპირაციო ბგერათწარმოქმა; რესპირაცია.**

ინტენსიობა იხ. **ბგერის სიძლიერე.**

ინტერდენტალური თანხმოვანი ინტერდენტალურია კბილთაშუა თანხმოვანი, ინგლისური th (1949, 35).

ინტონაცია ორივე სახის – როგორც მუსიკალური, ისე დინამიკური – მახვილის სახეცვლილებას საერთოდ, ხოლო კერძოდ და განსაკუთრებით მუსიკალური ანუ ტონური მახვილის სახეცვალეობას მარცვლის, სიტყვისა თუ შესიტყვების ფარგლებში, ეწოდება ინტონაცია (1949, 128), (1966, 127).

იოტისებრი არტიკულაცია პალატალიზაციის შემთხვევაში თანხმოვანს ემატება შუაენის მოქმედება, როგორც მეორეული არტიკულაცია.

შუაენის ასეთ მოქმედებას ეწოდება იოტისებრი ან ისებრი არტიკულაცია, რადგანაც სწორედ იოტს და ისს აქვს ანალოგიური არტიკულაცია (იოტია, მაგ., რუს. j – პირველი ბგერა სიტყვაში я, ან ქართ. ე) (1949, 112).

ირონული დიალექტი იხ. **ოსური ენის დიალექტები.**

ირაციონალური ხმოვანი იხ. **ბგერათრაოდენობა.**

ისტორიული ბგერათმონაცვლეობა ისტორიულად განპირობებულს (კრებ-/კრეფ- ტიპისა) ან ისტორიულად სპონტანურ (ყრიალი/შრიალი ტიპისა) მონაცვლეობას, რომელთაგანაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გრამატიკული ან სემანტიკური დიფერენციაციის ფუნქცია, ჰქვია ისტორიული ანუ ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა (1949, 211). იხ. **ბგერათმონაცვლეობა.**

ისტორიული ბგერათცვლილება იხ. **ფონეტიკის შედარებითი მეთოდი; ბგერათცვლილება.**

ისტორიული ფონეტიკა ისტორიული ფონეტიკა შეისწავლის კერძო ენას ისტორიულ განვითარებაში: როგორი იყო ამ ენის ბგერითი შესაძლებლობანი წარსულ დროთა გარკვეულ ნაკვეთებზე, იცვლებოდა თუ არა – და რამდენად; რა სახეს ღებულობდა და რა ფაქტორების გავლენით, რა კა-

ნონზომიერება მოქმედებდა ამ ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდში (1938, 6-7). იხ. **ფონეტიკა**.

ისტორიულ-სპონტანური ხმოვანთმონაცველეობა იხ. **აბლაუტი**; **ისტორიული ბგერათმონაცველეობა**.

იქითური კომპლექსი იგივეა, რაც **დეცესიური კომპლექსი**. იხ. **დეცესიურ-აქცესიური კომპლექსი**.

კ

კავკასიური ლატერალი იხ. **აფხაზური თანხმოვნები**.

კავკასიური ხშულები იხ. **თანხმოვანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი ბგერათწარმოება**.

კავშირებითი ბრუნვა იხ. **ბრუნვა**.

კაკუმინალური თანხმოვანი იგივეა, რაც **ცერებრალური თანხმოვანი**.

კაფრთა ენები სამხრეთ აფრიკა უჭირავს კაფრთა ენებს, რომელნიც შეადგენდნენ ბანტუს-ოჯახს. იქაურივე ბუშმენების პოტენტოტების ენები არც ბანტუს ენათესავეებიან გენეტიურად და არც ერთი მეორეს (1918-19, 20).

კბილ-ბაგეობითი არტიკულაცია იხ. **ბაგეთა არტიკულაცია**.

კბილისმიერი თანხმოვანი იგივეა, რაც **დენტალური თანხმოვანი**.

კერძო ფონეტიკა ... შეისწავლის, თუ როგორია კონკრეტული (მაგ., ქართ.) ენის ბგერითი სისტემა, როგორაა შეპირობებული ანატომიურად და ფიზიოლოგიურად წარმოთქმა ცალკეული ბგერისა (ან ბგერის ჯგუფში), რომელი (მაგ., ქართ.) ბგერებია პირში დაკავშირებული ენასთან და რომელი სხვა ორგანოსთან, აქვს თუ არა ენას (მაგ., ქართულს) ცხვირში წარმოთქმული ხმოვნები, როგორი მახვილია მისთვის დამახასიათებელი (ბუნებრივი), როგორი სახის ასიმილაციური მოვლენები ჭარბობენ მასში, რამდენად ცვალებადია და რა მიმართებით (მაგ., ქართ. ენის) ბგერათა სისტემა და ა. შ. მაგრამ, რაც მთავარია, კერძო

ფონეტიკა სწავლობს ამ მრავალფეროვან მოვლენათა კონკრეტულ გამოყენებას მოცემულ (მაგ., ქართულ) ენაში. რა ფუნქციითაა გამოყენებული, მაგ., ბგერათა ხანგრძლიობა ან არის თუ არა) ის გამოყენებული... ხმოვანი ბგერის ფონეტიკური ხანგრძლიობა, რომელსაც შემდეგ კვატიტაციურობას ანუ რაოდენობას ვუწოდებთ, ქართულს გამოყენებული არა აქვს, მაგრამ აქვს იმ მეორე ქართველურ ენას – სვანურს, აქვს გერმანულს და მრავალ სხვა ენას; ან ასეთი საკითხი: უპაერნაკადოდ ბგერა არ იწარმოება; მაგრამ მსოფლიოში ენათა უმრავლესობას ამისათვის გამოყენებული აქვს მხოლოდ ის პაერნაკადი, რომელიც ამომდინარეობს ფილტვებიდან; ზოგიერთ ენას კი აქვს ისეთი თანხმოვანი ბგერები, რომლებსთვისაც საკმარისია ზესადგამ მიღში მყოფი პაერის თანხმა; ასეთია, მაგ., ქართველური და კავკასიური ენები. ამგვარად, კერძო ფონეტიკა, ითვალისწინებს რა ზოგადენობრივ ბგერითს მოვლენებს, სწავლობს ამ მხრივ სპეციალურად კონკრეტული ენის რაობას (1938, 5).

კერძო ფონეტიკის ნიმუშად ჩაითვლება, მაგალითად, ამა თუ იმ ენის გრამატიკაში მოცემული მეტ-ნაკლებად ვრცელი ცნობები ამ ენის ბგერათშედგენილობისა, ბგერათა დახასიათებისა და კლასიფიკაციისა და ბგერათცვლილებათა შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ფონეტიკა გრამატიკის ნაწილია: ფონეტიკა ენათმეცნიერების ისეთივე დამოუკიდებელი დარგია, როგორც გრამატიკა (1949, 6). იხ. **ზოგადი ფონეტიკა**; **ფონეტიკა**.

კვანტიტატიობა იხ. **რაოდენობა**.

კვანტიტეტი იხ. **ბგერათრაოდენობა**.

კითხვითი შესიტყვების მახვილი ქართულში ყოველი კითხვითი შესიტყვების ბოლოს იწერება კითხვითი ნიშანი, მაგრამ კითხვითი ინტონაცია არაა ყოველთვის ერთნაირი.

კითხვითი ინტონაცია ბევრნაირია, მაგრამ მათი უმრავლესობა ჯგუფდება ორი მთავარი ტიპის გარშემო: ერთია ის ტიპი, რომელშიც ინტონაცია აღმავალია (ბოლო სიტყვის ტონი მაღლდება: ჩხუბი მოგივიდა?).

მეორეა ის, რომელშიც ინტონაცია დამავალია შესიტყვების ბოლოს, მაგრამ ტონი ძლიერდება და ოდნავ მაღლდება შესიტყვების შიგნით, სახელდობრ, კითხვითს სიტყვაზე: რა ამბავია? (1949, 140). იხ. **შესიტყვების მახვილი**.

კილო იხ. ენა; წინაპარი ენა.

კილოკავი იხ. ენა; წინაპარი ენა.

კიმოგრავი ...სამეტყველო ბგერათა გრაფიკულად დაფიქსირებისათვის გამოყენებული იარაღი, რომლის საშუალებითაც იკვლევენ ბგერის სხვადასხვა თვისებას: სიძლიერეს, ხანგრძლიობას, სატემბრო სიმაღლეს, აგრეთვე ბგერების დასაწყისსა და გათავებას სიტყვაში და სხვას (1949, 57).

კინეტიკური ენა იგივეა, რაც **სხეულმოდრობითი ენა**.

კლასიფიკაცია იგივეა, რაც **განდასება**, იხ. **თანხმოვანთა განდასება**.

კოარტიკულაცია სიტყვის წარმოსათქმელად ხდება საწარმოთქმო მოძრაობის ინერვაცია არა ცალ-ცალკე ფონემებისა, არამედ მთელი სიტყვისა; მაშასადამე, ადგილი აქვს წარმოთქმის პროცესში არა განცალკევებულ არტიკულაციას, არამედ მთლიანი სიტყვის არტიკულაციას, კოარტიკულაციას (ლათ. coarticuatio „თანაარტიკულაცია“) (1966, 97).

კომბინატორული ფონეტიკური ბგერათცვლილება ბგერათშეერთების ნიადაგზე წარმოქმნილ ბგერათცვლილებებს ჰქვია კომბინატორული ფონეტიკური ბგერათცვლილებები (ლათ. combinare „ორადშეერთება“).

კომბინატორულ ბგერათცვლილებათა აუცილებლობა წარმოთქმის პროცესში არის ფონეტიკური ცვალებადობის სპეციფიკურობა (1949, 185). იხ. **ბგერათცვლილება**.

კომბინაციური ბგერათცვლილება იხ. **ბგერათცვლილება**.

კომბინაციურობა იხ. **ბგერათცვლილება**.

კომპოზიტი იგივეა, რაც **რთული სიტყვა**.

კონტამინაცია იხ. **ბგერთი კონტამინაცია**.

კონტაქტური ბგერათასიმილაცია იხ. **ასიმილაცია**.

კონტაქტური მეტათეზისი კონტაქტურია მეტათეზისი მაშინ, როცა გადასმულ ბგერათა უშუალო მეზობლობა (კონტაქტი) არ ირღვევა; მაგ.: რღმა < ღრმა; ავამტყოფი < ავად-

მყოფი; მეგრ. რშიალი < ქართ. შრიალი, წინგი და სხვა (1949, 205).

კონტრაქცია კონტრაქცია (ლათ. contractio „შეკუმშვა“); [არის] მეზობლობაში მყოფი ორი ხმოვნის შეერთვა ერთ ხმოვნად; მაგ., დედოფალი < დედაუფალი. нег (ძველი нѣтъ) < не+еть; ლათ. dego „ვაცილებ, მიმყავს“ < de + agis; გერმ. nicht „არა“ < ni-wicht „არა რაიმე“. ხმოვანთა კონტრაქცია. (1949, 235), (1966, 180).

კორელაცია იგივეა, რაც **კორელაციური ოპოზიცია** (1949, 273-274).

კორელაციური ოპოზიცია ...ისეთ დაპირისპირებას, რომლის წევრებსაც აქვთ მხოლოდ თითო განმასხვავებელი ნიშნეულობა, ეწოდება კორელაციური ოპოზიცია ანუ მოკლედ კორელაცია.

მაგ., ს – ზ წარმოადგენს კორელაციურ ოპოზიციას, რადგანაც თითოეულ მათგანს აქვს, მეორისაგან განსხვავებით, მხოლოდ თითო ნიშნეულობა: პირველს – სიყრუე, მეორეს – მჟღერობა. კორელაციას წარმოადგენს აგრეთვე გ – დ, რომელშიც პირველს აქვს უკანაენისმიერობის ნიშნეულები, მეორისაგან განსხვავებით, – ხოლო მეორეს – წინაენისმიერობა, პირველისაგან განსხვავებით; აგრეთვე შ – ყ მჟღერობა-სიყრუის მიხედვით.

კორელაციურ ოპოზიციას წარმოადგენს აგრეთვე უარყოფითნიშნეულობიანი დაპირისპირებაც: მაგ., დ – ნ. კორელაციაში დ უპირისპირდება ნ-ს არაცხვირისეულობით; დ – ტ-ში დ უპირისპირდება ტ-ს არააბრუპტივობით და ა. შ. ნიმუშები: სარი – ზარი, აგრე – ადრე, ვაშა – ვაჟა, დარი – ნარი, ადარე – ატარე... (1949, 273-274).

კრაზისი კრაზისი (ბერძნ. κράσις „შერევა“) კონტრაქციის ერთი სახეობაა: წინა სიტყვის ბოლოხმოვნის შეერთვა მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანთან; ამის ნიმუშია დედოფალი. (1949, 236). იხ. **კონტრაქცია**.

ლაბიალიზაცია ტუჩების წყვილად აქტიურ მონაწილეობას ხმოვანთა წარმოქმნაში ვეძახით ლაბიალიზაციას (1949, 34). იხ. **ლაბიალიზაცია**.

ლაბიოდენტალური თანხმოვანი იხ. **ბაგე-კბილისმიერი თანხმოვანი**.

ლარინგალური თანხმოვანი იხ. „**ხორხისმიერი**“ თანხმოვანი.

ლარინგალური ხშული იხ. **სპირანტი**.

ლაბიალიზებული ხმოვანი იხ. **ხმოვანთა ლაბიალიზაცია**.

ლატერალი ლატერალი (ლატერალური) ანუ გვერდითი თანხმოვანია, მაგ., ქართულის ლ, რომლის წარმოქმნასაც წინაენა ებჯინება ზედაკბილებს, ეხება რა თავისი ქვედა კბილით ქვედა კბილებსაც; ხოლო ჰაერნაკადი გამომდინარეობს ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შუა (ლათ. *latus* „გვერდი“, *lateralis* „გვერდითი“) (1949, 42). იხ. **ლიკვიდი**; **შერეული რაგვარობა**.

ლატერალური (გვერდითი) ანუ თლიფინა სიგმატიზმი იხ. **სიგმატიზმი**.

ლატერატი ზოგიერთი კავკასიური ენის ე. წ. „ლატერალური“ თანხმოვნები“, რომლებსაც ჩვენ ვუწოდებთ ლატერატებს.

ლატერატი მეორეული წარმოშობისაა კავკასიურ ენეში, მაგრამ არა ხშულთა სპირანტიზაციის გზით, როგორც ამას ადგილი ჰქონია, მაგ., ინგლისურში, არამედ სიგმატიზმის ნიადაგზე; ამ მხრივ კი ლატერატის განვითარება წარმოადგენს ინგლისური th-ს წარმოქმნის ანალოგონს: ერთივ და მეორეც სიგმატიკური წარმოშობისაა. არაა გამორიცხული, რა თქმა უნდა, რომ ზოგიერთი ლატერატი (მათი რიცხვი, ფონემის სახით, ხუთამდე აღწევს, მაგ., ხუნძურის ხუნძახურ კილოში) ეტიმოლოგიური წარმოშობისაგან იყოს – როგორც სპირანტიზაციის, ისე ბგერათშერწყმის ნიადაგზე; აგრეთვე ანალოგიის გზითაც; მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ჩვენ მეორეულად resp. მესამეულად (თუ თვით ლატერატის სიგმატიკური წარმოქმნა მეორეულად ჩაითვლება) გვეჩვენება, მეტადრე, სიტყვის

არაძირეულ ელემენტებში; ძირეულებში კი, როგორც ჩანს, ლატერატები სიგმატიკურისა და ანალოგიის გზითაა მიღებული (1949, 412-414). იხ. **აფხაზური თანხმოვნები**.

ლექსიკოლოგია იხ. **ენათმეცნიერება**.

ლიეზონი (ფრანგ. *liaison* „შეერთება, შეკავშირება“) ჰიატუსის ასარიდებლად თანხმოვნის ჩართვა სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვის თავიკიდურ ხმოვანს შუა (1949, 236), (1966, 180).

ლიკვიდი რაც შეეხება ლ-სა და რ-ს, რომელთაც შერჩათ ძველი სახელწოდება ლიკვიდები (ლათ. *liquidus* „მდინარე“), პირველი მათგანია გვერდითი (ლატერალი) ნაპრალ-ხშული, მეორე – მთრთოლი ანუ ვიბრანტი. ლ-სათვის ჰაერნაკადის დენა („მდინარობა“) პირიდან ხდება ენის გვერდებით, რადგანაც წინაენა ჩვეულებრივ მიბჯენილია ზედა კბილებზე და ეხება ქვედა კბილებს; ამიტომ ჰაერნაკადის აქედან დენა შესაძლებელია მხოლოდ სკდომის შემდეგ. მაშასადამე, ერთსა-და-იმავე დროს ნაპრალსაც აქვს ადგილი (ენის გვერდებთან) და ხშვასაც (ენა-კბილებით). ჰაერნაკადი შესაძლოა მომდინარეობდეს მხოლოდ ცალი გვერდიდან (მაშინ გვექნება უნილატერალი ანუ ცალგვერდითი ლ) ან ორივედან ერთჟამიერად (ბილატერალი ანუ წყვილ-გვერდითი ლ). ლ ყრუვდება სიტყვის ბოლოში და ასიმილაციურად, რაც ითქვა აქ ლ-ს შესახებ, ეს საერთოა მისი ყველა სახეობისათვის. დავასახელოთ ლ-ს რამდენიმე სახეობა: ქართულ ლ-ს შეგვიძლია ვუწოდოთ ენა-კბილისმიერი ანუ დენტალური: წინაენა ებჯინება კბილებს ან საზღვარს კბილებსა და ნუნებს შუა, ეხება აგრეთვე ქვედა კბილების კედლებს; ენის ზურგი ბრტყილადაა, თუ კი ენის ზურგი ფართოდ ეხება მაგარ სასასს, ხოლო წინაენა ისევე კბილებთანაა მიბჯენილი, მაშინ გვექნება ე. წ. რბილი ანუ პალატალური ლ, როგორიცაა, მაგ., მეგრულის სენაკურ წარმოქმნაში, ჭანურში და რუსულში (л). ლ-ს მესამე სახეობაა ენა ნუნის ანუ ალვეოლარი, რომლის წარმოებისას წინაენა აწეულია, და ენის წვერი ებჯინება ნუნებს (ალვეოლებს); ასეთია, მაგ., ჩვეულებრივი გერმანული l და, თუ ამავე დროს ენის ზურგი მაგარ სასასს მიედება, ფრანგული რბილი l. მეოთხე სახეობა გვაქვს რუსულში, ე. წ. მაგარი л-ს სახით: ესაა ველარული ან უკანაენისმიერი л, რომლის წარმოქმნასაც წინაენა მოქმე-

დებს ისე, როგორც ქართული ღ-სათვის, მაგრამ ენის ზურგი ჩაზნექილია, ხოლო უკანაენა აიწევა რბილი სასისაკენ.

მეორე ცალკეული ლიკვიდი რ მთრთოლია ანუ ვიბრანტი; ასეთი სახელწოდება მიეცა მას იმიტომ, რომ ჩვეულებრივი (მაგ., ქართული) რ-სათვის ხდება დაჭიმული ენისწვერის თრთოლა (ვიბრაცია) ნუნებთან ანუ ალვეოლებთან მიბჯენით. ენის წვერის სათრთოლო გაქანებათა (ვიბრაციათა) რიცხვი სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ როგორი სიმაგრის (ანუ უკეთ სიმტკიცის) რ არის ამათუიმ ენაში და როგორ ბგერითს გარემოცვაშია იგი. საერთოდ, რ-სათვის ენისწვერის ვიბრაციათა რიცხვი უდრის წამში 20-35-მდის, მაგრამ რადგანაც ერთი წამის ხანგრძლიობა არ ესაჭიროება რ-ს სიტყვაში, ამიტომ ვიბრაციათა რიცხვი რ-ს მოუწევს 1-5-მდის, – გაანჩნია, სიტყვის თავშია, ბოლოში, ხმოვნის წინ თუ ხმოვნის შემდეგ და ა. შ. (Jespersen, 38). რ შეიძლება დაყრუვდეს სიტყვის ბოლოში და ასიმილაციურად, რ-ს სახეობათაგან აღენიშნავ რამდენიმეს: ქართული რ ენა-ნუნის ანუ ალვეოლარია. მისი ვიბრაციათა რიცხვი არ აღემატება 2-3-ს; ამიტომ ქართული რ საშუალო სიმტკიცისად უნდა ჩაითვალოს. კიდევ უფრო სუსტი ჩანს ჭანური რ, რომელიც ამის გამო ხშირად იცვლება ძ-დ (მუ რე > მუ დე? „რა არის“) ან სრულად იკარგვის (ოხორი > ოხოი „სახლი“, ბერე > ბეე „ბავში“, ა. ჩიქობავა, §7, 8). როცა ენისწვერი არ ვიბრირებს ანუ არ თრთის ნუნების მიმართ, გვაქვს შემდეგი ორი სახის რ: ერთია ე. წ. ფრანგული „მოქცეული“ (რუსულად *картавый*, ფრანგულად *grasseyé*) რ, რომელსაც ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ეძახიან უვულარულ (ნაქისმიერ) რ-ს. ამის საწარმოებლად ენისწვერი დაშვებულია ქვედა კბილებთან და მსუბუქად ებჯინება მათ შიგნიდან; უკანაენა აწეულია ცოტაოდნად; ნაქი მოხრილია წინასკენ, დაბჯენილია ენის ზურგის უკანა ნაწილზე და ვიბრირებს ისე, როგორც ენის წვერი ალვეოლარულია რ-სათვის. ცხვირისკენ გასავალი ხერეღი, რათქმაუნდა, დაკეტილია. ასეთი რ-ს მეორე სახეობაა ე. წ. დორსალური (ენისზურგისმიერი) რ, რომელსაც პარიზულს ეძახიან: განსხვავდება უვულარულისაგან იმით, რომ ნაქი არაა მოხრილი და არ ვიბრირებს, ებჯინება კი ენის ზურგის იმავე ნაწილს, მაგრამ ენის ზურგი ძალზე აწეულია შუასასისაკენ; ჰაერნაკადი გამომდინარეობს დაბჯენილი ნაქის

ორივე გვერდით (Maurice Grammont, *Traite de phonetique*, 73) (1938, 170-172).

ლინგვისტური მახვილი ისეთ მახვილს, რომელიც ტრადიციულია მოცემული ენისათვის, ეწოდება ლინგვისტური მახვილი (1949, 129), (1966, 128).

ლიტერატურული ენა მხოლოდ ლიტერატურული ანუ მწერლობის ენაა ერთ წერტილზე შენერებული, დამორჩილებული გრამატიკის ნორმებს. ჩვეულებრივ, ლიტერატურული ენა მუშავდება ენის რომელიმე დიალექტის ნიადაგზე, იმ დიალექტის, რომელიც რაიმე მიზეზის ან მოსაზრების ძალით ითვლება იმ ზომ „უკეთესად“, რომ წარმოდგენილია მიბაძვის საგნად. ასეთ მიზეზად შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიური ან კულტურული უპირატესობა ერის იმ ნაწილისა, რომელიც იმ „უკეთეს“ დიალექტზე ლაპარაკობს. ამ პირებს გარდა და ხშირად დამოუკიდებლად მათგან საკმარისია რომელიმე ერთ დიალექტზე სწერდეს ერთი შესანიშნავი მწერალი, რომ ეს დიალექტი გახდეს მთელი ერისათვის ენის ნიმუშად. ეს ენა ხდება მწერლობის ენად, და განათლებულ წრეებშიაც ამ ენებზე ცდილობენ ლაპარაკს. იქმნება და წესდება „კანონები“ და ნორმები ამ ენებისათვის, რომელთა დარღვევა ენის უცოდინარობად ითვლება. ენის დაკანონების დროს მასში შედის მრავალი ელემენტი მეზობელ დიალექტებიდან, ისეთი ელემენტები, რომელნიც არ არიან ნაყოფნი დაკანონებული დიალექტის ორგანული განვითარებისა. დიალექტები კი განაგრძობენ თავის განუწყვეტელ განვითარების პროცესს, ის დიალექტიც, რომლის განვითარების ერთი საფეხური დაკანონებულ ენაში გაიყინა.

მაშასადამე, ლიტერატურული ენა ერთის მხრით სწევებს კავშირს ენის ბუნებრივ განვითარებასთან და მეორე მხრით, შეაქვს თავის საგანძურში უცხო ელემენტები სხვა დიალექტებიდან. ამიტომ ყოველი ლიტერატურული ენა ხელოვნურია (1918-1919, 8).

ლოგიკურ-ემოციური მახვილი ...მახვილთა ერთობლიობას უწოდებენ ლოგიკურს ანუ ინტელექტუალურ მახვილს, რამდენადაც მას შეუძლია გამოხატოს აზრის ნაირფეროვნება, და ემოციურს, რამდენადაც მას შეუძლია გამოხატოს გრძნობათა ნაირფეროვნება. ჩვენ ვუწოდებთ მას სა-

ერთოდ ლოგიკურ-ემოციურს ანუ მოკლედ ლოგიკურ მახვილს...

საკუთრივ ლოგიკურ მახვილს ეძახიან შესიტყვებაში რაიმე მხრივ მეტად მნიშვნელოვანი სიტყვის გამოყოფა-გამოჩინებას (1949, 128), (1966, 127).

ლოგიკური მახვილი იგივეა, რაც **ლოგიკურ-ემოციური მახვილი**.

ლიგონეგროზი იგივეა, რაც **ენაბლუობა**.

ლოგოპედია ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დარგია ლოგოპედია (ბერძნ. λόγος „სიტყვა, მეტყველება“, παιδεία „აღზრდა, სწავლება“)...

ლოგოპედია მჭიდრო კავშირშია მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებთან; მეტადრე იგი ეყრდნობა სამეტყველო და სასმენ ორგანოთა ანატომია-ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის მონაცემებს; დაკავშირებულია იგი საერთოდ ფსიქოლოგიასთან, ფსიქიატრიასა და ნევროპათოლოგიასთან, ყველაზე მეტად კი – ფონეტიკასთან (1949, 404).

ღურსმული წერა სუმერული იდეოგრაფიისაგან (სუმერთა დამპყრობი ბაბილონელი სემიტების ხელში) განვითარდა ე. წ. ღურსმული წერა (მარცხნიდან მარჯვნივ), რომელიც გადაადის უკვე ბგერითს – ჯერ მარცვლობითს – წერაზე (ამას, ალბათ, ხელი შეუწყო იმან, რომ სუმერული ენა ერთმარცვლოვანია). ამდენად ღურსმული წერა წარმოადგენს დამწერლობის მნიშვნელოვან წინსვლას, რადგანაც აქ ხდება უკვე სიტყვის ბგერობლივი ანალიზი. სპარსელების ხელში, რომელთაც ღურსმული წერა შეითვისეს ბაბილონელთაგან, მას უკვე ანბანური სახე მიეცა. (მარცვლოვნობითი წერა მდგომარეობს იმაში, რომ ნიშანი აქვს არა თითოეულ ბგერას, როგორც ანბანურში, არამედ მთელ მარცვალს: იწერება ძირითადი ნიშანი (ასო) მხოლოდ თანხმოვნისათვის, ხმოვანი კი იგულისხმება, ან დაიწერება სხვა დამხმარე ნიშანი. ასეთია არაბული, ნაწილობრივ ძველი ებრაული და ზოგიერთი სხვა) (1938, 84), (1949, 169), (1966, 145). იხ. **მარცვლობითი წერა; წერა**.

მაგარი ბგერა იგივეა, რაც **ველარული ბგერა**.

მაგარი სასისმიერი ხმოვანი იხ. **წინა რიგის ხმოვანი**.

მადიფერენცირებული ანალოგია იგივეა, რაც **ფუნქციონალური ანალოგია**.

მალაო-პოლინეზიურ ენათა ოჯახი მალაო-პოლინეზიურ ენათა ოჯახი გაშლილია დიდი ოკეანეს სივრცეზე: მალაურად ლაპარაკობენ კუნძულ მალაკაზე და ფილიპეს და ლანდონის კუნძულზე; მელანეზიურად ვიჯიზე და სხვა მახლობელ კუნძულებზე; პოლინეზიურად ახალ ზელანდიაში, მადაგასკარზე და პოლინეზიაში (1918-19, 20).

მანძილის მეტათეზისი იგივეა, რაც **ფონეტიკური მეტათეზისი**.

მანძილის მეტათეზისი იგივეა, რაც **დისტანციური მეტათეზისი**.

მარაჟის თეორია მარაჟის თეორიის თანახმად ხმოვანთა შორის განსხვავება იწყება უკვე სახმო სიმებში, რომელთა მოქმედება არაა ერთნაირი სხვადასხვა ხმოვნისათვის. ამ თეორიას ეწინააღმდეგება ხმოვანთა განსხვავება ჩურჩულის დროსაც (1949, 326). იხ. **ხმოვანთა ტემბრი**.

მართლმეტყველება იგივეა, რაც **ორთოეპია**.

მართლწერა იგივეა, რაც **ორთოგრაფია**.

ნ. მარის კონცეფცია თვით ნ. მარის კონცეფცია, რომელიც არსებითად უპირისპირდება ინდოევროპეისტიკას, ადასტურებს იმ ნათესაობას, თუნდაც იმ ახალი სახელწოდებით („პრომეთეიდული ენები“ – ინდოევროპული ენები), რომლითაც მან გახაზა ამ ენათა ოჯახის (ნ. მარით „სისტემის“) გლოტოგონიური კავშირი იაფეტურ ენებთან... (1942, 4).

მარტივი კონსონანტიზმი იხ. **აფხაზურის თანხმოვნები**.

მარტივი მეტათეზისი მარტივია მეტათეზისი, როცა ადგილს იცვლის სიტყვაში ერთი ბგერა, მაგ.: თვრამეტი, მეგრ. წინგი (1949, 205).

მარტივი ხშული იხ. **აფრიკატიზაცია**.

მარცვალთმახვილი მარცვალთმახვილი ეწოდება იმ ბგერათ-სიძლიერეს (დინამიკურის შემთხვევაში) ან ბგერათსიძლელეს (მუსიკალურის შემთხვევაში) და მათ მოდულაციას ერთი მარცვლის ფარგლებში, რითაც ერთი მარცვალი განსხვავდება სხვა მარცვლისაგან ან უპირისპირდება მას (1949, 130), (1966, 128-129). იხ. **მარცვლის მახვილი; მახვილი.**

მარცვალი - არსებობს რამდენიმე თეორია იმის შესახებ, თუ რა ჰქმნის მარცვალს: ამოსუნთქული ჰაერნაკადის ძალა, ბგერათა სონორობა თუ რაიმე სხვა ფაქტორი. განვიხილავ მათგან სამს.

იმ თეორიას, რომლის მახედვითაც მარცვალს ჰქმნის ჰაერნაკადის ჯახება, ვეძახით "ჯახების თეორიას". ამ თეორიის თანახმად, მარცვალი არის ბგერა ან ბგერათა ჯგუფი, რომელიც წარმოითქმის ჰაერნაკადის ერთი მთლიანი ჯახებით. ამ თეორიას მხარს ვერ დაუჭერთ: მართალია, რომ ჰაერნაკადი ამომდინარეობს ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ თითოეული "ჯახება" შეესატყვისება არა მარცვალს, არამედ, უმთავრესად, ცალკეულ ბგერას. მაგ.: სიტყვაში სკამს, რომელიც ერთ მარცვალს წარმოადგენს, გვაქვს არანაკლებ სამი "ჯახებისა".

მეორე თეორია „სონორობის თეორია“, რომელიც უკანასკნელ ხანამდე გაერცელებული იყო თითქმის ისე, როგორც პირველი. ამ თეორიის თანახმად, სიტყვაში ან შეხატვაში იმდენია მარცვალი, რამდენიც სონორობის მწვერვალია მასში. ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვალს ჰქმნის მოცემული ბგერათა ჯგუფის ყველაზე სონორული ბგერა, რომლის, როგორც ცენტრის ანუ მწვერვალის, გარშემო ჯგუფდება ბგერათა დანარჩენი ბგერა. ამ თეორიით, მაგ.: სიტყვაში სკამს ერთი მარცვალია იმიტომ, რომ ა, როგორც ყველაზე სონორი ბგერა ამ ჯგუფში წარმოადგენს ამ ჯგუფის ცენტრს ანუ მარცვლის მწვერვალს. ასეთ შემთხვევაში მარცვლის მწვერვალს (აქ ა-ს) ეძახიან მარცვლის მატარებელს ანუ მარცვლოვანს, ხოლო ჯგუფის დანარჩენ ბგერებს უმარცვლოვანს.

ამგვარად, სონორობის თეორიის თანახმად, მარცვალი არის წარმოთქმის მონაკვეთი, რომლის ცენტრს წარმოადგენს ნაკლებ სონორთა შუა მოქცეული მათზე მეტი სონორობის მქონე ბგერა. სონორობის თეორია უფრო მისაღებია, ვიდრე ჯახებისა – მეტადრე მარცვლის შედგენილობის საკითხისათვის: ამ თეორიის საფუძველზე ხდება გასაგები, თუ რატომაა, რომ ორი ხმოვანი ზოგ ენაში

ჰქმნის მხოლოდ ერთ მარცვალს, მაგ. რუს. мой-ში ხმოვანი ორია, მაგრამ მარცვალი ერთი.

მესამე თეორია წარმოადგენს ამ ორი – ჯახებისა და სონორობის – თეორიის ერთგვარ შერიგებას: ზოგ მარცვალს ჰქმნის ბგერის გაძლიერება, ზოგს – ბგერის სონორობა. ამ თეორიას შეიძლება ეწოდოს შემარიგებლობითი. ამ თეორიითაც მარცვლის წარმოქმნელ ფონეტიკურ ფაქტორთაგან უპირატესობა ენიჭება სონორობის ფაქტორს. საჭიროა, ვიცოდეთ, რომ განმასხვავებელია ღია მარცვალი დახურული მარცვლისაგან. ღია მარცვალი ეწოდება ისეთ მარცვალს, რომელიც თავდება მარცვლოვანი ბგერით, ხოლო დახურული მარცვალი – ისეთს, რომელიც თავდება უმარცვლო ბგერით (1949, 145-147). იხ. **ექსპირატორული მ.; ღია მ.; დახურული მ.; მახვილიანი მ.**

მარცვლის მახვილი მარცვლის მახვილი შეიძლება იყოს: გაძლიერებული (crescendo), თუ მარცვალს სუსტად ვიწყებთ და ძლიერად ვათავებთ; დასუსტებული (decrescendo); გაძლიერ-დასუსტებული, თუ სუსტად ვიწყებთ და სუსტადვე ვათავებთ, შუა მომენტი კი ძლიერია; დასუსტებ-გაძლიერებული, თუ ძლიერად ვიწყებთ და სუსტადვე ვათავებთ, შუა მომენტი კი ან სუსტია, ან სრული შეწყვეტა (1918-19, 60). იხ. **მარცვალთმახვილი; მახვილი.**

მარცვლობითი წერა მარცვლობითი ანუ სილაბური (ბერძნ. συλλαβή „მარცვალი“) წერა იმაში მდგომარეობს, რომ ასო აქვს არა თითოეულ ბგერას, როგორც ანბანურში, არამედ მთელ მარცვალს. იწერება ნიშანი მხოლოდ თანხმოვნისთვის, ხოლო მარცვლის ხმოვანი იგულისხმება. მარცვლობითია, მაგ., არაბული, ძველებრაული, ნაწილობრივ ძველინდური და სხვა (1931, 28), (1949, 169), (1966, 145). იხ. **ლურსმული წერა; წერა.**

მარცვლოვანი ბგერა იხ. **მარცვალი.**

მარცვლოვნობითი წერა იხ. **ლურსმული წერა.**

მაღალი აწეულობის ხმოვანი მაღალი აწეულობის ხმოვნებია, მაგ., ქართულში ი – ე, უ – ჯ.

ეს ის ხმოვნებია, რომელთა წარმოთქმისას ენა აწეულ მდგომარეობაშია: ი-ე-სათვის თავისი ზურგის წინა ნაწილით, ხოლო უ-ჯ-სთვის – უკანა ნაწილით.

ამ ხმოვნებს ეძახიან აგრეთვე ვიწრო ანუ დახურულ ხმოვნებს. ასეთივეა რუსულის и – й და у (1949, 67). იხ. **ხმოვანთა კლასიფიკაცია.**

მახვილი მეტყველების ელემენტთა გამოყოფა-გამოჩინებას ან მათს ერთმანეთთან დაპირისპირებას სიძლიერე-სიმაღლით და ამათი მოდულაციით ეწოდება მახვილი (1949, 127). მახვილს ეუწოდებთ ჩვენ იმ შემთხვევას, როცა მარცვალს აქვს მეტი ან ნაკლები ექსპირატორული სიძლიერე; ამავე მოვლენას უწოდებენ ემფატურ ანუ დინამურ მახვილს (1918-19, II, 59), (1966, 126). იხ. **დინამიკური მ.; ემფატური მ.; ექსპირატორული მ.; ლინგვისტური მ.; ლოგიკურ-ემოციური მ.; ლოგიკური მ.; მარცვალთმახვილი; მუდმივი მ.; მუსიკალური მ.; სიტყვათმახვილი; სიტყვის მთვარი მ.; შესიტყვების მ.; ტონური მ.**

მახვილიანი მარცვალი იხ. **სიტყვათმახვილი.**

მბგერი იოგები ხორხის შიგნით იმყოფება წარმოთქმისა და სიმღერისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი ხორხისა – მბგერი იოგები ანუ სახმო სიმები (1949, 18).

მდინარი იხ. **ცხვირის მიერი; სონორობა.**

მეგრული ენა იხ. **წინაპარი ენა.**

მეტათეზა ძნელად გამოსათქმელ ბგერათა კომპლექსის გაადგილება ხდება არა მხოლოდ დისიმილაციის საშუალებით, არამედ მათი სხვადასხვა ადგილას გადასმით: ამ მოვლენას ეწოდება მეტათეზა. აქ ცვლილება ბგერაში არ ხდება, მხოლოდ იგივე უცვლელი ბგერები ადგილს იცვლიან. ამ მოვლენას უმეტეს ნაწილად მაშინ აქვს ადგილი, როცა სიტყვას უცხო ენიდან ვსესხულობთ. რაც უცხო ენის სარტიკულაციო ბაზისისათვის ადგილად სათქმელი იყო, ის ჩვენი ბაზისისათვის ძნელი გამოდგა. თუ ჩვენივე ენის სიტყვაშიც ხდება მეტათეზა, ეს იმის მომასწავლებელია, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი სარტიკულაციო ბაზისიც იცვლება: რაც წინედ გვეადვილებოდა, ის შესაძლოა გაგვიძნელდეს. ამ მოვლენის ფსიქიური ასხნა ისეთივეა, როგორც ასიმილაციისა და დისიმილაციის, სახელდობრ: მთელი წინადადების შეუყენებლივ თქმა შეგვიძლია მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი წინადადების ელემენტები უკვე (ბუნდოვნად მაინც) წინადაწინ წარმოდგენილი გვაქვს;

ამიტომ სხვადასხვა მიზეზების გამო ზოგი ელემენტი (ბგერა ან სიტყვა) ნაადრევად შედის ფიქსაციის ნათელ წერტილში და მორიგ ელემენტზე უწინ გამოითქმის, მორიგი კი იგვიანებს; ხოლო, რამდენჯერმე თუ ასეთი პროცესი განმეორდა, შედეგი სამუდამოდ რჩება ენაში: მეტათეზის მაგალითები ასეთია: მეგრ. წინგი (ნასესხებია ქართ. წინისაგან), ფირქი (ქართ. ფიქრი); საკუთარ მეგრ. სიტყვებში: წრომი – რწომი „ჭოტი“; წიმო – მიწო (გემიწოციის „წამოხტენ“) (1918-19, 77). იხ. **მეტათეზისი.**

მეტათეზისი მეტათეზისი ანუ ბგერათგადასმა ეწოდება ბგერის გადანაცვლებას (ბერძნ. μεταθέσις „გადაადგილება“).

მეტათეზისს წარმოადგენს, მაგ., თვრამეტი (შეად. ათრვამეტი, სადაც გადმოსმულია წინ ვ), ნამგალი < მანგალი (შდრ. მანგლისი), სადაც მ-სა და ნ-ს შეუნაცვლებით ერთმანეთისათვის ადგილი: მ გადანაცვლებულა სიტყვის ბოლოსკენ, ხოლო ნ – სიტყვის თავისკენ (1949, 204), (1966, 178). იხ. **დისტანციური მ.; კონტაქტური მ.; მანძილის მ.; მარტივი მ.; მეტათეზა; პროგრესული მ.; რეგრესული მ.; საურთიერთო მ.**

მეტაფონია იგივეა, რაც **უმლაუტი.**

მეცხეული თანხმოვანი ...ხშულ-მსკდომს ეძახიან მეცხეულ თანხმოვნებს, რადგანაც მათი წარმოთქმა ხდება ერთბაშად (მყის) და არა დაყოვნებით (1949, 38). იხ. **ხშული; ხშულ-მსკდომი თანხმოვანი.**

მეცნიერულ-ფონეტიკური წერა წარმოსათქმელ ორგანოების მოქმედების მიხედვით შესწავლილ თვითეულ ბგერის მრავალგვარ სახისათვის ერთსა და იმავე ენაშიც კი აღარ კმაროდა ტრადიციული ანბანი, – საჭირო შეიქნა სხვა ახალ ნიშნების ან დამატებითი ნიშნაკების შემოღება. რაც უფრო დაზუსტდა ფონეტიკურ დაკვირვების საშუალებანი, მით უფრო საგრძნობი შეიქნა ასეთი საჭიროება, რომლის ნიადაგზეც წარმოიშვა მეცნიერულ-ფონეტიკური წერა ანუ ფონეტიკური ტრანსკრიფცია.

არსებობს ორი მთავარი მეთოდი: 1) ანალფაბეტური, არაანბანური, ე. ი. არა ხმარებულ (მაგ., ლათინურ) ასოებით გამოსახვა ბგერათა, არამედ სრულიად ახალ ნიშნებით; 2) ალფაბეტური, ანბანური, ე. ი. ხმარებულ (მაგ., ლათინურ) ანბანის საფუძველზე დამატებითი ნიშნების შემწვობით. ანალფაბეტურის ერთ ნიმუშს, რომელიც ახ-

ლოსაა აღფაბეტურთან სიმბოლურობის მიხედვით, წარმოადგენს სტენოგრაფიული ნიშნები; ხოლო მისსავე მეორე და მესამე ნიშნებს – გუცმანის (Gutzmann). სინთეტიკური და ექსპერსენის ანალიტიკური სისტემები, აღფაბეტურის ნიშნულია. მაგ., შ-ს გამოსახვა ლათინურ S-თი გადაბრუნებულ ქულით (š) ან S ნიშნით (1931, 30).

მთრთოლი თანხმოვანი იგივეა, რაც ვიბრანტი.

მიმოსხრა იხ. ძირეული ენები.

მიცემითი ბრუნვა იხ. ბრუნვა.

მკვეთრი თანხმოვანი იგივეა, რაც აბრუპტივი.

მკვეთრი ხშული თანხმოვანი იხ. „საშუალო მჟღერობა“; ყელ-ხშული თანხმოვანი.

მოთხრობითი ბრუნვა იხ. ბრუნვა.

მოკვეცა იხ. ბგერის მოკვეცა.

მოკლე ხმოვანი იხ. ბგერათრადენობა.

მოლოდინის ინტონაცია იხ. თხრობითი შესიტყვების მახვილი ქართულში.

მონათესავე ენები იხ. წინაპარი ენა.

მორფოლოგია იხ. ენათმეცნიერება.

მორფოლოგიური ნაწილი სიტყვის იმ ნაწილს, რომელთანაც სიანხლოვის ასოციაციის ძალით დაკავშირებულია განსაზღვრული მნიშვნელობა, ეწოდება მორფოლოგიური ნაწილი. „ძაღვ-მა“: ძირითადი მნიშვნელობა აქ დაკავშირებულია ძაღვ ბგერათა კომპლექსთან; მაგრამ „მა“ კომპლექსიც გვიჩვენებს განსაზღვრულ რასმე, სახელდობრ იმას, რომ ძირითადი ნაწილით გამოხატული არსება მომქმედია. მაშასადამე, ჩვენი განსაზღვრის ძალით „ძაღვმა“ წარმოადგენს ორ მორფოლოგიურ ნაწილს, რომელთა შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი (ძაღვ) ატარებს ძირითად მნიშვნელობას, მეორე (მა) მხოლოდ ფორმალურს. ამიტომ ყოველი სიტყვა, რომელსაც კი შეუძლია იცვალოს (ბრუნებასა და მიმოსხრაში ან სხვაგვარად), შესდგება ორი მორფოლოგიური ნაწილისაგან: ძირითად მნიშვნე-

ლობას და მის გამომხატველ ბგერათა კომპლექსს ვუწოდებთ ძირითად კუთვნილებას; ფორმალურ მნიშვნელობას და მის გამომხატველ ბგერათა კომპლექსს – ფორმალურ კუთვნილებას ანუ ფორმანტს. „მშობ-ელ-ი“: ამ სიტყვაში მ, ელ, ი არის ფორმანტი, შობ არის ძირითადი კუთვნილება.

მორფოლოგიური ნაწილები რომ არაა ფიქცია, არამედ ისინი რეალურად არსებობენ ჩვენს ცნობიერებაში, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ მათი საშუალებით ვაწარმოებთ ისეთ სიტყვებსაც, რომელიც შესაძლოა არც კი გაგვეგონოს, მაგალითად, მო-კრიტიკ-ე (მო და ე ფორმანტებით ვისარგებლეთ ისე, როგორც მო-საუბრ-ე-ში), ჯორ-ოსანი (ოსანი ფორმანტით ვისარგებლეთ ისე, როგორც ცხენოსან-ში) და სხვა (1918-19, 111).

მოქმედებითი ბგერათმონაცველობა იხ. ბგერათმონაცველობა.

მოქმედებითი ბრუნვა იხ. ბრუნვა.

მჟღერთა კომპლექსები იხ. აპარმონიზაცია.

მჟღერი ბგერა ჟღერის მქონე სამეტყველო ბგერებს ვეძახით მჟღერი ბგერებს. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში 33 ბგერაა – 18 მჟღერია და 15 ყრუ. მჟღერებში 5 ხმოვანია: ა-ე-ი-ო-უ, ხოლო 13 თანხმოვანი: ბ-გ-დ-ვ-ზ-ღ-მ-ნ-ყ-რ-დ-ძ-ჯ (1949, 56). ...მჟღერი ბგერა შესდგება სიმთა ჟღერის-გან + ხმაურობა პირის ფოსოში. ყრუ ბგერები კი მხოლოდ ხმაურობას წარმოადგენს (1918-19, 16). იხ. **თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია); „საშუალო მჟღერობა“; ჟღერა.**

მჟღერი ფარინგალური ხშული თანხმოვანი ჯერ კიდევ აკად. ნ. მარსა აქვს აღნიშნული თავისი ცნობილი იაფეტიდოლოგიური ანბანის კვადრატში ბგერა გ, როგორც რეკონსტრუირებული (არშენახული) თანხმოვანი. აქ არ შეგვეხები ამ ბგერის მარისებური კვადიფიკაციის საკითხს; ჩვენთვის საკმარისია მივუთითოთ, რომ გ თანხმოვანი მოთავსებულია აკად. ნ. მარის მიერ ჳ-ჟ-ს რიგში, ამიტომ არაა შეუძლებელი, რომ, ქართულის ხშულ თანხმოვანთა ჩვეულებრივი პრინციპით დალაგებისას, გ მას

მიეთვისებინა ჩვენი მეექვსე სამეულის რიგში: გ-გ-კ (ჩვენით = გ-ჰ-ყ).

არავის უცდია ამ ჰიპოთეტურად აღდგენილი თანხმოვნის ფონეტიკურად აღწერა, თუმცა ეს არ იყო ძნელი; ყოველი ჰ ან ყ შეიძლება მოგვევლინოს გ-ს სახით მომდევნო მუდერი ჩქამიერის წინ. როგორც ჩვენ ვამბობთ ფელზე (იწერება ფეხზე), სადაც ხ > ღ მომდევნო მუდერის წინ, ისე ხევსური ან ქიზიყელი იტყვის ფეფზე. არაყი- არაყზე (წარმოითქმის არაღზე); ყ მგამუდერდა მომდევნო ზ-ს წინ. ეს იმიტომ, რომ, მართლაც, იშვიათად მოხდება ხოლმე ჰ ან ყ მუდერი ჩქამიერის წინ. ყოველ შემთხვევაში, კომბინატორულად გ-ს არსებობა დღევანდელი ქართულის ზოგიერთ კილოში ცოცხალი ფაქტია (1949, 310).

მუდერი ღრიტოვანი თანხმოვანი იხ. სონორობა.

მუდერი ხშულ-მსკლომი თანხმოვანი იხ. სონორობა.

მუდერობა იხ. „საშუალო მუდერობა“.

მრავალწვერიანი წინადადება იგივეა, რაც **გავრცელებული წინადადება**.

მსკლომი თანხმოვანი იხ. ხშულობა.

მუდმივი მახვილი ზოგიერთ მოძრავმახვილიან ენას აქვს მრავალი სიტყვა, რომლებშიც მახვილის ადგილი უცვლელია ფორმათა წარმოებაში; ასეთ მახვილს ეძახიან მუდმივ მახვილს. მუდმივი სიტყვათმახვილი აქვს, მაგ., რუსულში მრავალ, სიტყვას: *ápmия, voróhha, meчтá, птíщa, дýмaть, рéдaть, рáнить* და მრავალი სხვა, რომლებშიც მახვილი ადგილს არ იცვლის სხვადასხვა ფორმებში (1949, 133).

მუსიკალი ბგერა ბგერისაგან შერხეული ჰაერი აღწევს ჩვენს ყურს და ჩვენ განვიცდით ამა თუ იმ აკუსტურ შთაბეჭდილებას: ან შევიგრძნობთ მუსიკალ ბგერას ან, უბრალო ხმაურობას: როცა ჰაერის ნაწილები საკმაო სიჩქარით და პერიოდულად (რითმულად) ირხევა, მაშინ შევიგრძნობთ მუსიკალ ბგერას (ხმოვანები), როცა რხევა არა პერიოდულია – უბრალო ხმაურობას (თანხმოვანები) (1918-1919, 17).

მუსიკალური მახვილი ...სიმაღლით გამოყოფა-გამოჩინებას ან მის მოდულაციას ეძახიან მუსიკალურს ან ტონურ მახ-

ვილს. ...როცა მარცვლის თქმის დროს ჩვენ ხმის სიმაღლეს ვცვლით – ვუმაღლებთ ან ვუდაბლებთ, ამას ეწოდება მუსიკალური „მახვილი“ (მელოდიური, ტონური ან სრომატიული) ანუ ხმის ამაღლება.

მუსიკალური მახვილის სახეებია, მაგ.: თანდათან ამაღლებული (აღმაგალი), თანდათან დადაბლებული (დამაგალი) და ამაღლებულ-დადაბლებული (აღმაგალ-დამაგალი) და ბევრი სხვაც (1918-19, 59); (1949, 127; 130). იხ. **მახვილი**.

მყოვარი ბგერა როცა შევარხევთ სხეულს იმგვარად, რომ რხევა გრძელდებოდეს უწყვეტლივ (თანდათანი დასუსტებით) გარკვეულ ხანს (მაგ., ხეხვით, ჭიმვით), ჩვენ შევიგრძნობთ მყოვარ ბგერას. ასეთია, მაგ., ვიოლინო, სასულე საკრავი და მაგ., ქართული ბგერებიდან ხმოვნები (ა-უ-ი-ო-უ), ნაპრალღონები (გ, ზ-ს, ჟ-შ, ღ-ხ, ჰ) და შერეულთაგან ვიბრანტი (რ), ლატერალი (ლ) და ნაზალები (მ-ნ) (1949, 51). იხ. **ნაპრალღონობა**.

მშობლიური ენა იხ. შინაგანი ენა.

მწერლობითი მეტყველება იხ. ბგერითი და მწერლობითი მეტყველება.

ნაზალი იხ. შერეული რაგვარობა.

ნაზალიზაცია რომელიმე ხმოვნისათვის ნაზალური ტემბრის მინიჭებას ეწოდება ამ ხმოვნის ნაზალიზაცია (1949, 70).

მეტ-ნაკლები ნაზალიზაცია (გაცხვირისმიერება, ცხვირის ღრუს მონაწილეობა) ბგერათა შესაძლებელია ყველა ენაში, მათ შორის, მაგ., ქართულში, რუსულში; მაგრამ არცერთ ამ ორ ენათაგანში (მხედველობაში გვაქვს რუს. ენის მწერლობითი ხანა XI საუკუნიდან, თორემ წინეთ რუსულს ჰქონდა ნაზალური ხმოვნები *o* და *e*) არ განვითარებულა ისტორიულად, როგორც სისტემა, ნაზალური არც ხმოვანი და არც თანხმოვანი (პირვანდელი *h* (*h*) მ (*m*)-ს და მათი სახეობის გარდა. ბგერათგარდამავლობის

ცნობილ პროცესში მ ნ-ს მეზობლად მდებარე ბგერა შე-
საძლებელია მეტ-ნაკლებად განაზღვრეს (1938, 127).

ნაზალიზებული ხმოვანი იგივეა, რაც **ცხვირისმიერი ხმოვანი**.

ნაზალობა იხ. **ბგერათშემართვა**.

ნაზალური ანუ ცხვირისეული სიგმატიზმი იხ. **სიგმატიზმი**.

ნათესაობითი ბრუნვა იხ. **ბრუნვა**.

ნამდვილი დიფთონგი დამავალ დიფთონგს ეძახიან ნამდვილ
დიფთონგს (1949, 104).

ნაპრალი ნაპრალი წარმოადგენს საარტიკულაციო ორგანოე-
ბის ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად მიახლოების შედეგს: აქ-
ტიურ და პასიურ (ან აქტიურ და აქტიურ) ორგანოთა შო-
რის რჩება სხვადასხვა ფორმის ჭუჭრუტანა, რომელი გზი-
თაც გამომდინარეობს ჰაერნაკადი. ნაპრალი შეიძლება
იყოს ვიწრო და უფრო ფართო, მრგვალი და გასწვრივი.
ნაპრალის წარმოებული თანხმოვანი ბგერები ანუ ნაპრა-
ლოვანნი (სპირანტები, ფრიკატები) არსებითად განსხვავ-
დებიან ხშულ-მსკდომთაგან იმ მხრივ, რომ ნაპრალოვანნი
გაგრძელებით შეგვიძლიან წარმოვთქვათ; ამიტომ მათ
ეწოდება მყოვარნი. ქართულ ენაში ნაპრალი გვაქვს: 1)
ქვედა ტუნსა და ზედა წინაკბილებს შუა-ბაგე-კბილის ნა-
პრალოვანი (ვ (ფ); 2) წინაენისა და ზედაკბილებს შუა
ენის წვერის ქვედაკბილებს შეხებით – წინა ენისა ნაპრა-
ლოვანნი (ხ ს); 3) წინაენისა და ნუნებს შუა – ენა-ნუნის
ნაპრალოვანნი (ჟ შ); 4) უკანაენისა და რბილსასისა შუა-
უკანაენის ნაპრალოვანნი (ღ ხ); 5) სახმო სიმების შუა-ყე-
ლის ნაპრალოვანი (ჰ); 6) დაჭიმულ წინაენისა და ნუნებს
შუა – ვიბრანტი ანუ მთრთოლი (რ). ამ უკანასკნელის შე-
სახებ უნდა ითქვას, რომ ნაპრალი აქ შედარებით უფრო
ფართოა სხვებისაზე, და ჰაერნაკადის ზედიზედ ჯახება
იწვევს დაჭიმული წინაენის თრთოლას. ამიტომ მას ვეძა-
ხით მთრთოლს ანუ ვიბრანტს (1938, 41-42). იხ. **ნაპრალოვ-
ნობა, თანხმოვანთა კლასიფიკაცია**.

ნაპრალოვანი ბგერა ნაპრალოვანია ბგერა, როცა ორგანოები
ჰქმნიან ნაპრალს (1949, 31). ქართულის სუფთა (ე. ი. არა-
ცხვირისმიერი) ნაპრალოვნებია: ჯ, ვ, (ფ), ხ, ს, ჟ, შ, ძ, ლ,
ხ, ჰ. უცხოურად მათ ეძახიან სპირანტებს ან ფრიკატი-
ვებს. მათი არტიკულაციის დროს ჰაერნაკადი მომდინარე-

ობს იმ შევიწროებულ არეში, რომელიც წარმოიქმნება ორ
ერთმანეთთან მიახლოებულ ორგანოს შუა (1938, 167). იხ.
ნაპრალოვნობა.

ნაპრალოვანი ფარინგალური თანხმოვანი იხ. **ფარინგალუ-
რი თანხმოვანი**.

ნაპრალოვნობა წარმოადგენს საარტიკულაციო ორგანოების
ერთმანეთთან ძლიერ მიახლოებას (მხოლოდ არა მჭიდ-
როდ ერთმანეთთან მიტანას): ორგანოებს შუა რჩება სხვა-
დასხვა ფორმის ჭუჭრუტანა ანუ ნაპრალი, რომელი გზი-
თაც გამომდინარეობს ამგვარად დაბრკოლებული ჰაერნა-
კადი (1949, 39). იხ. **ნაპრალი**.

ნაპრალ-ხშული თანხმოვანი ქართულში არის სამი თანხმო-
ვანი ბგერა, რომელთა წარმოქმნისას შეიძლება ხშვასაც
ჰქონდეს ადგილი და ნაპრალსაც ერთჟამიერად; ასეთია
„ლ“, „მ“, „ნ“: „ლ“-ს წარმოქმნისას წინაენა მიბჯენილია
იქ, სადაც „დ“-სათვის, მაგრამ ენის გვერდები (ან ერთი
გვერდი) შეიძლება იმავე დროს ღიად იყოს, და აქედან ჰა-
ერნაკადი მომდინარეობდეს; ამიტომ „ლ“-ს ეძახიან გვერ-
დითს ანუ ლატერალურს (latus, -eris გვერდი): უნილატერა-
ლურს (ცალგვერდას), როცა ჰაერი მხოლოდ ცალი გვერ-
დიდან მოდის, ხოლო ბილატერალურს (ორგვერდას), რო-
ცა ორივე მხრიდან. რაც შეეხება „მ“-სა და „ნ“-ს, მათ-
თვის ტუნებისა და ენის მდგომარეობა ისეთია, როგორც
„ბ ფ პ“-სა და „დ თ ტ“-სთვის შესაბამისად; განსხვავებას
მათ შორის ჰქმნის ცხვირის ღრუს მონაწილეობა „მ“-სა
და „ნ“-სათვის: „ბ ფ პ“-სთვის „ჰაერნაკადი მომდინარეობს
მხოლოდ პირით, ხოლო „მ“-სათვის პირითაც და ცხვირი-
თაც ერთჟამიერად ან (როცა „მ“-სთვის სკდომა არ ხდება
ტუნებით) მხოლოდ ცხვირით; აგრეთვე „დ თ ტ“-სათვის
ჰაერნაკადი მომდინარეობს მხოლოდ პირის გზით, ხოლო
„ნ“-სათვის პირითაც და ცხვირითაც ან (როცა „ნ“-სათვის
არ ხდება სკდომა წინაენისა კბილებთან) მხოლოდ ცხვი-
რის გზით (1938, 42-44).

ნაქისმიერი თანხმოვანი იგივეა, რაც **უვეულარული თანხმო-
ვანი**.

ნაწვეროვანი ენა იხ. **ბგერითი ენა**.

ნაწილობრივი ასიმილაცია ნაწილობრივია ასიმილაცია, როცა მოცემული ბგერა მთლიანად კი არ მიემსგავსება ასიმილატორს, არამედ მხოლოდ რაიმე მხრივ; მაგ., ერდგულში თ მიემსგავსა მჟღერ გ-ს მხოლოდ მჟღერობით, ე. ი. ყრუ თ იქცა მჟღერად, მაგრამ გ-დ არ ქცეულა; აგრეთვე ტკპილ-ში მჟღერი ბ იქცა წინამდგომი ასიმილატორის კ-ს გავლენით მხოლოდ მკვეთრ პ-დ, მაგრამ ამით ის არ იქცა კ-დ (1949, 118).

ნახევარხმოვანი¹ ნახევარხმოვანი (ლათინურად semi-vocalivus) იგულისხმება ბგერა, რომელიც არ ეკუთვნის არც ხმოვანს და არც თანხმოვანს). მაგრამ საყურადღებოა, რომ ძველი ბერძენი გრამატიკოსები თვლიდნენ ნახევარხმოვნებად ლ-მ-ნ-რ (და აგრეთვე ს-ძ-ქს-ფს-ს, ამ ორ უკანასკნელს თითოეული ასო ჰქონდა – ჯ, ψ) და მიათვლიდნენ თანხმოვნებს, ხოლო ძველი ინდოელი გრამატიკოსები ასხვავებდნენ თანხმოვნურ r-l-ს ხმოვნური r-l-საგან (1949, 62). იხ. **სონორული თანხმოვანი**.

ნახევარხმოვანი² (ა, ე = j, w) ...ისინი არ წარმოადგენენ რაიმე განცალკევებულ ჯგუფს ბგერათა; რაც უფრო დაბრკოლებულად წარმოვთქვამთ ი-ს და უ-ს, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვაქვს მივიღოთ **ა** და **ე**, რომელნიც განსხვავდებიან ი-სა და უ-საგან მეტის ჩქამიერობით და ნაკლების ხმიერობით (1931, 11).

ნახევრადგრძელი ხმოვანი იხ. **ბგერათრაოდენობა**.

ნახევრადხშული თანხმოვანი იგივეა, რაც **აფრიკატი**.

ნეიტრალიზაცია კორელაციაში, გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში, განსხვავებულობის წაშლას ეწოდება ნეიტრალიზაცია. ნეიტრალიზდება, მაგ., შ-ჟ სიტყვაში დოში – დოჟი როგორც მჟღერი, ისე ყრუ თანხმოვნის წინ: დოჟზე (დოშზე და დოჟზე – ორივე წარმოითქმის ჟ-თი), დოშს (დოჟს და დოშს – ორივე წარმოითქმის შ-თი), დოშთან (დოჟთან და დოშთან – ორივე წარმოითქმის შ-თი); ნეიტრალიზდება კორელაცია დ-თ სიტყვის ბოლოში: უკარნახოდ (კარნახის გარეშე) – უკარნახოთ (ზმნის II პირი); ორივე შემთხვევაში წარმოვთქვამთ ბოლოში თ-ს (1949, 274).

ნეიტრალური ბგერითი ანალოგია ბგერითს ანალოგიას, რომლის მოქმედება ან მის მიერ გამოწვეული ცვლილება არ ახდენს გავლენას სიტყვის მნიშვნელობაზე, შეგვიძლია დავარქვათ ნეიტრალური ბგერითი ანალოგია.

...მაგ., მნიშვნელობის მხრივ სულ ერთია, ვიტყვით ჩვენ უფროსი (სწორი ფორმა) თუ უმფროსი (ანალოგიით მიღებული არასწორი ფორმა) – ამით მნიშვნელობა არ იცვლება; აგრეთვე სულ ერთია, ვიტყვით დაჯედი თუ დაჯექი, ХОДЯТ „ლადიან“ და ХОДИТ (პირველები: დაჯედი, ХОДЯТ მართებულია ისტორიულად, მეორეები: დაჯექი, ХОДИТ ანალოგიითაა მიღებული და ითვლება სწორ ფორმებად წარმოთქმაში; დაჯექი – წერაშიც) (1949, 231). იხ. **ბგერითი ანალოგია**.

ნელი შემართვა-დამართვა ნელია ანუ რბილი ბგერის შემართვა-დამართვა, თუ ამ ბგერის შემართვა-დამართვისას სახმო სიმები ჩქამის წარმოუქმნელად შეუდგებიან (შემართვა) ბგერის წარმოებას და უჩქამოდვე ერთმანეთს დასცილდებიან (დამართვა) ბგერის დასრულებისას. მაშასადამე, ნელი ანუ რბილი შემართვა-დამართვა გვაქვს მაშინ, თუ არაა არც ფშვინვიერი და არც ძლიერი შემართვა-დამართვა.

ქართული ხმოვნებისათვის ნორმალურ მეტყველებაში დამახასიათებელია მხოლოდ ნელი შემართვა-დამართვა, ე. ი. ქართული ხმოვანი იწყება ნელი შემართვით და თავდება ნელივე დამართვით. ასეთივეა ყველა მჟღერი და სონორული თანხმოვნები (1949, 106-107). იხ. **შემართვა-დამართვის სახეები**.

ნორმალური ბგერა იხ. **ენაჩლუნგური ბგერათცვლილება**.

ნუნისმიერი თანხმოვანი იხ. **ენისწვერისმიერი თანხმოვანი**.

(¹)

ოდნავფშვინვიერი ყრუ ხშული თანხმოვანი იხ. **ხშულთა წყვილულებრივი, სამეულულებრივი და ოთხეულულებრივი სისტემები**.

ოკლუზიური დაყოვნება იმპლოზიისა და ექსპლოზიის შუაში არის ოკლუზიური (ე. ი. ხშვითი) დაყოვნება. (ფრან. implosion „ჩაგუბება“, occlusion „დაკეტვა“, explosion „სკლომა“) (1949, 29). იხ. **იმპლოზია**. **ექსპლოზია**.

ოკლუზიური ელემენტი იხ. **დეზაფრიკატიზაცია**.

ორალური ბგერა პირის ღრუში წარმოებულ ბგერებს ეწოდება ორალური (ლათ. os, oris „პირი“, oralis „პირისგული“) (1949, 89).

ორალური ხმოვანი იგივეა, რაც **პირისეული ხმოვანი**.

ორთოგრაფია იმ წესების სისტემას, რომლებიც არეგულირებენ დამწერლობისა და წარმოთქმის ურთიერთობას, ეწოდება ორთოგრაფია ანუ მართლწერა

ყოველ ტრადიციულ-მწერლობიან ენაში წამოიჭრება ხოლმე ორთოგრაფიის (ბერძნ. ორთოს „წორი, მართებული“ და გრაფე „დამწერლობა“) ანუ მართლწერის საკითხები, ე. ი. დამწერლობისა და წარმოთქმის ურთიერთობის მოგვარების საჭიროება. ორთოგრაფია აგრეთვე, როგორც დამწერლობის ესათუის სისტემა, ისტორიულად განვითარებული მოვლენაა და დაკავშირებულია ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებასთან, რომელიც საჭიროებს საერთოდ ერთიან სალიტერატურო ენას; ამდენად ორთოგრაფია ერთ-ერთი მნიშვნელოვან მომენტია განსაზღვრული ენის ნორმათა დადგენაში. ერთიანი სავალდებულო დამწერლობის სისტემა, ორთოგრაფია აქვს (ან უნდა ჰქონდეს) ყოველ სალიტერატურო ენას, მაგრამ ამ სისტემის სირთულე-სიმარტივე სხვადასხვაგვარია ყოველ ენაში; მეტ-ნაკლებია აგრეთვე ენის მიხედვით ცალკეულ ორთოგრაფიულ საკითხთა სიმწვავე (1938, 85-86), (1949, 171), (1966, 148). იხ. **ორთოგრაფიის პრინციპი**.

ორთოგრაფიის ისტორიული პრინციპი ორთოგრაფიის ისტორიული ანუ ტრადიციული პრინციპის მიხედვით წერა ეწოდება სიტყვის ისეთ დაწერილობას, რომელიც დამკვიდრებულია ტრადიციის ძალით მოცემული ენის დამწერლობაში – მიუხედავად მორფოლოგიური პრინციპის დარღვევისა (1966, 150). იხ. **ორთოგრაფიის პრინციპი**.

ორთოგრაფიის მორფოლოგიური პრინციპი მორფოლოგიური პრინციპის თანახმად სიტყვა უნდა იწერებოდეს ისე, რომ მასში ჩანდეს სიტყვის შედგენილობა – დამოუკიდებ-

ლად იმისაგან, თუ როგორ წარმოითქმება იგი. რამდენადაც მორფოლოგიური პრინციპით წერაში შესაძლებელია დაცული იყოს სიტყვის ფონემური შედგენილობის გამოსახვა, იმდენად მას შეიძლება ეწოდოს აგრეთვე ფონოლოგიური პრინციპი (1949, 173). იხ. **ორთოგრაფიის პრინციპი**.

ორთოგრაფიის პრინციპი ორთოგრაფია ითვალისწინებს განსაზღვრული ენის თავისებურებებს – მის ისტორიას, წერილობითს ტრადიციას და დიალექტურ შედგენილობას – და გამოიმუშავებს ნორმებს უმთავრესად სამი პრინციპის მიხედვით; ეს პრინციპებია: ფონეტიკური, მორფოლოგიური და ისტორიული. ტრადიციული მწერლობის მქონე არც ერთი ენის ორთოგრაფიას არ უძევს საფუძვლად მხოლოდ ერთი რომელიმე პრინციპი, მაგრამ ერთ-ერთი ამ პრინციპთან განსაკუთრებით უპირატესია ამათუიმ ენის ორთოგრაფიაში; მაგ., ქართულის, როგორც ფონეტიკურად უფრო შენახული, ენის ორთოგრაფიაში ჭარბობს ფონეტიკური პრინციპი; რუსულში – მორფოლოგიური, ინგლისურში და ფრანგულში – ისტორიული და ა. შ. (1938, 87-88), (1966, 148). იხ. **ორთ-ის ისტ. პრინციპი**; **ორთ-ის მორფოლოგიური პრინციპი**; **ორთ-ის სიმბოლური პრინციპი**; **ორთ-ის ფონეტიკური პრინციპი**.

ორთოგრაფიის სიმბოლური პრინციპი ორთოგრაფიის სიმბოლური პრინციპის მიხედვით წერა ეწოდება ბგერითი ომონიმების განზრახ სხვადასხვანაირად წერას, ე. ი. ერთნაირად წარმოთქმული სიტყვების განზრახ განსხვავებულად გამოსახვას (1966, 151).

ორთოგრაფიის ფონეტიკური პრინციპი ფონეტიკური პრინციპის თანახმად სიტყვა უნდა იწერებოდეს წარმოთქმისამებრ, ე. ი. მოცემული სიტყვის დასაწერად საჭირო თითოეულ ასოს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ძირითადი ბგერითი მნიშვნელობა; მაგ., სიტყვა ამაგი დაწერილია ფონეტიკურად, მაგრამ ამაგს – არა, რადგანაც ასო „გ“ აქ გამოსახავს „ქ“ ბგერას (ს-ს წინ დაყრუებული გ იძლევა ქ-ს) (1949, 172), (1966, 149). იხ. **ორთოგრაფიის პრინციპი**.

ორთოეპია სალიტერატურო ენის ერთიანობის საკითხთანაა დაკავშირებული... ორთოეპიის (ბერძნ. ორთოს „წორი“ და ეპოს „სიტყვა, წარმონათქვამი“ – „მართლწარმოთქმა“) ანუ მართლწარმოთქმის ზეპირმეტყველების ნორმების სა-

კითხი. ქართული ენის დიალექტალური მრავალფეროვნება აყენებს საკითხს ერთიანი მართლწარმოთქმის შესახებაც. როგორც ცნობილია, ისტორიულად ქართლური კილო დავდო საფუძვლად ქართულ სალიტერატურო ენას. ეს ტრადიცია ძირითადად არ შერყეულა დღემდისაც: ქართულის სხვა კილოებს მხოლოდ ნაწილობრივ შეაქვთ თავიანთი თავისებურებანი საერთო სალიტერატურო ენაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ორთოეპიულადაც ქართლური დიალექტია საერთოდ ტონის მიმცემი, კერძოდ – ტფილისის განათლებული წრეების, უმაღლესი სკოლის, დაწესებულებათა, თეატრისა და სხვათა წარმოთქმა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ტფილისის ეს წრეები თავისი წარმოთქმის კილოებრივი შედგენილობის მხრივ მრავალფეროვანია, ორთოეპიის საკითხი არ დგას აგრეთვე მწვავედ; ის თითქმის მთლიანად დაკავშირებულია ორთოგრაფიასთან, რომელიც... შედარებით მარტივია ქართულში: ინტონაციის გარდა, რასაც არა აქვს წერილობითი ნიშანი, ორთოეპიის თითქმის ყველა საკითხი შესაძლებელია გადაწყდეს ორთოგრაფიის საკითხების გადაწყვეტასთან ერთად (1938, 87), (1949, 171), (1966, 148).

ორწევრიანი მარტივი წინადადება ორწევრიანი (ქვემდებარე და შესმენილი) მარტივი წინადადება სამგვარია: ა) საერთოდ ფაქტის აღმნიშვნელი, მაგ.: მუხა წაიქცა; ბ) კლასიფიკაციური, მაგ.: მუხა ხეა გ) თვისების ანუ რომელია გამომხატველი, მაგ.: მუხა მაგარია. ფორმალური განსხვავება მათ შორის არ არის, რომ პირველ შემთხვევაში (მუხა წაიქცა) ქვემდებარეს მიეწერება განსაზღვრული ნიშანი (წაიქცა) მხოლოდ ზმნის საშუალებით; ხოლო ორ დანარჩენში (მუხა ხეა, მუხა მაგარია) – არსებითი სახელისა და ზედსართავის საშუალებით, რომელთაც ემატება შემწეობითი ზმნა (=არის). მოყვანილ მაგალითებში აზრი გამოხატულია ობიექტურად; მაგრამ თითოეული მათგანის თქმის დროს შესაძლებელია ადგილი ქონდეს აგრეთვე სუბიექტურ მომენტსაც. ესე იგი გამოიხატოს ჩვენი გრძნობა ან ნებისყოფა: შეგვიძლია ვსთქვათ სიხარულის გრძნობით (ხე წაიქცა!) ან ნებისყოფის გამომუდგანებით (ხე წაიქცეს) და სხვა. ამ თვალსაზრისით თითოეული ხსენებული კატეგორიის წინადადება შესაძლებელია იყოს: ა) მოთხრობითი, 2) ემოციური და 3) ნატურა-ბრძანებითი სახის; სამივე სახე გამოიხატვის დადებითად ან უარყოფითად.

ამას გარდა მოთხრობით სახეს შესაძლებელია ქონდეს კითხვის (მუხა წაიქცა? კითხვით წინადადებაში მკითხველისათვის უცნობია აზრის რომელიმე ნაწილი) და პასუხის ფორმა (წაიქცა), რომელიც ჩვეულებრივ ითქმის მხოლოდ მოკლედ ანუ უსრული წინადადებით (1918-19, 107-108). იხ. წინადადება.

ორხმოვანა იგივეა, რაც **დიფთონგი**.

ოსური ენის დიალექტები გაპალატებულ ველარულ თანხმოვანთა რეფლექსების მიხედვით ოსური ენა იყოფა ორ ნაწილად: 1) დიგორულ-დვალური, რომელსაც დაუცავს გაპალატებული ველარები და 2) ირონული, რომელსაც ისინი აფრიკატებად უქცევია (1925, 315-316).

3

პალატალიზაცია ...შუაენის (ე. ი. ენის ზურგის შუა ნაწილის) მაგარი სასის მიმართ არტიკულირების შედეგად მიღებულ ბგერას ეძახიან პალატალურს (ლათ. palatum „სასა“, ფრანგ. palatal „სასისა“); ხმოვანთაგან პალატალურია, მაგ., ე და ი. ქართულში პალატალური (ფიზიოლოგიური) ანუ რბილი (აკუსტიკურად) თანხმოვანი არა გვაქვს, თუ არ ჩავთვლით ბგერას, რომელიც, როგორც „ნახევარხმოვანი“ ხმოვნისა და თანხმოვნის მიჯნაზეა (1938, 195), (1949, 111).

პალატალიზებული თანხმოვანი იხ. **აფრიკატიზაცია**; **ველარიზაცია**.

პალატალური თანხმოვანი პალატალური თანხმოვანი (მასვე ეძახიან რბილს ანუ მაგარისასიმიერს) – შუაენისმიერი. მაგ., გერმანული ყრუ ch (ფონეტიკურად x) სიტყვაში ich და რუსულში ж, მაგ., პირველი ბგერა სიტყვაში яма (jama) და ქართ. ჟ (იხ. წინა რიგის ხმოვნები). (1949, 36). იხ. **პალატალიზაცია**.

პარიზული იხ. **ლიკვიდი**.

პირისეული თანხმოვანი იხ. **პირსიქითეული თანხმოვანი**.

პირისეული ხმოვანი იხ. ხმოვანთა ნახალიზაცია.

პირობითი ნიშანი ქრონოლოგიურად წერის ყველა ფორმაზე გვიანდელია ანბანური სისტემა წერისა, რომელშიც გადმოცემულია სიტყვის ბგერობა (და არა მხოლოდ მნიშვნელობა) და ცალკეულ ბგერას მიკუთვნებული აქვს პირობითი ნიშანი (ან ნიშანთა კომბინაცია). ზეპირმეტყველების წერაში ასახვის გაუმჯობესებისა და ამით გადავიღების მთავარი დერძია ამ პირობითობის სიმბოლურობის გაძლიერება წერილობითს ნიშანში; ამ მიმართულებით მიმდინარეობს წერილმეტყველების გაუმჯობესება მისი პირველი ჩანასახიდან დღემდის, – როგორც არ უნდა წარმოვიდგინოთ მისი ჩასახვა (1938, 81-82).

პირსიქითეული თანხმოვანი აფხაზურში მყოფობს სულ 66 თანხმოვანი ფონემა; მათ შორის გამოყენებულია ბზიფურ დიალექტში ენისძირისმიერთა (ხახისეულთა ანუ ფარინგალურთა) სიმრავლემ აფხაზურში მოითხოვა თანხმოვანთა დაყოფა „პირისეულებად“ და „პირსიქითეულებად“. ამ უკანასკნელ დანაყოფში მოხვდა ენისძირისმიერთა გარდა, აგრეთვე ხორხისმიერებიც (1949, 400). იხ. **თანხმოვანი**.

პიქტოგრაფიული წერა პირვანდელი „დამწერლობა“ უნდა ყოფილიყო სურათისებრი ანუ ხატოვანი, რომელსაც ეძახიან პიქტოგრაფიულ წერას (ლათ. pictus „დახატული“ და ბერძ. γραφή „გამოსახულება“). ის გადმოგვცემს დაუნაწევრებელ აზრს, მას კავშირი აქვს პირვანდელ მხატვრობასთან: მოცემულია „მკითხველისათვის“ საგნის ან საერთოდ სათქმელის სურათი; ამდენად იგი წარმოადგენს იმავე მხატვრობას, რომლისგანაც განსხვავდება მხოლოდ სიმბოლურობის ჩანასახით. პირობითობა მასში იმდენად სუსტია, რომ თითქმის სავსებით გასაგებია ყველასათვის, რომელიც ენის წარმომადგენელმაც არ უნდა ნახოს იგი. ამდენადვე იგი შეზღუდულია საშუალებებით და გამოსახატავი ობიექტებით: გულისხმობს პრიმიტიულად მოაზროვნე მკითხველს (1938, 82-83).

პოზიციით განპირობებული ბგერა იხ. **თავისთავადი და არათავისთავადი ბგერა**.

პოზიციით განუპირობებელი ბგერა იხ. **თავისთავადი და არათავისთავადი ბგერა**.

პოზიციურობა იხ. ბგერათცვლილება.

პოზიციური ბგერათმონაცვლეობა პირველი რიგის ბგერათმონაცვლეობას, რომელსაც პოზიციური ბგერათმონაცვლეობა შეგვიძლია ვუწოდოთ, არა აქვს დაკისრებული არავითარი მნიშვნელობითი (სემანტიკური ან გრამატიკული) როლი; ის მხოლოდ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური მოვლენაა: მაგალითად, ვიტყვით ჩვენ გალობს თუ გალოფს, წვიდა თუ წავიდა, ამით არ შეიცვლება ამ სიტყვების მნიშვნელობა: ეს კია, მხოლოდ, რომ გალობს ერთგვარად ნაძალადევია წარმოთქმაში და წვიდა არაა ლიტერატურული (1948, 356), (1949, 293). იხ. **ბგერათმონაცვლეობა**.

პოლისინტეტური ენები პოლისინტეტურ (მრავალ გამაერთიანებელ) ენებს უწოდებენ აგრედვე განმასახიერებელს. ამ ტიპს უჭირავს შუა ადგილი ძირეულ და აგლუტინურ ენათა შორის. მთელი წინადადება „სახიერდება“ ერთ სიტყვაში, რომელშიც მთავარი ადგილი ზმნას ეკუთვნის; ასეთი აგებულების ენებს წარმოადგენენ მექსიკური და ჩრდილო-ამერიკის ენა (I, 24). იხ. **ენათა კლასიფიკაციის მორფოლოგიური პრინციპი**.

პოლიფონია პოლიფონია (ბერძნ. πολυφωνία „მრავალხმიანი“) არის ერთი და იმავე მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებულად მბგერი სიტყვების (ე. ი. სინონიმების) ერთი და იმავე იდეოგრამით გამოსახულება (1949, 169), (1966, 144).

პოსტველარული თანხმოვანი ჯერ კიდევ ოცზე მეტი წლის წინათ იყო აღნიშნული ვ-ყ-ს ფარინგალური ხშულობა, ე. ი. ენისძირის ხშვა ხახის (ბერძნ. φάρυγς „ხახა“) უკანა კედელთან მათი არტიკულაციისას.

ზელმერი მათ პოსტველარულს (ლათ. postvelaris „რბილი სახის იქითა“) ანუ ღრმად უკანაენისმიერს ეძახდა (1949, 309).

პრერუპტივი ხშულთა ჩვეულებრივი სამეულისაგან იგი განსხვავებული უნდა ყოფილიყო მესამე ყრუ წევრით, რომელსაც ეწოდება პრერუპტივი.

პრერუპტივის არსებობა ქმნის ხშულთა ოთხეულებრივ სისტემას.

პრერუპტივები ხშულთა ოთხეულებრივ სისტემაში მიიღებენ ასეთ სახეს: ბ-ფ-ჟ-პ, დ-თ-ტ, ძ-ც-წ-წ და ა. შ. (პრერუპტივები აღნიშნულია აბრუპტივის გადაბრუნებული

ასოთი (1949, 81). იხ. **ხშილი თანხმობების წყვილები-რივი, სამეულებრივი და ოთხეულებრივი სისტემები.**

პროგრესული ასიმილაცია როდესაც ასიმილაციური მოქმედება მიმართულია წინ, სიტყვის ბოლოსაკენ, მარცხნიდან მარჯვნივსაკენ, ამბობენ – ასიმილაცია პროგრესულიაო; პროგრესული ასიმილაციის ნიმუშებია, მაგ.: ტპა, კპილი, გაბრიყვტა, შეწუხთა (ნიმუშები მოყვანილია უმთავრესად დასავლური კილოების ცოცხალი წარმოქმნიდან); მოყვანილ ნიმუშებში პირველ სამ შემთხვევაში გვაქვს წინმდგომი მკვეთრის (ტ, კ, ყ) გავლენა მომდევნო მჟღერზე (ბ, დ), მეოთხეში წინმდგომი ყრუს გავლენა მომდევნო მჟღერზე (დ). ყველა მოცემულ ნიმუშებში ასიმილაციური (ასიმილაციური გავლენის მომხდენი) მოქმედებს წინ, სიტყვის ბოლოსაკენ (1949, 118). იხ. **ასიმილაცია.**

პროგრესული მეტათეზისი პროგრესული მიმართულებისაა მეტათეზისი, როცა ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის ბოლოსაკენ. მაგ.: ვნახე > ნახე – ვ აქ უფრო სონორია ნ-ზე; ღრუბელი > არალიტ. ღურბელი – რ. მეტად სონორია ღ-ზე; გრიგოლა > არალიტერ. გირგოლა: თაყვანისცემა > თაყვანისცემა (1949, 206). იხ. **მეტათეზისი.**

პროკლიტიკა შესიტყვებაში ზოგჯერ მოკლე (ჩვეულებრივ ერთმარცვლიანი) სიტყვები უმახვილოა, რის გამოც ისინი ეკედლებიან მომდევნოს ან წინმდგომ მახვილიან სიტყვას. მაგ., ასეთია კავშირები, ნაწილაკები, თანდებულები, ზოგიერთი ნაცვალსახელი და სხვა. როცა ისინი ეკედლებიან მომდევნო სიტყვას, მათ ეძახიან პროკლიტიკებს, ხოლო როცა ეკედლებიან წინმდგომს, ეძახიან ენკლიტიკებს. „თან მოჰყვებოდა დედას“ (თან პროკლიტიკაა); „მას კი სხვა სურდა (კი ენკლიტიკაა) (1949, 138).

პრომეთეიდული ენები იხ. **ნ. მარის კონცეფცია.**

ჟ

ჟ ბგერა რათგანაც ჟ-ბგერიანი სიტყვები სალიტერატურო ქართულში შედარებით ცოტაა, ამიტომ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იგი (ჟ-ბგერა) არ იყო იმ კილოს კუთვნილება, რომე-

ლიც საფუძვლად დაედო სალიტერატურო ქართულს (1923, 80).

ჟღერა სახმო სიმების განსაზღვრული მდგომარეობა, სახელდობრ, მათი პერიოდულ-ვიბრაციული რხევა ჰქმნის ხმას. სახმო სიმების ასეთ მოქმედებას, გამოწვეულს ჰაერნაკადის ზედიზედ ამოჯახებით, ვეძახით ჟღერას (1938, 64). იხ. **მჟღერი ბგერა.**

რ

რაოდენობა ...სამეტყველო ბგერის შეფარდებითი ხანგრძლიობა, რასაც ფონეტიკაში ჰქვია სიგრძე-სიმოკლე ანუ რაოდენობა, უცხოურად კვანტიტატიობა: ზოგიერთ ენაში (მაგ., სვანურში, გერმანულში, ლათინურში, ძველ ბერძნულში) გვაქვს ერთიდაიმავე ბგერის გრძელი და მოკლე სახე (მაგ., ე გრძელი და ე მოკლე) (1938, 58).

რბილი თანხმოვანი იგივეა, რაც **პალატალური თანხმოვანი.**

რბილი შემართვა-დამართვა იგივეა, რაც **ნელი შემართვა-დამართვა.**

რბილსასისმიერი ხშილი თანხმოვანი იხ. **უკანაენისმიერი თანხმოვანი.**

რეგრესიულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში თანხმოვანთა რეგრესიულ-დისიმილაციური დაკარგვის ნიმუშები ჭარბობს, როგორც ჩანს, პროგრესულიას. ასეთია, მაგ.: მოსული, სულ < სრულ; რთულ ფუძეებში: დიალექტ. პიჯვარი < პირჯვარი; ძინწარე < ძიმწარე < ძირმწარე; გაორკეცებულ ფუძეებში: ბებერი (*ბერ-ბერი), გოგრა < *გორ-გორა, კაკანი < *კან-კანი, დიალექტ. ოთოთხი < *ოთხ-ოთხი, ღაღადი < *ღად-ღადი, ყიყინი < ყინ-ყინი, ცალ-ცალკე < ცალკ-ცალკე, წიწიბო < წიპ-წიპო და მრავალი სხვა. ამათზე ცოტა ჩანს პროგრესულ-დისიმილაციური დაკარგვის ნიმუშები: ერთმანეთი < ერთმანერთი, ქუთუთო < ქუთ-ქუთო, ხუთუთი < ხუთხუთი.

ამ ნიმუშებიდან ვხედავთ, რომ დისიმილაციაში მონაწილეობს რ-ლ-მ-ნ-ს გარდა, აგრეთვე ჩქამიერი თანხმოვნებიც (მაგ., ღ, ხ, პ, ქ, კ).

რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ფონეტიკური კანონზომიერებითაა გატარებული თანხმოდანთა ასეთ კომპლექსებში: „უკანაენისმიერი + რ (+აფრიკატი) + უკანაენისმიერი“ (1949, 345).

რეგრესული ბგერათასიმილაცია როდესაც ასიმილაციური მოქმედება მიმართულია უკან, სიტყვის თავისკენ, ამბობენ – ასიმილაცია რეგრესულია. ამის ნიმუშად გამოდგება (მზგავსი, მიზდევს, ერდგული, შჭამს, ქქონდა, შიმშილი), სადაც ს და თ გამჟღერებულია მომდევნო მჟღერის (გ, დ, ვ) გავლენით, ს ქცეულია შ-დ მომდევნო ჭ-ს გავლენით, გ გაყრუებულია მომდევნო ქ-ს გავლენით და ს ქცეულია შ-დ მომდევნო შ-ს გავლენით. ეს ნიშნავს, რომ ასიმილაციური (გავლენის მომხდენი) ბგერები (გ, დ, ვ, ჭ, ქ, შ) მოქმედებენ მარჯვნიდან მარცხნივ, სიტყვის თავისკენ (1949, 117). იხ. **ასიმილაცია**.

რეგრესული მეტათეზისი რეგრესული მიმართულებისაა მეტათეზისი, თუ ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის თავისკენ; მაგ.: ღრმა > არა ლიტ. რღმა – რ უფრო სონორია ღ-ზე; ზურგი > ზრუგი – რ უფრო სონორია გ-ზე; ცალიერი > ცარიელი – რ სონორია ღ-ზე... (ა) თრვამეტი > თვრამეტი – ვ აქ უფრო სონორია რ-ზე; ავადმყოფი > ავამდყოფი > ავანტყოფი – მ სონორია დ-ზე (მ იცვალა ნ-დ ტ-ს წინ) (1949, 206). იხ. **მეტათეზისი**.

რედუქცია იხ. **ბგერათრედუქცია**.

რეზონანსი ერთი (რხევაში მოყვანილი) სხეულიდან მეორე (უძრავ მდგომარეობაში მყოფ) სხეულზე საბგერო რხევის გადიდება, ეწოდება რეზონანსი („ბგერათამყოფლობა“); ასეთი „მეორადი“ რხევა არის თანარხევა, თანაბგერობა (1938, 56). იხ. **ბგერის ტემბრი**.

რეზონანსის თეორია რეზონანსის თეორიის თანახმად, რეზონატორებში (ზესადგამ მილში) ძლიერდება ხორხში (სახმო სიმებში) წარმოქმნილი რთული ტონის ესა თუ ის ერთი ან რამდენიმე თანატონი, რომელიც წარმოადგენს რეზონატორების „საკუთარი ტონის“ ჰარმონიულ ტონს, დამახასიათებელს ამა თუ იმ ხმოვნებისათვის. რეზონატორების „საკუთარი ტონი“ კი განპირობებულია თითოეული ხმოვნისათვის განკუთვნილი რეზონატორების მოყვანილობით. მაშასადამე, ამ თეორიით, ტემბრსა ჰქმნის ჰარმონიუ-

ლი ტონების რეზონირება. ამიტომ ეწოდება ამ თეორიას რეზონანსის თეორია (1949, 325-326). იხ. **თანხმოდანთა ტემბრი**.

რეზონატორი თანამრხევ და თანამბგერ (და ამით გამაძლიერებელ) სხეულს (აქ ჰაერს) ეწოდება რეზონატორი. რეზონატორს ეძახიან აგრეთვე იმ სივრცეს (აქ ჭურჭელს), რომელშიც ხდება ჰაერის ასეთი თანარხევა და თანაბგერობა, ე. ი. რეზონანსი (1938, 56) იხ. **ბგერის ტემბრის წარმოქმნა**.

რეკურსია იგივეა, რაც **დამართვა**; იხ. **ბგერათწარმოქმნა**.

რესპირაცია ჩვეულებრივი წენარი სუნთქვა. რესპირაცია შეიცავს ორ თითქმის თანასწორი ხანგრძლიობის მოძრაობას – შესუნთქვას (ინსპირაციას) და ამოსუნთქვას (ექსპირაციას); ამოსუნთქვა ოდნავ უფრო ხანგრძლივია შესუნთქვაზე (1966, 35). ფონაცია, როგორც საწარმოთქმოს სუნთქვა, განსხვავდება რესპირაციისაგან შემდეგით: 1) რესპირაცია უმეტესად ავტომატურია (უნებური), ფონაცია – ნებისმიერი; 2) რესპირაციაში შესუნთქვის ხანგრძლიობა თითქმის უდრის ამოსუნთქვისას, ხოლო ფონაციაში შესუნთქვა გაცილებით ნაკლებ ხანგრძლივია ამოსუნთქვაზე, ე. ი. ფონაციაში შესუნთქვა ხდება უფრო სწრაფად, ერთბაშად, ხოლო ამოსუნთქვა – დაყოვნებით და თანდათანობით, ვინაიდან შესუნთქული ჰაერი წარმოადგენს ფილტვებში მარაგს, რომელიც თანდათანობით და მოზოგვით იხარჯება წარმოთქმაში; 3) რესპირაცია ხდება უმეტესად ცხვირით, ფონაცია – უმეტესად პირით (1938, 32-33; 56); (1949, 24); (1966, 35).

რესპირაციული და ურესპირაციო ბგერათწარმოქმნა ყოველი ბგერა, – იქნება ის წარმოქმნილი ადამიანის თუ სხვა ცხოველის მიერ – სასიმღეროდ, სამეტყველოდ თუ სხვა რამ მიზნით, – უმეტეს ნაწილად გულისხმობს ფილტვებიდან ხორხის გზით ამომდინარე ჰაერნაკადს; მაშასადამე, ბგერათწარმოთქმა ჩვეულებრივ ექსპირაციულია. მართალია ბგერა შეიძლება წარმოიქმნას შესუნთქვითაც – ინსპირაციულადაც; ამის ნიმუშს წარმოადგენს, მაგ., ხვისხვიანი, ადამიანის ხვრინვა, შესუნთქული სტვენა, გაოცების ან შეშინების ბგერა („ა“), მწვავე ტკივილის ან შეცივნის ბგერა („სსს...“), მაგრამ ჩვეულებრივ არც ერთი მათგანი არაა სოციალურად ღირებული, მეტყველებაში გამოყენებული

ბგერა. შეგვიძლია თვით სოციალურად ღირებული, სამეცნიერო ბგერებიც-კი ვთქვათ ინსპირაციულად, მაგრამ არც ეს ჩათვლება ნორმალური მეტყველების ბგერებად.

მეორე მხრით, შესაძლებელია ბგერათწარმოქმნა ურესპირაციოდაც, ე. ი. ინსპირაცია-ექსპირაციის გარეშეც; მაშასადამე, ისე, რომ ფილტვებიდან ხორხის გზით ჰაერ-ნაკადი არ ამომდინარეობდეს. ამ შემთხვევაში ბგერის წარმოქმნა ხდება იმ ჰაერით, რომელიც პირის ღრუშია. ასეთია, მაგ., ე. წ. წლაპუნა ბგერები: კოცნა, წრუპუნა, ქართული „უარყოფის“ ბგერა, რომელსაც „ნწ“-ის სახით სწერენ ხოლმე, და ზოგიერთი სხვა. მათი წარმოქმნას ყია (სახმო სიმებს შუა ჭუჭრუტანა) ან სრულებით დაკეტილია, და, მაშასადამე, ჰაერის მოძრაობა ხორხის გზით შეუძლებელია; ან ყია შესაძლოა ღია იყოს, მაგრამ ჰაერის მოძრაობას ხორხის გზით ადგილი არა აქვს. ეს წლაპუნა ბგერები, რომელთაგან ზოგიერთ მეტყველებაშიც შეიძლება იყო გამოყენებული (მაგ., ზოგიერთ კავკასიურ ენაში), აკუსტიკურად მოგვაგონებს ინსპირაციულ ბგერებს, რადგანაც ჰაერის შეწოვნა ხდება გარედან. ამიტომ მათ შეგვიძლია ვუწოდოთ შეწოვნილი ბგერები.

შეწოვნილ ბგერათა გარდაც არსებობს ურესპირაციო ბგერათწარმოქმნა; მაგალითად, კავკასიურ (და კერძოდ – ქართველურ) ენებში გვაქვს ურესპირაციოდ წარმოებული თანხმოვნები, რომელთა წარმოქმნის პროცესი იმითაა განსხვავებული წლაპუნ-შეწოვნისაგან, რომ მათთვის ჰაერი იდევნება პირის ღრუდან გარეთ და არა პირიქით, როგორც შეწოვნილ ბგერათათვის. ასეთია, მაგ., ქართული ენის ექვსი თანხმოვანი (პ ტ წ ჭ კ ყ), რომლებსაც ვეძახით ყელხშულ (აკუსტიკურის თვალსაზრისით მკვეთრ) თანხმოვნებს. ესენი, ისე როგორც შეწოვნილი ბგერები, ახდენენ ჩვენზე ერთბაში მოწყვეტის შთაბეჭდილებას; ამიტომ ვუწოდებთ მას აბრუპციული თანხმოვნები ანუ მოკლედ აბრუპცივები (ლათ. abruptio მოგლეჯა, მოწყვეტა).

ამგვარად, ბგერათა უმრავლესობა რესპირაციულია, სუნთქვიერია; მაგრამ არის სხვადასხვა ენაში ურესპირაციო, უსუნთქველი ბგერებიც; მაგ. ქართულში შეწოვნილ ბგერას გარდა, ექვსი ურესპირაციო თანხმოვანია (1938, 33-35). იხ. ბგერათწარმოქმნა.

რთული ასიმილაცია რთული ასიმილაციის სახით ჩვენ ვახსენებთ ბგერათა ისეთ მიმსგავსებას, როდესაც ასიმილა-

ტორი მოქმედებს ბგერაზე არა უშუალოდ, არამედ შუალობით, ე. ი. მათ შუა მდგომი ბგერის მიმსგავსებით ასიმილატორთან. ასეთია, მაგ., ერთობლივ წარმოთქმული რიგგარეშე, სადაც ასიმილატორია მეორე გ (სიტყვისა გარეშე)...

უფრო ხშირად რთული ასიმილაცია ეწოდება ორი ან მეტი ასიმილაციური პროცესის შედეგს, რომელიც მიღებულია ისტორიულ-თანმიმდევრულად ან ერთბაშად ერთსა და იმავე ფონეტიკურ ერთეულში. მაგ., ავანტყოფი < ავამტყოფი < ავადმყოფი (1949, 196), (1966, 163). იხ. ასიმილაცია.

რთული სიტყვა ყოველ ენას სწვევია რამოდენიმე ძირითად კუთვნილების (ჩვეულებრივად ორისა) ერთ სიტყვად გაერთიანება; ასეთ გაერთიანებულ სიტყვას ვუწოდებთ რთულს ან კომპოზიტს: მხარგრძელი, ცხრათვალა, დევგმირი და სხვა (1918-19, 113).

რთული წინადადება როდესაც ორი წინადადება (ორ ან მეტწვერიანი) ერთი მეორეს უერთდება იმ სახით, რომ ერთი შეადგენს მეორის ნაწილს, ამას ეწოდება რთული წინადადება; შესაძლებელია აგრეთვე რამდენიმე წინადადების გაერთიანებაც ერთ რთულ წინადადებად. გაერთიანება ხდება ნაცვალ სახელთა და ზმნისართების შემწვობით (რომელი, რომელიც, როცა, რომ, სადაც და სხვა) (1918-1919, 109).

რთული ხშული თანხმოვანი იგივეა, რაც აფრიკატი.

როტაციზმი ფონეტიკაში როტაციზმი (ბერძ. ρα – „რ“ ასოს სახელწოდება) ჰქვია თანხმოვნის (კერძოდ ზ-ს) რ-დ ქცევას. ასეთია, მაგ. ლათ. amare „სიყვარული“ < *amase, სადაც s წარმოითქმის ზ-დ; გერმ. შეად. war ინგლ. was.

ლოგოპედიაში როტაციზმი ეწოდება სიტყვაში რ-ს ენაწლუნგურ დაკარგვას (მაგ., ბარი – ბა-ი, გროვა – გოვა) (1949, 351).

ს

საარტიკულაციო ბაზისი იგივეა, რაც **ინდიფერენტული მდგომარეობა**.

საზიარო არტიკულაციის წესი უშუალო მეზობლობაში მყოფი ორი ბგერის წარმოთქმისას მათი საზიარო არტიკულაცია წარმოებს მხოლოდ ერთხელ (და არა ცალ-ცალკე თითოეულისათვის). ამ წესს ვეძახით საზიარო არტიკულაციის წესს.

ამ წესის თანახმად, მაგ., ორი უშუალოდ მეზობელი მჟღერი ბგერისათვის სახმო სიმები უწყვეტლივ ჟღერს ორივე ბგერის წარმოთქმის განმავლობაში. ქართულში მუდამ ასეა ნორმალურად (არა ჩურჩულით) წარმოთქმულ ხმოვანთა შეერთებისას: ააგო, აუგო, გაიგო და ა. შ. (1949, 100). იხ. **ბგერათშეერთება**.

საზოგადო გრამატიკა მორფოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს სიტყვის სხვა და სხვა ფორმებს და ამ ფორმათა მნიშვნელობას; სინტაქსი იკვლევს წინადადებათა სხვა და სხვა ფორმებს და მათ მნიშვნელობას (1918-19, 106).

სამეტყველო ბგერა იგივეა, რაც **ფონემა**.

სამეტყველო ბგეროვნობა იხ. **დისტინქტური ძალა**.

სამეულები იხ. **თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია)**.

სამურზაყანო-ზუგდიდური კილო იხ. **წინაპარი ენა**.

სამეტყველო სუნთქვა იგივეა, რაც **ფონაცია**.

სამხმოვანა იგივეა, რაც **ტრიფთონგი**.

სამხრეთ-ირონული იხ. **დვალური დიალექტი**.

სამხრეთ ოსური იხ. **დვალური დიალექტი**.

სანდჰი სანდჰი (ძველი ინდური sandhi „შეერთება“) ფონეტიკური მოვლენები სიტყვის თავსა და ბოლოში (გარეგანი სანდჰი) ან სიტყვის შიგნით (შინაგანი სანდჰი) (1949, 236).

საურთიერთო მეტათეზისი საურთიერთო მეტათეზისი, როცა სიტყვაში ორი ერთმანეთს მანძილით დაშორებული ბგერა შეუნაცვლებს ერთმანეთს ადგილს, მაგ.: ნამგალი, ცარიელი < ცალიერი (1949, 205). იხ. **მეტათეზისი**.

საშუალო აწეულობის ხმოვანი საშუალო აწეულობის ხმოვნებია, მაგ., ქართულში ე-ო. ამ ხმოვნებისათვის ენას (ე-სთვის ზურგის წინა ნაწილით, ო-სთვის-უკანაით) საშუალო ადგილი უკავია შედარებით მაღალი აწეულობის ხმოვნებთან (ი-ე, უ-ვ) და დაბალი აწეულობის ხმოვნებთან (ქართ. ა, რუს. а) (1949, 67-68).

„საშუალო მჟღერობა“ აკად ნ. მარსს ქართველურ resp. კავკასიურ ენათა თანხმოვნები დაყოფილი აქვს ძლიერ და სუსტ თანხმოვნებად – იმ საფუძველით, რომ პირველნი (მაგ., ქართ. ტკ, დგ, თქ; პბფ) უფრო გამძლენი არიან საზოგადოებრივ გამოყენებაში, ვიდრე მეორენი (მაგ. ქართ. სზ, შჟ, რლ, მ, ჳ, ჰ, ე); ძლიერი თანხმოვნები წარმოდგენილია ამ სისტემაში მჟღერობის სამი საფეხურით. მაგ.: კ → გ → ქ ან პ → ბ → ფ და ყველა სხვა ჰომორგანული ხშულები (ჩვენით – „სამეულები“), ხოლო სუსტი თანხმოვნები – ორი საფეხურით, მაგ.: ქართ. ს→ზ, შ→ჟ და სხვ. (ჩვენით – „წყვილეულები“), ძლიერთაგან პირველი (მაგ. კ) ყრუა, მეორე (მაგ. გ) – მჟღერი, ხოლო მესამე (მაგ. ქ) – „საშუალო მჟღერობის“ („средей звонкости – Ак. Мещанинов; გვ. ნ; აკ. ნ. მარსს ეს საფეხურები წარმოდგენილი აქვს, როგორც „გამჟღერების გამა“ – гамма озночения, მაგ. Избранные работы, т. I, 319).

რა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ფ თ ქ და ც ჩ (აგრეთვე ხ და კ) მივიჩნიოთ საშუალო მჟღერობისად? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არავითარი, რამდენადაც, როგორც ცნობილია, მჟღერობა (звонкость) შედეგია სახმო სიმების პერიოდულ-ვიბრაციული რხევისა, ე. ი. მჟღერი ბგერის (თუნდაც საშუალოსი) წარმოთქმაზე, ისე – და განსაკუთრებით – ინსტრუმენტალური ჩანაწერებით კიმოგრაფზე, ზემოთ დასახლებულ თანხმოვნებში არა ჩანს ხმის მონაწილეობის არავითარი ნასახიც კი. თვითონ ნ. მარსი ამბობს Грамматика древнелитературного груз. языка-ში 1925, გვ. 10, 11: „Согласные делятся на... простые сильные..., в таблице помещенные вне квадрата – горизонтально в порядке степени звонкости от глухого через звонкий к среднему, по психологии

языка причастному одинаково и к звонкости, и глухоте, хотя объективно фонетически выявляется скорее его глухота, чем звонкост...“ თუ კი, მაშასადამე, ეს ჩვენი თანხმობები „ობიექტურ-ფონეტიკურად უფრო ყრუნი არიან ვიდრე მჟღერი, რატომ არიან ისინი „ენის ფსიქოლოგიის მოზიარენი მჟღერობისად და ყრუობისაც“? შეიძლება იმიტომ, რომ ისინი (ფ თ ქ ც ჩ) მეტი სონორობის შემცველნი არიან, ვიდრე შესაფერი ყრუები (მარრით შესაფერი ყრუები პ ტ კ წ ჭ, რომლებსაც ჩვენ ყრუ მკვეთრებს და ყელ-ხშულებს ვეძახით; ასეთივეა ჩვენის აზრით ყ-ც). სხვათა შორის, ფრანგულად sonore-ს ეძახიან აგრეთვე მჟღერს; მაგრამ ვფიქრობთ, რომ ასეთ ტერმინოლოგიურ არევას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც ს შ კიდევ უფრო მეტი სონორობის მატარებელი არიან, ვიდრე ფ თ ქ... მაგრამ მარრი მათ არ მიაწერს საშუალო მჟღერობას (1938, 70-71).

საწარმოთქმო ორგანოები სასუნთქი აპარატი წარმოადგენს ერთერთ ბგერათწარმოსათქმელ ორგანოს. საწარმოთქმო ორგანოა აგრეთვე ხორხი, რომელშიც ამომდინარე ჰაერნაკადი განიცდის პირველ საბგერო სახეცვლას სახმო სიმებში გაგლისას. სახის, ცხვირის და პირის ღრუები წარმოადგენენ ხორხში გამოვლილი ჰაერნაკადის გზას, რომლის მანძილზე ის კვლავ განიცდის ცვლილებას – იმის მიხედვით, თუ რომელ ღრუში გაივლის ჰაერნაკადი და რა ფორმის დაბრკოლება დახვდება მას წინ. აღნიშნული ღრუებიდან პირის ღრუში იმყოფება მძლავრი და მოქნილი კუნთი-ენა.

საწარმოთქმო აქტიური ორგანოები: სახმო სიმები, ქვედა-ყბა, ენა (ყველა თავისი ნაწილით: ენის წვეტი, წინა, შუა და უკანაენა, ენისძირი), რბილი სასა ნაქითური, ხახის კედელი და ტუჩები.

საწარმოთქმო პასიური ორგანოებია: კბილები, ნუნები და მაგარი სასა (1938, 19); (1949, 22).

საწარმოთქმო ჰაერნაკადის დაბრკოლებათა სახეები იხ. დაბრკოლებათა სახეები.

სახმო სიმები იგივეა, რაც ბგერითი იოგები.

სემანტიზებული ბგერათმონაცვლეობა თუ მონაცვლეობა უკავშირდება სიტყვათა არა გრამატიკულს, არამედ სემან-

ტიკურ (ნივთობრივ) განსხვავებას, ამბობენ, ბგერათმონაცვლეობა სემანტიზებულია. სემანტიზებულია, მაგ., ლ/ნ მონაცვლეობა სული/სუნი-ში, ბ/ფ – კრებ – /კრეფ-ში, ბ/პ – ლბობა/ლპობა-ში, ჟ-შ – ურიალი/შრიალ-ში (1949, 210). იხ. ბგერათმონაცვლეობა.

სემანტიკა იგივეა, რაც სემასიოლოგია.

სემანტიკური ანალოგია იხ. ბგერითი ანალოგია.

სემასიოლოგია იმ დისციპლინას, რომელიც იკვლევს სიტყვას მნიშვნელობის მხრივ და ითვალისწინებს ამ მნიშვნელობის ცვლილება-განვითარებას – ზოგჯერ სიტყვის ბგერითი მხარის ცვლილებასთან დამოუკიდებლად, – ეწოდება სემასიოლოგია ან სემანტიკა (გერმ. Semaino, semasia „აღნიშვნა“, semantikos „აღმნიშვნელი“).

სემასიოლოგიის საგანი (სიტყვის მნიშვნელობა-შინაარსი) უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ფონეტიკისა; განსაკუთრებით, მნიშვნელობის ცვლილება-განვითარების მიზეზები სძევს ზოგჯერ ენის სფეროს გარეშეცხოვრების საერთო პირობათა ცვალებადობაში; ამიტომ სემასიოლოგიაში ვერ მყარდება ისეთი გარდაუვალი კანონები, როგორიც ფონეტიკაში. ჩვენ განვიხილავთ ხსენებულ მოვლენებს, რამდენადაც ისინი შედიან ენობრივ და ფსიქიურ მოვლენათა ფარგლებში (1918-19, 95-96). იხ. ენათმეცნიერება.

სემური ენები აზიასა და აფრიკაში ჩვენ ვხედავთ ენათა მეორე დიდ ოჯახს, ე. წ. სემურს. ამ ოჯახიდან მრავალი ენა უკვე აღარ არსებობს, მაგრამ მათი ნაშთები კი საკმაოდ დავგრჩა. სემური ხალხები მეცნიერთა აზრით გამოვიდნენ არაბეთიდან სხვა და სხვა დროს რამდენიმე წყებად და დასახლდნენ წინა აზიასა და მესოპოტამიაში, სადაც მათ დახვდათ სუმერიელთა მაღალი კულტურა. არაბეთიდან გამოსულ სემიტელთა პირველი წყება იყო ის ტომი, რომელსაც მესოპოტამიაში დასახლების შემდგომ ისტორიაში ასურელებს უწოდებენ. მათი ენა (ასურულ-ბაბილონური) შენახულია ლურსმულ წარწერებში ბაბილონსა და ნინეფიაში მეორმოცე საუკუნიდან ქრისტემდე. მეორე წყებად გამოვიდა არაბეთიდან ქანანის ტომი, რომლის ენათა შორის ცნობილია ძველი ებრაული და ფინიკიური. ებრაულის უძველესი ნაშთი – დებოსის ჰიმნი – ეკუთვნის

მეათე საუკუნეს ქრისტემდე. ფინიკური ენის წარწერები – თითქმის ასეთისავე სიძველის – შეგვხდება ბერძნულ და ლათინურ წყაროებში (მაგ., პლაგატის ერთ კომედიაში). მე-სამე წყების არამიელთა ენა (სირიულისა და ხაღდურის კილოთი), გავრცელდა სირიაში, ასურეთში და ბაბილონეთში (1918-19, 17).

სენაკური კილო იხ. **წინაპარი ენა**.

სენსორული აფაზია იხ. **აფაზია**.

სვარაბჰაქტი იხ. **ანაბტაქსი**.

სიგმატიზმი (συμα „ს“ ბერძნული სახელწოდება) ენაწლუნგობის ერთი სახე, რომელიც გამოიხატება სისინა და შიშინა თანხმოვნების (ს-ზ, შ-ჟ, ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ) მოშლილობაში. განასხვავებენ სიგმატიზმის რამდენსამე სახეს; კბილთა-შუა ანუ სიფსიფა სიგმატიზმი (ენის წვერი ძვეს ზედა და ქვედა კბილებს შუა), ენაკბილსშული ანუ თიფთიფა სიგმატიზმი (ენის წვერი ეკვრის ზედა კბილებს: სამი-ს ნაცვლად ითქმება თამი), შიშინა სიგმატიზმი (სამი > შამი), ლატრალური (გვერდითი) ანუ თლიფინა სიგმატიზმი, ნახალური ანუ ცხვირისეული სიგმატიზმი (ჰაერნაკადი მომდინარეობს ცხვირით), ბაგეკბილისმიერი სიგმატიზმი (სამი > ჰამი) და სხვა (1949, 407).

სიგმატიკი სისინა-შიშინა ბგერებმოშლილი ადამიანი (1949, 407).

სილაბური წერა იგივეა, რაც **მარცვლობითი წერა**.

სინერეზისი სინერეზისი (ბერძნ. συναίρεσις „შეკუმშვა“) მეზობლად მყოფი ორი ხმოვნის აღმავალ დიფთონგად შერთვა; მაგ., იაკობ > დაკობ (1949, 236).

სინთეტიკური ანბანი სინთეტიკური ანბანი ეწოდება ისეთს, რომელიც არ უწევს ანგარიშს, რთული შედგენილობისაა თუ მარტივისა ის ბგერა, რომელიც ასოთი უნდა გამოისახოს. მაგ., ქართული ან რუსული ანბანი საერთოდ სინთეტიკურია: მარტივი „ჩ“ ასო გამოხატავს რთულ თანხმოვანს ანუ აფრიკატს, ხოლო ასეთივე მარტივი ასო, მაგ., „დ“ გამოსახავს მარტივ თანხმოვანს (1949, 178). იხ. **ანბანი**.

სინკოპე სინკოპე (ბერძნ. συλ-κοπη „ჩეხა, მუსრვა“), სიტყვის შიგნით ორ თანხმოვანს შუა ბგერის ჩავარდნა (დაკარგვა); იგივე ელიზია სიტყვის შიგნით. ხმოვნის სინკოპირება (1949, 236). იხ. **ელიზია**.

სინტაქსი იხ. **ენათმეცნიერება**.

სინტაქსური ერთეული ...ჩვეულებრივ (ცოცხალ) ლაპარაკში ფონეტიურად არ არსებობს სიტყვა, როგორც დამოუკიდებელივ განკერძოებული რამ ერთეული; არსებობს მხოლოდ სინტაქსური ერთეული. ეს იმიტომ, რომ წინადადებაში ლაპარაკის დროს წინა სიტყვის ბოლო ბგერა ისეთისავე სისწრაფით უერთდება შემდეგი სიტყვის პირველ ბგერას, როგორც ერთ სიტყვაში ორი მეზობელი ბგერა ერთი მეორეს (1918-19, 96). იხ. **სიტყვა**.

სინჰარმონიზმი სინჰარმონიზმი ანუ ხმოვანთა ჰარმონია წარმოადგენს ხმოვანთა პროგრესულ დისტანციურ სრულს ასიმილაციას მთელი სიტყვის მანძილზე (1949, 197), (1966, 163). იხ. **ასიმილაცია**.

სისინა თანხმოვანი იხ. **თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია)**.

სიტყვა სიტყვა არის წარმოდგენის სიმბოლო. მრავალი ჩვენი წარმოდგენა მერთალია და ადვილათ დაიკარგებოდა ან აირეოდა, რომ მათ სიტყვით (ბგერით) არ ვაკავებდეთ და არ ვიჭერდეთ. ცნებათა შექმნა კი ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა უსიტყვოთ. ისეთ განყენებულ ცნებებს რომ თავი დავანებოთ, როგორიცაა „სიცოცხლე“, „მსოფლიო“, „სიარული“, „დაჭერა“ და სხვ., კონკრეტი საგნების წარმოდგენაც კი გავვიჭირდებოდა უსიტყვოდ (1918-19, 5).

თუკი შესაძლებელია ვილაპარაკოთ სიტყვის, როგორც ერთეულის არსებობაზე, ეს მხოლოდ სემასიურის (მნიშვნელობითი) თვალსაზრისით, ე. ი. არსებობს სიტყვა, რადგან ის აღნიშნავს ერთ განსაზღვრულ ცნებას; მაგრამ რა ცნებას აღნიშნავს „ან“, „და“, „მიერ“, „ქვევა“? ესენიც ხომ სიტყვებია? მათ ეძლევა მნიშვნელობა მხოლოდ წინადადებაში, სინტაქსურ ერთეულში. მართალია, „მამალი“, „ხელი“, „თავი“... აღნიშნავს რეალურ საგნის წარმოდგენას, მაგრამ არ ვიცით 1) რა კონკრეტულ ურთიერთობაშია ეს საგანი სხვებთან; მამალმა იყივლა თუ ის დაკლეს? ხელი ეტკინა თუ ხელით გააკეთა... ამიტომ მხო-

ლოდ კონტექსტში ეძლევა ამა თუ იმ სიტყვას მნიშვნელობა. მაშასადამე დამოუკიდებელი არსებობა მნიშვნელობის მხრივაც აქვს მხოლოდ სინტაქსურ ერთეულს. ამ ერთეულის სიტყვებად დაყოფა ხდება ხელოვნურად, შეთანხმების ძალით პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო.

სიტყვასა და მის მნიშვნელობას შუა არ არსებობს შინაგანი განუყრელი კავშირი. ჩვენ ვიცით, რომ სიტყვის ბგერითი მხარე არის აკუსტიური და მოტორული წარმოდგენა მის შემადგენელ ბგერათა: ასეთი წარმოდგენა (სიტყვა) მე შემიძლია მქონდეს ცნობიერებაში, გამოვთქვა ან დაესწერო კიდეც. მაგრამ მისი მნიშვნელობა კი არ ვიცოდე (მაგ. გაიმეორეთ ან დასწერეთ თქვენთვის უცნობი ენის რომელიმე სიტყვა); აგრეთვე მე შემიძლია მქონდეს წარმოდგენა საგნის შესახებ, მაგრამ მისი სახელი კი არ ვიცოდე. მხოლოდ მაშინ, როდესაც სიახლოვის ასოციაციის ძალით პირველი წარმოდგენა (აკუსტიურ-მოტორული ანუ ბგერითი სიტყვა) დაუკავშირდება მეორე წარმოდგენას (საგნის შესახებ), – პირველი გახდება მეორის სიმბოლოდ, ე. ი. სიტყვას ეძლევა მნიშვნელობა. წარმოდგენათა ასეთი დაკავშირება რომ შემთხვევითია და არა განუყრელი, ამის მოწმე მრავალ ენათა არსებობაა: ერთ ენაში მოვლენის წარმოდგენის სიმბოლო ბგერათა კრებულის ერთი წარმოდგენაა, მეორეში მეორე; უბრალოდ რომ ვსთქვათ: ერთი და იგივე საგანი ბგერათა სხვადასხვა კომპლექსით აღინიშნება სხვადასხვა ენაში. გულუბრყვილობა იქნება გვეფიქრა, თითქოს ბგერა თავისთავად გამოხატავს სიტყვის შინაარსს; თითქოს ბგერა „ლომი“ თავისთავად გამოხატავდეს სიძლიერეს, ან „აქლემი“ უშნობას და სხვა. სხვა ენაზე მოაზროვნესათვის შესაძლოა პირიქით.

სიტყვის მნიშვნელობა წარმოადგენს დროებითი კავშირების (ასოციაციების) სისტემებს, რომელი კავშირებიც იქმნება იმის შემდეგ, რომ ერთდროულად აქვს ადგილი სასმენელ-სამეტყველო ორგანოთა მუშაობას და გარემოდან მიღებულ უშუალო იმპულსებს (გადიზიანებებს).

სიტყვის მნიშვნელობას, მაშასადამე, საფუძვლად უდევს არტიკულაციურ-აკუსტიკური შეგროვებათა ასოციაციები გარემო საგანთა და მოვლენათა შეგროვებებთან, რაც (ასოციაციები) წარმოიქმნება როგორც მოლაპარაკის, ისე მსმენელის ცნობიერებაში.

ამ გზით ჩასახული ადამიანური სიტყვა, რომელიც აზოგადებს ურიცხვ შეგროვებებს და ასოციაციურად უკავშირდება ადამიანის ყოველგვარ გამოცდილებას, იძენს თავის სპეციფიკურ თავისებურებებს და კანონზომიერებებს, გადაეცემა თაობიდან თაობას და, იცვლება რა დროთა განმავლობაში გარკვეული კანონზომიერებით, წარმოადგენს შემეცნებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის შეუნაცვლებელ იარაღს (1918-19, 96-98); (1959, 64).

სიტყვათგანმასხვავებლობითი დანიშნულება იხ. ბგერათცილებების ფონოლოგიური მიზეზი.

სიტყვათმახვილი ერთზე მეტ მარცვლიან სიტყვაში ერთ-ერთი მარცვლის დანარჩენ მარცვალთაგან სიძლიერით ან სიმაღლით გამოყოფა-გამოჩინებას ეწოდება სიტყვათმახვილი, ხოლო ამგვარად გამოყოფილ-გამოჩინებულ მარცვალს – მახვილიანი მარცვალი.

ქართული სიტყვათმახვილი რომელიც ძირითადად დინამიკურია, ხოლო ადგილის მიხედვით იგი ბოლოდან მეორე მარცვალზეა (ორმარცვლიანში) ან მესამეზე (სამ-და მეტმარცვლიან სიტყვაში ბოლოდან) (1949, 131), (1966, 130-134).

სიტყვიერი სიყრუე იხ. აფაზია.

სიტყვის ბგერითი მხარე იხ. სიტყვა.

სიტყვის ბგერობრივი ანალიზი იხ. ლურსმული წერა.

სიტყვის ბოლოკიდური იხ. ფონეტიკური ბოლოკიდური ბგერა.

სიტყვის თავკიდური იხ. ფონეტიკური თავკიდური ბგერა.

სიტყვის მთავარი მახვილი ერთზე მეტ მარცვლიან სიტყვაში სიძლიერე-სიმაღლით გამოყოფილ-გამოჩინებული მარცვლის მახვილს ვეძახით სიტყვის მთავარ მახვილს (1949, 131), (1966, 190).

სიტყვის მნიშვნელობა როცა ვამბობთ: „ოჯახი“, „თვე“, „ტკივილი“, ჩვენ ამით გამოვხატავთ საერთო ცნებას, რომელიც შეიცავს ამ რიგის ყოველ კერძო მოვლენას; სიტყვის ასეთ მნიშვნელობას ეწოდება აბსტრაქტული მნიშვნელობა. ხოლო როცა ვამბობთ: „ჩემი სახლი“, „მარიამობის-თვე“, „ეს ტკივილი“, ასეთ მნიშვნელობას ეწოდება კონ-

კრეტული, რადგანაც ცნობილია დროისა და სივრცის ფარგლებში.

კონკრეტული მნიშვნელობა შესაძლოა იყოს განსაზღვრული და განუსაზღვრელიც. „წავიკითხე ერთი წიგნი; ცხადია, რომ „წიგნს“ აქ კონკრეტული მნიშვნელობა აქვს (რადგან აბსტრაქტული ექნებოდა, თუ ვიტყვით, მაგ., „წიგნი კარგი საქონელია“), მაგრამ ის ჯერ განუსაზღვრელია: თუ მე განვაგრძობ: „ამ წიგნმა მე დამატკბო“, აქ უკვე მნიშვნელობა განსაზღვრულია, რადგან მსმენელმა უკვე იცის, რომ ეს ის წიგნია, რომელიც მე წავიკითხე.

ორი ან რამოდენიმე სიტყვა შესაძლოა გარეგნულად ერთი და იგივე იყოს, მაგრამ ეს მოვლენა ყოველთვის არ გულისხმობს ამ სიტყვათა მნიშვნელობის ერთსა და იგივეობას; მაგალითად: ხერხი (სამუშაო იარაღი) და ხერხი (მოხერხება), წერს – წერა (ბედის), და (ჩემი და) – და (კავშირი) და მრავალი სხვა. სიტყვათა გარეგნული ასეთი მსგავსება შესაძლებელია იყოს ორგვარი პროცესის შედეგი:

ა) გარეგნულად და შინაარსით განსხვავებული სიტყვები შესაძლოა სხვადასხვა ფონეტიურ ცვლილებათა გამო ერთიმეორეს დაემსგავსოს გარეგნულადაც, მაგრამ მნიშვნელობის მხრივ განსხვავება მაინც რჩება. მაგალითად, ძველად იწერებოდა და ითქმოდა და, მაგრამ დროთა განმავლობაში ე დაიკარგა და სრულიად შემთხვევით დაემსგავსა „და“ კავშირს. შესაძლოა, რომ ამგვარი პროცესის შედეგი იყოს წერა – წერა-ს, ხერხი – ხერხი-ს გარეგნული მსგავსება. ამ მაგალითებში ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა.

ბ) შესაძლებელია, რომ ერთმა განსაზღვრულმა მნიშვნელობამ მიიღოს სხვა და სხვა სახე ასოციაციის წყალობით; მაგალითად: გული (კაცის გული, თხილის გული, ხელის გული და სხვა), წიგნი (დაბეჭდილი წიგნი, ბარათი), კბილი (აღამიანის კბილი, ხერხის კბილი და სხვა); ამიტომ ერთი და იგივე სიტყვა იხმარება თითოეული სახის აღსანიშნავად: აქ ჩვენ გვაქვს ერთი მნიშვნელობის სხვადასხვა სახეობა.

მნიშვნელობის გაფართოვებასთან გვაქვს საქმე, როცა ნაწილის სახელი ზოგადდება მთელისათვის. ჩვენ ვამბობთ, ამდენი და ამდენი სული ყავს სარჩენიო; „სული“ აქ აღნიშნავს მთელ ადამიანს.

როდესაც ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა უცვლელად ან ოდნავ შეცვლილი უკავშირდება კონკრეტულ მოვლე-

ნას, ჩვენ მაშინ საქმე გვაქვს სიტყვის მნიშვნელობის დავიწროებასთან; ასეთია, მაგალითად, ყოველი საკუთარი სახელი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია პირვანდელი მნიშვნელობის კვალი ან რომლისთვისაც ხალხს მიუცია რაიმე აზრი ამა თუ იმ მოსაზრებით: „მჭედლიშივილი“ უეჭველია ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა იქნებოდა, ვიდრე არ დაუკავშირდა ერთ პიროვნებას და საკუთარ სახელად არ იქცა.

რადგან სიტყვის მნიშვნელობა არის განსაზღვრული ცნება, რომელიც შესაძლებელია იცვალოს დროთა განმავლობაში, კულტურული და ფსიქიური პირობების მიხედვით, აქედან ცხადია, რომ იცვლება სიტყვის მნიშვნელობაც. მრავალ სიტყვას დაკარგვია თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, მაგრამ თვით სიტყვა კი შერჩენილია ენას, თუ ამ სიტყვას სხვა ახალი მნიშვნელობა შეუძენია; თუ არა სიტყვაც დაკარგულა, ესე იგი იხმარებიდან გამოსულა. როდესაც ცხოვრების პირობები ქმნის ახალ ცნებას, მის აღსანიშნავად ენა სარგებლობს ან უცხო სიტყვით (თუ ცნებაც ნასესხებია), ან ენაში უკვე ხმარებული სიტყვით (ამ შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობა ფართოვდება), ან ითხზება ახალი სიტყვა მშობლიური ენის მასალისაგან. განსაკუთრებით ხშირად ენა სარგებლობს პირველი საშუალებით: ამით აიხსნება უცხო სიტყვების შესება, რომელიც ყოველ ენაში ძალიან ხშირია (1918-19, 98-99 101-103). იხ. სიტყვა.

სიტყვის მორფოლოგიური ნაწილი იხ. **მორფოლოგიური ნაწილი.**

სიტყვის მცვლელი ფორმანტი იხ. **ფორმანტი.**

სიტყვის შიგნითა ბგერა ფონეტიკურად სიტყვის შიგნითა ბგერა არის ის ბგერა, რომელსაც არა აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი არც შემართვა და არც დამართვა (1966, 175).

სიფსიფა სიგმატიზმი იხ. **სიგმატიზმი.**

სიძლიერის მახვილი იგივეა, რაც **დინამიკური მახვილი.**

სკდომა იხ. **ხშულობა.**

სონანტი იხ. **სონორული თანხმოვანი.**

სონორთა ჯგუფი იხ. **სონორობა.**

სონორი იხ. **ბგეროვნობა**; „საშუალო მჟღერობა“; **სონორობა**.

სონორობა სამეტყველო ბგერები განსხვავდება ერთმანეთისაგან ხმის მეტ-ნაკლები მონაწილეობით; მაგალითად, მჟღერ ბგერებს ხმა აქვთ, ყრუებს არა; პირველნი ხმიანები, მეორენი უხმოები (ამ შემთხვევაში ხმოვანობა-უხმოობაში იგულისხმება სახმო სიმების პერიოდულ-ვიბრაციული მონაწილეობა). ამდენად უმართებულოა, როდესაც ხმიანებად სთვლიან მხოლოდ ე. წ. ხმოვნებს, უხმოებოდ – ყველა თანხმოვანს, რადგანაც ხმის მონაწილეობა არის ყველა მჟღერ თანხმოვანში. ამ უკანასკნელებში... გამოირჩევა ე. წ. ნარნარა და ცხვირის თანხმოვნები (რლ, მნ), რომლებშიც ჭარბობს ხმა (დანარჩენ თანხმოვნებში მეტია ჩქამი). ამ მხრივ ისინი (რლ, მნ) ხმოვნებთან ერთად წარმოადგენენ ჯგუფს, რომელსაც ჩვეულებრივ ეძახიან სონორთა ჯგუფს. ქართულად ამის შესატყვის ტერმინად გამოდგება ხმიერთა ჯგუფი; სონორი = ხმიერი. ტერმინი ხმიანი და, მით უფრო, ხმოვანი არ გამოდგება მხოლოდ იმის გამო, რომ ტრადიციულად ისინი (ხმიანი, ხმოვანი) იხმარებიან სხვა შინაარსით – აღნიშნავენ მხოლოდ ხმოვნები (1938, 65-66).

რადგან სონორობას (ხმიერობას) ასეთი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროა ბგერათა შედარებითი სონორობის გათვალისწინება. დავიწყო ნაკლებ ხმიერებიდან:

1. ყველაზე ნაკლებ ხმიერია ყრუ ხშულ-მსკდომი: პ, ტ, კ.
2. ოდნავი „ხმიერობა“ აქვს ყრუ ღრიჭოვანებს: ფ, ს, შ, ხ.
3. კიდევ მეტად ხმიერია მჟღერი ხშულმსკდომი: ბ, დ, გ.
4. მჟღერი ღრიჭოვანები: ვ, ზ, ჟ.
5. ცხვირის მიერნი: ნ, მ.
6. ლ და რ (მდინარნი).
7. ვიწრო ხმოვანები: უ, ი,
8. საშუალო ხმოვანები: ო, ე,
9. ფართე: ა (1918-19, 58-59). იხ. **ბგეროვნობა**; „საშუალო მჟღერობა“.

„სონორობის თეორია“ იხ. **მარცვალი**.

სონორობის მწვერვალი იხ. **მარცვალი**.

სონორული ბგერა იხ. **მარცვალი**.

სონორული თანხმოვანი მჟღერ თანხმოვნებში გამორჩეულია ხშულ-ნაპრალოვანი მჟღერი თანხმოვნები (ლ-მ-ნ-რ), რო-

მელნიც თავისი ღიაობით აღემატებიან ყველა თანხმოვანს და უახლოვდებიან ხმოვნებს: ამდენადვე, ისინი სონორობითაც აღემატებიან ყველა თანხმოვანს და უახლოვდებიან ხმოვნებს. როგორც ვიცით, ისინი ხმიერობითაც მეტნი არიან ყველა თანხმოვანზე და ამიტაც ახლო დგანან ხმოვნებთან. განსხვავებით ყველა სხვა თანხმოვნისაგან, მათ უწოდებენ სონორულ თანხმოვნებს. სონორულ თანხმოვანთა რიგს ეკუთვნიან აგრეთვე, ე. წ. ნახევარ-ხმოვნები, მაგ., ქართ დ და ჯ, რუს. ж-ში პირველი ბგერა, ფრანგ. w სიტყვაში il doit (el dwa). ყველა ესენი, ე. ი. მ-ლ-რ-დ-ჯ იწოდებიან აგრეთვე სონანტებად (1949, 61). იხ. **თანხმოვანი**.

სოციალური ფონეტიკა იხ. **ფონეტიკა**.

სოციალური ღირებულების ბგერა ადამიანს თავის საწარმოთქმო ორგანოების საშუალებით შეუძლია გამოსცეს მრავალზე მრავალი ბგერა, მაგ.: სიმღერა, კენესა, კივილი, სტვენა, ყვირილი, წლაპუნი, წრუპუნი, ხველა, ხვნემა და ასე შემდეგ. მაგრამ სამეტყველოდ, ე. ი. სხვასთან ნორმალურ სიტყვიერ ურთიერთობაში, ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს გამოყენებული აქვს სრულიად განსაზღვრულ ბგერათა რიცხვი; მაგ., დღევანდელ ქართულში გამოყენებულია მხოლოდ 33 სამეტყველო ბგერა, რუსულში 39; ეს ის ბგერებია, რომლებიც მონაწილეობენ სიტყვის შედგენაში და ამიტომ განასხვავებენ სიტყვებს ერთმანეთისაგან, მაშასადამე, ესაა ენობრივი დანიშნულების ბგერები. ამიტომაც, რომ სამეტყველო (ენობრივი) დანიშნულების ბგერებს, ყოველი სხვა ბგერებისაგან განსხვავებით ჰქვია სოციალური ღირებულების ბგერები (1966, 10). იხ. **ფონემა**; **ბგერა**.

სპირანტი ნაპრალი შეიძლება იყოს შედარებით ვიწრო ან ფართო, ღარისებრ მომრგვალებული ან გასწვრივი. ამ რაგვარობით ნაწარმოებ თანხმოვნებს ვეძახით სპირანტებს, ფრიკატივებს ანუ ქართულად ნაპრალოვნებს (დასახსომებელია, რომ აკად. ნ. მარი სპირანტს ეძახდა ღარინგალურ ხშულსა (ჟ), ნაპრალოვან ჰ-ყ-ს და შუაენისმიერ დ-ს) (1949, 39). იხ. **თანხმოვანთა განდასება** (კლასიფიკაცია); **ნაპრალოვანი**; **ნაპრალოვნობა**.

სპირანტიდები ხშირად შეეძლება სამეუღეს (გ-კ-ყ), რომელიც დეფექტურია ქართულსა და ზანურში, მაგრამ სრულია სვანურში, ვუწოდეთ სპირანტიდები იმიტომ, რომ თითოეულ მათგანში არის (ყ-ში ა. ჩარგეიშვილით, სამივეში ს. ჟღენტი) სპირანტი ელემენტი და, როგორც ს. ჟღენტიც ამბობს, იმიტომაც, „რომ ისტორიულად გ და კ შეცვალა სპირანტებმა ღ-ხ-შ“.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ აფრიკატის (ან აფრიკატიდის) დარქმევა იმიტომაც არ იქნებოდა მართებული, რომ აფრიკატის შედგენილობაში, ჩვეულებრივ, შეერთებულ თანხმოვანთა თანამიმდევრობა არის: ხშირი + ჰომორგანული სპირანტი, ხოლო ფარინგალური ხშირების შედგენილობაში ამის საპირისპირო თანამიმდევრობაა: სპირანტისებური ჩქამი (შემართვაში) + ხშირი (1949, 316).

სპონტანური ბგერათცვლილება იგივეა, რაც **განუპირობებული ბგერათცვლილება** ან **შეუპირობებელი ბგერათცვლილება**.

სრული ასიმილაცია სრულია ასიმილაცია, როცა მოცემული ბგერა სავსებით ემსგავსება ასიმილატორს; მაგ., ქქონდაში მჟღერი გ სავსებით დაემსგავსა ასიმილატორს (მომდევნო ქ-ს) (1949, 118).

სრულფშეინვიერი ყრუ ხშირი თანხმოვანი იხ. **ხშირად წყვილულებრივი, სამეუღლებრივი და ოთხეულებრივი სისტემები**.

სუბსტიტუცია იხ. **ბგერათანაცვლება**.

სუმერულ-აკადური ენა იხ. **სუმერული ენა**.

სუმერული ენა ქრონოლოგიურად ყველაზე უძველესი ნაშთი გვაქვს სუმერულ ენისაგან, რომლის კილოთ ითვლება აკადური.

სუმერული ენის ნაშთები შენახულია ლურსმულ წარწერებში. მრავალი წარწერა უკვე ევროპაშია გადატანილი და ინახება პარიზის, ბერლინის და ლონდონის მუზეუმებში. ნაწერების შინაარსი მრავალგვარია: რელიგიური ჰიმნები, შელოცვები, მეფეთა სახელები და სხვა. ისტორიას ამაზე უძველესი ძეგლები არ გააჩნია. სუმერიელები გენეტიურად არ ენათესავებოდნენ არც სემიტელებს და არც ინდოევროპელებს. სუმერ-აკადური ენა გავრცელებული

იყო მესოპოტამიაში: სუმერული სამხრეთით, ევრატის ველებში და აკადური ჩრდილოეთით. სუმერიელებმა ჩაუყარეს საფუძველი ბაბილონის კულტურას, რომელიც აყვავდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მეორმოცე საუკუნეში ქრისტემდე. შემდეგ სუმერიელები შეერივნენ მოსულ სემიტელებს და გადმოიღეს მათი ენა და კულტურა, რომელიც თანდათანობით გავრცელდა ჯერ ფინიკიაში, შემდეგ საბერძნეთში და იტალიაში და ბოლოს სხვა ინდოევროპულ ქვეყნებში. საფიქრებელია, რომ ბალკანეთის და აპენინის ნახევარ კუნძულებზე ბაბილონური კულტურა გადავიდა უფრო ადრე, ვიდრე ამ ნახ.-კუნძულებს ბერძნები და ლათინები დაიკავებდნენ. ამას მოწმობს მიკენის კულტურა საბერძნეთში და ეტრუსკთა იტალიაში (1918-19, 16-17). იხ. **ლურსმული წერა**.

სუნთქვიერი ბგერა უსუნთქველთა რიგი უპირისპირდება სუნთქვიერთა რიგს. სუნთქვიერია, რა თქმა უნდა, ქართულ ბგერათა უმრავლესობა; მაგრამ ამოსუნთქული ჰაერნაკადის გზა სხვადასხვა გვარია ხმოვნებისათვის, ხშირდამსკდომებისათვის, ნაპრალოვნებისა, ცხვირისმიერებისა (მ, ნ), ნაპრაღხშილისა (ლ) და ვიბრანტისათვის (1938, 167). იხ. **თანხმოვანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი წარმოება**.

სუფთა ნაპრალოვანი იხ. **ნაპრალოვანი**.

სუპერაცია აქცესიური კომპლექსის დაძლევა (1949, 207). იხ. **თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაცია**.

სუპერაციის მეშვიდე შესაძლებლობა ...სუპერაციის მეშვიდე შესაძლებლობა მიუკვლევა გ. როგავას მეგრულ ენაში:

გ. როგავას გამოკვლევამ, ერთი მხრით, განამტკიცა დადგენილ ფონეტიკურ კანონზომიერებათა ამოსავალი დებულება – თანხმოვანთა აქცესიურ კომპლექსს მიდრეკილება აქვს სუპერაციისადმი – და, მეორე მხრით, გახსნა ახალი გზა სუპერაციის სხვა ფორმათა (ანუ შესაძლებლობათა) ძიებისათვის სხვადასხვა ენაში, მიუმატა რა სუპერაციის ექვს დადგენილ ფორმას მეშვიდე, რომლის მოქმედებაც მეგრულ ენაში გ. როგავამ, ფიქრობ, უმჭკველად დაამტკიცა.

აქცესიური კომპლექსის სუპერაცია მეგრულში გ. როგავამ დაინახა მეგრულის რ-ს ქართულის გ(ქ)-სთან ფონეტიკური (და, მაშასადამე, ეტიმოლოგიური, მატერიალური) შესატყვისობის საკმაოდ მრავალ შემთხვევაში – როგორც

ცალკეულ ფუძეებში, ისე აფიქსშიც: იგულისხმება გ(ქ)რ აქცესიურ კომპლექსში.

მაგ., ქართ. საგზალი: ორზოლი, ქართ. ქსელავს: მეგრ. ორშუანს: ძვ. ქართ. მოიქცა (<* მოიქთა).

ქართ. გწერს: მეგრ. რჭარუნს.

მეგრ. რთხულენს < *გთხულენს „გთხოვს“

მეგრ. რძირუნს < *გძირუნს „გნახავს“

მეგრ. მერტახუნს < *მეგტახუნს „მოგტეხს“ და სხვ. (1949, 349-350). იხ. **თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსები; სუპერაცია.**

სუპერაციის ფორმები იხ. **თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაცია.**

სუსტი თანხმოვანი იხ. „**საშუალო მუდერობა**“.

სუსტი ფონეტიკური პოზიცია იხ. **ფონეტიკის პოზიცია.**

სხეულმოდრობითი ენა სხეულმოდრობითს ანუ კინეტიკურ ენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უესტიკულაციას, ხელმოდრობითს მეტყველებას: თავდაპირველ სამეურნეო საფუძველზე საზოგადოებრივ დაჯგუფების სტადიაში ხელი ასრულებდა განსაკუთრებულ დანიშნულებას, როგორც სამოქმედო და მასთანვე როგორც სააზროვნო იარაღი (ამიტომ „კინეტიკური მეტყველება“ თითქმის იგივეა, რაც „ხელმოდრობითი მეტყველება“) (1931, 20).

აკად. ნ. მარტი წერის წარმოშობის პირველ ნიშნებს ხელავს კინეტიკურ (სხეულმოდრობითს) ენაში, კერძოდ – ხელის ხაზობრივ ენაში, რომელიც წინ უსწრებდა ბგერითს ენას: ერთ მთლიან კინეტიკურ მეტყველებაში განვითარდა დიალექტიკურად ორი – ბგერითი და წერილობითი მეტყველება, რომელთაგან გაიმარჯვა ბგერითმა, როგორც უფრო მოქნილმა, სხვადასხვა პირობებში უფრო გამოსადეგმა და განვითარების მეტი შესაძლებლობების მქონემ, ხოლო წერილმეტყველება შეიქმნა ბგერითის გრაფიკული სიმბოლო. მართლაც, როგორც კინეტიკური, ისე გრაფიკული (წერილობითი) მეტყველება მხედველობითი ნიშანია; ამდენად მათ შორის გენეზისური სიახლე – დამაჯერებელი მოსაზრებაა (1938, 82). იხ. **ბგერითი ენა.**

ტ

ტაკტი როცა წინადადებას ვყოფთ სიტყვებად, ჩვენ ვხელმძღვანელობთ მნიშვნელობის პრინციპით, ე. ი. ლოგიკურ-მორფოლოგიური ანალიზით, მაგრამ ფონეტიკურ პრინციპს კი ვღალატობთ, რადგან წინადადება ფონეტიკურად სიტყვებად კი არ იყოფა, არამედ ტაკტებად, მარცვლებად და ბგერებად; მაშასადამე, მარცვალზე უფრო მსხვილი ფონეტიკური ერთეული არის ტაკტი... „მაგრა'მ ერთმა/ნეთ'ზე' მისვლა| ხმალდა'ხმალ არ დაიზარეს“. ამ წინადადებაში ოთხი ტაკტია, რომელთაგან თითოეულის ცენტრია მახვილი. არა მხოლოდ ლექსი, არამედ ყოველი ჩვენი ლაპარაკი რითმულ-ფონეტიკური ტაკტებისაგან შესდგება, თუმცა სიტყვა რამდენიმეა (1918, II, 61).

ტონალობა იგივეა, რაც **ტონის სიმაღლე.**

ტონი და ჩქამი ყოველგვარ ბგერას ჩვენ შევიგრძნობთ ან ტონის და ან ჩქამის სახით (ტონს ეძახიან აგრეთვე მუსიკალურ ბგერას, რადგანაც მუსიკაში საერთოდ გამოყენებულია მხოლოდ ტონი; მეტყველებაში კი – ტონიც და, განსაკუთრებით ჩქამი). ტონის სახით ბგერას შევიგრძნობთ მაშინ, როცა მბგერი სხეული ირხევა (თრთის, ვიბრირობს) პერიოდულად (ე. ი. დროის განსაზღვრულ ერთეულში რხევა მეორდება ერთნაირად) და საკმარისი სიჩქარით. ასეთია, მაგ., კამერტონი, საკერავის სიმი, ადამიანის დაჭიმული მბგერი იოგები (სახმო სიმები) და სხვა. ჩქამის სახით კი ბგერა შევიგრძნობა, როცა სხეული ვიბრირობს არაპერიოდულად; ჩქამია, მაგ., გრგვინვა, ჭრიალი, რახუნი და მრავ. მისთანა. ყოველ ბგერაში (იქნება ის ტონი თუ ჩქამი) ჩვენ ვარჩევთ: ა) სიმაღლეს, ბ) სიძლიერეს, გ) ტემბრს და დ) ხანგრძლიობას. ბგერის ეს ოთხი თვისება ახასიათებს როგორც ტონს, ისე ჩქამს (1938, 53).

ტონის სიმაღლე ტონის სიმაღლე (ტონალობა) განისაზღვრება ვიბრაციათა სიხშირით: რაც უფრო ხშირია (ე. ი. მეტია რიცხვით) ვიბრაციები განსაზღვრული მოკლე დროის განმავლობაში (მაგ., წამში), მით უფრო მაღალია ტონი; პირიქით: რაც უფრო მცირეა ვიბრაციათა რიცხვი წამში, მით დაბალია ტონი (1938, 53). იხ. **ტონი და ჩქამი.**

ტონის სიძლიერე ტონის სიძლიერე (ინტენსივობა), დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ენერგიით ვიბრირებს მბგერი სხეული. მით უფრო ძლიერია ტონი, რაც უფრო დიდია ამპლიტუდა (მერხვე ნაწილაკთა გაქანება). თუ ავაჟღერებთ, მაგ., იმავე სიმს, დავინახავთ, რომ ჟღერის დაწყობისას უფრო ძლიერი ბგერა (აქ ტონი) გვესმის, ვიდრე თანდათან შემდგომ მომენტებში – ამპლიტუდის (გაქანების) შემცირების კვალობაზე (ამპლიტუდი კი მცირდება გარემოს წინააღმდეგობის გამო): სიძლიერე პირდაპირ პროპორციულია ამპლიტუდის კვადრატისა (მაგ., ამპლიტუდი თუ გადიდდა ორჯერ, სიძლიერე მოიმატებს ოთხჯერ; თუ გადიდდა სამჯერ, სიძლიერე იმატებს ცხრაჯერ და ა. შ.). ეს შეფარდება არ ირღვევა, სანამ ტონის სიმაღლე ერთიდაიგივეა; მაგრამ თუ შევცვლით ტონის სიმაღლეს (მაგ., თუ ამავე სიმს დავჭიმავთ), იცვლება მისი სიძლიერეც (სიძლიერე პირდაპირ პროპორციულია ტონის სიმაღლის კვადრატისა). სიძლიერეზე გავლენა აქვს აგრეთვე მბგერი სხეულის სიდიდეს (1938, 54). იხ. **ტონი და ჩქამი**.

ტონის ტემბრი ტონის ტემბრი სრულიად დამოუკიდებელია ტონის სიმაღლისა და სიძლიერისაგან. ტემბრი არის ბგერის ის თვისება, რომლითაც, მაგ., განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა სამუსიკო საკრავის მიერ (გიტარის, ვიოლინოსი, ფორტეპიანოსი და მისთანათა) გამოცემული ხმა. ტონი შეიძლება იყოს მარტივი და რთული, მაგრამ მარტივი ტონი იშვიათი მოვლენაა: ის წარმოადგენს სხეულის ქანქარისებრი მარტივი რხევის შედეგს, ამიტომ მას აქვს მხოლოდ სიმაღლე და სიძლიერე; არა აქვს მას ტემბრი. ასეთ მარტივ ტონს იძლევა, მაგ., კამერტონის თრთოლა, აგრეთვე დაახლოებით ფლეიტა და ადამიანის სტვენა: ამათი ტონის დამახასიათებელია „სიწვრილე“, „მწივანობა“, „უსრულობა“ (1938, 54-55). იხ. **ტონი და ჩქამი**.

ტონური მახვილი იგივეა, რაც **მუსიკალური მახვილი**.

ტრანსკრიფცია ფონეტიკური ტრანსკრიფცია არის სამეტყველო ბგერის ისეთი წერილობითი გადმოცემა, რომ ჩანდეს მისი (ამ ბგერის) წარმოთქმის ხასიათი, ე. ი. თუ როგორ წარმოითქმება იგი. ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში იხმარება საკუთარი ტრადიციული ანბანიც და (უფრო ხშირად) ლათინურიც; მაგრამ ყოველგვარი ტრანსკრიფციისათვის საერთოა ის, რომ 1) ტრადიციულ ან ლათინურ ასოებთან

(ასოს ქვეშ, თავზე, გვერდით) იხმარება დამატებითი, ე. წ. დიაკრიტიკული („განმასხვავებელი“) ნიშნაკები ან 2) შემოაქვთ ახალი დამატებითი ასო ტრადიციულის ან ლათინურის გარდა (1938, 92).

ტრანსლიტერაცია ტრანსკრიფციისაგან განასხვავებენ ტრანსლიტერაციას, რომელიც წარმოადგენს ერთი ენის ანბნით დაწერილის სხვა ენის ანბნით დაწერას (ლათ. trans „გადაღმა“ და litera „ასო“); მაგ.: сагани, отахши, цигни (1949, 176), (1966, 152).

ტრიფთონგი ...ზოგჯერ ერთ მარცვალში თავსდება სამი ხმოვანი. ასეთ შეერთებას ეწოდება ტრიფთონგი (სამხმოვანა). სალიტერატურო ქართულში ტრიფთონგები არა გვაქვს. ტრიფთონგად შეიძლება ჩაითვალოს, მაგ., იმერ. კილოს რადა? დედაა. ინგლისურში ასეთად ითვლება, მაგ., aia (სიტყვაში diary „დღიური“ – წარმოითქმის daiary), eia (სიტყვაში player – წარმოითქმის pleia „მოთამაშე“) და სხვა (1949, 104).

ტურანულ ენათა ოჯახი იხ. **ურალო-ალტაურ ენათა ოჯახი**.

ტურებმომრგვალებული ხმოვანი იგივეა, რაც **ლაბიალიზებული ხმოვანი**; იხ. **ხმოვანთა ლაბიალიზაცია**.

უ

უბგერობა სიტყვაში ზოგიერთი ბგერის დაყოვნების მომენტი არ იძლევა ბგერითს ეფექტს და ამდენად წარმოადგენს უბგერობას ანუ აკუსტიკურ პაუზას. სპეციფიკური ფონეტიკური პაუზა („უბგერობა“) გვაქვს სიტყვაში ზოგიერთი ბგერის წარმოების მომენტში: ეს პაუზა აუცილებელია. ეს „უბგერობა“, წარმოადგენს ბგერის „აღქმის“ აუცილებელ ნაწილს, რამდენადაც ეს უბგერო მომენტი წარმოადგენს ჩვენი ცნობიერების სრულიად გარკვეულ ფაქტს. ასეთია ყველა ყრუ ხშულის (ფპ, თტ, ცწ, ჩჭ, ქ კ, ჭ ე) წარმოთქმის პროცესი. მათი ხშვის მომენტში საწარმოთქმო ორგანოები მოქმედებენ – ჰაერნაკადს (ხორხიდან თუ პირში დაგროვილს) გზას უკვტავენ ერთხანს; მაშასადამე, არტი-

კულაციას ადგილი აქვს. მაგრამ, რადგანაც ამ ერთხანს ჰაერნაკადის დინება შეწყვეტილია და საბგერო რხევა არ ხდება, ამიტომ ბგერა, როგორც ასეთი, არ აღიქმება; აღიქმება მხოლოდ პაუზა. ასეთ „უბგერო“ ბგერას რეალურად გავიგონებთ მხოლოდ სკდომის მომენტში. რაც შეეხება მჟღერ ხშულ თანხმოვნებს, მათი წარმოთქმის პროცესში ასეთ პაუზას („უბგერობას“) ვერ ვამჩნევთ, როცა მჟღერი ხშული სრული მჟღერობისაა; ეს იმიტომ, რომ მათი ხშვის მომენტში სახმო სიმების უღერა არ წყდება, და გვესმის დახშობილი ხმა, რომელსაც გერმანულად Blählaut-ს ეძახიან. საყურადღებოა, რომ ქართულში ეს დახშობილი ხმა არ გვესმის, როდესაც ე. წ. გაგრძელებულ მჟღერ ხშულს წარმოვთქვამთ, მაგ. ღ (იწერება დდ: ცხადდება), გ (იწერება გგ : გგავს) და სხვა (1938, 78-79), (1931, 9), (1949, 54). იხ. **აკუსტიკური პაუზა**.

უგულარული თანხმოვანი უგულარული (ლათ. uvula „ნაქი“) – r (იხმარება, მაგ., ფრანგულში), რომელიც ცნობილია „მოქცეული“ რ-ს სახელწოდებით (r grasseyé) (1949, 37). იხ. **ლიკიდი**.

უკანა რიგის ხმოვანი უკანა რიგის ხმოვნებია, მაგ., ქართულში ო და უ. უკანა რიგის ხმოვანთა წარმოთქმისას ენის ზურგის უკანა ნაწილი აიწევა რბილი სასის მიმართ – უსათვის მეტად, ო-სთვის – ნაკლებად; ენის წვერი დაშვებულია და დაშორებულია ქვედა კბილებს; უ-სათვის – მეტად, ო-სთვის – ნაკლებ. უკანაენის (ანუ ენის ზურგის უკანა ნაწილის) მიახლოებით რბილ სასასთან უ და ო ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ე და ი მაგარ სასასთან მიახლოებით. ამ რიგს ეკუთვნის აგრეთვე ქართული ჯ, რომელიც წარმოადგენს სუსტ უ-ს.

ასეთივეა რუსული ი და ყ; ე. ი. ქართ. ო და უ ენის არტიკულაციის მხრივ არ განსხვავდებიან რუსული ი და ყ-საგან...

უკანა რიგის ხმოვნები შეიძლება სხვაც იყოს, რადგანაც – რიგის ფარგლებში – ენის უკანა ნაწილის მეტ-ნაკლები უკანდახევა და სასისაკენ აწევა ბევრნაირი შეიძლება. მაგრამ უკანა რიგის ყველა ხმოვნისათვის საერთოა უკანაენის მიმართულება რბილი სასისაკენ – უკან და ზევით (1949, 66-67). იხ. **ხმოვნის კლასიფიკაცია**.

უკანაენისმიერი თანხმოვანი უკანაენისმიერი ანუ რბილისასიმიერი ხშულები გ-ქ-კ, რომელთაც ეძახიან აგრეთვე ველარულს (ლათ. velum „ფარდა სასისა“). აქვე წარმოთქმება ღ-ხ (1949, 37). იხ. **ველარიზაცია; თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია)**.

უმარცვლო ბგერა იხ. **მარცვალი**.

უმიზეზო ბგერათცვლილება იხ. **ბგერათცვლილება**.

უმლაუტი უმლაუტი ანუ მეტაფონია (გერმ. Umlaut, ბერძნ. μεταάλλαξη „გადახმოვანება“) წარმოადგენს აგრეთვე ხმოვანთასიმილაციურ მოვლენას, მაგრამ – განსხვავებით სინჰარმონიზმისგან – რეგრესული მიმართულებისას და ნაწილობრივს ასიმილაციურ მოვლენას...

ფონეტიკურად უმლაუტი არის წინმდგომ მარცვალში ხმოვნის გაფართოება-დავიწროება მომდევნო მარცვლის ხმოვნის გავლენით (1949, 197-198), (1966, 164).

უნილატერალი იხ. **ლიკიდი**.

ურალო-ალტაურ ენათა ოჯახი შესდგება ხუთი ჯგუფისაგან: 1) თურქო-თათრულისა, 2) უნგრო-ფინურისა, 3) მონგოლურისა, 4) ტუნგუზურისა (ანუ მანჯურულისა) და 5) სამოედურისაგან. ამ ოჯახს უჭირავს უზარმაზარი ტერიტორია – მთელი ჩრდილო აზია და აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილი. მათ შორის არ არის ისეთი მჭიდრო ნათესავური კავშირი, როგორც ინდოევროპული ოჯახის ჯგუფთა შორის (1918-19, 20).

ურესპირაციო ბგერათწარმოქმნა იხ. **რესპირაციული და ურესპირაციო ბგერათწარმოქმნა**.

უსრული წინადადება იხ. **ორწვერიანი მარტივი წინადადება**.

უსუნთქველი ბგერათწარმოქმნა იგივეა, რაც **ურესპირაციო ბგერათწარმოქმნა**. იხ. **რესპირაციული და ურესპირაციო ბგერათწარმოქმნა**.

უსუნთქველი თანხმოვანი უსუნთქველი თანხმოვნების რიგში მოთავსებულია ყელისმიერი (ლარინგალი) ხშულ-მსკდომი ე... ის ქართულში არა გვაქვს; გვაქვს ზანურში (მეგრულ-ჭანურში) და შეესატყვისება ქართულ ყ-ს (1938, 166). იხ. **თანხმოვანთა სუნთქველი და უსუნთქველი წარმოება**.

უფუნქციო თანხმოვანი იხ. **ენთეზისი**.

უფუნქციო ხმოვანი იხ. **ანაპტიქსი**.

ფ

ფართე ხმოვანი იხ. **სონორობა**.

ფარინგალური თანხმოვანი იმ თანხმოვნებს, რომლებიც იწარმოებიან ენისძირის მიბჯენით ან მიახლოებით ხახის (ფარინგსის) უკანა კედელთან, ვეძახით ფარინგალურ თანხმოვნებს. მიბჯენის შემთხვევაში იწარმოება – ხშული ფარინგალური, ხოლო მიახლოების შემთხვევაში – ნაპრალოვანი ფარინგალური. ხშული ფარინგალურია, მაგ., ქართულის ფ, ხოლო ნაპრალოვანი (ანუ სპირანტების) ფარინგალურია, მაგ., აფხაზურის ჰი – ჰი (1949, 86). იხ. **თანხმოვანთა განდასება** (კლასიფიკაცია).

ფაუკალური თანხმოვანი საზიარო არტიკულაციის წესით ბგერათშეერთების ერთ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ე. წ. „ფაუკალურისა“ და ენის გვერდითი ხშულ-მსკდომი თანხმოვნების წარმოქმნა.

როდესაც წინაენის ხშულებს დ-თ-ტ-ს უშუალოდ მოსდევს პომორგანული ნაზალი ნ (მაგ.: დნობა, სათნო, პიტნა), ასეთი კომპლექსები (დნ, თნ, ტნ) შესაძლებელია წარმოითქვას ორგვარად: 1. ენის არტიკულირება ნ-სთან იწყება წინმდგომი ხშულის ექსპლოზიის შემდეგ, და, მაშასადამე, მათ შორის დადებულია საზღვარი გაურკვეველი ხმოვნის სახით, რაც აბრკოლებს მათს შერწყმას; ამდენად არ ხორციელდება ბგერათშეერთების I წესი. ამ კომპლექსების ასეთი წარმოთქმა ჩვეულებრივია ქართულში. 2. ენის არტიკულირება ხშვის სახით, რომელიც საზიარო აქვთ წინმდგომ ხშულსა და მომდევნო ნ-ს, ხდება მხოლოდ ერთხელ; ხოლო განხშვას ადგილი აქვს არა პირში, სადაც ხშვა მოხდა, არამედ ხახის არეში სასის ფარდის სწრაფი ჩამოშვების სახით, რის გამოც ჰაერი მთლიანად მიედინება ცხვირის ღრუში; მაშასადამე, წარმოიქმნება სრულიად ახალი ბგერა, რომლისთვისაც ხშვას ახდენს წინაენა, ხოლო განხშვა ხდება სასის ფარდით: წინაენა რჩება ხშვის მდგომარეობაში. ამგვარად

წარმოებულ რთულ თანხმოვნებს ვეძახით საერთოდ ფაუკალურს (ლათ. faux „ხახა“, faucalis „ხახისმიერი“) (1949, 223-224), (1966, 176-177).

ფიზიკური ბგერა ფიზიკურად ბგერა არის ჰაერის ნაწილაკთა განსაზღვრული რხევითი მოძრაობა, რაც აღიქმება სასმენელი ორგანოთი (1938, 52), (1949, 3).

ფიზიკური ფონეტიკა იხ. **ფონეტიკა**.

ფიზიოლოგიური პაუზა ...როცა ორგანოები არ მოქმედებენ, არტიკულაციას ადგილი არა აქვს... (1931, 9).

ფლექსია იგივეა, რაც **სიტყვის მცვლელი ფორმანტი**.

ფლექსიური ტიპის ენები ფლექსიურ ტიპს წარმოადგენს ინდოევროპული და სემური ენები. უმთავრესი მათი თვისება და აგრედვე განსხვავება აგლუტინურისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ფორმალური ელემენტები უფრო მჭიდროდ და თითქმის განუყრელად დაკავშირებულია ძირითად ელემენტთან, ვიდრე აგლუტინური ტიპის ენებში; მაშასადამე, პრინციპული განსხვავება ფლექსიურსა და აგლუტინურს შორის არ არსებობს. ზოგი მეცნიერი სემურ ენებს ფლექსიურ-აგლუტინურსაც კი უწოდებს (ფორტუნატოვი) (1918-19, 24). იხ. **ენათა კლასიფიკაციის მორფოლოგიური პრინციპი**.

ფონაცია რესპირაციისაგან განსხვავებულია სამეტყველო სუნთქვა ანუ ფონაცია.

სპეციალურ ფონეტიკურ ლიტერატურაში ტერმინი ფონაცია“ იხმარება წარმოთქმის მნიშვნელობით (1949, 25), (1966, 35-36). იხ. **რესპირაცია**.

ფონემა სამეტყველო ბგერის მეორე სახელწოდებაა ფონემა... ფონემა არის სიტყვათგანმასხვავებლობითი ფუნქციის მქონე ბგერა.

ესაა ძირითადად ფონემის სოციალური დანიშნულება... ფონემა არის სამეტყველო ბგეროვნობა, რომელსაც შეუძლია თავისი დადებითი ან უარყოფითი ნიშნეულობებით განასხვავოს ერთმანეთისგან მეტყველების მნიშვნელოვანი ელემენტები – სიტყვები, შესიტყვებანი (1949, 267).

ეს ორი ტერმინი – „სამეტყველო ბგერა“ და „ფონემა“ – შეგვიძლია ვიხმაროთ ერთმანეთის მაგიერ, როცა ლაპარაკია ბგერაზე, როცა მას შეუძლია განასხვავოს სიტყვები

ერთმანეთისაგან. მაგ., ა არის სამეტყველო ბგერა ანუ ფონემა (შდრ. აბი – ბი); აგრეთვე ბ (შდრ. აბი – ათი) და ასე შემდეგ. მაგრამ წარმოთქმაში შეიძლება არსებობდეს ისეთი ბგერაც, რომელიც მოცემულ ენაში არ გამოიყენება სიტყვათ-განმასხვავებლად ანუ, უცხოურად, დისტინქტური ფუნქციით. მაგალითად, ქართულ სიტყვაში „ვთხოვე“ პირველი ვ წარმოითქმის როგორც ჭ, მაგრამ ქართულში ჭ არაა გამოყენებული სიტყვათგანმასხვავებლად, ე. ი. ქართულს არა აქვს ფონემა ჭ. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში ბგერა არ წარმოადგენს ფონემას. რუსულს (ფრანგულს, ინგლისურ, გერმანულს...) აქვს ჭ ფონემა, რადგანაც რუსულში იგი სიტყვათგანმასხვავებელია (შდრ. მაგ., форма – норма, порт – сорт...)

ენათმეცნიერებაში ტერმინის „სამეტყველო ბგერა“ ნაცვლად ხშირად იხმარება ტერმინი „ფონემა“ (ან „ბგერა-ფონემა“). ეს ტერმინი

1) უფრო მოხერხებულია თავისი სიმოკლით,

2) იგი ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ჩვენი მეცნიერების სახელწოდებასთან (ფონეტიკა – ფონემა) და

3) მისგან ადვილად იწარმოება სხვა ტერმინები (ფონემური ანუ ფონემატური, ფონემურობა, ფონემობრივი).

ფონემა იმთავითვე სოციალური მოვლენაა. ისტორიულად იგი შეიძლება ჩამოყალიბებულიყო მხოლოდ საზოგადოებრივ სიტყვიერ ურთიერთობაში – სიტყვასთან ერთად. ფონემა რეალურად არსებობს მხოლოდ სიტყვაში. სიტყვის გარეშე ცალკეული ფონემის შესწავლა დასაშვებია მხოლოდ მეცნიერული ანალიზის მიზნით...

ფონემა (სამეტყველო ბგერა) არის განსაზღვრული არტიკულაციურ-აკუსტიკური თვისებების მქონე ისეთი უმცირესი (განუყოფელი) ერთეული მეტყველებისა, რომელსაც შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისაგან სიტყვები ან სიტყვის ფორმები (1966, 10-13). იხ. ფ-ის **პოზიციური ცვალებადობა**.

ფონემათა დაპირისპირება ფონემები უპირისპირდებიან ერთმანეთს სიტყვებში თავიანთი აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური დადებითი ან უარყოფითი ნიშნეულობებით (1949, 263). იხ. **ფონემა**.

„ფონემათა თეორია“ იგივეა, რაც **ფონოლოგია**.

ფონემათა სისტემა იმ უამრავ ბგერათაგან, რომელთაც წარმოთქმას მოცემულ ენაზე მეტყველი თავის ცოცხალ მეტყველებაში, სიტყვათა ან ფორმათა მნიშვნელობის განსახვავებლად იგი ხმარობს ბგერათა ზუსტად განსაზღვრულ რიცხვს – არა უმეტეს რამდენიმე ათეულისა. ეს სამეტყველო ბგერები ანუ ფონემები, რომელთა რიცხვით განსხვავებულია ერთი ენა მეორისაგან, ქმნიან მოცემულ ენაში აგრეთვე დასრულებულ სისტემას, რომელშიც ფონემები (როგორც ყოველ სისტემაში მისი ნაწიერები) შეთანხმებულია ერთმანეთთან იმ საფუძველზე, რომ ურთიერთდაპირისპირებით განასხვავებენ ერთმანეთისაგან სიტყვებს ან ფორმებს.

თავისებური აქვს თითოეულ ენას თავისი განვითარების განსაზღვრულ პერიოდში ფონემათა სისტემა: შესაძლებელია ბგერათა რიცხვი ერთნაირი ჰქონდეს ორ ენას რაც, სხვათა შორის ძლიერ იშვიათია), შესაძლებელია აგრეთვე ორ სხვადასხვა ენაში არტიკულარულად და აკუსტიკურად ერთნაირი ბგერა არსებობდეს, მაგრამ არ არსებობს ორი ენა, რომლებშიც ფონემათა სისტემა ერთნაირი იყოს და რომელიმე ფონემის ერთი და იგივე ფონოლოგიური დანიშნულება ჰქონდეს ორივე ენაში.

მოცემული ენის ფონეტიკურ სისტემაში ჩვენ ვგულისხმობთ როგორც საარტიკულაციო ბაზისით განპირობებულ ბგერათსისტემას, ისე სიტყვათა ან ფორმათა განსხვავების საჭიროებით განპირობებულ ფორმათა სისტემას (1949, 187-188).

ფონემის პოზიციური ცვალებადობა ფონემა ცვალებადია ცოცხალი წარმოთქმის ყოველ მომენტში, რადგანაც, როგორც ვიცით, ყოველი ფონემა გვევლინება ბგერათშეერთებაში თავისი მრავალგვარი სახესხვაობით – იმ სახესხვაობით, რომელთა ტიპს იგი (ფონემა) წარმოადგენს. წარმოთქმის პროცესში მოქმედი ასეთი ცვლილების ერთობლიობას შეგვიძლია ვუწოდოთ ფონემის პოზიციური ცვალებადობა (1966, 154).

ფონემის სახესხვაობა იხ. **თავისთავადი და არათავისთავადი ბგერა**.

ფონემის სუსტი პოზიცია იხ. **ფონეტიკური პოზიცია**.

ფონემის ტოლფუნქციანი სახესხვაობა ტოლფუნქციანი სახესხვაობა შეიძლება ეწოდოს ფონემის იმ პოზიციურ სახესხვაობას, რომელიც თავის პოზიციაში ასრულებს ისეთსავე დისტინქტურ ფუნქციას, როგორსაც მოცემული ფონემის ძირითადი სახესხვაობა. მაგ., ქართულში ვ-ს გაყრუებული სახესხვაობა (ფ) ასრულებს ვ-ს ფუნქციას ყრუ ჩქამიერთა წინ და სიტყვის ბოლოში;

ამ ფუნქციონალური იგივეობის გარდა, დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ფონემის ტოლფუნქციანი სახესხვაობა არ ემთხვევა ფონეტიკურად რომელიმე სხვა ფონემას: ასეთია ქართულში ფ.

ტოლფუნქციანი სახესხვაობას წარმოადგენს ქართულში აგრეთვე, მაგ., გაყრუებული ლ (მაგ., სახლს, ბოთლს) ან გაყრუებული რ (ხათრს, თრთის) რომლებიც ისეთსავე დისტინქტურ როლს ასრულებენ, როგორსაც ჩვეულებრივი მჟღერი ლ და რ, და არ ემთხვევიან ფონეტიკურად სხვა ფონემას (1949, 275-276), (1966, 13-14). იხ. **ფონემა; ფონემის პოზიციური ცვალებადობა.**

ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობა უტოლფუნქციო სახესხვაობა შეიძლება ეწოდოს ფონემის იმ პოზიციურ სახესხვაობას, რომელიც, ემთხვევა რა ფონეტიკურად სხვა ფონემას, კარგავს იმ ფონემის დისტინქტურ ფუნქციას, რომლის სახესხვაობასაც იგი წარმოადგენს.

მაგ., წვეთი – წვეტი, მაგრამ მიცემითის ბრუნვაა ორივესაგან „წვეთს“ (ასე წარმოითქმის როგორც სიტყვა „წვეთს“, ისე „წვეტს“). ამ ნიმუშში ტ ფონემის რეალიზაციას (სახესხვაობას) მომდევნო ს-ს წინ წარმოადგენს თ, რომელიც ფონეტიკურად დაემთხვა იმ თ-ს, რომელიც გვაქვს ფონემის სახით წვეთი-ში. ამ დამთხვევის შედეგია ის, რომ მან (ტ-მ თ-ს სახით) დაკარგა ტ-ს დისტინქტური ფუნქცია: ამ თ-ს აღარ აქვს ტ-ს ტოლი ფუნქცია (1949, 276). იხ. **ფონემა; ფონემის პოზიციური ცვალებადობა.**

ფონემის ძლიერი პოზიცია იხ. **ფონეტიკური პოზიცია.**

ფონეტიკა ჩვენი მეცნიერების – ფონეტიკის სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან ფონე „ხმა“, რადგანაც შემდეგ უწარმოებიათ ზედასართავი ფონეტიკოს „სახმო, ხმის შესახებ რამ“. იმავე ფონე-საგან ნაწარმოებია ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ფონემა, რაც ნიშნავს

„ხმა, ბგერა“. როგორც ეს, ისე პირველი გამოყენებულია დღევანდელ ენათმეცნიერებაში – პირველი (ფონემა), როგორც შესასწავლი ობიექტის სახელწოდება, ხოლო მეორე (ფონეტიკა), როგორც შემსწავლელი მეცნიერებისა. არსებობს ამ ჩვენი მეცნიერების სხვა სახელწოდებაც, მაგ., ფონოლოგია, მაგრამ „ფონეტიკის“, როგორც სახელწოდების, გვერდით: ფონოლოგიაში უნდა იგულისხმონ ის, რასაც ჩვენ აღწერილობით ფონეტიკას ვეძახით, ხოლო ფონეტიკაში, რასაც ჩვენ ისტორიულ ფონეტიკას ვეძახით... სახელწოდება თითქოს არაფერს გვეუბნება ჩვენი საგნის შინაარსზე, მაგრამ ის, რომ საერთოდ შესაფერისადაა შერჩეული, ჩანს ფონე-სიტყვის სხვა მნიშვნელობებიდან:

ფონე ნიშნავს ძველ-ბერძნულად არა მხოლოდ ხმას, ბგერას, არამედ მეტყველებას, ენას, ძახილს, სიტყვას, კილოკავს, დიალექტს. მაგ. ფონას აფინაი ნიშნავს „რაიმე სიტყვის ან გამოთქმების ხმარებას“. ფონენ ჰიენაი „რაიმე ენაზე ლაპარაკს“ და ა. შ. აქედან ჩანს, რომ ჩვენი ფონეტიკის, როგორც მეცნიერების, საგნის მოცულობა უკვე მოცემულია ზოგადად იმ სიტყვაში, რომლიდანაც ეს სახელწოდება უწარმოებიათ, სახელდობრ: ფონეტიკა უნდა შეეხებოდეს არა მხოლოდ ბგერის გამოღება-აღქმის, წარმოთქმა გაგონების მხოლოდ მექანიზმს, არამედ წარმოთქმა-გაგონების შინაარსობრივ მხარესაც, გაგონების, მეტყველებას. ჩვენ მიერ მოცემული განსაზღვრება („სამეტყველო წარმოთქმა-გაგონება“) წარმოადგენს მხოლოდ მის დაზუსტებას იმ მხრივ, რომ გასაზრდელია სამეტყველო ბგერის ორმაგი ბუნება – წარმოთქმა და გაგონება – და ამით მისი მიზნობრივი (სამეტყველო) გამოყენება სოციალურ ურთიერთობაში.

ფონეტიკა საენათმეცნიერო და ამდენადვე სოციალური რიგის დისციპლინაა ბგერის შესწავლის იმ მომენტიდან დაწყებული, როცა ბგერა წარმოდგენილია როგორც ადამიანის ცნობიერების შინაარსის გამომხატველი და ურთიერთგაგებინებისთვის გამოყენებული მოვლენა, მაშასადამე, როგორც სიტყვა. ამგვარადვე, ბგერა სიტყვაში მისი მრავალგვარობით (ბგერათმეერთების სახით) უკვე სოციალური მოვლენაა. ბგერა, როგორც გენეზისით ფიზიკური (ანატომიურ-ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური) მოვლენა-ფიზიკური ბგერა, ხოლო გამოყენებით სოციალურ-სამეტყველო ბგერა, – შესწავლება ჩვენს მეცნიერებაში ორი მთავარი

მიდგომით, რამდენადაც შესწავლილ ობიექტის რაობა განსაზღვრავს შემსწავლელი მეცნიერების შედგენილობას, ფიზიკური ფონეტიკა შეისწავლის ადამიანის ბგერის, როგორც ფიზიკური მოვლენის, არსებობის ბუნებისმეტყველურ პირობებს – ანატომიურს (ფონეტიკური ანატომია), ფიზიოლოგიურს (ფონეტიკური ფიზიოლოგია) და აკუსტიკურს (ფონეტიკური აკუსტიკა)... სოციალური ფონეტიკა შეისწავლის ამ ბგერის სამეტყველო და, მაშასადამე, მის სოციალურ ფუნქციას, რაც მოცემულია ბგერათა მრავალეროვნების (ტონის თუ ჩქამის, ხანგრძლიობის თუ ამათუიმ ტემბრის, ბგერათშეერთებაში უამრავი ნუანსების ან სხვა მისთანა) სახით და განსაკუთრებით – დროის მიხედვით ბგერათცვალებადობაში; ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად ამჟღავნებს სამეტყველო ბგერის სოციალურ ხასიათს: ცნობილია, რომ ცხოველის ბგერა არ იცვლება დროში (1938, 1-4).

(ფონეტიკას) განსაკუთრებული ადგილი უკავია ენათმეცნიერების დარგებს შორის. ეს იმიტომ, რომ: თუ გრამატიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი, სწავლობს სიტყვას (და სიტყვათშეერთებას, წინადადებას) ფორმის მხრივ, ლექსიკოლოგია – სიტყვაშეერთებას (ლექსიკას), სემასიოლოგია – სიტყვის მნიშვნელობას, ხოლო ეტიმოლოგია – სიტყვის წარმომავლობას, – ფონეტიკა სწავლობს სიტყვასაც, როგორც ბგერათშეერთების დასრულებულ სამეტყველო ერთეულს, და მეტყველების ყოველგვარ სხვა ბგერითს გამოვლენასაც, ყოველგვარ სამეტყველო ბგერითს საშუალებას – მათი ფუნქციის აუცილებლივ გათვალისწინებით.

უადრესად მნიშვნელოვანია, რომ ფონეტიკა სწავლობს სიტყვისა და სხვა სამეტყველო ბგერით საშუალებათა ფიზიოლოგიურ საფუძველს – საწარმოთქმო არტიკულაციას. მაშასადამე, ფონეტიკა სწავლობს მეტყველების მატერიალურ საფუძველს – სამეტყველო ბგერადობას (звучания) და ბგერადობის წყაროს...

დღეს ენათმეცნიერებაში ტერმინი ფონეტიკა იხმარება ორი მნიშვნელობით: 1) ვიწრო მნიშვნელობით საკუთრივ ფონეტიკის საგნად თვლიან სამეტყველო ბგერადობის არტიკულაციურ – აკუსტიკურ შესწავლას. მაგ., ქართული გ ბგერა შეისწავლება მისი არტიკულაციურ-აკუსტიკური თვისების მიხედვით (როგორც: ა) უკანაენისმიერი, ბ) მუღერი, გ) ხშული ბგერა; მისი სახესხვაობა და მისი ად-

გილი ქართულ ბგერათა სისტემაში, როგორც მესამე სამეულის „გ ქ კ“-ს წევრი). 2) ფართო მნიშვნელობით ფონეტიკის საგანია იგივე, რაც საკუთრივ ფონეტიკისა, და – ამასთანავე ამის საფუძველზე – სამეტყველო ბგერადობის ფუნქციის შესწავლა. მაგ., იგივე გ შეისწავლება, ერთი მხრივ, არტიკულაციურ-აკუსტიკურად, მეორე მხრივ, – როგორც სიტყვათგანმასხვავებელი ერთეული, როგორც ფონემა: გ, როგორც უკანაენისმიერი, უპირისპირდება დ-ს და განასხვავებს, მაგ., სიტყვას „აგრე“ სიტყვისაგან „ადრე“ (უკანაენისმიერობის გარდა, გ არ განსხვავდება დ-საგან); გ, როგორც მუღერი, უპირისპირდება ქ-ს ან კ-ს და განასხვავებს, მაგ., სიტყვას „გერი“ სიტყვისაგან „ქერი“, „კერი“; იგივე გ, როგორც ხშული, უპირისპირდება დ-ს და განასხვავებს, მაგ., სიტყვას „აგება“ სიტყვისაგან „ადება“. მაშასადამე, ფონეტიკა, ფართო მნიშვნელობით, განიხილავს სამეტყველო ბგერითს საშუალებას აგრეთვე ფუნქციონალურად (1966, 5-6, 16). იხ. ენათმეცნიერება.

ფონეტიკის ისტორია ძველმა ბერძნებმაც და ინდოელებმაც ფინიკური მარცვლოვანი წერა შემოიღეს; ბერძნებმა განავითარეს ის ასოებრივ დამწერლობად, რაც იმას ნიშნავს, რომ ფონეტიკური დაკვირვება ვითარდებოდა, თუმცა არც არაბებს და, განსაკუთრებით, ინდოელებს განუვითარებიათ მათზე ნაკლებად ფონეტიკა – იმის მიუხედავად, რომ მათ მარცვლოვანი დამწერლობა შერჩათ დიდხანს. ბგერათა ის ტრადიციული აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც ევროპაში და ევროპის გზით მკვიდრდებოდა, მომდინარეობს ძველი საბერძნეთიდან – ე. წ. ალექსანდრიის ეპოქიდან. ინდოელთა გასაოცარი ფიზიოლოგიური დაკვირვებანი ბგერებზე ევროპამდის აღწევს მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში; ამ დროიდან კი ინდოელთა ფონეტიკას გავლენა ენათმეცნიერებაზე საკმაოდ შესამჩნევია. ფონეტიკური განვითარება ჩქარი ნაბიჯით წავიდა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან, როცა ფიზიოლოგებმა (მაგ. Brücke) და ფიზიკოსებმა (მაგ. Helmholtz) მოჰკიდეს ხელი ფონეტიკას, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინას (ფიზიოლოგები უკვე მე-17 საუკუნიდან იკვლევდნენ ბგერას, მაგრამ მხოლოდ პრაქტიკული მიზნებით, მაგ., ენის დეფექტების მკურნალობის მიზნით). შეიძლება ითქვას, რომ პირველი ექსპერიმენტული ფონეტიკაში ამ ხანას ეკუთვნის, რამდენადაც ფიზიოლოგ-

მა ჩერმაკმა გამოიყენა ლარინგოსკოპი სახმო სიმების მოქმედების დასამკვიდრებლად წარმოთქმაში. მაგრამ ფონეტიკის განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანია 1875 წელი, როდესაც გამოჩენილმა ფრანგმა ფიზიოლოგმა Marey-მ შესაძლებლად სცნო ფიზიოლოგიაში ხმარებული გრაფიკული მეთოდის გამოყენება წარმოთქმის აქტების გამოსაკვლევადა, სახელდობრ: ხორხისა, ენისა, სასისა და სხვა ორგანოების საწარმოთქმო მოქმედებათა; მისივე ხელმძღვანელობით პრაქტიკულად დაიწყო მუშაობა Rosapelly-მ. მეორე დიდი ფაქტი ფონეტიკის განვითარებაში არის ექსპერიმენტული ფონეტიკის, როგორც მეცნიერების, განმტკიცება 1891წ., როდესაც Rousset-მ პირველი მოხსენება წაიკითხა იმავე პარიზში, სადაც 1896 წელს უკვე დაარსდა პირველი ექსპერიმენტული ლაბორატორია. ამის შემდეგ ზოგადი ფონეტიკის უძლიერესი დასაყრდენია ექსპერიმენტული ფონეტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირშიც ჰყავს გამოჩენილი წარმომადგენლები (ტომსონი, ბოგოროლიცი, შჩერბა, შორი და სხვ.) და აქვს შესაფერი ლაბორატორიები (ყაზანში, ლენინგრადში, მოსკოვში, ტფილისში და სხვ.) (1938, 17-18).

ფონეტიკის მეცნიერული მნიშვნელობა 1) თუ ენათმეცნიერება დღეს თავისი სიზუსტით არ ჩამოუვარდება (და ზოგ რამეში, მაგ., ურყევ კანონზომიერებათა დადგენაში, წინაც უსწრებს) ადამიანის მოქმედების შემსწავლელ სხვა მეცნიერებებს, ეს უმთავრესად, ფონეტიკის მიღწევების მეოხებითაა;

2) ენათმეცნიერების ისტორია მოწმობს, რომ მისი – ენის, როგორც კონკრეტული მოვლენის, შესახებ მეცნიერების წარმატება პირდაპირ პროპორციულია (საერთოდ რომ ვთქვათ) ფონეტიკის განვითარებისა: ცალკეული ენა ძველ დროში არსად არ შეუსწავლიათ ისე ზედმიწევნით, როგორც ძველ ინდოეთში – ალბათ, იმიტომ, რომ ფონეტიკა არსად ყოფილა ისე განვითარებული, როგორც იქ. ფონეტიკური დაკვირვების ჩანასახი გვაქვს ძველ საბერძნეთში – შესაფერი მდგომარეობაა გრამატიკული და საერთოდ ენობრივი აზროვნების შესწავლისა. შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებელთა გენიალური მოსახრებები ზუსტდება და მეცნიერულ სახეს დებულობს მხოლოდ ფონეტიკის განვითარებასთან დაკავშირებით. ყველა სანიმუშო ურყევი კანონზომიერება, რომლითაც შეუძლია იამა-

ყოს შედარებითმა ენათმეცნიერებამაც კი, ფონეტიკური ხასიათისაა. აკად. ნ. მარრის შესანიშნავი ეტიმოლოგიური ძიებანი და თვით პალეონტოლოგიური ანალიზიც მეტნაკლებად გულისხმობენ ფონეტიკური მიღწევების არსებობას. ყოველ შემთხვევაში, იაფეტილოლოგიის მიღწევანი აგრეთვე შეესატყვისება მასში ფონეტიკის გამოყენებას და ა. შ.

3) ფონეტიკა ქიმიან ენათმეცნიერების (არნ. ჩიქობავა) – იმას ნიშნავს, რომ რასაც ქიმიან ასრულებს საბუნებისმეტყველო დარგებისათვის, იმას ენათმეცნიერებისათვის ასრულებს ფონეტიკა; კიდევ მეტიც შეიძლება ითქვას, თუ შედარებას მეტ კონკრეტულ სახეს მივსცემთ: როგორც ქიმიან ანალიზებს დღეს მოქმედი ბუნების მოვლენებს და ამასთანავე და ამის საფუძველზე გარდასულ დროთა მოვლენებსაც (მინერალოგია, გეოლოგიური პალეონტოლოგია), ისე ფონეტიკაც ანალიზებს ადამიანის წარმოთქმავაგონებას და ამასთანავე და ამის საფუძველზე გარდასულ დროთა მეტყველებასაც (მართალია, ამ უკანასკნელს არა ქიმიურის სიზუსტით): ამ მხრივ შესანიშნავია Rousset-ის ექსპერიმენტული სინთეზი ძველი ირანული ბგერათშეერთების შესახებ (მან ახსნა ძველი ირანული ზნ, ჟნ კომპლექსების გადასვლა სნ, შნ კომპლექსებად დღევანდლური გერმანული ბგერითი პროცესების საფუძველზე);

4) ფონეტიკის მეცნიერული მნიშვნელობა გასცდება ენათმეცნიერებას: მას დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიისთვის, ლიტერატურათმცოდნეობისათვის, ისტორიისათვის და თვით ფილოსოფიისათვისაც კი, რამდენადაც მეცნიერების ძირითადი პრობლემათაგანია ელემენტებისა და მთლიანობის ურთიერთობა (ექსპერიმენტულ ფონეტიკაში ეს ძირითადი საკითხია ბგერის მიმართ). თავისთავად ცხადია, რომ ამ დისციპლინების მონაცემებით სარგებლობს ფონეტიკა ისე, როგორც, მეორე მხრივ, – ფიზიოლოგიური და ფიზიკური დისციპლინების მიღწევებით (1938, 14-16).

ფონეტიკის პრაქტიკული მნიშვნელობა ...ყოველ პრაქტიკულ დარგში, სადაც კი ადამიანს მოეთხოვება მეტყველების მკაფიობა და წარმოთქმის სისწორე (ეს ყველგან საჭიროა, მაგრამ განსაკუთრებით) – მასწავლებელია ის თუ მსახიობი, რაიმე საზოგადოების თავმჯდომარე ან დაწესებულების უფროსია თუ რადიოთი გადამცემი, პროპაგანდისტი თუ დამცველი – მეტნაკლებად ყველგან საჭიროა

ფონეტიკის ცოდნა, რაც პრაქტიკულად ნიშნავს თავისი საწარმოთქმო ორგანოების, როგორც იარაღის, დაუფლებას. დაუფასებელია ფონეტიკური გაწვრთნილობა უცხოური ენების შესწავლისას; ფონეტიკურად გაწვრთნილს ეადვილება უცხოური ენის არა მხოლოდ წარმოთქმითი მხარის დაძლევა, არამედ მთლიანად ენის შესწავლაც კი, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ 1) ფონეტიკური წვრთნა უვითარებს ადამიანს სმენას, როგორც სამეტყველო ბგერის აუცილებელ მომენტს, ხოლო ცნობილია, რომ ენას (უცხოურსაც და მშობლიურსაც) ვსწავლობთ სმენით, და 2) ფონეტიკური ცოდნა უვითარებს ადამიანს საერთოდ შეგნებულ დამოკიდებულებას ენობრივ მოვლენათადმი. ფონეტიკის მნიშვნელობა დიდია ლოგოპედიისათვის, რომელიც ასწორებს წარმოთქმის ნაკლს (ენაჩლუნგობას, ენაბლუობას, ჩიფჩიფს, სიფსიფს, „როტაციზმს“ და სხვას); აგრეთვე და განსაკუთრებით – სურდოპედაგოგიისათვის, რომელიც ყრუ-მუნჯს უვითარებს მეტყველებას. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად ლოგოპედია (აქვე ვგულისხმობ სურდოპედაგოგიასაც) ძირითადადში სხვა არა არას რა (ენაბლუობას ანუ ლოგონევროზის გამოკლებით), თუ არა ფონეტიკის პრაქტიკული გამოყენება (რასაც, ცხადია, სპეციალური დახელოვნება და დამატებითი ცოდნის შექმნა სჭირია). ბევრი სხვა გამოყენება აქვს (ან შეუძლია ჰქონდეს) ფონეტიკას, მაგრამ განსაკუთრებით აღვნიშნავ, უკანასკნელ, ფონეტიკის გამოყენებას ახალ ანბანთა შექმნისა და ძველ ანბანთა რეფორმის საქმეში: უანბანო ენებში დამდგარ ბგერათა (სოციალურად ღირებული ბგერების ანუ ფონემების) დადგენა შეუძლია მხოლოდ ფონეტიკის მცოდნეს (თუ ზოგიერთ ენაში ისტორიულად არის არა ფონეტიკოსის მიერ შექმნილი, მაგრამ დამაკმაყოფილებელი ანბანი, ეს ისტორიის ნამოქმედარია: ისტორიამ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შეასრულა ის საქმე, რაც ევალეა და შეუძლია დღეს ფონეტიკოსს). იგივე ითქმის ძველი არადამაკმაყოფილებელი ანბანების რეფორმის შესახებ. ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში ფონეტიკის გამოყენების ეს მხარე უადრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ჩვენი შინაარსით სოციალისტური სინამდვილისათვის დამახასიათებელია ეროვნული კულტურის არსებობა, რაც შეუძლებელია უმწერლობოდ; ჩვენს საბჭოთა კავშირს ეკუთვნის პირველობა მუსულმან ხალხთა ენებში ხმარებული ძნელი არაბული ანბანის რადიკალურად შეცვლაში და-

თინური ანბანის საფუძველზე – ლათინიზაციაში, რომლის დასაყრდენი აგრეთვე ფონეტიკაა (1938, 16-17).

ფონეტიკის საბუნებისმეტყველო საფუძვლები საწარმოთქმო ორგანოების აგებულებასა და მათს ბგერათსაწარმოლო მოქმედებას შეისწავლის ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია, ხოლო წარმოთქმის ელემენტების ფიზიკურ თვისებებს ფონეტიკური აკუსტიკა: ესენია ზოგადი ფონეტიკის საბუნებისმეტყველო საფუძვლები (1949, 12).

ფონეტიკის შედარებითი მეთოდი ბგერათა მრავალგვარი ცვლილება იმას მოწმობს, რომ ენის ბგერითი მხარე განუწყვეტლივ იცვლება; იცვლება იგი არა მხოლოდ დროის დიდ მონაკვეთებზე – საუკუნეთა განმავლობაში, არამედ თვით წარმოთქმის მომენტშივე. არც მეტყველისათვის და არც მსმენელისათვის ეს არაა შესამჩნევი: პირველისათვის იმიტომ, რომ ამას უნებურად სჩადის, ხოლო მეორისათვის იმიტომ, რომ მოცემულ ენაზე ყველა სხვა მოსაუბრისაგან იმავე ცვლილებებით ესმის მას იგივე სიტყვები.

არის უფრო ძლიერი ცვლილებებიც რწმულ წარმოთქმაში: ზოგჯერ ერთ ფონემას შეცვლის ხოლმე სხვა ფონემა. მაგ., ბ შეიძლება იცვალოს წარმოთქმაში ფ-დ: გობი, მაგრამ გოფს; გ შეიძლება წარმოითქვას როგორც ქ; დარქი, მაგრამ დარქს და ა.შ. ეს არის თანაუამიერი ბგერათცვლილება.

კიდევ უკეთ ჩანს ბგერათცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს დროთა განმავლობაში; მაგ., ძველად იყო ბჭისკარი, დღეს გვაქვს ჭიშკარი: დაკარგულია ბ, შეცვლილა ს შ-დ; ძველი ქართ. ჳელი, დღეს ხელი: ჳ > ხ და სხვა. ზოგჯერ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ამ და მრავალ სხვა შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ბგერათა ისტორიულ ცვლილებას (1949, 238).

ფონეტიკურად განპირობებული ბგერათმონაცვლეობა იხ. იგივეა, რაც **ფონეტიკური ბგერათმონაცვლეობა**.

ფონეტიკურად სიტყვის შიგნითა ბგერა ფონეტიკურად სიტყვის შიგნითა ბგერა არის ის ბგერა, რომელსაც არა აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი არც შემართვა და არც დამართვა: ასეთია ტაქტში ყველა ბგერა გარდა თავკიდურისა და ბოლოკიდურისა (1949, 221). იხ. **ბგერა**.

ფონეტიკური აკუსტიკა თუ ფონეტიკური ფიზიოლოგია შეისწავლის სამეტყველო ბგერას მის გენეზისში, ფონეტიკური აკუსტიკა შეისწავლის მასვე სმენითი აღქმის პროცესში (1938, 52), (1949, 12).

ფონეტიკური ანალოგია ფონეტიკური ანალოგია, რომ ფონეტიკური კანონის მართებულად რეალიზებას ხელს უშლის, ჩანს, მაგ., დადექ-ში დადექ-დადევე ფონეტიკური კანონისამებრაა („სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერი ჩქამიერი თანხმოვანი ყრუვდება“), მაგრამ დადექი-ში ფონეტიკური კანონი დარღვეულია, რამდენადაც ქ ბოლოში არ მოექცა, მაგრამ მაინც ყრუა). ანალოგიისავე მოქმედების შედეგია დაფჯექი, დაფწექი, რომლებშიც ქ არ შეიძლება გადასვლა ითვლება ფონეტიკურად ანუ ფონეტიკური კანონისამებრ...

ფონეტიკური კანონის დარღვევის ასხნა ფონეტიკური ანალოგიის ასეთი მოქმედებით სრულიად მართებულია: მაგრამ ამ შემთხვევაში მოქმედებს ნეიტრალური ანალოგია, რომელიც, როგორც ითქვა, არაა დაკავშირებული სიტყვის (ან სიტყვის ფორმის) მნიშვნელობასთან და ამდენად იგი მექანიკურია (1949, 243-244).

ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია საწარმოთქმო ორგანოების აგებულებასა და მათს ბგერათსაწარმოო მოქმედებას შეისწავლის ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია (1949, 12).

ფონეტიკური ბგერათმონაცვლეობა ბგერათა ისეთ მონაცვლეობას, რომელშიც მონაცვლე ბგერათა განსხვავებულობა განპირობებულია პოზიციით (სიტყვის სხვა ბგერებთან მიმართებით ან მახვილიანობა-უმახვილობით) და ამიტომ მას (მონაცვლეობას) არა აქვს სადიფერენციაციო ძალა, ეწოდება ფონეტიკურად განპირობებული ანუ, მოკლედ, ფონეტიკური ბგერათმონაცვლეობა (1949, 209). იხ. **ბგერათმონაცვლეობა**.

ფონეტიკური ბოლოკიდური ბგერა ხშირად სიტყვას აქვს ფონეტიკურად თავისებური დასაწყისი ანუ, თავკიდური (ანლაუტი) და ფონეტიკურად თავისებური ბოლო ანუ ბოლოკიდური (აუსლაუტი). ფონეტიკური ბოლოკიდურია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი, დამოუკიდებ-

ბელი დამართვა: ასეთია ყოველი ბგერა პაუზის წინ (1949, 221), (1966, 175). იხ. **ბგერა**.

ფონეტიკური თავკიდური ბგერა (ანლაუტი) ფონეტიკურია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი შემართვა: ასეთია ყოველი ბგერა პაუზის მიმყოლი (1949, 221), (1966, 175). იხ. **ბგერა**; **ფონეტიკური ბოლოკიდური ბ**.

ფონეტიკური კანონი 1. „ბგერათკანონები მოქმედებენ უგამონაკლისოდ“;

2. „ბგერათცვლილება მიმდინარეობს უგამონაკლისო კანონებისამებრ“.

3. „ყოველი ბგერათცვლილება, რამდენადაც იგი წარმოიქმნება მექანიკურად, მიმდინარეობს უგამონაკლისო კანონებისამებრ, ე. ი. ენობრივი კოლექტივის ყველა მონაწილის ბგერათმომცრობის მიმართულება მუდამ ერთნაირია – იმ შემთხვევის გარდა, როცა ადგილი აქვს დიალექტებად დაშლას, და ცვლილება უგამონაკლისოდ მოედება ხოლმე ყოველ სიტყვას, რომელშიც კი არის ცვლილებაგანცდილი ბგერა ერთნაირ პირობებში“.

4. „ფონეტიკური კანონები მოქმედებენ ბრმად, ბრმა აუცილებლობით (90-იან წლები), საბოლოოდ, ცხარე კამათის შემდეგ ასეთი სახე მიეცა უგამონაკლისობის ფორმულას:

5. „ბგერათკანონები, ბუნების კანონების მსგავსად, მოქმედებენ უგამონაკლისოდ, თუ მათ არ არღვევენ სხვა კანონები ან ხელისშემშლელი ცალკეული მიზეზები...“

ფონეტიკური კანონის მოქმედების უგამონაკლისობის დებულება ითვალისწინებს: 1. ანალოგიის მოქმედებას, 2. სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევასა და 3. უცხოური ენიდან ლექსიკის ნასესხებობას, რომელთაც შეუძლიათ დაარღვიონ ფონეტიკური კანონის უგამონაკლისო მოქმედება (1949, 242-243), (1966, 190).

ფონეტიკური მოვლენები ...ცნება ფონეტიკური მოვლენები უფრო ფართო ცნებაა და შეიცავს თავისში ფონეტიკურ ცვლილებებს, როგორც ერთ-ერთ თავის სახეს. ყოველი ფონეტიკური ცვლილება ფონეტიკური მოვლენაა, მაგრამ ფონეტიკური მოვლენა არაა მხოლოდ ფონეტიკური ცვლილება.

ფონეტიკური ანუ ბგერითი მოვლენებია, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ყოველგვარი წარმოთქმა. მაგრამ მეცნიერულად ამ ცნებაში უნდა ვგულისხმობდეთ შემდეგ შინაარსს: ფონეტიკური ანუ ბგერითი მოვლენებია სიტყვის ან შესიტყვების, როგორც წარმოთქმისა და მნიშვნელობის მთლიანობით ერთეულების, ყოველგვარი ცვლილებები (1949, 219).

ფონეტიკური პაუზა სამეტყველო ბგერათა წარმოებაში დამდგარ და გარდამავალ ბგერათა გარდა გვაქვს ფონეტიკური პაუზა, რომელიც წარმოადგენს განუყრელ ნაწილს ზოგ ბგერისას, სახელდობრ ხშულებისას: განსაკუთრებით აღსანიშნავია პაუზა ყრუ ხშულებში: მჟღერებში კი პაუზა შეიძლება არც იყოს (1931, 8-9).

ფონეტიკური პირობები იხ. **ბგერათა ხანგრძლიობა**.

ფონეტიკური პოზიცია ფონემის ზოგი სახესხვაობა მეტადაა განპირობებული თავისი ფონეტიკური პოზიციით, ზოგი – ნაკლებად, ე. ი. ზოგი სახესხვაობა მეტადაა დამოკიდებული ფონეტიკურ პოზიციაზე და ამიტომ ნაკლებ თავისთავადია, ზოგი სახესხვაობა კი ნაკლებად დამოკიდებული ფონეტიკურ პოზიციაზე და ამიტომ მეტად თავისთავადია.

ფონემის იმ სახესხვაობის პოზიციას, რომელიც ნაკლებად განპირობებული, ვეძახით ძლიერ პოზიციას, ხოლო მეტად განპირობებულის პოზიციას, – სუსტ პოზიციას. მაგ., ქართული მჟღერი ჩქამიერების ძლიერი პოზიციანაა მჟღერი ბგერის წინ მდებარეობა: და, ბუ, დრო, ადგა, ზღვა და სხვა; ხოლო სუსტია მათი პოზიცია მომდევნო ყრუ თანხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოში: ვარდთა (სუსტია დ-ს პოზიცია თ-ს წინ, რის გამოც იგი ყრუვდება: ვართთა), კაცებს (კაცეფს), გაზს (გასს) და ა. შ. (1949, 273).

ფონეტიკური სისტემა იხ. **ფონემათა სისტემა**.

ფონეტიკური სისტემის ცვალებადობა ფონეტიკური სისტემის ცვალებადობის მთავარი წყაროა ის ბგერათცვლილება, რომელიც განუყრელია ბგერათწარმოთქმისთან ბგერათშეერთების ძალით. მაგრამ ეს განუწყვეტლივი ბგერათცვლილება სცვლის ფონეტიკურ სისტემას მხოლოდ მაშინ, როცა მის შედეგად შემოდის ენაში ახალი ფონემა

ან იკარგვის არსებული (1949, 188). იხ. **ბგერათმონაცვლეობა**.

ფონეტიკური ტრანსკრიფცია ...სამეტყველო ბგერათა ზუსტად გადმოცემას საგანგებო ნიშნებით ეწოდება ფონეტიკური ტრანსკრიფცია (ლათ. transcribere „გადაწერა“). (1949, 176), (1966, 152). იხ. **მეცნიერულ-ფონეტიკური წერა**.

ფონეტიკური ცვალებადობა მოცემული ენის ბგერითი მხარის ისტორიულ მეტ-ნაკლებ ცვლილებათა აუცილებლობა არის ამ ენის ფონეტიკური ცვალებადობა, მაგრამ ამით არ ამოიწურება ფონეტიკური ცვალებადობის შინაარსი, რადგანაც ენის ბგერითი მხარე იცვლება არა მხოლოდ ისტორიულად, არამედ მეტყველება-წარმოთქმის ყოველ მომენტში, განუწყვეტლივ: ეს ცვალებადობაა ენაში, რომელსაც იწვევს ბგერათა ერთმანეთზე გავლენა, ბგერათა ერთმანეთთან შეგუება ბგერათაშეერთების ძალით (1949, 184).

ფონეტიკური ცვლილებები ფონეტიკური ანუ ბგერითი ცვლილებები არის სიტყვის ან შესიტყვების შემადგენელ ბგერათა არტიკულაციური და კოარტიკულაციური ბგერათშეერთების ნიადაგზე წარმოქმნილი სისტემებრივი კანონზომიერი ბგერათცვლილებები, რომლებიც შესაძლებელია განპირობებული იყვნენ აგრეთვე სიტყვაში ან შესიტყვებაში მოქმედი სხვა ფაქტორით-ბგერის ადგილმდებარეობით ან მახვილით (1949, 219).

ფონეტიკური წერის ალფაბეტური სისტემა ალფაბეტური ანუ ანბანური ეწოდება ფონეტიკური წერის ისეთ სისტემას, რომელშიც გამოყენებულია ასოები და სხვა დამატებითი პირობითი ნიშნაკები (1949, 180). იხ. **ალფაბეტური მეთოდი**.

ფონეტიკური წერის ანალფაბეტური სისტემა ანალფაბეტური ანუ არაანბანური ეწოდება ფონეტიკური წერის ისეთ სისტემას, რომელშიც არაა გამოყენებული ასოები, როგორც ბგერის გამომხატველი ნიშნები (1949, 180).

ფონოლოგია წმინდა ფონეტიკას, როგორც მეცნიერებას სამეტყველო ბგერის შესახებ აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით, შეემატა დარგი, რომელიც იხილავს სამეტყველო ბგეროვნობას სამეტყველო ღირებულების ანუ ფუნქციის თვალსაზრისით.

ტერმინი წარმოდგარია იმავე ბერძნული სიტყვისაგან ფონე, რომლისგანაც ფონეტიკა.

ფონოლოგიის ანუ ფუნქციონალური ფონეტიკის შექმნა წარმოადგენს ზოგადი ფონეტიკის, როგორცავე საენათმეცნიერო დისციპლინის, განვითარებაში ისეთსავე – თუ მეტს არა მნიშვნელოვან ეტაპს, როგორცავე წარმოადგენდა თავის დროზე ექსპერიმენტული ფონეტიკა.

ამ უკანასკნელმა შესაძლებელი გახადა სამეტყველო ბგერებზე იარაღობრივი დაკვირვება, ბგერით მოვლენათა გრაფიკული გამოსახვა და ამ გზით მათი გაზომვა.

ფუნქციონალურმა ფონეტიკამ ანუ ფონოლოგიამ აღმოაჩინა ფონემის, როგორც ბგეროვნობის, ფუნქციონალური ღირებულება და ამით სამეტყველო ბგერის სოციალური რაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფონეტიკის ეს ახალი დარგი ჩაისახა, განვითარდა და თეორიის სახით ჩამოყალიბდა რუს ენათმეცნიერთა ნაშრომებში. შეიძლება ითქვას, რომ ფონოლოგია რუსი და საბჭოური ენათმეცნიერების მიღწევას წარმოადგენს (1949, 267), (1966, 17). იხ. **ფონეტიკა**.

ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა იგივეა, რაც **ისტორიული ბგერათმონაცვლეობა**.

ფონოლოგიური ღირებულება სამეტყველო ბგეროვნობის ნიშნულებათა ფონოლოგიური ღირებულების მიხედვით ენები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგ., რუსულში ფონოლოგიური ღირებულება აქვს წინაენისმიერ თანხმოვანთა პალატალიზაციას. ხოლო ქართულში (და ბევრ სხვა ენაში, მაგ., ფრანგ., გერმ., ინგლის.) – არა; ქართულში გ-ს ხშულობას აქვს სრული ფონოლოგიური ღირებულება, რუსულში რ-ს ხშულობის ფონოლოგიური ღირებულება დაქვეითებულია იმის გამო, რომ სალიტერატურო რუსულს არა აქვს რ-ს საპირისპირო ნაპრალოვანი ფონემა, რუსულში მახვილს სხვა ფონოლოგიური ღირებულება აქვს, ქართულში – სხვა (1949, 266). იხ. **დისტინქტური ძალა**.

ფონოპოზო-ტოპო-მეტრია იმ მეთოდს, რომლის საშუალებითაც ირკვევა მოცემული თანხმონის მჟღერობის ხარისხი, ეწოდება ფონოპოზო-ტოპო-მეტრია (ბერძნ. φωνή „ხმა“, μέτρος „რამოდენა“, τόνος „ადგილი“) (1949, 330).

ფორმალური კუთვნილება იგივეა, რაც **ფორმანტი**.

ფორმალური სიტყვები სიტყვებს (შემდგომ, უკან, წინ, ქვე და სხვა), რომელნიც წინადადებაში აღნიშნულ წარმოდგენათა შორის ამყარებენ განსაზღვრულ ურთიერთობას, ეწოდება ფორმალური სიტყვები (1918-19, 110).

ფორმანტი ფორმანტი ორგვარია: ა) ფუძის მწარმოებელი, მაგალითად, მ- ელ (მ-კეთებ-ელ), მო- -ო (მო-თეთრ-ო), მე- -ე (მე-ნავე) უ- -ესი (უ-თეთრ-ეს) და სხვა, რომელნიც უერთდება ძირითად კუთვნილებას (-კეთებ, -თეთრ, -ნაკ-) და ამგვარად აწარმოებს სიტყვის ფუძეს (მკეთებელ, მოთეთრო, მენავე, უთეთრესი). მაშასადამე, ფუძე არის ძირითადი კუთვნილება + მწარმოებელი ფორმანტი. ამ კატეგორიის თავისებურ ფორმანტს წარმოადგენს ეგრედ წოდებული ალტერნაცია (მორიგეობა) ხმოვანთა, რომლის საშუალებითაც ჩვენ განვასხვავებთ ხოლმე ერთი სახის ზმნას მეორისაგან.

ბ) სიტყვის მცვლელი ფორმანტი ანუ ფლექსია, რომელსაც უწოდებენ აგრეთვე სიტყვათა სინტაქსურ კუთვნილებას, რადგან ფლექსია წინადადების სიტყვათა შორის ამყარებს განსაზღვრულ ურთიერთობას. ასეთია უმთავრესად, მაგალითად, ქართულში და აგრეთვე მრავალ ინდოევროპულ ენებში ბრუნვათა და მიმოხრათა დაბოლოებანი: კაც-ი, კაც-ს, კაც-მა... სწერ-ს, სწერ-და, სწერ-ოს... (1918-1919, 111-112). იხ. **მორფოლოგიური ნაწილი**.

ფორმანტების თეორია ფორმანტების თეორიის თანახმად, რეზონატორებში წარმოიქმნება, სახმო სიმებისაგან დამოუკიდებლად, ისეთი თანატონები, რომლებიც შეეფერება რეზონატორების მოყვანილობას, მაგრამ არაა ხმის ძირითადი ტონის პარმონიული. მაშასადამე, სახმო სიმებში წარმოქმნილ ხმას თანარხევაში კი არ მოჰყავს ზესადგამი მილის ჰაერი, არამედ ის (ხმა) მხოლოდ აღძრავს საბგეროდ პირის დრუს ჰაერს – რეზონატორის შესაფერისად.

ამ თეორიას იმიტომ ჰქვია ფორმანტების თეორია, რომ გულისხმობს დამოუკიდებელ შემდგენელთა (ფორმანტთა) წარმოქმნას ზესადგამ მილში (1949, 326). იხ. **ხმოვანთა ტემბრი**.

ფრიკატივი იხ. **სპირანტი**.

ფსიქოლოგიური შემასმენელი ჩვეულებრივად ექსპირატორული მახვილით აღინიშნება ენაში ფსიქოლოგიური შემასმენელი, რომელიც ამავე დროს შესაძლებელია არ იყოს გრამატიკული შემასმენელი: მე თუ ვიცი, რომ თქვენ წუხელ შინ არ იყავით, მაგრამ არ ვიცი სად იყავით, როცა თქვენ მეტყვით: „მე ვიყავი ბიძიასთან“, ჩემთვის ახალი იქნება მხოლოდ სიტყვა „ბიძიასთან“, სწორედ ეს იქნება იმ მომენტში ფსიქოლოგიური შემასმენელი და მახვილიც ამ სიტყვაზე იქნება (1918, II, 61).

ფუნქციონალური ანალოგია ფუნქციონალური ან მაღიფერენცირებული ანალოგია, რომელიც დაკავშირებულია სიტყვის ან ფორმის მნიშვნელობასთან და წარმართავს ფონეტიკურ ცვლილებას.

ფუნქციონალური ანალოგიის არსებობის ფაქტი არღვევს უგამონაკლისობის დებულებას, იმ ნაწილში, რომელიც გამორიცხავს ფონეტიკურ ცვლილებას სიტყვის (ან ფორმის) მნიშვნელობასთან დაკავშირებით:

ფუნქციონალური ანალოგიის მოქმედების ნიმუშები: ფონეტიკური რედუქციის კანონის ძალით ქართულში სიტყვა თვალი ფუძეკუმშვადია: თვალი – თვ-ლის (ურმის თვლის); მაგრამ ეს ფონეტიკური კანონი დარღვეულია ფუნქციონალური ანალოგიის მიხედვით, სახელდობრ, სიტყვის მნიშვნელობის სადიფერენციაციოდ: თვალი – თვალის (თვალის სინათლე): ფონეტიკურ ცვლილებას წარმართავს სემანტიკა (1949, 244). იხ. **ბგერითი ანალოგია**.

ფუნქციონალური ფონეტიკა რამდენადაც ფონოლოგია წარმოადგენს ფონეტიკის იმ ნაწილს, რომელიც სწავლობს სამეტყველო ბგერას ფუნქციის თვალსაზრისით, იმდენად მას (ფონოლოგიას) შეიძლება ეწოდოს აგრეთვე ფუნქციონალური ფონეტიკა (1949, 259). იხ. **ფონოლოგია**.

ფუძე იხ. **ფორმანტი**.

ფუძის მწარმოებელი ფორმანტი იხ. **ფორმანტი**.

ფშინვა იგივეა, რაც **ასპირაცია**.

ფშინვიერთა კომპლექსები იხ. **აპარმონიზაცია**.

ფშინვიერი თანხმოვანი იგივეა, რაც **ასპირატი**.

ფშინვიერი შემართვა-დამართვა ფშინვიერია ბგერის შემართვა-დამართვა, თუ ამ ბგერის შემართვა-დამართვისას სახმო სიმები საფშინვიო მდგომარეობაშია და ჰაერნაკადის მეტ-ნაკლები რაოდენობა გაივლის სიმებში გასაგონრად. ფშინვიერ-შემართვიანია, მაგ., ქართული ა სიტყვაში ჰაერი... დღევანდელ სალიტერატურო ქართულსაც ნაკლებ ახასიათებს ფშინვიერ-შემართვიანი ხმოვნები (არის მხოლოდ შორისდებულებში, მაგ., ჰა, აჰა, და უცხოურ სიტყვებში, მაგ., ჰაერი, ჰანგი, ჰიზნი, ჰომეროსი და სხვა). როგორც ჩანს, ძველ ქართულს იგი მეტად ახასიათებდა, მეტადრე ე. წ. ჰაემეტობის პერიოდში.

დამახასიათებელია ფშინვიერ-შემართვიანი ხმოვნები ქართულისა, ჭანურისა და სვანურის ზოგიერთი კილოებისათვის.

ქართულს, რომელსაც ისტორიულად უეჭველად ჰქონდა ფშინვიერ-შემართვიანი თანხმოვნებიც, დღეს თითქმის გაქრობამდე დასუსტებია ისინი. ესაა ფშინვიერ-შემართვიანი ყველა თანხმოვანი, რომლებიც იწყება ზმნები ობიექტურ მესამე და სუბიექტურ მეორე პირში: ჰფარავს, ჰფარავ, ჰკითხავს, ჰკითხავ, ჰქარგავს, ჰგავს და მისთანანი.

ფშინვიერ-დამართვიანი ხმოვანი აგრეთვე იშვიათი მოვლენაა; ქართულში ამის ნიმუშად გამოდგება შორისდებულები, მაგ., ვაჰ, უჰ, სადაც ა და უ ფშინვიერ-დამართვიანი ხმოვნებია. რაც შეეხება ფშინვიერ-დამართვიან თანხმოვანს, ასეთია ყველა ასპირატი ანუ ფშინვიერი ხმოვანი თანხმოვანი და, ჩვეულებრივ, ყრუ ასპირატები (1949, 105). (1949, 105).

ფშინვიერ-შემართვიანი თანხმოვანი იხ. **ფშინვიერი შემართვა-დამართვა**.

ფშინვიერ-შემართვიანი ხმოვანი იხ. **ფშინვიერი შემართვა-დამართვა**.

ქამური ენა ენათა მესამე ოჯახი – ქამური – შეიცავს ძველ ეგვიპტურს, ეგვიპტურისაგან განვითარებულს კოპტურს, ლიბიურს და კუშიტთა ენას (აბაშეთის ქამურ კილოებს

ასეთ სახელს უწოდებენ). ძველი ეგვიპტურის ნაშთები ქრისტემდელი მეორმოცე საუკუნიდან იწყება.

კოპტურ ენაზე (ბერძნული ალფაბეტით) შენახულია საქრისტიანო მწერლობა პირველი საუკუნიდან. აბაშეთში გავრცელებულია ქამური დიალექტები სემურთან ერთად (1918-19, 17).

ქართლური კილო იხ. **ორთოქია**.

ქართულ ენათა ჯგუფი კავკასიის ენათა შორის განცალკევებით სდგას ქართულ ენათა ჯგუფი (1918-19, 20).

ქვედიალექტი იხ. **დვალური დიალექტი**.

ქცევა იხ. **ენა**.

ღ

ღია ბგერები იხ. **ღიაობა**.

ღია მარცვალი იხ. **მარცვალი**.

ღიაობა საწარმოთქმო დაბრკოლების მესამე რაგვარობაა ღიაობა. ის წარმოადგენს საარტიკულაციო ორგანოებს შორის მეტ-ნაკლები მანძილის არსებობას – იმის გამო, რომ ისინი შესაძლებელია ერთმანეთს შორდებოდნენ მეტ-ნაკლებად. ღია ბგერებად ითვლება ხმოვნები. მეტ-ნაკლები ღიაობა აქვს თანხმოვნებსაც, სახელდობრ, ქართულში: 1) საკუთრივ ნაპრალოვნებს (გ, ფ), ხ, ს, ჟ, შ, ღ, ხ, ჰ); 2) ნაზალებს (მ, ნ), ლატერალს (ლ) და ვიბრანტს (რ). ეს თანხმოვნები ჩამოთვლილია აქ მათი ზრდადი ღიაობის მიხედვით, ე. ი. ნაზალები უფრო ღიაა (რა თქმა უნდა, იგულისხმება ცხვირის ღრუს ღიაობა) საკუთრივ ნაპრალოვნებზე, ხოლო ლატერალი და ვიბრანტი – ნაზალებზე (1938, 44-45); (1949, 44). იხ. **დაბრკოლებათა სახეები**.

ღრიჭოვანი იხ. **მჟღერი ღრიჭოვანი**; **ყრუ ღრიჭოვანი**; **შუაენის მიერ ღრიჭოვანი**; **წინა ენა**.

ღრმად უკანაენისმიერი თანხმოვანი იგივეა, რაც **პოსტველარული თანხმოვანი**.

ყ

ყელისმიერი იგივეა, რაც **„ხორხისმიერი“ თანხმოვანი**.

ყელსშული თანხმოვანი ყველაზე უფრო დამახასიათებელი მოვლენა ქართულ (და ქართველურ) ბგერათა სისტემისათვის – ბგერი სხვა ენის (მაგ., ევროპულ ენათა უმრავლესობის) ბგერათა სისტემასთან შედარებით არის ის, რომ ქართულს (როგორც ქართველურს და კავკასიურ სხვა ენებს) აქვს ყელსშული თანხმოვნები, ე. წ. მკვეთრი ხშულები ანუ აბრუპტივები (კ ტ წ ჭ კ ყ)... ეს ექვსი სპეციფიკური ხშული თანხმოვანი გამოყოფილია და დამახასიათებელი მეოთხე (უსუნთქველთა) რიგში. იმ თვისებათა გარდა, რაც ამ თანხმოვნებს საერთო აქვთ სხვა ხშულებთან (ხშვა, სირთულე, ხშულ-მსკდომობა, სიყრუე და წარმოების ადგილები)...

აბრუპტივების არსებობას ქართულში (და, საერთოდ, ქართველურ ენებში) განსაზღვრავს ხშულ თანხმოვანთა სამეულბრივ სისტემა. რუსულში, მაგალითად, რომელსაც არა აქვს აბრუპტივები, არის ხშულთა მხოლოდ წვეულებბრივი სისტემა (1938, 163-164), (1949, 33). იხ. **აბრუპტივი**; **„საშუალო მჟღერობა“**.

ყრუ ბგერა ჟღერის არმქონე ბგერებს ვეძახით არამჟღერს ანუ ყრუ ბგერებს... ყრუებია შემდეგი თანხმოვნები: თ-კ-პ-ს-ტ-ფ-ქ-ყ-შ-ჩ-ც-წ-ჭ-ხ-ჰ. ყრუ mediae ძველთაგანვე მიღებული ტერმინოლოგიით ქართული მარტივი ხშული თანხმოვნები შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დალაგდნენ: კ-ტ-პ tenues (ე. ი. წვრილნი), ქ-თ-ფ aspiratae (ე. ი. ფშინვიერნი) და გ-ღ-ბ – mediae (ე. ი. საშუალნი). ამ უკანასკნელს უწოდებენ საშუალს პირველ ორ ჯგუფთან შედარებით. პირველი ორი ჯგუფი ჩვეულებბრივ ყრუა, ე. ი. მათი წარმოების დროს სახმო სიმები არ ჟღერს, ხოლო mediae-ს ჯგუფი ჩვეულებბრივ მჟღერია, ე. ი. მათი წარმოების დროს ჩვეულებბრივ სახმო სიმები ჟღერს, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა მეზობლობაშია თითოეული თანხმოვანი, ე. ი. როგორი ბგერები ჰყავს მას მეზობლობად სიტყვაში, ან სიტყვის თავკიდური, – წარმოთქმაში ამა თუ იმ სახეს მიიღებს: ა) ყრუ შეიძლება გამჟღერდეს. მაგ., ერდგული: ამ სიტყვაში თითქოს და გვსმის, ერთ-ში ისმის ყრუ თ; აქ ცხადია,

რომ მომდევნო მუდერ გ-ს მასზე გაეღენა მოუხდენია; ბ) მუდერი შეიძლება დაყრუვდეს. მაგ., ვკრეფ: ამ სიტყვაში დღეს ნამდვილად ფ გვესმის, თუმცა ვიცით, რომ მას იგივე ძირი აქვს, როგორც კრება-ში (1949, 56; 253-254). იხ. თანხმობანთა განდასება (კლასიფიკაცია).

ყრუ ფშვინვიერი თახმოვანი იხ. იხ. თანხმობანთა განდასება (კლასიფიკაცია).

ყრუ ღრიჭოვანი იხ. სონორობა.

შ

შედარება იხ. აღწერილობითი ფონეტიკა.

შეკუმშვა იხ. კონტრაქცია.

შემართვა იხ. შემართვა-დამართვა.

შემართვა-დამართვა ბგერათშეერთების მეორე – უმოკლესი გზის – წესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოქმედებას წარმოადგენს სახმო სიმების არტიკულაციის შეერთება ამა თუ იმ ბგერის შემართვას ან დამართვასთან. იმის მიხედვით, თუ როგორი საწარმოთქმო მოძრაობა აქვთ სახმო სიმებს ამა თუ იმ ბგერის შემართვისას (დასაწყისში) ან დამართვისას (ბოლოში), ვახვავებთ შემართვისა და დამართვის რამდენიმე სახეს, სახელდობრ: 1) ფშვინვიერს, 2) ძლიერსა და რბილს შემართვა-დამართვას (1949, 104-105). იხ. ფშვინვიერი შემართვა-დამართვა, ძლიერი შემართვა-დამართვა, ნელი შემართვა-დამართვა; ბგერათწარმოთქმა.

„შემარიგებლობითი თეორია“ იხ. მარცვალი.

შემწეობითი ზმნა იხ. ორწევრიანი მარტივი წინადადება.

შეპირობებულობა იხ. ბგერათცვლილება.

შერეული რაგვარობა ანუ ხშულობა-ნაპრალოვნობა ...შეიცავს ორ სხვადასხვა რაგვარობას (ხშვასა და ნაპრალოვნობას) ერთი სამეტყველო ბგერის ფარგლებში. ასეთებია: ა) აფრიკატები (მაგ., ქართ. ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ), ბ) ვიბრანტები ანუ მთრთოლნი (მაგ., რ), გ) ლატერალები ანუ გვერდითნი

(მაგ., ლ) და ნახალები ანუ ცხვირისეული თანხმოვნები (მ-ნ) (1949, 39).

შესიტყვება სიტყვათა ორგანიზებული შეერთება (1949, 138).

შესიტყვების ინტონაცია იხ. შესიტყვების მახვილი.

შესიტყვების მახვილი შესიტყვების, როგორც სიტყვათა ორგანიზებული შეერთების, მახვილი განსხვავებულია მარცვალთ და სიტყვათმახვილისაგან. შესიტყვება წარმოადგენს ფონეტიკურ მთლიანობას მაშინაც, როცა ის გამოსატავს დამთავრებულ აზრს (ე. ი. როცა იგი წინადადებაა, მაგ.: „უფრო დიდი მომავლის დღე ჩანს“) და მაშინაც, როცა იგი გამოსატავს აზრის მხოლოდ ნაწილს (მაგ., „მომავლის დღე“).

შესიტყვების ფონეტიკური მთლიანობის ფაქტორია მახვილი, ისე როგორც მარცვლისა და სიტყვის. განსხვავება იმაშია, რომ შესიტყვებას ამთლიანებს მეტწილად მუსიკალური ანუ ტონური მახვილი, ინტონაცია, მაშინ როდესაც მარცვალთა და სიტყვათმახვილი ზოგჯერ დინამიკურია და ზოგჯერ ტონურია. ამიტომ შესიტყვების მახვილს ხშირად უწოდებენ შესიტყვების ინტონაციას.

თითოეულ ენას აქვს რამდენიმე ტრადიციულად დაკვიდრებული ტიპი შესიტყვების მახვილისა. ესაა ლინგვისტური მახვილი შესიტყვებისა.

სასვენი ნიშნები ერთნაირია მრავალ ენაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითოეული მათგანის შესიტყვების მახვილი ანუ ინტონაცია ერთნაირი იყოს. პირიქით, იშვიათია ორი სხვადასხვა ენა, რომელთაც შესიტყვების ინტონაცია ერთნაირი ჰქონდეს ერთი და იმავე ტიპის (მაგ., თხრობითის შესიტყვებაში. მაგ., დიდი განსხვავებაა ქართულის თხრობითისა და რუსულის თხრობითი შესიტყვების ინტონაციის შორის (1949, 138). იხ. თხრობითი შესიტყვების მახვილი ქართულში; კითხვითი შესიტყვების მახვილი ქართულში, ძახილის შესიტყვების მახვილი ქართულში.

შესმენილი იხ. გაგრცვლებული წინადადება.

შესუნთქვა იგივეა, რაც ინსპირაცია.

შეუპირობებელი ბგერათცვლილება იხ. ბგერათცვლილება.

შეწონილი ბგერა იხ. ბგერათწარმოქმნა.

შინაგანი ენა შინაგანი ენა (მშობლიური ენა პირველ ყოვლისა) არის აზრის მძლავრი და აუცილებელი იარაღი, უმთავრესად იმიტომ, რომ ბგერათა წარმოება უფრო ადვილად გადადის ადამიანის შეუგნებელი მოქმედების სფეროში, ვიდრე ეესტის ენის ნიშნები: როცა ჩვენ სიტყვას ვამბობთ ჩვენთვის ცნობილ ენაზე (განსაკუთრ. მშობლიურზე), იშვიათად ვფიქრობთ, თუ როგორ და რა ორგანოებით გამოვთქვამთ რომელიმე ბგერას (1918-19, 4).

შინაგანი სანდჰი იხ. **სანდჰი**.

შიშინა თანხმოვანი იხ. **თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია)**.

შიშინა სიგმატიზმი იხ. **სიგმატიზმი**.

შორეული ასიმილაცია და დისიმილაცია ასიმილაციას და დისიმილაციას აქვს ძალა არა მხოლოდ მაშინ, როცა ბგერები მეზობლად არიან (ამას ეწოდება კონტაქტური ასიმილაცია-დისიმილაცია), არამედ მაშინაც, როცა, ისინი დაშორებულია ერთი ბგერით ან მარცვლით და მეტითაც; ამას ეწოდება შორეული ასიმილაცია ან დისიმილაცია (Fernassimilation, - dissimil): შეშა წარმოსდგა ალბად სეშასგან; შეად. მეგრ. დიშქა; ცეცხლი სეცხლი-სგან.

შორეულ დისიმილაციას ვხედავთ ქართულ ოროლი-ში = ორორი; მოლოზონი წარმოსდგა მონოზონი-სგან, ზარალი ზარარისგან. კახური, მაგრამ რაჭული; ქუთათური, მაგრამ მეგრული და სხვა... (1918-19, 76-77).

შუა-ბაგე-კბილის ნაპრალოვანი იხ. **ნაპრალოვნობა**.

შუაენისმიერი თანხმოვანი იგივეა, რაც **პალატალური**.

შუაენის მიერ ღრიჭოვანი ბგერა შუა ენას აქვს თავისი საკუთარი ბგერები: ე ი და ე (j); ე-სთვის შუაენა ოდნავ აიწვევა ცისაკენ, ი-სათვის კიდევ უფრო მეტად, მაგრამ ჰაერი მაინც უფრო თავისუფლად გამოდის (ვერც კი ვგრძნობთ მის გამოსვლას: ამგვარია ყველა ხმოვნების ბუნება), ე-სათვის კი შუაენა უფრო მეტად აიწვევს ცისაკენ, ღრიჭე ვიწროვდება და ჰაერი ვეღარ გამოდის თავისუფლად, „ეხეხება“ ღრიჭეს გვერდებს (ცას და ენას) და ამიტომ აკუსტიური თვალთახედვით მას ვუწოდებთ შუაენის მიერ ღრიჭოვანს (ასეთი ე გვესმის მეგრულ ძაღამ-ში...) (1918-19, 8-9).

შუა რიგის ხმოვანი შუა რიგის ხმოვანია, მაგ., ქართულში ა. შუა რიგის ხმოვნის წარმოთქმისას ენის ზურგი ოდნავ აიწვევა სასისაკენ და დაიხვევს უკან, ან სრულიად ნეიტრალურ მდგომარეობაშია – უკან არ გაიწვევა: ამ მეორე სახისაა ქართული ა.

შუა რიგის ხმოვანია რუსული а (სიტყვებში და: рад), რომელიც, მაშასადამე, იმავე რიგისაა, რომლისაც ქართული ა, მაგრამ ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან: ქართული ა იმდენად უფრო წინაა რუსულის ამ ა-ზე, რომ ძლიერ უახლოვდება წინა რიგის ე-ს; ხოლო რუსული а იმდენად უფრო უკანაა, რომ ენის მდგომარეობით უახლოვდება უკანა რიგის ი-ს...

შუა რიგის ყველა ხმოვნისათვის – ასეთი ხმოვნები კი ბევრია სხვადასხვა ენაში – საერთოა ენის ზურგის მიმართულება სასისაკენ ვერტიკალურად ან ენის ზურგის ნეიტრალური მდგომარეობა (1949, 65-66). იხ. **ხმოვნის კლასიფიკაცია**.

შუა-უკანა ენის ნაპრალოვანი იხ. **ნაპრალოვნობა**.

შუა ყელის ნაპრალოვანი იხ. **ნაპრალოვნობა**.

ჩ

ჩინური ენა აზიის სხვა ენათა შორის დავასახელებთ ჩინურს, რომელზედაც მდიდარი მწერლობა არსებობს მეოცე საუკუნიდან ქრისტეს წინ. ენის სტრუქტურის მიხედვით მას უკავშირებენ ანამურს, სიამურს, ბირმანულს და ტიბეტურს, თუმცა გენეტიური ნათესაობა მათ შორის ჯერჯერობით გამორკვეული არ არის (1918-19, 20).

ჩქამი იხ. **ტონი და ჩქამი**.

ჩქამიერი თანხმოვანი იხ. **რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში**.

ც

ცალგვერდითი თანხმოვანი იხ. **ლიკვიდი**.

ცალეულები იხ. თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია).

ცერებრალური თანხმოვანი (ლათ. cerebrialis „ტვინისა“) ანუ კაკუმინალური (ლათ. cacuminalis „მწვერვალისა“) – ენის-წვერი გადაღუნულია ზემოთკენ და მისი ქვედა მხარე ებჯინება მაგარ სასას. d-t თანხმონები (ეს ბგერები იყო ძველ ინდურში, დღეს აქვს ბენგალურს) (1949, 36).

ცოცხალი ენა იხ. ენა.

ცხვირისეული თანხმონი იხ. შერეული რაგვარობა.

ცხვირისეულობა იგივეა, რაც ნაზალობა.

ცხვირის მიერი მ, ნ, რ, ლ-ს აქვს ერთი განსაკუთრებული თვისება; მათი წარმოების დროს (განსაკუთრებით რ, ლ) ჰაერის თავისუფალი დენა მოგვაგონებს ხმოვანთათვის ჰაერის დენას; მ ნ-სთვის ცხვირში – ამიტომ მათ ცხვირის მიერს უწოდებენ, რ, ლ-სთვის პირში (ლ-სთვის მომდინარეობს ჰაერი ჩაკეცილი ენის გვერდებიდან) – ამიტომ ამ ორს (რ, ლ) ვუწოდებთ მდინარს. ხმოვნებთან მსგავსების გამო მათ ყველას (მ, ნ, რ, ლ) უწოდებენ ხმიერს (1918-19, 9). იხ. სონორობა.

ცხვირისმიერი ხმოვანი იხ. ხმოვანთა ნაზალიზაცია.

ცხოველის ბგერა იხ. ფონეტიკა.

ძ

ძახილის შესიტყვების მახვილი ქართულში ძახილის შესიტყვება მრავალი რისამე გამომხატველი შეიძლება იყოს. მასში შეიძლება გამოიხატებოდეს ბრძანება, ნატვრა, თხოვნა, წაქეზება, გაკვირება, აღტაცება, მწუხარება და მრავალი მისთანა. ამის კვალობაზე მრავალფეროვანია ძახილის შესიტყვების ინტონაციაც. მაგრამ წერაში ძახილის შესიტყვების ნიშანი ერთია – გაკვირვების ნიშანი. ...ძახილის შესიტყვებაში მახვილი ჩანს, მეტწილად შესიტყვების შიგნით და არა მის ბოლოს; და ეს მახვილი უფრო ხშირად დინამიკურია და არა ტონური, მეტადრე გაძლიერებულია ბრძანებისა, წაქეზებისა და მისთანათა

გამომხატველი სიტყვები (1949, 140). იხ. შესიტყვების მახვილი.

ძირეული ენა ძირეულ ენებში არ არსებობს ფორმალური ელემენტები, არაა ბრუნვა, არაა მიმოსრა, არის მხოლოდ ძირები (უმეტესად ერთმარცვლოვანი), რომელიც არც იბრუნვის და არც მიმოიხვრის. აზრი გამოიხატვის და იცვლება იმისდამხედვით, თუ რომელი ადგილი უჭირავს წინადადებაში ამა თუ იმ ძირს. მაგ., ქვემდებარე უთუოდ პირველ ადგილას არის; დამატება მუდამ შემასმენელს შემდეგ. ყოველ ბრუნვას თავისი განსაკუთრებული ადგილი აქვს ფრაზაში. არის აგრედვე რამდენიმე მომხმარებელი ძირი, რომელიც ბრუნვის მაგივრობას სწევს (1918-19, 23). იხ. ენათა კლასიფიკაციის მორფოლოგიური პრინციპი.

ძლიერდამართვიანი თანხმონი იხ. ძლიერი შემართვა-დამართვა.

ძლიერდამართვიანი ხმოვანი იხ. ძლიერი შემართვა-დამართვა.

ძლიერი თანხმონი იხ. „საშუალო მქედრობა“.

ძლიერი შემართვა-დამართვა ძლიერია ანუ მაგარი (უმეტესად ხმოვნის) შემართვა, თუ ამ ბგერის შემართვისას სახმო სიმების მჭიდროდ დახშული მდგომარეობა სწრაფად იცვლება მათი გაპობით, რის შედეგადაც გვესმის ერთგვარი ძლიერი კვნესისებრი ჩქამი; ძლიერია ანუ მაგარი ხმოვნის დამართვა, თუ ბგერის დამართვისას სახმო სიმები სწრაფი წყვეტით დაიხშება, რის შედეგადაც გვესმის კვნესისებრი ჩქამი.

ძლიერშემართვიანი ხმოვნები ქართ. სალიტ. მეტყველებაში არ იხმარება; ზოგჯერ წარმოითქმება ხოლმე ძლიერშემართვიანი ხმოვანი დაჟინებულად თქმულ არა-ში: არა (ნიშანი წარმოადგენს ბგერის ძლიერ შემართვას). ეს ის ბგერაა, რომელიც ცნობილია არაბულში ჰამზათ-ის სახელწოდებით.

ქართველურ ენებში მაგარშემართვიანი ხმოვნები აქვს ზანურს (მეგრულსა და ჭანურს); მაგ., მეგრ. და ჭანური (ვიწურ-არქაბული, ათინური) ძუჯი „ჟური“, ცონა „ყანა“ (ც გამოხატავს უ-ს და ო-ს ძლიერ შემართვას). ევროპულ ენებში მაგარშემართვიანი ხმოვნები ყველაზე მეტად ახასიათებს სალიტერატურო გერმანულს; მაგ., სიტყვებში

'aber, 'immer, 'ober: სიტყვის დამწევი ყოველი ხმოვანი ძლიერშემართვიანია (ან ფშინვიერშემართვიანი).

არც ძლიერდამართვიანი ხმოვანი აქვს ქართულს; მხოლოდ ცალკეული ხმოვანით გათავებული ნაწილაკი შეიძლება წარმოითქვას ძლიერი დამართვიით ქართულში; მაგ., ა' (სამწეხარო გაკვირების გამოსატვა), არა' (აკრძალვის გგამოსატვა).

ძლიერშემართვიანი თანხმოვანი იშვიათია, კერძოდ, არა აქვს იგი ქართულსაც; ხოლო ძლიერდამართვიანი თანხმოვნებია ქართულში აბრუპტივები ხმოვნის წინ (მაგ., ტარი, პირი, კარი): დამართვისას გვესმის მანამდე დახშული სახმო სიმების გაპობის ტკაცანისებრი ჩქამი. ძლიერდამართვიანი აგრეთვე ფრანგულის მუდერი და ყრუ ხშულები (1949, 106). იხ. **შემართვა-დამართვის სახეები.**

ძლიერი ფონეტიკური პოზიცია იხ. **ფონეტიკური პოზიცია.**

ძლიერშემართვიანი თანხმოვანი იხ. **ძლიერი შემართვა-დამართვა.**

ძლიერშემართვიანი ხმოვანი იხ. **ძლიერი შემართვა-დამართვა.**

ძირითადი კუთვნილება იხ. **მორფოლოგიური ნაწილი.**

წ

წარმოთქმა იგივეა, რაც **ფონაცია.**

წასწრებულობა იგივეა, რაც **ანტიციპაცია.**

წერა ორთოგრაფიის ისტორიული პრინციპის თანახმად წერა ეწოდება სიტყვის ისეთ დაწერილობას, რომელიც დამკვიდრებულია ტრადიციის ძალით მოცემული ენის დამწერლობაში – მიუხედავად მორფოლოგიური პრინციპის დარღვევისა...

ორთოგრაფიის სიმბოლური პრინციპის თანახმად წერა ეწოდება ბგერითი ომონიმების განზრახ სხვადასხვანაირად წერას, ე. ი. ერთნაირად წარმოთქმადი სიტყვების განზრახ განსხვავებულად გამოსახვას (1949, 174-175). იხ. **ბგერითი წ;** **ბუსტროფედონი;** **იდეოგრაფიული წ;** **იეროგლიფი;** **ლურსმული წ;** **მარცვლობითი წ;** **მეცნიერულ-ფო-**

ნეტიკური წ; **პიგტოგრაფიული წ;** **პირობითი ნიშანი;** **სილაბური წ;** **წერა.**

წერითი მეტყველება წერის შექმნამ შესაძლებელი გახადა წარმოთქმის ფიქსაცია წასაკითხავად; ამგვარად წარმოქმნა ზეპირმეტყველების გვერდით წერითი მეტყველება ანუ წერილმეტყველება, რომლის შესაძლებლობანი უფრო ფართოა, ვიდრე ზეპირმეტყველებისა – დროისა და სივრცის თვალსაზრისით (1949, 166).

წერილმეტყველება იგივეა, რაც **წერითი მეტყველება.**

წინადადება იხ. **ორწვერიანი მარტივი წ;** **რთული წ;** **მრავალწვერიანი წ;** **გავრცელებული წ.**

წინა ენა თუ წინა ენა მიეზღინება ზედა კბილთა ძირებს (იხ. მარებს კბილებს) და მოახდენს ხშვას (ერთი მომენტით ბრკოლდება ჰაერის დენა) და სკდომას (დაბრკოლების ძლევას), გვესმის ტ, თ, წ, ც, ძ; თუ ამავე ადგილას ამავე ორგანოებს ვიხმართ, მხოლოდ სრულ ხშვას არ მოვახდენთ, არამედ დავტოვებთ განსაზღვრულ ჭუჭრუტანას (დრიჭეს) ისე, რომ ჰაერი მომდინარეობდეს, მაგრამ ჭუჭრუტანის გვერდებზე „ეხეხებოდეს“, მაშინ ჩვენ ვიტყვი: ს, ზ, th (მუდერს), th (ყრუს). ამიტომ ტ, თ, დ, წ, ც, ძ* არის წინა ენის მიერი ხშულ მსკდომი ბგერები; ს, ზ და th (ორგვარი) დრიჭოვანი (სპირანტული, ფრიკატული) ბგერები (1918-19, 7).

წინაპარი ენა იყო წინაპარი ენა, რომლისგანაც განვითარდა ქართლური, მეგრული და სვანური კილოები, მათგან ქართლური კილო დაედო საფუძვლად ქართულ ლიტერატურულ ენას. მაშასადამე, ამ სამ ჯგუფს ეწოდება კილო მხოლოდ წინაპარ ენის მიმართ. კილოთა შედარებით-ისტორიული შესწავლით მკვლევარი ადადგენს იმ წინაპარ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდა მთელი ქართველი ერი ჯერ კიდევ გეოგრაფიულად ერთი მეორესთან დაუშორებელი. მომავალ კილოთა (ქართლურ, მეგრულ და სვანურ) მხოლოდ ჩანასახი არსებობდა. მცხოვრებთა გამრავლებას თან დაეყვა ამ ჩანასახის კილოთ ქცევა. შემდეგ, როცა თითოეული კილო თავის მხრივ იზარდა, მისგან წარმოიშვა მრავალი კილოკავი, მაგ., ქართლურისაგან: ქართლური, იმერული და სხვა; მეგრულისაგან: სამურძაყანო-ზუგდიდური, სენაკური... კილოკავებით იზარდა, გაჩნდა თქმა;

მაგ., იმერული, რაჭული და სხვა. თითოეულ თქმასაც თავისი ქცევა აქვს; მაგ., ზემო და ქვემო იმერული და ასე ამგვარათ. თუ ჩვენ განვიხილავთ მეგრულ კილოს წინაპარ ენასთან დამოუკიდებლად, ჩვენ შეგვიძლია მას ენა ვუწოდოთ; მაშინ სამურძაყანო-ზუგდიდური და სენაკური იქნება კილო.

მეგრული ენა იქნება „ქართული“-ს კილო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების ძალით, პირობით ყველა ამ კილოთა წინაპარს ვუწოდებთ „ქართულს“. ყოველ შემთხვევაში მეგრული ენა არის კილო იმ ქართულისა, რომელზედაც დღეს ჩვენ ვწერთ და ლაპარაკს ვცილობთ და რომელიც არის ხელოვნური ლიტერატურული ენა, დამყარებული უმთავრესად ქართლურ კილოზე; ეს უკანასკნელი კი ისეთივე გამონაყოფია „ქართული“-საგან, როგორც მეგრული და სვანური. ერთი სიტყვით, ისინი არიან ერთ წყაროდან გამომდინარე, მხოლოდ სხვა და სხვა ევოლუციის ნაყოფი.

ჩვეულებრივ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული, მეგრული და სვანური ისეთივე ახლო მონათესავე ენებია, ერთი მეორეში, როგორც უკრაინული, რუსული და ბელორუსული, რომელთაც აგრედვე საერთო წინაპარი ენა ქონდათ: წინაპარი რუსული ენა (прарускій яз.); ან და ისეთივე, როგორც არიან (ან იყვნენ) ერთი მეორესთან სერბული, პოლონური, ჩეხური, „რუსული“ (წინაპარი რუსული) და სხვა სლავური ენები, რომელთაც აგრედვე საერთო წინაპარი ყავდათ წინაპარი სლავური ენა (праславянскій яз.) (1918-19, 12-13).

წინარეისტორიული ბგერათცვლილება იხ. ფონეტიკის შედარებითი მეთოდი; ბგერათცვლილება.

წინა რიგის ხმოვანი წინა რიგის ხმოვნებია ქართული ე და ი. მათი წარმოთქმისას ენის წვერი დაშვებულია და ძვეს ქვედა კბილებთან, ხოლო ენის ზურგის წინა ნაწილი აიწვევა მაგარი სასის მიმართულებით: ე-სათვის – ნაკლებ, ი-სათვის – მეტად. რუსულში წინა რიგის ხმოვნებია и და э. მათვე ეწოდება პალატალური ანუ მაგარი სასისმიერი ხმოვნები, რადგანაც ენის ზურგის წინა ნაწილი უახლოვდება მაგარ სასას (ლათ. palatum „სასა“) (1949, 65). იხ. ხმოვნის კლასიფიკაცია.

წინაენისმიერი თანხმოვანი წინაენისმიერია, როცა მონაწილეობს ენის წინა ნაწილი... წინა ენა (ანუ ზურგის წინა ნაწილი) – კბილების მიმართ: წარმოითქმება წინაენისმიერი (ანუ დორსალური – ლათ. dorsum „ზურგი“, dorsalis „ზურგისა“) დ-თ-ტ, რომელთაც ეძახიან აგრეთვე კბილისმიერს ანუ დენტალურს; ამავე ადგილას იწარმოება აგრეთვე ზ-ს (1949, 31, 34).

წინა ენისა ნაპრალოვანი იხ. ნაპრალო.

წლაპუნა ბგერა იხ. რესპირაციული და ურესპირაციო ბგერათწარმოთქმა; ბგერათწარმოქმნა.

წყვილ ბაგეობითი არტიკულაცია იხ. ბაგეთა არტიკულაცია.

წყვილბაგისმიერი თანხმოვანი წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბილური თანხმოვნებია: ბ-ფ-პ (ლათ. labium „ტუჩი“, labialis „ტუჩებისმიერი ანუ უკეთ ბაგისმიერი“) (1949, 34).

წყვილგვერდითი თანხმოვანი იხ. ლიკვიდი.

წყვილეული ნაპრალოვნები (ვ (ფ), ზს, ჟშ, ღხ) ფ სხვას არას წარმოადგენს, თუ არ ვ-ს, მხოლოდ დაყრუებულს და ამის გამო ფშვინვამომატებულს; სხვა განსხვავება მათ შორის არ არის. როგორც სახისაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ვ (ჩვეულებრივ კბილბაგისმიერი, თუ წყვილბაგისმიერი (ჟ), დაჭიმული და ღუნე), მისი (ვ-ს) დაყრუება და ფშვინვის მომატება მოგვცემს შესაფერი სახის ფ-ს. ეს თანხმოვანი არსებობს როგორც ფონემა (სოციალ. ღირებ. ბგერა) რუსულში და ევროპულ ენებში, ოსურში, ზოგიერთ კავკასიურ ენაში (მაგ., აფხაზურში და ადიღურში) და თვით ერთ-ერთ ქართველურ ენაში – ჭანურში. ქართულ სალიტერატურო ენაში ეს ნიშანი არ იხმარება, რადგანაც ასეთი ფონემა ქართულში დღესაც არ არის; მაგრამ არის ის ფიზიოლოგიურად. შესაძლოა ამას გულისხმობს ანტონ I, როცა ეს (ფ) ნიშანი შემოჰქონდა XVIII საუკუნეში (იხ. მისი ქართული ღრამმატიკა, გვ. 291, §32, 33): „მებრვე მოკლე იგი უ და ბრჯგუე ესე ფ უხამს არიან მებრ ერთმანეთისა გამოღებად, მით რომელ უ... მოკლე ხმოვნად გამოღების... ხოლო ფ... გამოიღების ბრჯგუდ“ (§33). აგრეთვე §32-ში ანტონი უპირისპირებს ერთმანეთს ვ-სა და ფ-ს. ყოველ შემთხვევაში, მას ესმოდა

ჭ-ს განსხვავება ვ-საგანაც და ჴ-საგანაც, რა შემთხვევაში გვაქვს ჭ დღეს ქართულში? – იმავე პირობებში, რომლებშიც ყოველი მქედრი თანხმობანი ყრუვდება ქართულში, სახელდობრ: სიტყვის ბოლოში და ყრუ თანხმობის წინ (ავრთვე ყრუ ფშინვიერი თანხმობის შემდეგ). მაგ.: ისე, როგორც ავად > ავათ, ადევ > ადექ, კაცებს > კაცეფს, რიგში > რიქში; მოხდა > მოხთა და სხვა. გვაქვს: ვბედავ > ვბედაფ, ბარავ > ბარაფ, ბედავს > ბედაფს, კარავში > კარაფში; თვრამეტი > თქრამეტი, ცვლის > ცქლის, ხვდა > ხქთა და სხვა. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა მოყვანილ შემთხვევაში არა გვაქვს სრული ფშინვიანობის ჭ; მაგ., სიტყვის ბოლოში ვ ყრუვდება, მაგრამ საკმარისი ფშინვიანობა მას არა აქვს; ასეთს მუდამ იძენს იგი ფშინვიერი თანხმობანთან მეზობლობაში, ხოლო ყრუ თანხმობანთან მხოლოდ მის წინ; აქ იმიტომ, რომ მოქმედებს რეგრესული ასიმილაცია, რომელიც ძლიერ გავრცელებულია დღევანდელ ქართულში; სხვაგვარად აუხსნელი იქნებოდა, მაგ., ვტებს > ტტებს, მაგრამ ტვირთი; ვკრავთ > ქკრავთ, მაგრამ შეკვრა და სხვა. საყურადღებოა ძალიან ის გარემოება, რომ ქართულად მოლაპარაკე ჭ-ს ყოველდღე ხმარობს რამდენიმე ასჯერ და ათასჯერაც, მაგრამ მასვე უჭირს ამავე ჭ-ს წარმოთქმა, როცა მას მოუხდება ისეთი ენის შესწავლა, რომელშიც ჭ ფონემას წარმოადგენს. ამაშიც მუდგანდება, ჩვენი აზრით, სამეტყველო ბგერის სოციალურობა. როგორც ჩანს, ქართველურ ენებს არ უნდა ჰქონოდათ ჭ; ჭანურში იგი ახლად განვითარებულია. რუსულშიც განვითარებულია ჭ, როგორც ერთ-ერთ სლაგურ ენაში, თორემ საერთო სლაგურს ჭ არ ჰქონდა (რუსულის ზოგიერთ კილოს დღესაც არა აქვს იგი). როგორც ჭანურმა, ისე რუსულმა განიცადა ისეთ ენათა ძლიერი გავლენა, რომელთაც აქვთ ჭ, როგორც ფონემა (ჭანურმა – თურქულისა და ბერძნულისა; რუსულმა – ბერძნულისა და ევროპის სხვა ენებისა); მაგრამ უცხოური ენებიდან შემოსული ჭ-ს შემცველი სიტყვები არ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ ჭანურში ან რუსულში დამკვიდრებულიყო ჭ, როგორც ფონემა (ჭანურში ჭ გვხვდება ჭანურ სიტყვაშიც – მოქთი „მოვედი“, ა. ჩიქობავა, გვ. 15), თუ კი თვით მსესხებულ ენაში არ იქნებოდა ჭ-ს

წარმოქმნის შინაგანი პროცესი, სახელდობრ, ისეთი, როგორცაა დღეს ქართულში (ვ-ს დაყრუება განსაზღვრულ პირობებში); ეს პროცესი რუსულს, როგორც ჩანს, დაეწყო ძალიან ადრე. შევნიშნოთ, უკანასკნელ, რომ ვ ქართულში შეგვეძლო ჩაგვეთვალა ცალკეულ თანხმობებად, რამდენადაც ფონემა ჭ ქართულს არა აქვს (1938, 168-170). **იხ. თანხმობანთა განდასება (კლასიფიკაცია).**

ხ

ხახისმიერი თანხმობანი იგივეა, რაც **ფაჟკალური თანხმობანი**.

ხმა ხმას ჩვენ ვეძახით სახმო სიმების პერიოდული (რიტმული) ვიბრაციით (ჟღერით) წარმოებულ ბგერას. მაშასადამე, ხმა არის მუსიკალური ტონი. შეიძლება მეტიც ითქვას: იდეალური ხმა (მაგ., სასიმღერო ან საკრავის) უნდა იყოს მხოლოდ ტონი, ჩქამშეურველი; ამ თვალსაზრისით, თუ ტონს ჩქამი ერთვის, ეს მისი ნაკლია. სულ სხვაა სამეტყველო ბგერა: მათში ჭარბობს ჩქამიერობა. ყოველ ენაში ჩქამიერი ბგერები მეტია ტონიერებზე და თვით ტონიერ ბგერებში (კერძოდ – ხმოვნებშიც) უეჭველად არის ამათუქიმ ოდენობის ჩქამი. ზოგიერთი ბგერა მხოლოდ ჩქამს წარმოადგენს: ასეთია ქართულში ყველა ყრუ თანხმობანი (ფჰ: თტ, ცწ, ჩჭ, ქკ, ჳ, ყ; ჭ, ს, შ, ხ, ჰ), ხოლო ჩურჩული-სას – ყველა ბგერა. ზოგიერთ ბგერაში ტონი კი გვაქვს, მაგრამ ჩქამი სჭარბობს: ასეთია ქართულში ყველა მქედრი თანხმობანი (ბ, დ, ძ, ჯ, გ; ვ, ზ, უ); ზოგში ტონი მხოლოდ ოდნავ სჭარბობს; ასეთია რ ლ მ ნ; ზოგში კი ტონი სჭარბობს ძლიერ, მაგრამ ჩქამიც არის: ასეთია ხმოვნები (1938, 59). **იხ. ტონი და ჩქამი.**

ხმიანი იხ. **სონორობა**.

ხმიერთა ჯგუფი იგივეა, რაც **სონორთა ჯგუფი**.

ხმიერი იხ. **ცხვირის მიერი**.

ხმოვანთა ასიმილაცია ხმოვანთა ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციას ვხედავთ იმერულ დო-უძახე-ში, სადაც ა-ნის

ლაბიალიზაცია (შემდეგი უ-ს გავლენით) ო-მი მიადწია; გვხვდება ზოგჯერ დუუძახე, სადაც უკვე სრული დამსგავსება მოხდა. ამგვარივე მოვლენა იმერულ მევიდა-ში და სხვა ამგვარ შემთხვევებში, სადაც შემდეგი მარცვლის ი-ნმა გავლენა იქონია წინსართავის ა-ნზე და ე-მი დაავიწროვა.

ხმოვანთა სრულ პროგრესიულ ასიმილაციას ვხედავთ სიტყვებში: მე-ორე, მე-სამე, მე-ცხრე, სადაც წინსართის ე-ნმა მიიმსგავსა ა და ი (მაშასადამე, ა დავიწროვდა და ი გაფართოვდა ე-ნამდი); აგრედვე მეგრული მა-ჟირა „მეორე“; აქ წინსართის ა-ნმა გააფართოვა დაბოლოების ი (1918-19, 73-74).

ხმოვანთა დაჭიმულობა ხმოვნებს ახასიათებს აგრეთვე მეტნაკლები დაჭიმულობა, მაგრამ ეს თვისება არ ასხვავებს ერთმანეთისაგან ერთი და იმავე ენის ხმოვნებს, ე. ი. არ შეიძლება ერთსა და იმავე ენაში ერთი რომელიმე ხმოვანი ხასიათდებოდეს დაჭიმული წარმოთქმით, მეორე – არა (სხვა პირობების ერთნაირობის დაცვით).

ხმოვანთა დაჭიმულობა ასხვავებს ერთ ენას მეორისაგან. მაგ., ცნობილია, რომ ფრანგულ ენას ახასიათებს ხმოვანთა დაჭიმული წარმოთქმა, რუსულს – მოდუნებუ-ლი (1949, 68-69). იხ. **ხმოვანთა კლასიფიკაცია**.

ხმოვანთა კლასიფიკაცია საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ხმოვანთა კლასიფიკაციის შემდეგი საფუძვლები: 1. ხმოვანთა სამი რიგი – წინა, შუა და უკანა; 2. ხმოვანთა აწეულობის სამი საფეხური – მაღალი, საშუალო და დაბალი; 3. ხმოვანთა დაჭიმულობა; 4. ხმოვანთა ნაზალიზაცია და 5. ხმოვანთა ლაბიალიზაცია (1949, 65).

ხმოვანთა კონტრაჰირება იხ. **კონტრაქცია**.

ხმოვანთა ლაბიალიზაცია ტუჩების აქტიური მონაწილეობა ხმოვანთა წარმოებაში გამოიხატება მათს მეტნაკლებად წინ წამოწევისა და მომრგვალებაში; ა-სა და წინა რიგის ხმოვნებისათვის (ე, ი) ჩვეულებრივ ტუჩები თითქმის პასიურნი არიან: ისინი ოდნავ გაიწევიან გასწვრივ.

ამიტომ ხსენებული ფორმით ტუჩების აქტიური მონაწილეობა შეეხება უპირველესად ო-სა და უ-ს. პირველის წარმოთქმისას ტუჩები წამოიწევიან წინ და მრგვალდებიან მხოლოდ იმდენად, რომ ქვედა კბილები შეიძლება ჩანდეს; ხოლო უ-სათვის ტუჩები უფრო მეტად წამოიწევიან და მეტადვე მომრგვალდებიან – კბილები არ შეიძლება


ჩანდეს. ამ ხმოვნებს ეძახიან ტუჩებმომრგვალებულს ანუ ლაბიალიზებულ ხმოვნებს (1949, 70). იხ. **ხმოვანთა კლასიფიკაცია**.

ხმოვანთმონაცვლეობა იხ. **აბლაუტი**.

ხმოვანთა ნაზალიზაცია ზოგიერთ ენაში ხმოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, მხოლოდ პირის ღრუს გზით გამოდის ჰაერნაკადი ხმოვნის წარმოებისას, თუ ორივე გზით – პირითაც და ცხვირითაც. იმ ხმოვნებს, რომელთა წარმოთქმისას ჰაერნაკადი გამოდის მხოლოდ პირით, ეძახიან პირისეულს ანუ ორალურ ხმოვნებს; ხოლო იმ ხმოვნებს, რომელთა წარმოთქმისას ჰაერნაკადი გამოდის პირითაც და ცხვირითაც, ეძახიან ცხვირისმიერს ანუ ნაზალიზებულ ხმოვნებს (1949, 69). იხ. **ხმოვანთა კლასიფიკაცია**.

ხმოვანთა რედუქცია რედუქციის შედეგად შესაძლებელია ხდებოდეს ხმოვნის, ისე როგორც თანხმოვნის, არტიკულაციური დასუსტება და დაკარგვაც; ამ გზით ხმოვნის დაკარგვის ნიმუშია, მაგ., ბალი > ბლის (რედუქცირებულია ა). (1949, 212), (1966, 173). იხ. **ხმოვანთრედუქცია**.

ხმოვანთა სამკუთხედი სამკუთხედის სახით წარმოდგენილი ქართულ ხმოვანთა კლასიფიკაცია ფიზიოლოგიურ საფუძველზეა დამყარებული. საყურადღებოა, რომ ეს კლასიფიკაცია ემთხვევა აკუსტიკურსაც. მართალია, სამკუთხედი მოცემულია ქართულ ხმოვანთა, ხოლო ხმოვანთა რეზონატორული (სატემბრო) ტონის სიმაღლე გამოანგარიშებულია ფრანგულისა და რუსულის, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ზოგადი დასკვნების გამოტანაში: ხმოვანთა რეზონატორული ტონის სიმაღლე კლებულობს დაწეებული ი-დან ე-ა-ო-ს გავლით და უ-თი გათავებული (1949, 72).



ხმოვანთა ტემბრი სამეტყველო ხმოვანი ბგერები უფრო ახლოა სასიმღერო ხმასთან, ვიდრე თანხმოვნები: ყოველ ნორმალურად წარმოთქმულ ხმოვანში ჩქამს სჭარბობს

ტონი (ხმა) – ზოგში (მაგ., ა-ში) მეტად, ზოგში (მაგ., ი-ში) ნაკლებად, ე. ი. ა-ში, როგორც უფრო ღია და ამიტომ დაუბრკოლებელ ხმოვანში, ჩქამი მეტია, ვიდრე ა-ში. სასიმღერო ხმაშიც ტონი სჭარბობს ჩქამს. ამის მიუხედავად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეტი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ხმოვანთა ტემბრის წარმოქმნაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ზესადგამ მილს, როგორც რეზონატორს, კერძოდ – პირის ღრუს; ხოლო სასიმღერო ხმის ტემბრის შექმნაში უმთავრესია, როგორც ჩანს, ხორხის მონაწილეობა.

იმ ორი მთავარი თეორიისათვის (არსებობს სხვა თეორიებიც) ხმოვანთა ტემბრის წარმოქმნის შესახებ, რომელთაგან ერთს ეწოდება რეზონანსის თეორია (ჰელმჰოლცი), მეორეს – ფორმანტების თეორია (ჰერმან), საერთოა ის, რომ ორივე თეორიით ხმოვნის დამახასიათებელი ტემბრი წარმოიქმნება ღრუებში (რეზონატორებში) – მათი მოყვანილობის დაყენებით ამა თუ იმ ხმოვნისათვის (1938, 60), (1949, 325). იხ. **მარაჟის თეორია; რეზონანსის თეორია; ფორმანტების თეორია; ხმა.**

ხმოვანთა ჰარმონია იგივეა, რაც **სინჰარმონიზმი.**

ხმოვანთმონაცველობა შესაძლებელია ხმოვანთმონაცველობა ერთსა და იმავე სიტყვაში. მაგ., ქართულის იმერულ კილოში გვაქვს მონაცველობა ა/ე და ო/ე: გაქცევა, მაგრამ გეიქცა; გაშვება, მაგრამ გოუშვა...

იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია ერთმანეთს ენაცვებოდნენ ხმოვანი და თანხმოვანი, მაგ., ქართული გვაქვს ო/ვ მონაცველობა ო ხმოვნის რედუქციის შედეგად: მაწონი/მაწვნის, ნიორი/ნივრის, წოდ-/წოდ (მწოდება / აწვდის); მ/ვ (ვ): ქვრივი < *ქმრივი და სხვა (1949, 208).

იხ. **ბგერათმონაცველობა.**

ხმოვანთრედუქცია ქართულში ხმოვანთრედუქცია ქართულში თითქმის მხოლოდ ხმოვანთდაკარგვითი სახისაა და არა ხმოვანთდასუსტებითი, როგორცაა რუსულში.

მონაცველობა ო/ვ (მაწონი/მაწვნის, ნიგოზი/ნიგოზის), სადაც გვაქვს არა მონაცველობა ძლიერისა და სუსტი ხმოვნებისა რედუქციის შედეგად, არამედ ხმოვნისა და თანხმოვნისა, ვერ ჩაითვლება რუსულისებრ ხმოვანთდასუსტებითი რედუქციის სახედ (1949, 214). იხ. **ხმოვანთა რედუქცია.**

ხმოვანი ხმოვნებია ისეთი ბგერები, რომელნიც იწარმოებიან უფრო თავისუფლად, დაუბრკოლებლივ, რის გამოც ისინი ნაკლებ ჩქამიერნი არიან და მეტად სონორნი; მათ ჩქამიც აქვთ, მაგრამ მათთვის ეს დამახასიათებელი არ არის. მაშასადამე, რაც უფრო ღიაა ორგანოები ბგერის წარმოებისას, მით მეტი შესაძლებლობაა ხმოვნის წარმოთქმისათვის (1931, 11). იხ. **გრძელი ხ.; დაბალი აწეულობის ხ.; დახურული ხ.; ზეგრძელი ხ.; ირაციონალური ხ.; ლაბიალიზებული ხ.; მაღალი აწეულობის ხ.; მოკლე ხ.; ნახალიზებული ხ.; ნახევრადგრძელი ხ.; ორალური ხ.; პირისეული ხ.; რიგის ხ.; ტუნებმომრგვალებული ხ.; ფართე ხ.; ფშინიერიდამართვიანი ხ.; ფშინიერიშემართვიანი ხ. ცხვირისმიერი ხ.; ძლიერდამართვიანი ხ.; ძლიერშემართვიანი ხ.; ხის ამოვარდნა; ხ-ის დასუსტება; უკანა ხ-ის დაწყება და გათავება; ხ-თა ლაბიალიზაცია; ხ-თა დაჭიმულობა; ხ-თა კლასიფიკაცია; ხ-თა ნახალიზაცია; ხ-თა რედუქცია; ხ-თა სამკუთხედი;**

ხმოვნის ამოვარდნა იხ. **ელიზია.**

ხმოვნის დასუსტება იხ. **დიფთონგი.**

ხმოვნის დაწყება და გათავება სხვადასხვა ენის მიხედვით აღნიშნულია სამი სხვადასხვაგვარი დაწყება ხმოვნისა და ამდენივე გათავება. 1) მაგარი ანუ ძლიერი დაწყება-გათავება, 2) რბილი ანუ სუსტი და 3) ფშინიერი. სხვადასხვა ენის ტრადიციულ ანბანებში ზოგიერთ მათგანს არა აქვს განსაკუთრებული ნიშანი (ასო). [აღნიშნულია აგრეთვე მეოთხე გვარის დაწყება-გათავება, მაგ., არაბულისა, რომელსაც ეძახიან ჭყლეტილს] (1931, 13).

„ხორხულა ესპირაცია“ იხ. **მკვეთრი თანხმოვანი.**

„ხორხისმიერი“ თანხმოვანი ტერმინი „ხორხისმიერი“, ანუ „ყელიისმიერი“, „გუტურალური“ (ლათ. guttur „ყელი“, gutturalis „ყელისა“) იხმარებოდა იმ თანხმოვანთა სახელად, რომელთაც დღეს ვეძახით უკანაენისმიერებს (რბილსასისმიერებს) ანუ ველარებს. მათი არტიკულაცია რომ უარადო თვალთ არ დაინახება, ეს იყო იმის მიზეზი, რომ მათ ყველას მიეცა საერთო სახელწოდება გუტურალური ან ყელისმიერი. ზოგნი ამავე ბგერებს ეძახდნენ ლარინგალებს (ბერძ. λάρυγξ „ხორხი“, ლათ. laryngalis „ხორხისა“)

ანუ ხორხისმიერებს (რუსული гортанный აღნიშნავდა როგორც გუტურალურს, ისე ლარინგალურს)

ახალ ფონეტიკურ ლიტერატურაში ტერმინს ლარინგალური უფრო სწორი გამოყენება აქვს, სახელდობრ: ლარინგალური თანხმოვნები ეწოდება სახმო სიმების მიერ (ყელში, ხორხში) დამოუკიდებლად წარმოებულ ნაპრალოვანს (მაგ., ქართ. ჰ-ს) ან ხშულს (მაგ., ჟ = მეგრ. ჟ-ს) (1949, 308). იაფეტოლოგიაში ეს ტერმინი (ხორხისმიერი, „гортанный“) იხმარება ისეთ თანხმოვანთა სახელად, როგორიცაა, მაგ., ქართ. ღხ [(задне-) язычно-гортанно-небные“-Н. Мэрр, Грам., 027] და ყ. ჰ [(задне-) язычно-гортанные“, იქვე). ტერმინის თვალსაზრისით აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ფონეტიკაში საერთოდ მიღებულია რთული ტერმინი აღინიშნოს ბგერის არტიკულაციაში მონაწილე ურთიერთ- მიმართ მოქმედი ორგანოები, მაგ., „წვეილბაგისმიერი“, „კბილბაგისმიერი“, „ენა-კბილისმიერი“ და სხვა; მაგრამ უჩვეულოა „ბაგე-ცხვირის“ („губно-носовой“, – იქვე), „ბაგე-სასა-ცხვირისა“ („губно-небно-носовой“ – იქვე). ასევე უჩვეულოა ზემოთ დასახელებული ორი ტერმინი. ამ პრინციპს რომ მივყევით, მაშინ ბგერათა დასახასიათებლად ტერმინში უნდა გამოვხატოთ ყველა საწარმოთქმო ორგანო, რომელიც კი მონაწილეობას იღებს მათ წარმოებაში; მაგ., რამდენადაც ზოგიერთ ენაში ხორხის (სახმო სიმების) ან სუნთქვის ამათუიმ მონაწილეობის გარეშე არ წარმოითქმის არც ერთი ბგერა; იმდენად ყველა სახელწოდება უნდა დაწყებულებოდეს ასე: „ხორხ- (гортания)“ ან „სუნთქვა – (дыхательно-“ (1938, 172-173).

ხშვა ხშვა წარმოადგენს ჰაერნაკადის ჩაკეტვას საარტიკულაციო ორგანოებით; დამკეტ ორგანოთაგან ერთია ჩვეულებრივ უფრო აქტიური, მეორე – პასიური, მაგ., წინაენა (აქტიური) მიეზინება წინაკბილებს (პასიურს), ან: ქვედა ტუჩი მიეკვრის ზედას; ამათგან ორივე აქტიურია, მაგრამ სჭარბობს ქვედას აქტივობა. ყოველი ხშვა გულისხმობს მის დაძლევის გაღების ანუ „სკდომის“ სახით; ჩვეულებრივ სკდომა ხდება იმავე ადგილას, სადაც ხშვაა. არსებობს მეტ-ნაკლები სიმტკიცის დახშვა; ამის შესაფერისი იქნება სკდომაც; თუ ხშვა არაა მტკიცე, მოღუნებულია, – სკდომაც არ იქნება ენერგიული და პირიქით, თუ ხშვა

მტკიცეა, სკდომაც სწრაფი და ენერგიულია. ხშვა-სკდომის შედეგად ჩვენ გვაქვს ე. წ. ხშულ-მსკდომი ანუ, მოკლედ, ხშული ან მსკდომი თანხმოვანი ბგერები. ქართულ ენაში ხშვა გვაქვს: 1) ქვედა ტუჩისა ზედასთან – წვეილბაგის ხშულ-მსკდომი (ბ ფ პ მ); 2) წინაენისა კბილებთან – ენა-კბილის ხშულ-მსკდომი (დ თ ტ); 3) ამავე ადგილას, მაგრამ წინაენის ქვედა კიდის შეხებით ქვედა კბილებთან, გვაქვს ძ ც წ; 4) წინაენის შეხებით ნუნებთან (აღვეოლებთან) – ენა-ნუნის ხშულ-მსკდომი (ჯ ჩ ჭ); 5) უკანაენა რბილსასთან – უკანაენისმიერნი ხშულ-მსკდომი; 6) ენისმიერი ხახისკედელთან – ენისძირისმიერნი (ხახისანი, ფარინგალნი) ჯ ყ; 7) სახმო სიმები ერთმანეთთან – სიმებისმიერი ხშულმსკდომი (მეგრ. ჟ). თუ სახმო სიმები დაკეტილი დარჩა, შესაძლებელია წარმოითქვას მხოლოდ პ ტ წ ჭ კ ყ, რომელთაც, მაშ, აქვთ ორმაგი ხშვა: მათგან ერთი (სიმებში) არ სკდება. ყველა ამ შვიდ შემთხვევაში იგულისხმება, რომ რბილი სასა ნაქითურთ აწეულია ზემოთ, ეზინება ხახის კედელს და უკეტავს ჰაერნაკადს ცხვირის ღრუსკენ გზას. ყველა ჩამოთვლილი ხშული მეყსეულია – მათი გაგრძელებით თქმა, არ შეიძლება, რადგანაც იწარმოებიან ჰაერის ერთბაში (მეყსეული) ჯახებით (1938, 39-40).

ხშულთა გადაწევა იხ. თანხმოვანთა გადაწევა.

ხშვა-სკდომა იხ. ხშვა; ხშულობა.

ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება სიტყვაში შემავალი ორი ყრუ ხშულიდან ერთ-ერთი (მეტწილად პირველი) მჟღერდება, ე. ი. ყრუ ხშულები განემსგავსებიან ერთმანეთს მჟღერობა-სიყრუის მიხედვით.

საყურადღებოა, რომ დისიმილაციური გამჟღერების ფაქტები მოიპოვება ქართულშიც, მაგრამ მას აქ არა აქვს კანონზომიერების ხასიათი (1949, 204).

ხშულთა ოთხეულეობრივი სისტემა იხ. პრერუპტივი.

ხშული ხშულია, როცა ორგანოები კეტავენ ჰაერნაკადის გამოსავალ გზას (1949, 31). იხ. თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია); ხშვა; ხშულობა.

ხშული თანხმოვნების ასპირაცია ხშული თანხმოვნების ასპირაცია მდგომარეობს იმაში, რომ სახმო სიმები მცირეო-

დენ ხანს იმავე ღია მდგომარეობაში რჩება, როგორშიც იყო სახმო სიმები, როცა ამ ხშულისათვის ზესადგამ მილში ხშვა მოხდა (1949, 79).

ხშული თანხმონების წყვილულებრივი, სამეულეებრივი და ოთხეულეებრივი სისტემები აბრუპტივების არსებობა ქართულსა და ქართველურ-კავკასიურ ენებში ჰქმნის მათ ხშული თანხმონების სამეულეებრივ სისტემას. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ენებში ჰომორგანული ხშულები სამ-სამია: მჟღერი, ყრუფშვინვიერი და ყრუ აბრუპტივი: 1. ბ-ფ-ბ 2. დ-თ-ტ 3. ძ-ც-წ 4. ჯ-ჩ-ჭ 5. გ-ქ-კ.

ქართულს აქვს ხშულ თანხმონთანა სუთი სრული სამეული. ხშულთა მეექვსე სამეულიდან სალიტ. ქართულს (და ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობას) შერჩენია მხოლოდ ყ (ე.ი. მესამე წვერი, აბრუპტივი), დაუკარგავს პირველი (მჟღერი) და მეორე (ყრუ ფშვინვიერი) წვერი. მაშასადამე, მეექვსე სამეული, რომელსაც ამის გამო დეფექტიან ანუ ნაკლოვან სამეულს ვეძახით, დადასტურებულია სალიტ. ქართ. ენაში მხოლოდ მესამე წვერით (ყ). ასევეა ზანურშიც, ხოლო სვანურში, სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებით, მეექვსე სამეულიც სრულია და არა დეფექტური.

იმ ენებში, სადაც აბრუპტივები არაა, ხშულ თანხმონთანა სისტემა, ჩვეულებრივ, წყვილულებრივია, ე.ი. მათი ჰომორგანული ხშულები ორ-ორია, ასეთია, მაგ., რუსული, ინგლისური და გერმანული.

ზოგიერთი კავკასიურ (მეტადრე დასავლურ კავკასიურ) ენისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ხშულ თანხმონთანა ოთხეულეებრივი სისტემაც კი, ე.ი. თითოეული სამეულის ნაცვლად - ოთხეული: ერთი მჟღერი ხშული (როგორც სამეულებში) და სამი ყრუ, რომელთაგან პირველი იქნებოდა სრულფშვინვიერი ყრუ ხშული (როგორც სამეულებში), მეორე - ოდნავ ფშვინვიერი ყრუ ხშული (რომელიც არაა სამეულებში) და აბრუპტივი (როგორც სამეულებში) (1949, 80-81).

ხშული ფარინგალური თანხმონი იხ. **ფარინგალური თანხმონი**.

ხშულ-მსკდომი თანხმონი ხშულ-სკდომის შედეგად გვაქვს ხშულ-მსკდომი თანხმონები. ასეთია, მაგ., ქართულის ხუ-

თი სრული ჯგუფი (1. ბ-ფ-ბ, 2. დ-თ-ტ, 3. ძ-ც-წ, 4. ჯ-ჩ-ჭ და 5. გ-ქ-კ) და მეექვსე დეფექტიანი ჯგუფი (ჰ-ყ).

მეგრულში გვაქვს სახმო სიმების ხშული-მსკდომი თანხმონები (ც). რუსულში არის მხოლოდ ხშულ-მსკდომთა შემდეგი ჯგუფები: 1. ნ-п, 2. д-т, 3. и, 4. у, 5. г-к (მესამესა და მეოთხეს არა აქვს შესაფერი მჟღერები, ხოლო აბრუპტივები - არც ერთ ჯგუფთაგანს) (1949, 38). იხ. **ხშვა**.

ხშულ-ნაპრალოვანი თანხმონი იხ. **აფრიკატი**; **შერეული რაგვარობა**.

ხშულობა საწარმოთქმო დაბრკოლების ერთი რაგვარობაა ხშულობა. იგი წარმოადგენს ჰაერნაკადის ჩაკეტვას საარტიკულაციო (საწარმოთქმო) ორგანოებით. დამკვეთ ორგანოთაგან ერთია, ჩვეულებრივ, აქტიური, მეორე - პასიური (1949, 38). იხ. **ხშვა**.

ხშულობა-ნაპრალონობა იხ. **შერეული რაგვარობა**.

ჯ

„ჯახების თეორია“ იხ. **მარცვალი**.

კ

ჰამზათიანები ჩვენ რომ პ-ტ-წ-ჭ-კ-ყ-ს მკვეთრებს ვეძახით, პროფ. პოლივანოვი - ჰამზათიანებს... (1949, 375).

ჰაპლოლოგია დისიმილაციურად სიტყვიდან მარცვლის ამოვარდნას ეწოდება ჰაპლოლოგია (ბერძნ. ἀπλός „მარტივი, არამართული“) (1949, 201).

ჰარმონიული კომპლექსები იხ. **თანხმონთანა ჰარმონიული კომპლექსები**.

ჰარმონიული ჯგუფები იხ. **აჰარმონიზაცია**.

ჰეტეროგენური ჰეტეროგენურია ის ბგერები, რომლებიც იწარმოებიან სხვადასხვა რაგვარობით; მაგ., ბ და ვ; ბ და ზ; გ და ჟ; დ და რ და ა. შ. (1949, 46).

ჰეტერორგანული ბგერა ჰეტერორგანულია ერთმანეთის მიმართ ის ბგერები, რომლებიც იწარმოებიან სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ორგანოებით; მაგ., ერთმანეთის ჰეტერორგანულია: ბ და დ; გ და ყ და ა. შ. (1949, 46).

ჰიატუსი ჰიატუსი (ლათ. hiatus „ნაპრაღი, პირის გაღება“), ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა სიტყვის შიგნით (დაუწერია, დროება) ან სიტყვის ბოლო ხმოვანსა და მომდევნო სიტყვას შუა (არა აქვს, რა უნდა). ზოგიერთი ენა ერიდება ჰიატუსს და თავიდან იცდენს მას სხვადასხვა გზით: კონტრაქციით (და კრაზისით) ან ლიეზონით (1949, 236), (1966, 186).

ჰომოგენური ბგერა ჰომოგენურია ერთმანეთის მიმართ ის ბგერები, რომლებიც იწარმოებიან ერთი და იმავე რაგვარობით; მაგ., ბ და ფ, ბ და გ, ზ და ღ (1949, 46).

ჰომოგენური ნიშნეულობა იხ. აპარმონიზაცია.

ჰომორგანული ბგერა ჰომორგანულია ერთმანეთის მიმართ ის ბგერები, რომლებიც ბრკოლდებიან ერთსა და იმავე სართიკულაციო ადგილას ანუ იწარმოებიან ერთი და იმავე ორგანოს მონაწილეობით; მაგ., ერთმანეთის ჰომორგანულია, ე. ი. ერთსა და იმავე ადგილას იწარმოებიან. ბ და ფ, ბ და პ, ფ და მ, დ და ზ, გ და ღ და ა. შ. (1949, 46).
იხ. **ჰომორგანული ხშული**.

ჰომორგანული ხშული იხ. „საშუალო მუდურობა“.

ჰომოფონია ჰომოფონია (ბერძ. ὁμόφωνος „მსგავსხმიანი“) ...წარმოადგენს სხვადასხვა მნიშვნელობის, მაგრამ ერთნაირად მბგერი სიტყვების სხვადასხვა იდეოგრამით გამოსახულებას; მაშასადამე, თუ პოლიფონიაში სინონიმები ერთი და იმავე იდეოგრამით გამოისახება, ჰომოფონიაში, პირიქით, ომონიმები გამოისახება სხვადასხვა იდეოგრამით (1949, 169), (1966, 145).